ჩოლოდ ჯოლოსია

# სიცილი

778 (С 41)
ББК 85.5(2Г)
788.5 (47.922)
ჯ 184

გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სსრკ სახალხო არტისტი რევაზ დავითის ძე ჩხეიძე რთულ და საინტერესო შემოქმედებითს გზას აგრძელებს. თავისი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე მან განუყრელ მეგობარ თენგიზ აბულაძესთან ერთად ბარათი მისწერა ცნობილ კინორეჟისორს სერგეი ეიზენშტეინს და რჩევა სთხოვა. ეიზენშტეინის პასუხმა საბოლოოდ გადაწყვიტა რევაზ ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის ბედი — ისინი კინოს ეზიარნენ.

მრავალი საინტერესო ფილმი შექმნა კინორეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჯარისკაცის მამა“ და ჯერჯერობით მისი ბოლო ნამუშევარი ფილმი-დილოგია „მშობლიურო ჩემო მიწავ“.

„აბა, რა ლექციები, დისპუტები, სიმპოზიუმები შეცვლის, ვთქვათ, გიორგი თორელის, პარტიის რაიკომის ახალი ტიპის მდივნის კინოსახია იდეოლოგიურ ეფექტს?!“ ითქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე, რაც ამ კინონაწარმოების მაღალ მხატვრულ დონესა და მიზნობრივ ეფექტიანობაზე მეტყველებს.

ჟურნალისტ როლანდ ჯალაღანიას მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევი „სიმაღლე“ ეხება კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის ფილმებს, მის საზოგადოებრივსა და პარტიულ-სამეურნეო საქმიანობას.

წიგნი უხვადაა ილუსტრირებული და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი — გიორგი დოლიძე

© გამომცემლობა „ხელოვნება“, 1981.

М—605

80106

15 ადგ. — 61

## აუხდენელი ოცნება

შუა ზაფხულის დილამ კარგა ხანია საგანთიადო ნისლი გადაიყარა— გათენდა, საცაა მზე ამოვა.

მუხნარის თავზე მობორიალე ნისლიც აიწია და ბაღდადის მთები გამოჩნდა. მთებს ზემოთ ხასხასა ლურჯი ცა ისეთია, თითქოს ლივლივებსო. ქვემოთ, აჯამეთის ტყეშიც ჩაწოლილა სილურჯე, ამოსხლეტილი მუხები ბოლქვა-ბოლქვად ჩანან.

ჩიტებთან ერთად ქალაქმაც გაიღვიძა.

საყულიელმა მედროგემ დაფალმანდებულ ჭაკებს თოფრაკებში ქერი ჩაუყარა, მერე დროგის დაზიანებულ ბორბალს კაკაკუკი აუტეხა ჩაქუჩით.

ღიპმოძალებულმა ნოქარმა კოოპერატივის კარ-ფანჯარას ხვნეშით შემოხსნა დარაბები და ქუჩაში გამოდგმულ მაგიდაზე გამოფინა ნაირ-ნაირი საქონელი.

შორეულ მოსახვევში ავტომანქანის გაბმულმა საყვირმა ხეზე მოჭიკ-ჭიკე ჩიტები გააყუჩა, მაგრამ მიწყდა თუ არა ხმა, ჩიტებმა კვლავ განაგრ-ძეს ჭიკჭიკი.

მზე თანდათან მაღლა აიწია.

ქუთაისის ქუჩები აჩქარებული ხალხით აივსო.

სამუშაო დღე დაიწყო და ქუჩებში ხალხის ნაკადმაც იკლო.

ქალაქის ჩრდილოეთით, რიონისაკენ ჩამავალ საცალფეხო ბილიკს რამდენიმე ბიჭუნა მიუყვება ხტუნვა-ხტუნვით. სიცოცხლე მათთვისაც მხოლოდ სიხარულია.

ბიჭუნები ახლა უკვე რიონის პირას ხვინჭასა და ლამში დახტიან. ჭიდაობენ — ჯერ ისევ დილაა, ცივია წყალი და ბანაობა ვერ გაუბედიათ. ხან ქვის სროლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ხან ხტუნვა-კოტრიალში, ამასობაში წყალიც თბება და მათი ჟრიამული აყრუებს იქაურობას.

ბავშვების სმენას თვითმფრინავის შორეული გუგუნი მისწვდა ანაზ-დად. გაჩუმდნენ, გაჩერდნენ და ისეთი დაჟინებით, გაოცებით შეაჩერდნენ ცას, თითქოს თვითმფრინავი ჯერ არ ენახათო.

— ეგერ, ე! — ყველაზე პატარამ გაიშვირა ხელი ლურჯ ჰორიზონტზე მოელვარე ვერცხლისფერი წერტილისაკენ.

ბავშვები სუნთქვაშეკრული მისჩერებოდნენ თვითმფრინავს.

თვითმფრინავი მკვეთრად გადაიხარა მარჯვნივ — ცალი ფრთა ასწია, ერთხანს ასე იფრინა, მერე გასწორდა და აეროდრომის დასაფრენ ბილიკ-ზე ნარნარით დაეშვა.

— მე მფრინავი გავხდები! — მორიდებით თქვა ყველაზე პატარამ და ხელები გაშალა, წრე დაარტყა.

— მეც!..

— მეც!..

— მეც!..

ერთხანს ისევ დუმილი ჩამოვარდა — ბიჭები იმ მფრინავზე ფიქრობ-ენ. მფრინავს რა სჯობია: მაღლა უსაზღვრო ცაა, მარტო ხარ თვითმფრი-ნავში, იქ არავინ გიბრძანებს და თანაც საითაც გინდა, იქით წახვალ, ყვე-ლა შენ შემოგნატრის, ყველა პატივსა გცემს და არც იმას გეკითხება, აქამ-დე სად იყავიო... მფრინავს ვერავინ სჯობია ამ ქვეყანაზე!

მას შემდეგ დიდი დრო გავა, სასიხარულოც, საინტერესოც, სამწუხა-როც, დიდი დრო გავა, ვიდრე ჩვენი პატარა ნაცნობები ცხოვრების საბო-ლოო მიზანს აირჩევენ. ბავშვური ოცნების ახდენა კი არც ერთს არ უწე-რია, თუმცა, ამას ვერც ბევრი დაიკვეხნის. ჰო, მფრინავი არც ერთი არ გახდა, თუმცა, გმირობასა და სიმამაცეში ტოლი არავის დაუდეს...

სამამულო ომი მძვინვარებს. ომია ფრონტზე, ომია ზურგშიც. საბჭოთა ადამიანები ებრძვიან მტერს პირისპირ და იბრძვიან იქაც, სადაც ჯერ კი-დევ თოფის წამლის სუნი არ დატრიალებულა.

თბილისში დიდი და ნათელი სასკოლო შენობები ჰოსპიტლებად გა-დააკეთეს, მოსწავლეები კი მოუწყობელ, პატარა ოთახებში მეცადინეობენ.

ქალაქის ქუჩებში პატრული დადის. აქა-იქ თუ გამოჩნდება სამგზავ-რო ტრანსპორტი, საბრძოლო ტექნიკა კი დაუსრულებლად, უწყვეტ ნაკა-დად მოედინება. ომი იგრძნობა ყველგან: მაღაზიაში, ბაზარში, დაწესებუ-ლებებში... ომი იგრძნობა ქუჩებშიც — ახალგაზრდობა ფრონტზე გაიკრი-ფა და ახლა მოხუცები, ბავშვები და ქალები ჭარბობენ. დიდი ხანი არ გა-სულა ომის დაწყებიდან, მაგრამ უკვე მომრავლდნენ დათალხული დედები, დები, ცოლები, დაობლებული ბავშვები...

ქუჩებში, სტენდებზე რუკებია გამოკრული — ხალხი ყოველდღიურად ადევნებს თვალყურს ბრძოლების მიმდინარეობას.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლეებს თავიანთი საზრუნავი აქვთ. მათ გარშემო ცხოვრება მაინც დუღს: დიდი გული და ნათელი, საღი გონება ათასნაირ საზრუნავსა და საფიქრალს უჩენთ მათ. კამათობენ და პასუხს ეძებენ ამ კითხვებზე, რომლებიც დღითი დღე მრავლდება და რთულდება.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ბიჭები დიდხანს არ შორდებიან ერთმანეთს, მსჯელობენ, დაობენ: მათაც უნდათ შეებრძოლონ მტერს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოუფიქრებიათ რითი და როგორ. ბოლოს ერთი ბიჭი გაბედავს და მორიდებით იტყვის:

— მოდით, ბიჭებო! „გიორგი საკაძე" დავდგათ სკოლის სცენაზე!

ეს უკვე ბავშვური გატაცება აღარ არის — ომის გამოძახილია, სამშობლოს თავისუფლებაზე ფიქრია, მათზე, ვინც სამშობლოს შესწირა თავი.

ბიჭებმა უკვე იციან ვიქტორ ტალალიხინის, ალექსანდრე წურწუმიას, ალექსანდრე მატროსოვის, ზოია კოსმოდემიანსკაიას, ნიკოლოზ გასტელოს გმირობის ამაღელვებელი ამბები და ცხადსა თუ სიზმარში მათი მიმბაძველები არიან. მაგრამ ამ გმირებზე ჯერ არ შექმნილა მხატვრული ნაწარმოებები, ბიჭებს კი სწორედ გმირის სიცოცხლით სურთ ცხოვრება და არჩევანიც „გიორგი საკაძეზე" ჩერდება.

თითქმის ყველაფერი მზადაა, დეკორაციების მოსაწყობად ზოგი რამ სახლიდანაც მოიტანეს, ხმალ-ხანჯლებიც რის ვაი-ვაგლახით გამოჩორკნეს, როლებიც გაანაწილეს და ახლა უკვე რეპეტიციებს გადიან. გიორგი საკაძეს მეათეკლასელი ლევან ჩხიკვაძე ასრულებს, შადიმან ბარათაშვილს— ოთარ ჭელიძე.

ჩქარობენ—უნდათ მალე დადგან პიესა, მალე აიწიოს ფარდა.

ბოლოს და ბოლოს პრემიერის დღეც დადგა.

იმ დილით ლევან ჩხიკვაძემ ოთხად დაკეცილი ქაღალდი დადო „რეჟისორის" მაგიდაზე და უთქმელად გატრიალდა უკან.

— რა არის ეს, ლევან? — ქაღალდი ხელში აიღო „რეჟისორმა".

— უწყებაა, დღეს ორ საათზე გასაწვევ პუნქტში უნდა გამოვცხადდე. ერთი სიტყვით, სპექტაკლში ვეღარ მივიღებ მონაწილეობას.

...ერთი საათის შემდეგ რაიონის სამხედრო კომისართან უცნობი ბიჭი გამოცხადდა და პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უთხრა:

ერთი ღღით უნდა დატოვოთ ლევან ჩხიკვაძე.

— მიბრძანებ თუ მთხოვ? — გაეღიმა კომისარს.

— გთხოვთ, ძალიან გთხოვთ!

— მერე?

— ხვალ გამოცხადდება უეჭველად, — თან ცრემლი მოერია, თავი გვერდზე მიაბრუნა.

კომისარმა ცრემლმორეულ ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა:

— თუ საიდუმლო არ არის, მითხარი, რაშია საქმე?

— სკოლაში გადავწყვიტეთ „გიორგი სააკაძე" დავდგათ, ლევანი კი მთავარ როლს თამაშობს. მე სპექტაკლის რეჟისორი ვარ და ამიტომ გავბედე თქვენთან მოსვლა.

— კარგი! დაგიტოვებთ ერთი ღღით, ოღონდ ხვალ უეჭველად უნდა გამოცხადდეს.

— დიდი მადლობა! — წამოიძახა გახარებულმა ბიჭმა და კარს ეცა. ისე ჩქარობდა, ძლივს დაეწია კომისრის ღიმილნარევი შეკითხვა:

— რა გვარი ხარ?

— რევაზ ჩხეიძე!

ათწლეულები გაივლის ომის შემდეგ. ვერც რევაზი და ვერც მისი ამხანაგები გულისწადილს ვერ აისრულებენ და მფრინავები ვერ გახდებიან. ტანკისტი ლევან ჩხიკვაძე საკუთარ ტანკში დაიღუპება, მოიერიშე ოთარ ჭელიძესაც უმუხთლებს ბედი და მტრის ტყვია განგმირავს, როდამ ჩაჩანიძე მწერალი გახდება, გივი მეფისაშვილი ცნობილი ჟურნალისტი და გაზეთ „ქუთაისის" რედაქტორი, ოთარ ჩახუნაშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. ხოლო რევაზ ჩხეიძე...

## ყველა სინამდვილეზე მართალი!..

საზღვრად გაბმულ თოკებს ხალხი შემოჯარვია. ყველას უნდა ახლოს შეხედოს თავის საყვარელ მსახიობს ან თვალმოკრული წამიერი კადრებით მთლიანი ფილმის სიუჟეტი დაადგინოს, მაგრამ არაფერი გამოდის. ყველაზე უფრო ცნობისმოყვარე ბავშვები იმასაც კი ცდილობენ, თოკის ქვეშ გაძვრნენ და რაც შეიძლება ახლოს მივიდნენ გადასაღებ მოედანთან, მაგრამ რეჟისორი მაშინვე ჩასძახებს ხოლმე რუპორში:

— აბა, ბავშვებო, საზღვარს ნუ არღვევთ!

რეჟისორის ასეთი „ყურადღებით" განაწყენებული ბავშვები კვლავ

თავიანთ ადგილებს იკავებენ და უსიამოვნოდ იჭმუხნებიან, მოზრდილებს უკვირთ — როგორ ახერხებს ეს ადამიანი მსახიობების ხელმძღვანელობას და იმაზე თვალთვალსაც, რომ ბავშვებმა სტატუს კვო არ დაარღვიონო.

ათიოდე წუთის შემდეგ ბავშვებს კვლავ ავიწყდებათ რეჟისორის მკაცრი მითითება და რუპორის გამაფრთხილებელი ხმაც ისევ ისმის:

— ბავშვებო, დაიკავეთ თქვენი ადგილები, გადაღებას ვიწყებთ!

გადაღებისთვის მზადება დასასრულს უახლოვდება. ასეთ დროს რეჟისორის სასაუბროდ გამოძახება კი არა, უბრალოდ მისი ყურადღების მიპყრობაც უხერხულია. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, დრო თავსაყრელი არც ჟურნალისტებს გაგვაჩნია. ალბათ სწორედ ამ მიზეზით მივძვრებით ფანჯრებში, როცა კარიდან არ გვიშვებენ. ეს კი თავისებური მხნეობის ინსტინქტს გვინვითარებს და მეც სწორედ ამ ინსტინქტის წყალობით დავარღვიე სტატუს კვოს ხელშეუხები პრინციპი და სტატისტებს შორის აღმოვჩნდი. რეჟისორმა ჩემი ასეთი ჯიქურ მისვლა უბრალო, ბავშვურ ცნობისმოყვარეობად არ მიიჩნია, გადასაღებ მოედანზე მოფუსფუსე თანაშემწეებსა და ასისტენტებს რამდენიმე მოკლე მითითება მისცა და ჩემს შესახვედრად გამოემართა.

* * *

1979 წელი. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთ-ერთი შემოქმედებითი ჯგუფი ეს-ესაა შეუდგა კინოფილმ „რაიკომის მდივნის“ პირველი კადრების გადაღებას. მე კი, ერთ-ერთი რესპუბლიკური გაზეთის დავალებით ნარკვევი უნდა დავწერო ქართული კინემატოგრაფიის შესანიშნავ წარმომადგენელზე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეთაურ კინორეჟისორ რევაზ დავითის ძე ჩხეიძეზე.

დღეს უკვე საკმაო დრო გავიდა ჩვენი ამ შეხვედრიდან, მაგრამ ახლაც კარგად მახსოვს საუბრის დასასრულს ჩემ მიერ დასმული, ოდნავ პათეტიკური და არცთუ ისე ორიგინალური შეკითხვა:

— ბატონო რევაზ, თქვენი აზრით, რა არის სიცოცხლე?

დაფიქრდა, შემდეგ მაღლა აიხედა, თითქოს თვალუწვდენ სიმაღლეზე თვითმფრინავის მიერ გავლებულ თეთრ შლეიფზე უნდა ამოიკითხოს სიცოცხლის არსიო და მიპასუხა:

— სიცოცხლე, ესაა აზრებისა და ადამიანების ყოველწამიერი ურთიერთშეჯახება ან პარალელური სვლა. სიცოცხლის უწყვეტი პროცესის ამო-

სავალ წერტილს კონფლიქტების ასოციაცია და კონტრასტების მარადიული მოძრაობა წარმოადგენს. სიცოცხლე სინათლის სხივის მიერ წამში გაკვეთილი ასიათასობით კილომეტრიცაა და წლების მანძილზე ლოკოკინას მიერ განვლილი რამდენიმე მეტრიც, იმიტომ, რომ სიცოცხლე მოძრაობაა. სიცოცხლე არავის აძლევს ოდნავი შეჩერების უფლებასაც კი. ახლა კი კონტრასტებისა და კონფლიქტების უსასრულო ნუსხას გადავავლოთ თვალი. მათ შორის, ჩემი აზრით, პირველი და უმთავრესი ადგილი სიყვარულს უჭირავს. მთავარია, იცოდე დ Გწამდეს სიყვარულის, რომ იგი კი არ დაიმორჩილო, არამედ შეიმეცნო და თავისი Ადგილი მიუჩინო. სწორედ მაშინ იმარჯვებს ექიმი, როცა მას უსაზღვროდ უყვარს ავადმყოფი, სპორტსმენი, როცა იგი საკუთარ პრინციპზე მაღლა აყენებს ჯერ კიდევ გადაულახავ ბარიერს, და მწვრთნელი, როცა მამასავით თავს ევლება აღსაზრდელებს... მთავარია, შეგეძლოს სიყვარული, მისი „დაბანდება“ კი ძნელი არ არის. სხვაგვარად მე ვერც კი წარმომიდგენია მუშაობა რეჟისურის ურთულეს ლაბირინთებში. სიყვარული აპოგეაა, სულიერი კულმინაცია. რისი სიყვარული? ამას უკვე პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. სამშობლოს სიყვარული, ერის სიყვარული, საკუთარი პროფესიის სიყვარული, ოჯახისა და მეგობრების სიყვარული, პირველი სიყვარული...

რევაზ ჩხეიძის ამ განმარტებამ ამასწინანდელი სატელევიზიო გადაცემა მომაგონა შსამიან ქვეწარმავლებსა და მათ მომთვინიერებელზე, რომელიც ისეთი სიამოვნებით იხვევდა ყელზე სამეფო კობრას, როგორც ქალნული დიადემას:

— არ გეშინიათ, ქვეწარმავლებმა რომ დაგგესლონ? — შიშნარევი კითხვით მიმართეს Ჟურნალისტებმა მომთვინიერებელს.

— რატომ უნდა დამგესლონ? — გაოცდა მომთვინიერებელი. — მე უზომოდ მიყვარს ჩემი აღსაზრდელები და ისინიც გრძნობენ ამას.

გაუგებარი აქ არაფერია. სიყვარული სიყვარულის წილ.

...შემოქმედების ძნელ გზას მძიმედ მიუყვება ხელოვანი. მიდის შეუსვენებლად. მის ტვირთს მომავლის რწმენა და იმედი ამსუბუქებს. ყოველ ახალ გამარჯვებასთან ერთად იზრდება შინაგანი დაძაბულობა, მოუსვენრობა — უკმარობის შეგრძნება, შეგრძნება იმისა, რაც თან სდევს ყველა Ჭეშმარიტ ხელოვანს — საკუთარი შემოქმედებით დაუკმაყოფილებლობა. ხელოვნების მსახურს, ამ შემთხვევაში კინორეᲟისორს მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი აქვს — ნუგეში და შვება კვლავ თავაუღებელ მუშაობაში უნდა Ჰპოვოს. ასეც იქცევა. ენერგიის თავდაუზოგავად ხარჯვასა და უკიდურეს დაძაბულობას თავისი გააქვს — ერთ მშვენიერ დღეს რეᲟისო-

რი გრძნობს, რომ გადაილალა, სიმი დაჭიმულია და თითქმის გაწყვეტის პირზეა მისული; ახლა დასვენებაა საჭირო, განცალკევება და სულიერი სიმყუდროვე, რათა ძალები აღიდგინოს და კვლავ სამუშაოს დაუბრუნდეს. მაგრამ, რეჟისორი კვლავ წინააღმდეგობაში ვარდება — ყველაზე ეფექტური დასვენება ხომ მუშაობაა...

ერთხელ, კინოფილმ „ჩვენი ეზოს" გადაღებისას ზომაზე მეტი სამუშაო მოეძალა და ისე გადაილალა, თითქმის შუადღის სამ საათამდე ეძინა. ფეხზე წამომდგარმა იგრძნო, როგორ დარია ხელი სისუსტემ. მეუღლე განგებ აგვიანებდა სადილის მომზადებას, მოსაღამოვდება და იქნებ სტუდიაში წასვლა გადაიფიქროსო. როცა გაიგო, იმ დღეს რევაზი საერთოდ არ აპირებდა გაკარებოდა სტუდიას, გაეხარდა, ახლა მაინც დაისვენებსო.

— ქალაქში გავივლი, ამაზე უკეთესი დასვენება ალბათ არ არსებობს, — უთხრა რევაზმა მეუღლეს და კოსტიუმს გადასწვდა.

მიდიოდა ქუჩაში და გვერდზე არ იხედებოდა. ცდილობდა არაფერზე ეფიქრა, გონება დაესვენებინა, ერთი სიტყვით, უმიზნოდ ეხეტიალა.

უმიზნოდ?

რუსთაველის ძეგლთან ახალგაზრდა წყვილი შენიშნა, ეტყობოდათ, გაბუტულები იყვნენ. რევაზი მიუახლოვდა და მიაყურადა; მაშინ არც უფიქრია, რომ სხვას ამგვარი საქციელისათვის გაკიცხავდა. მაგრამ რევაზმა ინტუიციით იგრძნო, ამ ახალგაზრდა წყვილის საუბრის მოსმენა რაღაც ახალს შესძენდა. ახალგაზრდებმა შეამჩნიეს უცხო ადამიანის ასეთი ყურადღება და საუბარი განაგრძეს, ოღონდ მოჩვენებითი სიბრაზით. ამან ახალგაზრდები, როგორც ჩანს, განმუხტა, დააწყნარა, მერე ერთმანეთს გაუღიმეს, ამ უცნაურ უცნობსაც გამოხედეს და ხელი-ხელჩაკიდებულებმა განაგრძეს გზა.

აი, რა სჭირდებოდა რევაზს; რას ნიშნავს რეჟისორის უტყუარი ინტუიცია! ასეთ ფაქტს ლაბორატორიული მეთოდით, ვინ იცის, წლეულის განმავლობაშიც ვერ მიაკვლევ.

გონება გაუნათდა და სტუდიისაკენ გაქანდა. თითქმის დილამდე იმუშავა სარეჟისორო სცენაზე ისეთი აღმაფრენით, თითქოს ცხოვრებაში არასოდეს განუცდია დაღლის სიმწარე. როცა ყველაფერი გაკეთებულად ჩათვალა, მხოლოდ მაშინ წამოსწია თავი და იმის მიზეზს დაუწყო ძებნა, შინ როგორ ემართლებინა თავი ასეთი „დასვენებისათვის".

ჩვევის თავისებურებანი ვის არ გააჩნია. ეს ნებისმიერი ადამიანის, ნებისმიერი ხელოვანის ხვედრია. ჩაპლინი იმასაც კი აღიარებს, ფილმის გადაღება ისე დამიწყია, სიუჟეტი ხეირიანად მოფიქრებული არც კი მქო-

ნიაო. ესეც ჩვევაა, გინდ სულსწრაფობა დაარქვათ მას და გინდ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება. ამ „ჩვევისაგან“ არც რევაზ ჩხეიძეა დაზღვეული. იდგმება დეკორაციები, მაგრამ ფრაგმენტი კომპოზიციურად ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დახვეწილი. თუმცა ეს არასოდეს შეუმჩნევია ვინმეს. კიდევაც რომ შეემჩნია, არ შეეშინდებოდა, რადგან რეჟისორის სჯერათ.

შინ ვეწვიე რევაზ ჩხეიძეს. სამუშაო მაგიდასთან გაშლილ ლოგინს რომ მოვკარი თვალი, ვიფიქრე, ალბათ საგანგებო მდგომარეობაა-მეთქი გამოცხადებული.

— მდგომარეობა მართლაც საგანგებოა, — მითხრა რევაზმა, — „დონ კიხოტის“ გადასაღებად ვემზადები...

კედლებზე კინოაფიშებია გაკრული ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, იაპონურ და სხვა ენებზე. აფიშებიდან მახარაშვილის, საულიას, მაია წყნეთელის, დათოს, მანანასა და სხვათა მხიარული და ჩაფიქრებული სახეები იმზირებიან.

წიგნები, წიგნები, წიგნები: რუსთაველი, ვაჟა, გალაკტიონი, პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, სერვანტესი, იბსენი, ფოლკნერი, მარჯანიშვილი, მეიერხოლდი, ეიზენშტეინი...

თვალს გტაცებს ლამაზად გაფორმებული დიპლომი:

„ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 მსოფლიო ფესტივალის ჟიური დიპლომით, პირველი ხარისხის პრემიითა და ოქროს მედლით აჯილდოებს „ჩვენი ეზოს“ რეჟისორს რევაზ ჩხეიძეს“.

კვლავ დიპლომები: რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, იაპონურ, იტალიურ ენებზე.

რუსთაველის ჭედური ხატი ხელოვანს ისე დასცქერის ზემოდან, თითქოს გზას ულოცავსო.

არ შეიძლება სიყვარულით არ შეხედო კამარაშეკრულ შველს, რომლის შემქმნელს ნატიფი ხელწერით დაუდასტურებია:

„დიდად პატივცემულ და ქართველი ხალხის გმირს, ბრწყინვალე რეჟისორს, საყვარელ რევაზ ჩხეიძეს. ლადო გუდიაშვილი. 21. XII. 1977 წელი“.

და როგორც წესი — მაგიდაზე გაშლილი ქაღალდის ფურცელი და ზედ დიდი ასოებით გამოყვანილი: „ხედი — საშუალო. მეტრი — 17 ს. ობიექტი — სტუდენტის ბინა, დეკორაცია. კადრების შინაარსი — სისხამი დილაა...“

კინორეჟისორი თავისი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს.

კინორეჟისორის პოპულარობაზე რომ ვლაპარაკობთ, უპირველესად,

მის დამსახურებას ვგულისხმობთ მაყურებლის წინაშე, რაც საერთო აღიარებასა და სიყვარულს ნიშნავს.

რევაზი ამ მხრივ უბედნიერესი პიროვნებაა.

— „ჯარისკაცის მამა"! — სიყვარულით წარმოთქვამენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ერის, შეხედულების ადამიანები.

ეს აღიარებაა!

გიორგი მახარაშვილს, ისევე, როგორც დონ კიხოტსა და სანჩო პანსას, მიუნჰაუზენსა და კოლა ბრუნიონს, ძეგლი დაუდგა ხალხმა. ეს უნიკალური ძეგლი გურჯაანშია, უნიკალური თუნდაც იმიტომ, რომ იშვიათია ხალხს კინოფილმის გმირი ასე ახლოს მიეტანოს გულთან, ეკრანიდან გადმოეყვანოს და ქვის კვარცხლბეკზეც ეზიარებინოს უკვდავებისათვის.

საერთო აღიარება, სიყვარული, კეთილი სახელი.

რევაზ ჩხეიძეს არასოდეს დაუსახავს მიზნად მხოლოდ მაყურებელთა გასართობად გადაეღო ფილმი, მუდამ ცდილობს, ღრმა აზრი, ფსიქოლოგიური სიმართლე, ვაჟკაცური შემართება, სიფაქიზე და რკინის ლოგიკა ასლდეს მის ნახელავს. სწორედ ამან მოუხვეჭა ჰუმანური კინოს დიდოსტატის საპატიო სახელი.

„ხელოვნება ხალხს ეკუთვნის" — ეს ჭეშმარიტება ქვაკუთხედად უდევს საბჭოური ხელოვნების განვითარების დიდ გზას.

სხვა გზა ხელოვნებაში არ არსებობს, იცვლება ეკონომიკური ფორმაციები, მაგრამ ხელოვნების ძირითადი კანონი მარადიული და უცვლელია.

ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები და ძვრები მხატვრულ კინოში არცთუ ისე სწრაფად პოულობენ ასახვას. ამაში ხშირად ვადანაშაულებთ ხოლმე კინორეჟისორებს და ალბათ ამ „დანაშაულის" ყველაზე ნაკლები წილი რევაზ ჩხეიძეზე მოდის, ვინაიდან მის შემოქმედებაში თითქმის ყოველთვის პოულობს ადგილს ჩვენი ყოფის სიახლენი.

გაზეთ „პრავდის" სპეციალურმა კორესპონდენტმა გიორგი კაპრალოვმა ერთხელ რევაზს ასეთი კითხვით მიმართა: რით იწყება ფილმი?

პასუხი: ფილმი სულიერი კაპიტალით იწყება.

ბევრის მთქმელი, ამომწურავი პასუხია. ხელოვანს ასეთი კაპიტალი თუ არ გააჩნია, არ დაიწერება ცხოვრებისეული, საინტერესო სცენარი, სათანადოდ ვერ მომზადდება რეჟისურა, მსახიობის თამაში არადამაჯერებელი, მოჩვენებითი და ინტერესმოკლებული იქნება, კინოოპერატორი მოძრავ ფიგურებს მხოლოდ მექანიკურად აღბეჭდავს ფირზე და მთელი ეს ანტურაჟი ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოგვიდგენს საინტერესო გმირს და სიტუაციებს. განა შეიძლება რეჟისორი ისე გავიდეს გადასაღებ

მოედანზე, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდეს? როცა ხელოვანმა მტკიცედ იცის თავისი სათქმელი, მას შეუძლია ზღაპრული სიმდიდრეების აღმოჩენა სწორედ იქ, სადაც, თითქოს უკვე ყველაფერი აღმოჩენილია.

კინემატოგრაფი ჭეშმარიტად სინთეზური და განუყოფელი ხელოვნებაა. აქედან გამომდინარეობს მისი ცალკეული თავისებურებები და ერთიანი ძალაც. კინემატოგრაფის დღევანდელ დონეს განსაზღვრავს კულტურის საერთო დონე. კულტურის ამაღლებასთან ერთად მატულობს პრეტენზიები ცხოვრების სხვადასხვა დარგებისადმი. სწორედ ამიტომ დგას ქართული კინემატოგრაფიის წინაშე ურთულესი ამოცანები. ხალხის სულიერ მოთხოვნილებებს დაკმაყოფილება სჭირდება. ჩვენი ხალხი ყოველგვარი კომპრომისის გარეშე მოითხოვს შეიქმნას თავისი შესანიშნავი ისტორიის, აწმყოსა და მომავლის ამსახველი ღირსეული კინოფილმები, სწორედ ისეთები, რომლებიც ასახელებენ ერს, შორს გაიტანენ მის სახელს.

ქართულმა კინემატოგრაფიამ მისი დაარსების დღიდან დაგვარწმუნა, რომ კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ყოველთვის ჰყავდა ტალანტები.

რევაზ ჩხეიძემ შემთხვევით როდი განმარტა ლაკონიურად, რომ კინოწარმოების შექმნას ბაზისად საკმაოდ მდიდარი სულიერი კაპიტალი უნდა ედოს. იყო დრო, როცა დამწყებ, რიგით კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძისათვის ეს საკითხი და მისგან გამომდინარე სხვა ქვესაკითხები მხოლოდ პირადი ძიების თვალსაზრისით არსებობდა. მაგრამ ლენინის ორდენოსან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეთაურ რევაზ ჩხეიძისათვის მას მიეცა ახალი განზომილება, განსაკუთრებული მასშტაბი: ახლა იგი პასუხისმგებელია არა მარტო თავის ფილმებზე, არამედ ყოველივე იმ პროდუქციაზე, რაც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მარკით გამოდის საკავშირო თუ საზღვარგარეთის ეკრანებზე.

რევაზ ჩხეიძემ ასეთი განმარტება მისცა თავის ამოცანას:

— კინოხელოვნებაში ჟანრობრივი მრავალფეროვნება საჭიროა, რაც თავისთავად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჰარმონიის მანიშნებელია. ასეთ ვითარებაში იდეალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ოღონდ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კინოს, ისე როგორც საერთოდ ხელოვნების სხვა დარგებს, არა მარტო ესთეტიკური დანიშნულება აქვს, მას უფრო მასშტაბური ფუნქცია აკისრია.

ხელოვნების დანიშნულება, მისი მაგისტრალური ხაზი ადამიანის სიდიადის, მისი მოწოდება-დანიშნულების პროფესიულ ასახვას და გადმოცემას, ცხოვრების ღრმა ფენებში წვდომა-გააზრებასა და მის ზუსტ ანალიზს გულისხმობს. ეკრანი მოუთმენლად ელის თანამედროვე, წარსული თუ მო-

მავალი ცხოვრების გმირს თავისი ბუნებრივი, რეალური განცდებითა და ჭირ-ვარამით, თავისი მიზანდასახულობითა და მიზანსწრაფვით. უტყუარი ჭეშმარიტებით უნდა აისახოს მუშის, გლეხის, პარტიული მუშაკის, მშრომელი ინტელიგენტის, სტუდენტის, ჯარისკაცის ცხოვრება, ვინც მატერიალურ და სულიერ ფასეულობას უქმნის საბჭოთა საზოგადოებას, ვინც თვალისჩინივით უფრთხილდება წარსულს, პასუხისმგებლობით ამკვიდრებს დღევანდელობას და ზუსტად საზღვრავს მომავალს.

ჩემს უპირველეს საზრუნავსა და საფიქრალს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ხელმძღვანელის ფუნქციების რაციონალური განაწილების საკითხი წარმოადგენს. რატომ?

კინოსტუდია „ქართულ ფილმში" ბევრი ნიჭიერი, საქმის მცოდნე, პროფესიული ცოდნით აღჭურვილი, როგორც უფროსი, ისე საშუალო და ახალგაზრდა თაობის კინორეჟისორია დასაქმებული. მაგრამ ძალზე ცოტა არიან კინოორგანიზატორები — ამ სიტყვის ფართო გაგებით. ან ნაკლისაგან, როგორც რეჟისორ-ორგანიზატორი, ალბათ, არც მე ვარ დაზღვეული. პოტენციური რეჟისორ-ორგანიზატორები კი, სტუდიაში და, საერთოდ, ჩვენს სისტემაში საკმაოდ ბევრი არიან. ჩვენი ამოცანაა ასეთი საქმიანი თვისებების მქონე მუშაკების გამოვლინება, მათი უკეთ დაოსტატება-დარაზმვა და წარმართვა.

აი, რა შემოქმედებითი თვალსაზრისი აქვს კინორეჟისორს, აი, რა ორგანიზაციული საკითხების გადაჭრა უხდება კინოსტუდია „ქართული ფილმის" თავკაცს.

საზრუნავი კი მას მართლაც დიდი აქვს, ვინაიდან თვით ცხოვრება თხოვს უმთავრესი პირობის შესრულებას: უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ადამიანი. ეს ადამიანი ჯერ ცხოვრებამ უნდა გამოაწრთოს, დაავაჟკაცოს და შემდეგ დაულოცოს გზა ხელოვნებაში.

ორგანიზაციულად ამ ამოცანის გადაჭრა კინოსტუდიის ხელმძღვანელს ევალება, შემოქმედებითად — კინორეჟისორს.

მაინც ვინ არის ჩვენი დროის გმირი, რომელსაც ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება მიაპყრობს ყურადღებას?

ბოლოს და ბოლოს, ამ, ერთი შეხედვით, უბრალო შეკითხვის გარშემო ტრიალებს მთელი ჩვენი შემეცნება და შემოქმედებითი ძიება. ეს საკითხი თანამედროვე ხელოვანის მთავარი საზრუნავი და საფიქრალია.

ცხოვრება, მისი განვითარების ტენდენციები, ლიტერატურასა და ხელოვნებაში მარტო ცალკეულ ნაწარმოებებს კი არ ქმნის, არამედ მთელ

მიმართულებებსაც. იტალიური ნეორეალისტური მიმდინარეობა კინოში წარმოიშვა და განვითარდა ანტიფაშისტური „წინააღმდეგობის მოძრაობის" შედეგად. ესაა დემოკრატიული რევოლუციის პერიოდი და მისმა ტენდენციებმა უპირველესი გამოხატულება კინოში ჰპოვა. გაყალბებული, სულიერად და იდეურად ფუყე კინოფილმების ნაცვლად, უხვად რომ უშვებდა ფაშისტური იტალია, ეკრანზე გამოჩნდნენ ახალი გმირები — ჩვეულებრივი ხალხი, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაფლული.

დღეისათვის, კინოს სამყაროში გმირსა და გმირობაზე რომ ჩამოვარდება საუბარი, ზოგიერთები ასეთ აზრს გამოთქვამენ ხოლმე: ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას აღარ ძალუძს შობოს ვასილ ჩაპაევი და ბორის ძნელაძე, ნიკოლოზ გასტელო და ოლეგ კოშევოი, ზოია რუხაძე და ზოია კოსმოდემიანსკაიაო. ამის ძირითად მიზეზად ასახელებენ განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში კლასობრივი მტრებისა და ანტაგონიზმის არსებობის დაკანონებულ შეუძლებლობას. ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ მხოლოდ დიდ ომებსა და საზოგადოებრივ კონფლიქტებში შეიძლება ჩამოყალიბდეს გმირის სახე.

მაგრამ ეს აზრი უკვე დიდი ხანია უარყოფილია თვით ცხოვრების მიერ, იმ მშვიდობიანი ცხოვრებისა, რომელიც ყოველდღიურად ბადებს ახალ-ახალ გმირებს და მათი სახელი ფართოდაა მოფენილი მთელ ქვეყანაზე. ესენი არიან უბრალო საბჭოთა მშრომელები, რომელთა რაობას მათივე გმირული, ნათელი ბიოგრაფია გვიდასტურებს. სწორედ ეს თვისება ეხმარება დღევანდელ გმირებს გადალახონ ცხოვრებისეული სიძნელეები.

თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველთვის ასე როდი ხდება. ზოგჯერ ეკრანიდან საცოდავად შემოგვცქერის უსუსური არსება, სულმოკლე არარაობა. ავტორებს დეტალურად აქვთ შესწავლილი მისი სუსტი სულიერი მხარეები, შიდა წინააღმდეგობანი, რითაც თითქოს, თანამედროვე „გმირის" არაერთგვაროვნებას და სირთულეზე მიგვითითებენ.

ნურავის ეგონება, თითქოს თანამედროვე გმირი აუცილებლად ყველაზე მაღალ კვარცხლბეკზე უნდა შევაყენოთ და გუნდრუკი ვუკმიოთ. ისიც უდავოა, რომ დღევანდელი გმირი წინამორბედისაგან სულიერადაც განსხვავდება და ინტელექტითაც. მაგრამ, ალბათ, მათი მსგავსება და ნათესაობა უფრო მნიშვნელოვან საკითხად უნდა ჩავთვალოთ, ვიდრე მათ შორის განსხვავება, ვინაიდან დღევანდელი გმირის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესის სათავეები სწორედ მისი წინამორბედის ხასიათებში უნდა ვეძებოთ.

რომელი უფრო რთულია, მსგავსება თუ მიმსგავსება?

რა თქმა უნდა, უკანასკნელი, რადგან მსგავსება შეიძლება თვალის ერთი გადავლებით შევამჩნიოთ, მიმსგავსებას კი ხანგრძლივი, ნაყოფიერი შრომა სჭირდება.

მსგავსება შედარებაა, მიმსგავსება — ძიება.

ჩერნიშევსკი ლევ ტოლსტოის შესახებ ამბობდა, რომ ძალზე საინტერესოა გრაფ ტოლსტოის დამოკიდებულება ფსიქოლოგიური ცხოვრების საიდუმლო მოძრაობისადმიო. სწორედ ამაში იყო, ჩერნიშევსკის აზრით, ტოლსტოის ტალანტის სრულიად ორიგინალური ნიშან-თვისება, რითაც ყველა გამოჩენილ რუს მწერალს შორის ყველაზე მეტად იგი ითვლებოდა ამ საქმის უბადლო ოსტატად.

ეს თვისება ხელოვანს ბუნებისაგან უნდა ჰქონდეს ბოძებული, ისევე როგორც სხვა, ინდივიდუალურად გამორჩეული შესაძლებლობანი. დიდი როლი ენიჭება აგრეთვე გონების მუდმივ წვრთნას. მაგრამ არ იქნებოდა საკმარისი შევჩერებულიყავით ქვემოთ მოყვანილ მარტივ სენტენციაზე: „მხოლოდ ზნეობრივად დამოუკიდებელი შემოქმედებით შეიძლება განვითარდეს ტალანტი“.

რევაზ ჩხეიძის შემოქმედებაში იგრძნობა მისი ტალანტის ძირითადი ძალა. საკუთარ თავზე ყოველდღიური დაკვირვება თუ გარემოს ცვლილებათა მისეული აღქმა, ფილმების შინაარსობრივ-ემოციური სიღრმე და უშუალობა გვაძლევს ამის თქმის უფლებას.

ცხოვრების ისეთი ყოველდღიური სურათების შემეცნებას, როგორიცაა ადამიანთა ბედის უცნაური გადახლართვები, სხვადასხვა თაობისა თუ წრის წარმომადგენელთა ცხოვრების ურთიერთშერწყმა, მიუხედავად მათი განსხვავებული მიმართულებისა, ჩვენ შევძლებთ მხოლოდ გარემო პირობებისა და ადამიანების დაწვრილებით შესწავლისა და განზოგადების გზით. საკმარისია ყურადღებით დავაკვირდეთ ზემოაღნიშნულ პროცესებს და მიღებული მასალების საფუძველზე ჩამოვაყალიბებთ მათ ანტურაჟს. მაგრამ, უდავოა, რომ ამ გზით შეგროვებული კინოპროდუქცია ვერ იქნება შინაარსობრივად ღრმა და უშუალო, თუ არ შევისწავლით ფსიქოლოგიური ცხოვრების სწორედ ტოლსტოისებურ მოძრაობებს. ამის გარანტიას კი მხოლოდ კინორეჟისორის თვითშეგნება წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, უადგილო არ იქნება თვით მაგიური სიტყვების დამოწმებაც კი: „შეიცან თავი შენი“. თუ ადამიანს საკუთარ პიროვნებაში არ შეისწავლი, ვერასოდეს ვერ მოახერხებ სხვა პიროვნებათა ფსიქოლოგიის აღქმას. რევაზ ჩხეიძის შემოქმედება კი ნათელყოფს, რომ მან პროფესიულ დონემდე აიყვანა ადამიანის სულიერი ცხოვრების საიდუმლოებათა განჭვრეტის

უნარი, იმ ცხოვრებისა, რომელიც მან საკუთარ პიროვნებაში შეიმეცნა.

რევაზ ჩხეიძის კიდევ ერთ თვისებას უნდა შევეხო: ესაა ადამიანის გულისთქმის ამოკითხვის ნიჭი. ეს თვისებები კი ქვაკუთხედს წარმოადგენს იმ კინემატოგრაფისტების შემოქმედებისათვის, რომელთა ფილმებსაც ესოდენი სიამოვნებითა და ინტერესით ვეცნობით.

ალბათ ამიტომ არიან რევაზ ჩხეიძის პერსონაჟები ზნეობის მკაცრი დამცველი და სულიერად განწმენდილი.

როგორც უკვე ვთქვით, რევაზ ჩხეიძე მორიდებით მოვიდა კინოში და მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ღირსეული ადგილი. ეს კი მხოლოდ ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედის ხვედრია.

რევაზ ჩხეიძის გმირები არასოდეს არ აჭარბებენ მოქმედებასა და დიალოგებში, შრომასა და სიზარმაცეში, სიყვარულსა და სიძულვილში. ისინი ზომიერებას იცავენ ეშმაკობასა და სიდარბაისლეში, სიმთვრალესა და სიფხიზლეში, სიცილსა და ტირილში. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერასდროს ვერ იქნებოდა მიღწეული მისი ფილმების ესოდენ მხატვრული დონე. დაკვირვებული უნდა იყოს ადამიანი, რომ რევაზ ჩხეიძის შემოქმედებას ღრმად ჩასწვდეს და სათანადოდ შეაფასოს მისი სულიერი კეთილშობილება და სილამაზე, ხოლო ის, ვისაც სილამაზის სწორად აღქმა შეუძლია, ყოველთვის ხედავს რევაზ ჩხეიძის პიროვნებაში ნამდვილ მხატვარს.

იაპონიაში კინოფილმ „ჯარისკაცის მამის" პრემიერის შემდეგ რევაზ ჩხეიძესთან საქვეყნოდ ცნობილი იაპონელი კინორეჟისორი აკირო კუროსავა მივიდა და მეგობრული საუბარი გაუმართა. იაპონელ კინორეჟისორს დიდად აინტერესებდა, თუ რა გზებითა და ხერხებით მიაკვლია ქართველმა კინემატოგრაფისტმა მასარაშვილის სახეს, როგორ მიაგნო სულიერ და იდეურ გასაღებს, რომელმაც ჭეშმარიტად გახსნა ამ შესანიშნავი ეროვნული გმირის ხასიათი. რევაზი ახლაც არ მალავს, რომ მაშინ ამომწურავი პასუხის მიცემა გაუჭირდა. საკმაო ხანი იფიქრა, მაგრამ მისმა ნაგვიანებმა პასუხმა აკირო კუროსავა სავსებით დააკმაყოფილა.

რევაზ ჩხეიძის პასუხი ასეთი იყო: მხოლოდ თავგამოდებული ძიებითა და ექსპერიმენტით თუ შეძლებ რაიმე ახლის აღმოჩენას. კაცობრიობის ისტორიას ამის მრავალი მაგალითი გააჩნია სასიამოვნო თუ სამწუხარო ნაირსახეობებით. ძიებით გატაცებული ადამიანი რაღაცით ემსგავსება ძალზე მგრძნობიარე ელექტროაპარატურას, რომელიც ზუსტად აღრიცხავს ცხოვრებაში მომხდარ ოდნავ შესამჩნევ ცვლილებას და ყველაფერს აღბეჭდავს გონებაში.

საუბრის დასასრულს აკირო კუროსავამ კიდევ ერთი შეკითხვა დასვა:

— ალბათ, დამეთანხმებით, არც ერთ მგრძნობიარე აპარატურას არ შეიძლება გააჩნდეს საკუთარი იდეოლოგია. ეს მხოლოდ ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა. ასე რომ, კრიტერიუმი მაინც ადამიანია თავისი ინდივიდუალური მონაცემებით!

— სავსებით გეთანხმებით! ადამიანს იდეა მოსდის გამძაფრებული ვნებებისა და ძიებისაგანაც. ხელოვანს უნდა შეეძლოს ხანგრძლივი წვალებისა და ტანჯვის გზით სიარული, დიდხანს არ უნდა გაგინელდეს გულში დანთებული ცეცხლი. ეჭვი მეპარება, რომ საკუთარ ინდივიდუალურ თვისებებზე დაყრდნობით ზოგი კინორეჟისორი ძნელად ახერხებდეს ამას, ზოგი კი — იოლად. ეს ერთიანი პროცესია და იგი ვერასოდეს ვერ მოექცევა მთლიანად ნიჭის გავლენის ქვეშ. ხაზს ვუსვამ — მთლიანად, ვინაიდან ამ ასპექტში ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი შემოქმედი ნაკლებ ეფექტს მიაღწევს, ვიდრე მუყაითი, საშუალო ნიჭის ადამიანი. თუ ხელოვანი შეძლებს სწორედ მგრძნობიარე აპარატურად გადაიქცეს, მაშინ იგი ზედმეტი წვალებისა და დავიდარაბის გარეშე მიაგნებს საჭირო იდეას, იქნება ეს ტკბილი სიმღერის ჰანგი, ატომური ბომბის აფეთქების საშინელება თუ პირველი სიყვარულის სასიამოვნო გაელვება.

რევაზ ჩხეიძე რამდენიმე დღეს დარჩა იაპონიაში. აკირო კუროსავა მას ერთთავად შეკითხვებს აძლევდა საბჭოთა კინოს მომავალზე და პასუხი ყურადღებით გადაჰქონდა უბის წიგნაკში. რამდენიმე კვირის შემდეგ კუროსავამ პრესის ფურცლებზე გამოაქვეყნა საინტერესო სტატია საბჭოთა კინოს მომავალსა და მისი განვითარების გზებზე, სადაც ვრცლად იყო გადმოცემული მისი საუბარი საბჭოთა კინოს აღიარებულ რეჟისორ რევაზ ჩხეიძესთან.

მოგვიანებით „ლუმანიტემ" კიდევ ერთხელ დაადასტურა რევაზ ჩხეიძის სიმართლე აკირო კუროსავასთან საუბარში და აღნიშნა, რომ კინოფილმ „ჯარისკაცის მამის" ავტორმა ხანგრძლივი და ენერგიული რეჟისორული ძიების წყალობით ხელახლა გამონახა ის ფერები და ტონები, რომლებიც დამახასიათებელი იყო გაცილებით უფრო ადრეული საბჭოთა კინოფილმებისათვის. რევაზ ჩხეიძე თუ გატაცებულია ემოციებით, იგი ამას აკეთებს შესაშური თავშეკავებულობითა და სისადავითო.

* * *

1976 წელი. რამდენიმე დღეა ინგლისში წარმატებით მიმდინარეობს ქართული ფილმების პირველი რეტროსპექტივა.

ეკრანი ეთმობა სამამულო კინოს პიონერის, პირველი ქართველი კი-

ნემატოგრაფისტის ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 წელს გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. ფილმი ანშლაგით მიდის. განუწყვეტლივ ურეკავენ სასტუმროში ჩვენი დელეგაციის წევრებს და ფეხზე დასადგომ ბილეთებს ითხოვენ. საელჩოშიც განუწყვეტლივ მოდიან ანალოგიური თხოვნით. სამწუხაროდ, ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელია. მაყურებელთა დარბაზი ისეა გადატვირთული, რომ დამატებითი სკამების ჩადგმაც კი არ შეიძლება. სეანსებს შედარებით დიდ დარბაზში ატარებენ, მაგრამ ბილეთების შოვნა მაინც ჭირს.

ინგლისელი მაყურებელი დიდი ინტერესით ეცნობა საბჭოთა კინოს მუნჯი პერიოდის ნაწარმოებებს, როგორიცაა: ივანე პერესტიანის „წითელი ეშმაკუნები“, მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთე“, მიხეილ ჭიაურელის „საბა“; შემდეგ ეკრანი ეთმობა ხმოვან კინოფილმებს — სიკო დოლიძის „უკანასკნელი ჯვაროსნები“, რევაზ ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის „მაგდანას ლურჯა“, თენგიზ აბულაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რევაზ ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“, ოთარ იოსელიანის „გიორგობის თვე“, ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა“...

უაღრესად თავშეკავებულ და არაემოციურ ინგლისელ კინომაყურებელს ქართული კინოფილმების ჩვენების დროს სშირად ავიწყდება, რომ თავისი ისტორიულად დამკვიდრებული ხასიათის შესატყვისად იგი გულგრილად და ოდნავ ქედმაღლურადაც კი უნდა იყოს განწყობილი ყოველგვარი არაინგლისურისადმი. თვით ყველაზე მედიდური დენდიც კი კარგავს ამ თვისებას, როგორც კი კინოდარბაზში აღმოჩნდება ხოლმე. ჩაქრება თუ არა შუქი, დარბაზში ან ჰომერული სიცილ-ხარხარი ისმის, ან მანდილოსნებთან ერთად მამაკაცებსაც უჭირთ ცრემლის შეკავება.

წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ქართული ფილმების ასეთი დიდი გამარჯვება ინგლისის პრესის ყურადღების ცენტრში ექცევა. თითქმის ყველა გაზეთში იბეჭდება კინორეჟისორთა, მსახიობთა სურათები და თვით ფილმებიდან აღებული კინოკადრები. აზრს გამოთქვამენ ინგლისელი კოლეგები, უბრალო მაყურებლები.

ინგლისელი კინომცოდნე ჯონ გილეტი აღფრთოვანებით აცხადებს, რომ უკანასკნელ წლებში, ვისაც კი გაზეთებში კინოს შესახებ რაიმე წაუკითხავს, გაკვირვებულია იმ გასაოცარი და მეტად საინტერესო ძიებებით, რაც ქართულ კინოში ხდება.

წარმატების ექო სწრაფად ვრცელდება კინოს სამყაროში. ინგლისელი მაყურებელი ჯერ კიდევ ქართული ფილმების გავლენის ქვეშ იმყო-

ფებოდა, როცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან წამოვიდა მოწვევის წერილები, ჩვენი ფილმების ჩვენებას ითხოვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინდოეთი, დანია, ნორვეგია, კანადა, შვეცია, შვეიცარია, ავსტრალია და სხვა. ყველას მაინც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაასწრეს.

საბჭოთა კინოს სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ საბჭოთა კავშირში ათჯერ უფრო მეტ ამერიკულ სურათებს აჩვენებენ, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კინემატოგრაფიის პროდუქციას. გასაკვირი და დაუჯერებელი ამაში არაფერია, ვინაიდან, სამწუხაროდ, აქ ფაქტს სარჩულად უდევს წინასწარ გამიზნული ზრახვები. ამერიკის საქმიანი წრეების ყველაზე მსხვილ წარმომადგენლებსა და სხვა ჯურის ბობოლებს, რომელთაც საკუთარ კლანჭებში აქვთ მოქცეული შეერთებული შტატების სხვადასხვა დიდი კინოსტუდიები, არაფრად ეპიტნავებათ დაანახონ რიგით, წესიერ ამერიკელებს თუ რითი ცხოვრობს და სუნთქავს საბჭოთა ხალხი. ამიტომ არ აძლევენ ფართო გზას საბჭოური ცხოვრების წესის პროპაგანდასა და აგიტაციას.

როგორც ხედავთ, საბჭოთა კინოს ჩვენების ძირითადი ფონი მაინც და მაინც კარგად ვერ გამოიყურებოდა, რაც თითქოს ართულებდა კიდეც მდგომარეობას, მაგრამ ჩვენი დელეგატებიდან წარუმატებლობის შიში არავის შეპარვია. ყველა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართული ფილმების რეტროსპექტივა უეჭველად გადალახავდა ამერიკის შეერთებული შტატების პროპაგანდის მიერ წლობით ნაჭედ მტრობის ბარიერს და უბრალო ამერიკელებს წარმატებით გადაუშლიდა საბჭოთა კინემატოგრაფის ხალას შემოქმედებითს მატიანეს.

მოსამზადებელი პერიოდი ძალზე მცირე იყო, მაგრამ ყველაფერი დროულად გაკეთდა და მალე ჩვენი დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ქართველ კინემატოგრაფისტებს ბერკლის უნივერსიტეტის ხელოვნების მუზეუმის მესვეურებმა გაუწიეს მასპინძლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ბერკლის უნივერსიტეტის მუზეუმს ჩინებული, მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი კინოარქივი აქვს და წელი არ გავა ისე, რომ ამ არქივის ფილმები ხშირად არ აღმოჩნდნენ ხოლმე მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში.

როგორც უკვე ვთქვით, ქართული ფილმების ჩვენებამ ინგლისში ანშლაგით ჩაიარა. ამის შესახებ ამერიკელებს დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდათ. საერთაშორისო კინოფესტივალებზეც ხშირად უჩვენებდნენ ქართულ ფილმს, მაგრამ ყოველივე ეს, რეტროსპექტივასთან შედარებით,

საქმის ზედაპირული გაცნობა იყო. ამერიკელებს კი დიდი სურვილი ჰქონდათ გულდასმით გაეგოთ, თუ სადა აქვს გადგმული ქართულ კინემატოგრაფს თავისი ისტორიული ფესვები, როგორია დღევანდელი ქართული კინოს მიზანსწრაფვა, რამდენად საინტერესო და რთულია მისი პროფესიული და მხატვრული ძიებები. აქედან გამომდინარე, ამერიკელ მაყურებელს ცხოველი ინტერესი ჰქონდა ღრმად ჩასწვდომოდა ქართული კინემატოგრაფიის ზრდა-განვითარების მთელ პროცესს.

ინგლისში რეტროსპექტირებული მხატვრული ფილმების გარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაიტანეს რევაზ ჩხეიძის „ჩვენი ეზო", შოთა მანაგაძის „ხევსურული ბალადა", თენგიზ აბულაძის „ვედრება", გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი", ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი", მიხეილ კობახიძის „ქორწილი" და „ქოლგა" და სხვა. ფართოდ იყო აგრეთვე წარმოდგენილი დოკუმენტური კინოხელოვნებაც. ამ ჟანრის ფილმებიდან ამერიკელ მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანეს „საბჭოთა საქართველო", „თეთრი თორღვაი", „ფეხბურთი — უბურთოდ"...

კვლავ ახმაურდა პრესა, ხოლო რადიომ და ტელევიზიამ სპეციალური გადაცემები მიუძღვნა ქართული ფილმის რეტროსპექტივას. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

„..ამ ფილმებმა თვალნათლივ დაანახვა ამერიკელებს თუ როგორ უწყობს ხელს საბჭოთა საზოგადოებრიობა არარუსი ერების კულტურის განვითარებას. ბევრი ამერიკელი სრულიად გაუთვითცნობიერებელია ამ საკითხში და ყოველგვარ ანტისაბჭოთა პროპაგანდას იოლად აჰყვება ხოლმე..." — ეს სიტყვები კალიფორნიის უნივერსიტეტის კინოარქივის დირექტორს, ცნობილ კინომცოდნე ტომ ლადის ეკუთვნის.

ქართული ფილმების ჩვენება კალიფორნიის უნივერსიტეტში დეკემბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყეს და რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. რევაზ ჩხეიძე იმ დროისათვის კინოფილმ „რაიკომის მდივნის" მოსამზადებელი სამუშაოებით იყო დაკავებული და ამდენად გიორგი შენგელაიასთან ერთად მხოლოდ რეტროსპექტივის დასასრულს ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კინოაუდიტორია ძირითადად ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისაგან შედგებოდა. ეს იყო მაღალმხატვრული გემოვნებისა და, ცხადია, ხელოვნებისადმი დიდი პრეტენზიების მქონე ხალხი. უაღრესად ემოციურ მაყურებელს ბრწყინვალედ ესმოდა თითოეული ფილმის მხატვრული ღირსებები, ქართული კინემატოგრაფის პროფესიული ოსტატობის ყველა ნიუანსი. ეს, უდავოდ, ანგარიშგასაწევი

ფაქტი გახლდათ, მაგრამ ჩვენები მორალურადაც და ფსიქოლოგიურადაც სათანადოდ იყვნენ მომზადებული ამერიკული აუდიტორიის ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამა თუ იმ კინოფილმის ჩვენების შემდეგ, როგორც წესი, იმპროვიზირებული პრესკონფერენციები იმართებოდა. კინემატოგრაფისტები ძლივს ასწრებდნენ კითხვებზე პასუხის გაცემას. შეკითხვებს კი დასასრული არ უჩანდა. ამერიკელი კინომაყურებლები დიდ ინტერესს იჩენდნენ ცხოვრების სოციალისტური წესისადმი; ცდილობდნენ ისეთი მდიდარი ინფორმაციის მეშვეობით, როგორიც კინოა, გარკვეულიყვნენ ქართველი ხალხის კულტურაში, უფრო ახლოს გაცნობოდნენ სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების თავისებურებებს.

კინოფილმ „ფიროსმანის" დემონსტრირება დამთავრდა, მაგრამ მაყურებელი კიდევ დიდხანს არ ტოვებს დარბაზს, განუმეორებელი ხელოვანის მწარე ხვედრმა დააღონა. შემდეგ რეჟისორ გიორგი შენგელაიას თხოვეს, უფრო დაწვრილებით მოეთხრო ფიროსმანზე. თითქმის ორი საათი ილაპარაკა გიორგიმ. ამერიკელებს დაწვრილებით გააცნო ის ეპიზოდები ფიროსმანის ცხოვრებიდან, რომელიც ფილმში ვერ აისახა.

— ქვის გული უნდა გქონდეს კაცს, ამ უბედური გენიოსის მწარე ხვედრი არ გაიზიარო, — ამბობდა მაყურებელი.

მეორე დღეს „ჯარისკაცის მამას" აჩვენებდნენ. მახარაშვილი წამსვე შეიყვარეს ამერიკელებმა, რომლებიც უზომოდ განცვიფრებულები იყვნენ ბრძენი ქართველი ბერიკაცის პატრიოტული შემართებითა და კაცთმოყვარეობით.

ფილმის დემონსტრირების შემდეგ მაყურებელთა თხოვნით მათ წინაშე წარსდგა რეჟისორი რევაზ ჩხეიძე. პრესკონფერენცია რამდენიმე საათს გაგრძელდა. ამერიკელებს აინტერესებდათ ყველაფერი: როგორ მოახერხა კინორეჟისორმა შეექმნა ქართველი გლეხკაცის ასეთი კოლორიტული სახე, რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში და სხვა.

— რამდენი კაცი დაკარგა საქართველომ მეორე მსოფლიო ომში? — ჰკითხა რევაზს უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა.

— ზუსტად იმდენი, რამდენიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა!

რევაზის პასუხმა კიდევ ერთხელ ჩააფიქრა ამერიკელები:

ისევე როგორც ინგლისში, ამერიკის შეერთებული შტატების პრესა, რადიო და ტელევიზია ფართოდ გამოეხმაურა ქართული ფილმების რეტროსპექტივას. კომპეტენტურმა პირებმა ჯერ კიდევ მაშინ წამოაყენეს საქმიანი წინადადება, რომ ქართული კინოფილმების ასეთი მასშტაბური

ჩვენება უახლოეს დროში გადატანილიყო შეერთებული შტატების სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამ პროგრესულ აზრს წამსვე მიემხრო ფართო საზოგადოება. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ქართული ფილმები ხალხთა შორის მეგობრობის ჰიმნია და მათი პოპულარიზაცია კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი იქნება საბჭოთა და ამერიკელი ხალხის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის საქმეში.

ამერიკელი მაყურებელი აღიარებდა საბჭოთა ფილმების უძლიერეს მხარეებს და მასთან დამშვიდობების არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა. კვლავ თხოვნის წერილები სასტუმროში, საელჩოში...

თხოვნები რეტროსპექტივის განმეორებაზე არც მაშინ შეწყვეტილა, როცა ქართველი კინემატოგრაფისტები სამშობლოში დაბრუნდნენ. ეს, ცხადია, ანგარიშგასაწევია, მაგრამ განმეორებითი რეტროსპექტივის გარკვეული ვადით გადადებას თავისი ობიექტური მიზეზებიც გააჩნია: ალბათ იშვიათად თუ ექნება კინორეჟისორს თავისუფალი დრო.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რევაზ დავითის ძე ჩხეიძემ კალიფორნიის უნივერსიტეტის კინოარქივის დირექტორის ტომ ლადის წერილი მიიღო:

„ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ ჩამობრძანდით ბერკლში და მონაწილეობა მიიღეთ ქართული საბჭოთა ფილმების რეტროსპექტივაში. თქვენ ალბათ დარწმუნდით, რომ ქართული კინოსადმი ინტერესი ჩვენს ქვეყანაში იზრდება. ჩვენ გვსურს გავაგრძელოთ დაწყებული კეთილშობილური საქმე; ქართულმა ფილმებმა უნდა მოიაროს ამერიკის უნივერსიტეტები და მუზეუმები. ვიმედოვნებთ, რომ შემდეგშიც ჩვენს ქვეყანაში ბევრი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი სიამოვნებით შეხვდება ამ ჩინებულ ქართულ პროგრამას და ასეთი კონტაქტები ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა ხალხების ურთიერთგაგებას“.

კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძეს უამრავი შემოქმედებითი საზრუნავი აქვს, რომელზე ფიქრსაც ალბათ ღამის რომელიმე მონაკვეთი უნდა დაუთმოს, ვინაიდან დღისით გადასაღებ მოედანზე ტრიალებს.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რევაზ ჩხეიძე ამომრჩევლებთან შეხვედრისათვის უნდა მოემზადოს. ამისათვის კი საკმაოდ მოზრდილი ფოსტის გადაკითხვა დაჭირდება. ეს მისი მოქალაქეობრივი ვალია.

საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელეფილმების სტუდიის კონსულტანტმა რევაზ ჩხეიძემ უნდა იჩქაროს,

რათა სტუდიის სამხატვრო საბჭოს სხდომაზე არ დააგვიანოს და იქ გამართულ კამათში თავისი აზრი გამოთქვას.

შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო კათედრის გამგე რევაზ ჩხეიძე გულდასმით უნდა მოემზადოს ლექციისათვის, რომელსაც ხვალ ჩაატარებს. სტუდენტების ნინაშე კი მოუმზადებელი ვერ წარსდგები.

კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი რევაზ ჩხეიძე თანამშრომლებს მოიხმობს თავის კაბინეტში და მიმდინარე დღისა თუ მომავლის გეგმების განხილვას შეუდგება. საამისოდაც ხომ საფუძვლიანად უნდა მოემზადოს...

## მძიმე პური...

ავბედითად და პირქუშად დაანვა კაცობრიობას 1943 წელი. მთელი მსოფლიო ომის ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ხაკისფერმა ჭირმა აშკარად იგრძნო, რომ ეს წელი მისი დასასრულის დასაწყისია, თუმცა ჯერ კიდევ მრავალ სიცოცხლეს შეიწირავს.

მაგრამ არ არსებობს თვით ყველაზე საშინელი ომიც კი, რომელიც შეძლებს შეაჩეროს კაცობრიობის მაჯისცემა. ცხოვრება' მაინც გრძელდება.

ორმა ახალგაზრდამ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კარიბჭესთან გაიცნო ერთმანეთი. მოკლე ხანში დამეგობრდნენ კიდეც. საკვირველი ამაში არაფერია. შეგნებული ცხოვრების გარიჟრაჟზე ამ ჭაბუკთა აზრები თითქმის სრულიად დაემთხვა ერთმანეთს, მეგობრობისათვის კი უკეთესი ნიადაგი არ არსებობს. მათ ეს წამია შეიტანეს საბუთები თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად და ახლა, უფროსებივით დინჯი საუბარი გაუბამთ და ისე მოუყვებიან რუსთაველის პროსპექტს.

კიდევ რამდენიმე დღე გაივლის და ახალგაცნობილი ყმაწვილები რევაზ ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე წარმატებით ჩააბარებენ ამ მისაღებ გამოცდებს, ხოლო 1978 წლის დეკემბერში კი რევაზი ასეთ ინტერვიუს მისცემს ქუთაისელ ჟურნალისტ ბიჭიკო პატარიძეს:

„უფლება არა მაქვს არ გავიხსენო ის ადამიანები, პედაგოგები, რომლებმაც მაზიარეს სწავლა-განათლებას.

ქუთაისში დაწყებითს კლასებში მეტყველებას, წერას მასწავლიდა დარბაისელი მანდილოსანი, დიდი პედაგოგი სარა ახვლედიანი. საუკეთესო მასწავლებელი გვყავდა ბოტანიკაში — ნიკიფორე ჩოგოვაძე, მისი დამაჯერებელი ტონი, ცოცხალი ლოგიკა ბუნებისა და ცხოველთა სამყაროს შესახებ მოსწავლეთა შორის დიდ ინტერესს იწვევდა. სკოლის დირექ-

ტორი ქალბატონი თამარ დახუნდარიძე გამოირჩეოდა სათნოებით. მისმა გულთბილმა დამოკიდებულებამ წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში.

თბილისში ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში შესანიშნავი, სპეტაკი აღმზრდელები იყვნენ მარიამ ბალანჩივაძე, სოციალისტური შრომის გმირი ნიკო ჯაფარიძე, დავით პარკაძე, ეკატერინე ბერიძე...

თეატრალურ ინსტიტუტში მასწავლიდნენ ბრწყინვალე სპეციალისტები: პროფესორები რევაზ ნათაძე, ვახტანგ ბერიძე, თინათინ შარაძენიძე... დიდი ამაგი დამდეს დიდებულმა რეჟისორებმა გიორგი ტოვსტონოგოვმა და დიმიტრი ალექსიძემ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული თეატრის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ოტელოს გენიალური შემსრულებელი, ინსტიტუტის დირექტორი აკაკი ხორავა არ მასწავლიდა, იგი მაინც ეტალონი იყო ჩემთვის. ის რომ დერეფანში ჩაივლიდა, აუდიტორიის კარებს შემოაღებდა, მის შემოხედვას თავისთავად ღვთისაგან მინიჭებული მადლი ეცხო.

მოსკოვში კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ჩემი ხელმძღვანელები იყვნენ სერგეი იუტკევიჩი და მიხეილ რომი, დიდი პედაგოგები და საბჭოთა კინოს შესანიშნავი წარმომადგენლები.

1947 წელი ჩემთვის ორმხრივად არის დაუვიწყარი, ამიხდა ოცნება— საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში ჩავირიცხე და მალულად მოვისმინე სერგეი ეიზენშტეინის სამი ლექცია. იგი მაშინ მეოთხეკურსელებს ფილმის კომპოზიციას უკითხავდა. ადრე მე და თენგიზ აბულაძემ მას თბილისიდან წერილი გავუგზავნეთ, რჩევა ვთხოვეთ...“

თეატრალური ინსტიტუტის მესამეკურსელებმა რევაზ ჩხეიძემ და თენგიზ აბულაძემ ბარათი მისწერეს მოსკოვში სერგეი ეიზენშტეინს: ყმაწვილებმა იგრძნეს, რომ ისინი მთელი არსებით არიან გატაცებული კინემატოგრაფიით და დახმარებისათვის მას მიმართეს, საკუთარი სახსრებით ჩამოვალთ მოსკოში, ოღონდაც თქვენს ლექციებს დაგვასწარითო. რევაზმა და თენგიზმა არ იცოდნენ, რომ იმ დროისათვის ინფარქტგადატანილი ეიზენშტეინი კრემლის საავადმყოფოში იწვა მეტად მძიმე მდგომარეობაში. მიუხედავად ამისა, ეიზენშტეინმა მაინც იპოვა ძალები, რათა პასუხი მოეწერა სრულიად უცნობი ახალგაზრდებისათვის.

**„ძვირფასო რევაზ დავითის ძევ და თენგიზ ევგენის ძევ!**

თქვენმა წერილმა უზომოდ გამახარა. ჩვენთვის მოხუცებისათვის ფრიად გასახარია იმის გაგონებაც კი, რომ მარტო ჩვენ არ ვიყავით გონ-

დაკარგულები ხელოვნებისათვის ახალგაზრდობაში და რომ მომდევნო თაობა ერთგულად განაგრძობს ამას.

და საერთოდ, სასიამოვნოა იმის წაკითხვა და გაგონება, რომ ახალგაზრდობა ფართო ინტერესს იჩენს ისეთი შესანიშნავი ხელოვნებისადმი, როგორც კინემატოგრაფიაა!

საქმე კი შემდეგნაირადაა —მე უკვე მეოთხე თვეა საავადმყოფოში ვწევარ. სამუშაოსაგან გადატვირთულს გულის შეტევები მაწუხებს და არ ვიცი, როდის ჩავდგები მწყობრში.

რაც შეეხება თქვენს სურვილს, იმუშაოთ კინოში, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის მეშვეობით.

სამწუხაროა, რომ თქვენ ჯერ დიპლომამდე ვერ მიგიღწევიათ. დიპლომი დღევანდელ ცხოვრებაში აუცილებელია, მიუხედავად ნებისმიერი ტალანტისა.

დიპლომით უფრო გაგიადვილდებოდათ კინემატოგრაფიის ინსტიტუტში მოხვედრა, უინსტიტუტოდ კი თქვენი სურვილი კინოს ეზიაროთ აუხდენელი დარჩება.

რენესანსის ეპოქიდან ჩვენ უკვე დიდი ხანია გამოვედით (სამწუხაროდ), დავიწყებას მიეცა ოსტატის ხელოვნებით შეგირდთა აღზრდის სისტემა.

სერიოზულად დაფიქრდით ინსტიტუტის თაობაზე — ხელოვნების მოტრფიალე თქვენნაირი ახალგაზრდებისათვის მოსკოვში ცხოვრებაც არ იქნებოდა ურიგო.

და რაც მთავარია, მინდა გაგაფრთხილოთ: კინემატოგრაფის პური ძალზე მძიმეა! შრომაც, მხატვრული შემოქმედების სხვა დარგებთან შედარებით, უფრო მძიმეა. ამიტომ, გირჩევთ კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ, ვიდრე ამ საძნელო საქმეს მიეტანებით.

თქვენი საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე მაცნობეთ. ყოველთვის მოხარული ვიქნები თქვენი წერილისა.

გულითადი სალმით სერგეი ეიზენშტეინი.
10 ივნისი, 1946 წელი".

საბჭოთა კინემატოგრაფიის დიდოსტატმა თითქოს გზა დაულოცაო ამ წერილით ქართველ ჭაბუკებს. ყმაწვილებისათვის ქაღალდის ეს ფურცელი ძვირფას რელიქვიად და ცხოვრების საგზურად იქცა...

კონსპექტზე დათენებული ღამეები ისე ენაცვლება ერთმანეთს, რო-

ეორც გაქანებული მატარებლიდან მზირალი ხეები. ზოგჯერ რევაზიცა და თენგიზიც გრძნობენ, რომ ძალა ელევათ, მაგრამ არ უნდათ ირწმუნონ საკუთარი სისუსტე. მათ თვითონ ისურვეს მოსკოვში სწავლის გაგრძელება, მათთვის ეს არავის დაუძალებია და ახლა უკანდახევა აღარ შეიძლება. რადაც არ უნდა დაჯდეს, მიზანს უნდა მიაღწიონ. კიდევ რამდენიმე ხნის დაძაბული მუშაობა და ყმაწვილები გამარჯვებას იზეიმებენ — ისინი კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტები გახდებიან.

კვლავ მძიმე და დაძაბული მუშაობა. მეგობრები გრძნობენ, რომ ახლოვდება ის დღე, როცა დამოუკიდებლად შეუდგებიან მუშაობას გადასაღებ მოედანზე. დიდია მოლოდინი, მაგრამ მას თან ახლავს გარკვეული დაძაბულობაც და ეს სავსებით გასაგებია — მათ, კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს, ალბათ, უფრო დიდ მოთხოვნებს წაუყენებენ.

1952 წელს მეხუთეკურსელები რევაზ ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე თბილისში ჩამოდიან და საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორის თხოვნას წარუდგენენ რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მინისტრს ოთარ ეგაძეს, რომ დიპლომანტებს საშუალება მისცენ შექმნან ერთობლივი 1-2 ნაწილიანი ფილმი.

მინისტრი საკმაო ხანს ესაუბრა დიპლომანტებს და, რაც უფრო რწმუნდებოდა ახალგაზრდების მზადყოფნაში ემუშავათ ნებისმიერ თემატიკაზე, მათ სერიოზულ დამოკიდებულებაზე სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენისადმი, მით უფრო ცდილობდა გაეხანგრძლივებინა მათთან საუბარი ახალგაზრდებს კი დიდი სურვილი ჰქონდათ გადაეღოთ დოკუმენტური ფილმი ბაქოელ მენავთობეთა ცხოვრებაზე.

— იქნებ სხვა თემატიკა შეგერჩიათ, უფრო ეროვნული და რთული?— ჰკითხა საუბრის დასასრულს ოთარ ეგაძემ, — ანდა, რა საჭიროა, რომ სადიპლომო ნამუშევარი ერთობლივი იყოს. ცალ-ცალკე გადაიღეთ. ჩვენ საამისოდ ყველა პირობას შეგიქმნით...

დიპლომანტებმა აშკარად იგრძნეს მინისტრის კეთილგანწყობა და წამსვე მიიღეს მისი წინადადება. თემატიკაც ოთარ ეგაძემ შეურჩია. გადაწყდა — რევაზი ქართული ფეხბურთის ღირსეულ წარმომადგენელზე ბორის პაიჭაძეზე გადაიღებს ფილმს, რომელიც იმ პერიოდში ჯერ კიდევ თამაშობდა თბილისის „დინამოში“, მაგრამ უკვე დიდი სპორტიდან წასასვლელად ემზადებოდა; თენგიზი კი ქართული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის დიმიტრი არაყიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას გაა-

შუქებდა ეკრანზე. ოთარ ეგაძემ იქვე მოანერა ხელი მის მიერვე „ქართული ფილმად" დარქმეულ კინოსტუდიაში გასაგზავნ ბრძანებას, რომ დიპლომანტები არ შეეზღუდათ კინოფირითა და სხვა გადასაღები ტექნიკით.

წახალისებულმა დიპლომანტებმა გადაღება დაიწყეს და მალე წარსდგნენ კიდეც თავიანთი მოსკოველი პედაგოგების წინაშე შესანიშნავი ფილმებით.

უკვე ეჭვი არავის ეპარება, რომ რევაზ ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე წარმატებით დაამთავრებენ ინსტიტუტს და სამშობლოს დაუბრუნდებიან.

საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის 1953 წლის კურსდამთავრებულებს, განსაკუთრებით კინორეჟისორებს, სამუშაოს საძებნად ბევრი სირბილი არ უწევთ. ახალგაზრდა კადრებს მოუთმენლად ელოდებიან ლენინგრადში, კიევში, ტაშკენტში, მინსკში... ხელსაყრელ პირობებს სთავაზობენ, ნებისმიერ დათმობაზე მიდიან. კინორეჟისორთა ამგვარი „დეფიციტი" გასაკვირი არაა, თვით საკავშირო ინსტიტუტსაც აკლია კადრები. ოღონდაც ნიჭიერი ახალგაზრდები ინსტიტუტის კათედრაზე დარჩებოდნენ სამუშაოდ და ბინასაც კი მიიღებენ. ყველგან დიდი მოთხოვნილებაა კინორეჟისორებზე.

იწყება დაძაბული წლები და კინორეჟისორებსაც აუარებელი საქმე, საზრუნავი გაუჩნდათ.

მალე კომკავშირი ყამირს შეუტევს.

ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გაჩნდება გეოლოგებისა და მენავთობეების ახალდასახლებანი.

რამდენიმე წლის შემდეგ კოსმოსის საუკუნოვან იდუმალებას მიწიერი ხმაური გამოაფხიზლებს.

მნიშვნელოვნად შეიცვლება ქვეყნის ეკონომიკური რუკა, გაჩნდება ახალი კოორდინატები, კალაპოტს შეიცვლიან მდინარეები.

ყოველივე ეს ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ძალიან მალე მოხდება. მოვლენათა ამგვარი განვითარება ახალ ეპოქას ნიშნავს, რაც ახალ ადამიანსა და ახალ თემას ბადებს.

სწორედ ამ მოვლენებთან დაკავშირებულ გარდატეხასთან და ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ გეოგრაფიულ გარდაქმნებთანაა დაკავშირებული საბჭოთა კინემატოგრაფიის ის მეორე სუნთქვა, რომელმაც შემოქმედებითად უნდა განავითაროს 20-იანი წლების ტრადიციები.

აი, ყველგან რატომ არის მოთხოვნა ნიჭიერ ახალგაზრდა რეჟისორებზე, რატომ უქმნიან მათ ხელსაყრელ პირობებს.

დიდია არჩევანის ცთუნება. ადამიანს თვალს ჭრის შემოთავაზებული

პირობებისა და შეღავათების თვალწარმტაცი პერსპექტივა, მაგრამ, როგორც იტყვიან, წილი უკვე ნაყარია და კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, ახალბედა კინორეჟისორები რევაზ ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე თბილისში მოემგზავრებიან.

1953 წელს რევაზ ჩხეიძე კინოსტუდია „ქართულ ფილმში" მივიდა. მაშინდელი ძესვეურები ჯერ კიდევ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტიდან იცნობდნენ რევაზს და რამდენადმე გარკვეული იყვნენ მის შესაძლებლობებში, ამიტომ მათი საუბარი მიმდინარე და მომავალი გეგმების თაობაზე დიდხანს არ გაგრძელებულა. შესთავაზეს რეჟისორის თანამდებობა და რევაზი სიხარულით დათანხმდა.

მოსვლისთანავე ჩაერთო კინოსტუდიის შემოქმედებითს საქმიანობაში. გულმოდგინედ გაეცნო ყველას და ყველაფერს, ესაუბრებოდა სტატისტებს, მსახიობებს, ასისტენტებს, ტექნიკურ მუშაკებს. რამდენიმე დღის განმავლობაში საფინანსო საბუთებს ეცნობოდა და მალე მთლიანად ჩადგა საქმის კურსში. იცოდა, რომ მომავლის გეგმებს სხვა გზით განხორციელება არ ეწერა.

ერთხელ კინოსტუდიის ტერიტორიაზე თენგიზ აბულაძეს შეხვდა. მეგობრებმა ორ საათზე მეტი ისაუბრეს, ზოგიერთ რამეში ერთმანეთს დაეთანხმნენ, ზოგზე ცოტაოდენი იდავეს კიდეც და... მალე ერთობლივად დაიწყეს ფილმზე მუშაობა.

რამდენიმე თვის შემდეგ რესპუბლიკის კინოგაქირავებას საექსპლოატაციოდ გადაეცა ამ უნიჭიერესი წყვილის რეჟისორობით გადაღებული საინტერესო დოკუმენტური ფილმები „პიონერთა სასახლე" და „ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი".

1955 წელს მხატვრულ კინოშიც შედგა მათი დებიუტი: გადაიღეს „მაგდანას ლურჯა" ეკატერინე გაბაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, რომელსაც დიდი წარმატება მოჰყვა — მომავალ 1956 წელს „მაგდანას ლურჯამ" პრემიები მოიპოვა კანისა და ედინბურგის საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

1956 წელს გამოვიდა რევაზ ჩხეიძის პირველი დამოუკიდებელი ფილმი „ჩვენი ეზო", ამას მოჰყვა „მაია წყნეთელი", „განძი", „ზღვის ბილიკი".

1964 წელს კი შექმნა თავისი შედევრი „ჯარისკაცის მამა" (სცენარის ავტორი სულიკო ჟღენტი), რომელშიც მთავარ — გიორგი მახარაშვილის როლს ასრულებდა სერგო ზაქარიაძე. ამ ფილმმა არა მარტო რევაზ ჩხეიძეს, არამედ მთელ ქართულ კინოს მოუტანა მსოფლიო აღიარება.

1969 წელს ისევ სულიკო ჟღენტის სცენარით რევაზ ჩხეიძემ გადაიღო

„ღიმილის ბიჭები“, 1972 წელს „ნერგები“, 1980 წელს კი „მშობლიურო ჩემო მინავ“.

ისტორიას არა აქვს დასასრული, მაგრამ აქვს დასაწყისი, კინორეჟისორის შემოქმედებითი ბიოგრაფია მის მიერ გადაღებული პირველი ფილმიდან იწყება. მხედველობაში გვაქვს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც ეძღვნება ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ფუძემდებელსა და გამოჩენილ ოსტატს ბორის პაიჭაძეს.

სპორტული ცხოვრების მძიმე და დაძაბული პერიპეტიებით აღსავსე კინოკადრები ყოველთვის ცხოველ ინტერესს იწვევს მაყურებელში. ბორის პაიჭაძე საინტერესო პიროვნება იყო მაშინაც, როცა სპორტული დიდების ზენიტში იდგა და საინტერესოა დღესაც. ასევე იქნება მომავალშიც. დღევანდელ თაობას მრავალი რამ გაუგია და წაუკითხავს მასზე, მაგრამ საკუთარი თვალით არ უნახავს ამ ზღაპრული ფეხბურთელის თამაში. სწორედ ეს არის პაიჭაძის პიროვნებისადმი დიდი ინტერესის გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

ფილმი გამდიდრებულია დოკუმენტური კადრებით და ეს სილამაზეს მატებს მის მხატვრულ ღირსებას.

კინოკადრები გადაღებულია თბილისის „დინამოს“ სტადიონზე; რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარას სტადიონზე პაიჭაძეს ულამაზესი ბურთი გააქვს მასპინძელთა კარში. „ფეხბურთის კარუზო“, „ევროპული კლასის ცენტრალური თავდამსხმელი“ — ასე ნათლავს პრესა ბორის პაიჭაძეს. კვლავ დაძაბული ეპიზოდები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის ფეხბურთის მოედნებიდან. გამარჯვების სიხარული და დამარცხების სიმწარე. ფინტების კორიანტელი, გარღვევა ცენტრში და ფრთებიდან, ოსტატურად ჩამოწოდებული კუთხური თუ აუტი. სტადიონის რკინის რიკულებზე შემომსხდარი ბავშვები თუ აღელვებული გულშემატკივრები.

ამ ფილმმა მაშინვე მიიქცია კინოს სპეციალისტების ყურადღება, მასში უკვე იგრძნობოდა ინდივიდუალური ხელწერა ხელოვანისა, რომელსაც მალე უნდა ეთქვა თავისი ძირითადი სათქმელი.

ასეც მოხდა, თუმცა ამას წინ ავადმოსაგონარი, მაგრამ დღეისათვის მაინც ღიმილისმომგვრელი ბატალიები უძღოდა. მიუხედავად პირველი გადადგმული ნაბიჯებისთანავე მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვებისა, რევაზსა და თენგიზს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მაინც უნდობლობა გამოუცხადა. ტენდენციურად მკაცრმა კომისიამ გადაწყვიტა, რომ თითქმის ნახევრად გადაღებული ფილმი „მაგდანას ლურჯა“ ძალზე სუსტია. დებიუტანტებს მხარი დაუჭი-

რა გალაკტიონ ტაბიძემ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დიდი იყო იმის ცდა, რომ „მაგდანას ლურჯა" რევაზ ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძისათვის წაერთმიათ. ცხადია, ეს დიდი დარტყმა იყო რეჟისორებისათვის, მაგრამ გადაწყვიტეს უკან არ დაეხიათ და კვლავ კინემატოგრაფიის მინისტრისათვის მიემართათ, მაგრამ, დახეთ ბედის უკულმართობას! — ზუსტად იმ პერიოდში კინემატოგრაფიის სამინისტრო გააუქმეს და იგი ჩვეულებრივ სამმართველოდ შეუერთეს კულტურის სამინისტროს.

მაგრამ ყინული მაინც გალხვა და კინოსტუდია „ქართული ფილმის" ხელმძღვანელებმა ნება დართეს რევაზსა და თენგიზს დაემთავრებინათ „მაგდანას ლურჯაზე" მუშაობა, ოღონდ ერთი პირობით — მხატვრულ ხელმძღვანელად მათ რომელიმე გამოცდილი კინორეჟისორი უნდა ჰყოლოდათ. რევაზი და თენგიზი ამ აზრსაც აქტიურად შეებრძოლნენ და თავიანთი გაიტანეს. კინოსტუდიის ხელმძღვანელობა დათმობაზე წავიდა.

„მაგდანას ლურჯას" რეჟისორები რთული ამოცანის წინაშე დადგნენ. მათ ახლებურად უნდა გადმოეცათ უსიხარულო ქვრივი ქალისა და მისი მცირეწლოვანი ბავშვების დუხჭირი ცხოვრება; სოფლელი ქალისა, რომელიც ყოველდღე ზურგით ეზიდება ქალაქში მაწვნის ქილებით სავსე ხურჯინს, რათა ობლები გამოკვებოს. დუდუხანა წეროძემ შესანიშნავად დაგვიხატა მძიმე, არაადამიანური შრომისაგან წელში გატეხილი ქალი, სამაგალითო დედა და მშრომელი ადამიანი.

...ერთ მშვენიერ დღეს გაჭირვებულ ოჯახში დიდი სიხარული დაისადგურებს: მაგდანას პატარა ბავშვები ქუჩაში უპატრონოდ დაგდებულ, დაოსებულ სახედარს წააწყდებიან. ბავშვებმა მას „ლურჯა" შეარქვეს და ხანგრძლივი და სათუთი მოვლით ფეხზე წამოაყენეს. მალე სახედარი იმდენად გამოკეთდა, რომ ოჯახის საიმედო დამხმარე გახდა. ამიერიდან ძალაგამოლეული ქალი სახედრით ატარებს ქალაქში გასაყიდ მაწონს. ოჯახის შემოსავალმაც იმატა. მაგრამ ერთხელაც ქალაქში მიმავალი მაგდანა შემთხვევით მენახშირე მიტუას შეხვდება, რომელიც ლურჯაში საკუთარ სახედარს ამოიცნობს. სასამართლოს შეუბრალებელი განაჩენი გამოაქვს — ქვრივისა და მისი შვილების მიერ გამოცოცხლებულ ლურჯას მენახშირე მიტუას მიაკუთვნებენ.

კინომაყურებელთა ერთმა ნაწილმა ვერ მოახერხა მოთხრობის საწინააღმდეგოდ ფილმის ასეთი დრამატული ფინალის აღქმა და გულდაწყვეტილიც კი იყო თემის ასეთი შემოტრიალებით, მაგრამ შემდეგ ყველამ გაიზიარა აზრი იმის თაობაზე, რომ სწორედ ფილმის დრამატულმა ფინალმა წარმოსახა მეფის რუსეთის მფლობელობაში მოხვედრილი ქართველი

ხალხის სულიერი ტრაგედია. აქ საკვირველი არაფერია: გაიმარჯვა არა სამართლიანობამ, არამედ კანონის დამცველთა უკანონობამ.

„მაგდანას ლურჯა" გამოსვლისთანავე მოექცა კინოს სამყაროს ყურადღების ცენტრში. ცოტა ძნელი დასაჯერებელიც კი იყო, რომ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელმა კინორეჟისორებმა ასე ორიგინალურად გადაწყვიტეს ფილმის სიუჟეტური განვითარება და უბრალო, მაგრამ შინაარსობრივად რთული და მრავალფეროვანი ნაწარმოები შექმნეს.

გუშინდელი სკეპტიკოსები გრძნობენ ახალგაზრდა შემოქმედთა ძლიერებას და მაღალფარდოვან სიტყვებს არ იშურებენ მათ სადიდებლად. იბეჭდება დადებითი რეცენზიები.

რევაზი და თენგიზი პირველ ნამდვილ გამარჯვებას ზეიმობენ.

* * *

როგორც უკვე ითქვა, ისტორიას არა აქვს დასასრული, მაგრამ აქვს დასაწყისი. სიყმაწვილის წლები კი პირიქითაა, მის დასაწყისს ვერ ვგრძნობთ, მაგრამ დასასრული ადამიანის ცხოვრებაში მკვეთრად აისახება ხოლმე. ასე ყოფილა, არის და იქნება.

სიყმაწვილის წლებს ერთი ფრიად რთული პერიოდი, გარდატეხის პერიოდი ახლავს. ეს სიჭაბუკეში შესვლისა და ცხოვრებაში პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმის მომენტია, რომელიც ადამიანის მთელ შემდგომ ცხოვრებას განსაზღვრავს.

სიყმაწვილის ხალისიან, დაუდეგარ წლებს, მჩქეფარე რომანტიკით აღსავსე ასაკს შეუმჩნევლად უსაფრდება ყმაწვილკაცური ცთუნება, რომლის აყოლას ბევრი ზიანის მოტანა შეუძლია როგორც პიროვნების, ასევე საზოგადოებისთვისაც. დიდი სიფრთხილე სწორედ ამიტომ არის საჭირო ცხოვრების სწორი გზის არჩევაში და ეს სიფრთხილე მართებს ყველას — როგორც უმცროსი, ასევე უფროსი თაობის წარმომადგენლებს.

სწორედ ამ რთულსა და საინტერესო ასაკზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მოგვითხრობს ცნობილი დრამატურგის, გიორგი მდივნის სცენარის მიხედვით შექმნილი მხატვრული ფილმი „ჩვენი ეზო".

განუმეორებელია თბილისური კოლორიტი. ძველი და ახალი თბილისის ურთიერთშერწყმული უბნები, ვიწრო ქუჩაბანდები და განიერი პროსპექტები ზღაპარში გადაზრდილი სინამდვილეა. ამ ლეგენდაში თავისი ღირსეული ადგილი უჭირავს თბილისის ერთ-ერთ ლამაზ ეზოს.

ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლება განახლებული დედაქალაქის მძლავ-

რი მაჯისცემის ამსახველი კადრები. რომელი კუთხიდანაც არ უნდა შეხედოს თბილისს ადამიანმა, თვალს წარსტაცებს ევროპისა და აზიის მუდამ მერყევ საზღვარზე დაფუძნებული ამ საოცარი ქალაქის ლამაზი ქუჩები და სახლები, რომლებსაც თავისებური მიმზიდველობა და ელფერი აქვთ. სწორედ ამ თვისებებით გამოირჩევა ბარათაშვილის ხიდთან, მტკვრის სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთი სახლი თავისი ვეებერთელა ეზოთი და მრავალრიცხოვანი მობინადრეებით.

ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათისა და საქმიანობის ხალხი ცხოვრობს ამ ეზოში, მაგრამ მათი სიახლოვის ურღვევი ბურჯი სწორედ თბილისისათვის დამახასიათებელი კეთილმეზობლური დამოკიდებულებაა. ვეებერთელა ეზოში ხშირად ნახავთ სასეირნოდ გამოსულ ჩვილბავშვებიან ახალგაზრდა დედებს. ერთმანეთს ხვდებიან და გულღიად საუბრობენ საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი თუ მუშა, ექიმი თუ მძღოლი. ყველაზე მეტად სწორედ ამ კეთილმეზობლურ ურთიერთობაში მჟღავნდება მათი თავისებურება. მეზობლები შესანიშნავად იცნობენ ერთმანეთს და მალე მაყურებლისთვისაც აშკარა ხდება, ვინ არის საქმიანი, ვინ ჭორიკანა, ვინ მოლაყბე და ვინ დაუდეგარი. ინდივიდუალურ ხასიათთა ამსახველი ეპიზოდები ესკიზურია, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავი და ამიტომ გარემოს ფონსაც ქმნიან.

ფილმში მოთხრობილია ახალგაზრდების ცხოვრების, მღელვარების, განცდების, შრომისადმი დამოკიდებულებისა და ცხოვრებაში გადადგმული პირველი ნაბიჯების შესახებ. მაგრამ ისინი ჯერ ბავშვები არიან და თავდავიწყებით თამაშობენ ეზოში. მათი ასაკი და მსოფლმხედველობა სიყმაწვილეს გაემიჯნება, ამ მდგომარეობას კი სავსებით კანონზომიერად ახლავს მღელვარება, სიხარული და ჩაფიქრება. თუმცა ახალგაზრდებმა ჯერ ვერ მოასწრეს ამის შეცნობა და თავდავიწყებით თამაშობენ ეზოში; მათ ჯერ შრომასა და სიყვარულზე მიახლოებითი წარმოდგენაც არ გააჩნიათ, მაგრამ ასაკს ხომ ყველაფერი უცხო მოაქვს. თანაც ახალგაზრდებს უნებლიე მასწავლებელი აქაც გამოუჩნდებათ.

ავტოშემკეთებელი ქარხნის მუშა კოტე საკმაოდ გამოცდილია და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ყველგან კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. იგი განსაკუთრებით კინოფილმის მთავარ გმირებს — დათოს, ვაჟას, გოჩას, შალვასა და ფედიას უყვართ. კოტე მეგობრულადაა ყმაწვილებთან, არ აგრძნობინებს მათ არავითარ ასაკობრივ თუ ცხოვრებისეულ უპირატესობას და სწორედ ამიტომ დიდ როლს თამაშობს ეზოს ბიჭების სულიერ ჩამოყალიბებასა და მოქალაქეობრივად სრულყოფის წმინდა პა-

ტრიოტულ საქმეში. ყმაწვილებმა კარგად შეისწავლეს კოტეს ხასიათი, მოიხიბლნენ მისი მდიდარი ბუნებით.

სულ მალე შეუმჩნევლად ეწვია ყმაწვილებს პირველი სიყვარულიც. არც ეს დიდი და ფაქიზი გრძნობა სცდება ეზოს ფარგლებს — ციცინო და დათო ადრეც ხშირად თამაშობდნენ ერთად, ჩხუბობდნენ და ბურთის წართმევის დროსაც ბევრს ძიძგილაობდნენ, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად აღიქვეს ახალგაზრდებმა უნებლიე სიახლოვე. შეუცნობმა გრძნობამ ისე დაისადგურა, რომ გუშინდელმა ონავრებმა სულ სხვა თვალით შეხედეს ერთმანეთს.

სიყვარულმა იფეთქა და ერთი შეხედვით ამ უბრალო მოვლენამ სრულიად შეცვალა ახალგაზრდების ურთიერთდამოკიდებულება. ისინი შესამჩნევად გარდაიქმნენ, დაქალდნენ და დავაჟკაცდნენ.

მათი სულიერი გარდაქმნის შემდეგი ეტაპი საშუალო სკოლის დამთავრების პერიოდია. ამ მოვლენას სხვადასხვანაირად ხვდებიან ახალგაზრდები, და ამიტომ ყველასათვის იოლი როდია ცხოვრების სწორი გზის არჩევა. უფრო სწორად, ყველამ არ იცის, რა არის ცხოვრების სწორი გზა. ეს ურთულესი პრობლემა სწორად გააანალიზეს ფილმის ავტორებმა და ეზოს მცხოვრებთა მაგალითზე შესანიშნავი ხასიათები მოგვცეს.

დათო და ფედია კოტეს რჩევით ქარხანაში მიდიან სამუშაოდ, და, რაც მთავარია, თვითონაც უზომოდ კმაყოფილი არიან საკუთარი არჩევანით. ციცინოს სურვილია უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარება, გოჩა ჯარისკაცის ფარაჯას ჩაიცვამს და ბიჭები ერთი ზარ-ზეიმით გააცილებენ მას ჯარში, ცოტა შურით აღვსილებიც კი. ხოლო მამის ავტომანქანით გალაღებული ვაჟა დასვენებას გადაწყვეტს.

გავიდა დრო, რომელიც ბიჭებისათვის ყველაზე მკაცრი, მაგრამ სამართლიანი გამომცდელი გამოდგა. მანქანათშემკეთებელ ქარხანაში მომუშავე დათო იმდენად „გავიდა თავს“, რომ რაციონალიზატორული წინადადების დანერგვაზედაც კი ფიქრობს. ყმაწვილი ფიზიკურ შრომას გონებრივი განვითარების პირველწყაროდ მიიჩნევს და ამდენად, საკუთარ სტიქიაში იმყოფება. იგი თითქოს თვალს და ხელს შუა დავაჟკაცდა, დაბრძენდა და თვით ყველაზე ურწმუნო მეზობლების თვალშიც კი ავტორიტეტულ პიროვნებად გარდაიქმნა. ვაჟამ საკუთარი ქარაფშუტობის წყალობით საბოლოოდ დაკარგა ავტორიტეტი ციცინოს თვალში. მის ყმაწვილურ ტრაგედიას სხვა უბედურებაც დაემატა და ვაჟა სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა — გარდაეცვალა მამა, რომლის საზოგადოებრივი მდგომარეობითაც იგი სარგებლობდა. მას ახლა ყველა გზა ჩაეკეტა, მაგრამ გაჭირვების ჟამს

ვაჟა თანატოლებმა არ მიატოვეს და დახმარების ხელი გაუწოდეს, მეგობრულად ამოუდგნენ მხარში. ვაჟა კოტეს მიმართავს დახმარებისათვის და ქარხანაში იწყებს მუშაობას.

კინორეჟისორი თავის ჩანაფიქრს ფილმის პირველსავე კადრებიდან ამჟღავნებს — ერთი ეზოს ახალგაზრდა თაობის პრობლემაა საკუთარი ადგილის პოვნა საზოგადოებაში. ეს ეზო კი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოა.

ფილმის ავტორი თანდათან გვაახლოებს და სიმპათიებს აღგვიძრავს ერთი ეზოს ახალგაზრდა მცხოვრებლებისადმი.

ელვის სისწრაფით გაირბინა სიყმაწვილემ. ახლა ეზოში სხვა ბავშვები თამაშობენ, ხოლო უკვე ცხოვრებასთან ფიცვერცხლნაჭამი გუშინდელი ონავრები დინჯად ადევნებენ თვალყურს ბავშვების ჟრიამულს. სულ მალე ეს ბავშვებიც შეაღებენ სიჭაბუკის კარიბჭეს, იგრძნობენ პირველი სიყვარულის ბედნიერებას და ჩაუფიქრდებიან მათ წინ აღმართულ პირველ პრობლემებს. აი, რას უმზადებს დღევანდელ ბავშვებს ხვალინდელი დღე.

1959 წელს გამოვიდა რევაზ ჩხეიძის მეორე დამოუკიდებელი ფილმი „მაია წყნეთელი" ვალერიან კანდელაკის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით (მთავარ როლში — ლეილა აბაშიძე). კინოსურათი ეძღვნება მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს მოუსვენარ და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებას. ეს ის პერიოდია, როცა მრავალჭირნახულ ქართველ გლეხს, ერთი მხრივ, გარეშე მტრების შემოტევა უღრღნის გულს, ხოლო მეორე მხრივ — შინაურ თავად-აზნაურთა აღვირახსნილი პარპაში.

წყნეთელმა ბატონმა სოფლის კალოზე კალმით ნახატ ქალიშვილს მოჰკრა თვალი და მოურავის დახმარებით მისი დამარტოხელება განიზრახა. მაგრამ უბადრუკ ლოველასს არ უწერია ბინძური განზრახვის სისრულეში მოყვანა; უტიფარ თავადს მაია წყნეთელი ხანჯლით განგმირავს.

იმ დროისათვის ყმა თავადის ისეთივე საკუთრებად ითვლება, როგორც ჩიბუხი ან მათრახი. ამიტომ, ბატონზე ხელის აღმართვისათვის ყველაზე ღმობიერი სასჯელი ჩამოხრჩობაა. მაია წყნეთელს ასეთი სასტიკი განაჩენი მოელის, მაგრამ იგი გაქცევით შველის თავს.

ფილმში მშვენივრადაა წარმოდგენილი ისტორიულ ასპექტში ის შიდა წინააღმდეგობა, რომელიც გულ-ღვიძლს უფლეთს საქართველოს ერთიანობას. ამ წმინდა საქმეს საქართველოს მრავალი ღირსეული შვილი შეეწირა, და არც ის გვეჩვენება უჩვეულოდ, რომ საქართველოს უძლიერეს მეფე ერეკლესაც კი არ ძალუძს მიწასთან გაასწოროს შინაური მტრები.

ამ ფილმის რეჟისურა მეტად მარტივია, მაგრამ ამავე დროს, ღრმად შთამბეჭდავი. მაყურებელს ზოგჯერ ავიწყდება კიდეც, რომ მაია წყნეთელი

ქალია და არა ის თავზეხელაღებული ყმაწვილი მათე-ბიჭი, რომელიც თვით მრავალჭირნახულ კაცებსაც კი აჭარბებს ვაჟკაცობაში.

ერთხელ გროტესკულად იხსნება ეს კვანძი, როცა მათე-ბიჭი მეფე ერეკლეს აბანოში მექისის თავიდან მოშორებას ცდილობს. მაგრამ მაყურებელს ტუჩებზე აცივდება ღიმილი, როცა მაიას რჩეული სოფლის კალოზე თავშეყრილი გოგონებიდან ერთ-ერთს გამოითამაშებს და ამით გულმოკლული მაია წყნეთელი აქვითინდება.

თვით მეფე ერეკლეც ჩაფიქრებული დგას და მათე-ბიჭის სიტყვებისა ვერა გაუგია რა: ჩემი ცხოვრება დამიბრუნეო. იმ წამს ალბათ ვერც კი წარმოედგინა საქართველოს ბრძენ მეფეს, თუ რა აზრი იყო ჩაქსოვილი მათე-ბიჭის ამ სიტყვებში.

აღტაცების ღირსია კინორეჟისორის მამულიშვილური ალღო, რომელიც საქმით ამტკიცებს საქართველოს ერთიანობის შეუვალობას — აჭარელი ჯემალა ისე შეთვისებია მაია წყნეთელის რაზმის წევრებს, თითქოს მათთან ერთად შობილიყოს.

თავგასულ თავადაზნაურთა პარპაში საინტერესოდაა გადმოცემული. ესაა შურის, სიხარბის, უნიჭობის, ღვარძლის, მტაცებლური ბუნებისა და სიბოროტის ფეიერვერკი. მათ წინაშე თითქოს უძლეველი მეფეც კი უძლურია, მაგრამ მათე-ბიჭი ოდნავადაც არ უშინდება ბნელეთის მოციქულებს.

რეჟისორის მაღალ ხელოვნებას უნდა მივაკუთვნოთ ის ფაქტი, რომ ფილმში მოცემული ზოგიერთი ზღაპრული სიტუაციაც კი ფრიად დამაჯებლად და ცხოვრებისეულად გამოიყურება. თითქოს წარმოუდგენელია, რომ ბერიკების პატარა ჯგუფმა კბილებამდე შეიარაღებული მცველებით გამაგრებული ციხესიმაგრე აიღოს, მაგრამ იმდენად დიდია მტარვალებისაგან მათე-ბიჭის გამოხსნის სურვილი, რომ ბერიკებს გმირობისაკენ მაყურებელიც კი აქეზებს და ოცნებით მათთან ერთად დარბის ნახევრადჩაბნელებულ ტალანებში ხმლისა და ხანჯლის ქნევით. ასეა გამოსახული ფილმის შინაგანი აზრი, ვინაიდან დასაწყისშივე რწმუნდები, თუ რა ადგილი უჭირავს აღვირახსნილი თავადაზნაურებისა და საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლ მაია წყნეთელს. და თუ შორეული წარსულიდან წარმოგვიდგა მრავალფეროვანი, მხატვრულად ცოცხალი, ადამიანურად მომხიბვლელი მაია წყნეთელი, ეს უპირველესად, კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ.

ფილმს წითელ ხაზად გასდევს მთავარი გმირის — მაია წყნეთელის ფარული ოცნება — წარმატებით დალაშქროს მტერი და ოჯახის კერას

დაუბრუნდეს როგორც დედა. მაგრამ, სამწუხაროდ, ოცნება აუხდენელი რჩება. სიკვდილი გამარჯვებას ზეიმობს...

* * *

— „როდესაც სადმე, დედამიწის რომელიმე კუთხეში სტიქიური უბედურება მოხდება, მიწა იძვრის, კოკისპირული წვიმები კალაპოტიდან გადმოიყვანს მდინარეებს ან აყვავებულ მიდამოს თავს დაატყდება საშინელი ქარტეხილები, მერე ამ ზარალს ზუსტად გამოითვლიან მანეთებსა ან დოლარებში. მაგრამ ძნელია, დღეს ასეთი ზუსტი ექვივალენტი მოვძებნოთ და რაიმე ერთეულით შევაფასოთ, თუ რა დაუჯდა ჩვენს რესპუბლიკას ის წლები, როდესაც დარღვეული იყო პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, როდესაც პროტექციონიზმმა, მექრთამეობამ და უკანონობამ საშიში ფორმები მიიღო — მეტად დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ხალხს. წინ წამოიწია ცხოვრების ისეთი გაგება, რომელიც უსათუოდ წვრილბურჟუაზიულ, მეშჩანურ სამყაროს აიდეალებს და სიმდიდრეს, ფულს აქცევს ფეტიშად", — განაცხადა ერთხელ რევაზ ჩხეიძემ.

რევაზ ჩხეიძის ამ მართალმა, მაგრამ მწარე სიტყვებმა საზოგადოება ჩააფიქრა. ყველამ კარგად იცოდა, რომ ყოველივე ამან ძლიერ უარყოფითი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის ცხოვრებასა და განსაკუთრებით, მშრომელი ადამიანის ფსიქიკაზე.

ზოგიერთი მშრომელი, პატიოსანი კაცი მერყევი გახდა, ზოგიერთმა კი დაკარგა რწმენა და ეჭვნეულად დაუწყო ცქერა ყოველივე წმინდას. მდიდარი შრომითი ტრადიციების მქონე ადამიანი ფიქრობდა, ყოყმანობდა და ვერ გადაეწყვიტა, კვლავ ჩარხთან დარჩენილიყო, გუთანს მოსჭიდებოდა და საკუთარი მარჯვენით ეშოვა ბედნიერი ლუკმა, თუ ცხოვრების უფრო იოლი გზა აერჩია და ოფლის უღვრელად, უშრომელად გამდიდრებულიყო. ეს კი დიდად აღელვებდა სპეტაკ შემოქმედ რ. ჩხეიძეს.

ბევრს წასძლია სულმა და არჩევანი ამ უკანასკნელზე შეაჩერა. მაგრამ ყველა ვერ აცთუნა უზრუნველი ცხოვრებისა და არამი ლუკმის არცთუ ისე ლამაზმა პერსპექტივამ. ეს უფრო აშფოთებდა რეჟისორ-მოქალაქეს.

ყოველივე ამას გარკვეული პასუხი გასცა ქართულმა კინემატოგრაფმა. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა კავშირები, თეატრალური საზოგადოება, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, კულტუ-

რის სამინისტრო, საფუძვლიანად უნდა გაერკვნენ, თუ როგორია ჩვენი ხელოვნების ზემოქმედების ძალა.

ამ მხრივ რევაზ ჩხეიძეს საკმაოდ ბევრი რამ ჰქონდა გაკეთებული.

60-იანი წლების დასაწყისში მან მომავალი ფილმისათვის არჩევანი მწერალ დემნა შენგელაიას მოთხრობა „განძზე" შეაჩერა. სწორედ ამ მოთხრობაშია მწვავედ დასმული სიხარბისა და მომხვეჭელობის რთული პრობლემა. ეს კი საშუალებას მისცემს კინორეჟისორს საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიტანოს პატიოსანი ადამიანის სულიერი ძვრების უარყოფითი მომენტები, ამხილოს ნეგატიური მოვლენების მანკი.

...ახალგაზრდა ცოლ-ქმარი საულია და ფუნდუ ბედნიერი ცხოვრებით ტკბებიან. მათ სიყვარულს წინ ვერაფერი ვერ უნდა გადაეღობოს, მაგრამ შრომისმოყვარე საულია, ღამით ყანაში, ხვნის დროს გუთანს წამოსდებს მიწაში ჩაფლულ თიხის ქოთანს, რომელშიც ძვირფასი განძია გადამალული. ეს ნაპოვნი საბედისწერო აღმოჩნდება ახალგაზრდა ცოლ-ქმრისათვის. საულიას სიხარბე გადასძლევს და მას უზრუნველი ცხოვრების სურვილი შეიპყრობს. ფუნდუ ერთ ხანს ქმრის აზრს იზიარებს, მაგრამ მალე გამოფხიზლდება და ქმარს ურჩევს ნაპოვნი განძეულობა სახელმწიფოს ჩააბაროს. ასე გაჩნდა ბზარი მოსიყვარულე ცოლ-ქმარს შორის. ოქროს ციებ-ცხელებამ ადამიანური სიყვარული დათრგუნა, მაგრამ დროებით.

საკუთარ თავთან დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ საულია მონანიების გზას დაადგება, გვიან, მაგრამ მაინც მიხვდება, რომ პატიოსნებაზე დიდი სიმდიდრე არ არსებობს და გადაწყვეტს სახელმწიფოს ჩააბაროს ნაპოვნი განძეულობა.

კინოფილმ „განძში" აქტიურად დაუპირისპირდა ერთმანეთს ადამიანის მთავარი ღირსება, სულიერი სამყაროს მოძრაობა და რეალური სიმდიდრის მატერიალური გამოხატვა.

კინოფილმ „განძმა" მწვავე პროტესტი გამოუცხადა გამდიდრების სურვილით შეპყრობილ მანიაკებს, დაგვარწმუნა, რომ არ არსებობს ადამიანის სულიერ სიწმინდეზე უფრო ძვირფასი საგანძური. ამ ფილმმა მკაფიოდ დაგვანახვა, რომ ქართული მწერლობა და ხელოვნება არ ეგუებოდა სულიერი სიღატაკის ვითარებას, ჩვენს რესპუბლიკაში ფესვგადგმულ მომხვეჭელობის ფსიქოლოგიას.

1961 წელს დელის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალზე „განძი" პრემირებულ იქნა.

საერთაშორისო კინოფესტივალის დამთავრების შემდეგ საბჭოთა დელეგაცია ინდოეთის მაშინდელ პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს

ესტუმრა, რომელმაც კინოფილმი „განძი“ დიდი პრიზითა და სპილოს ძვლისგან გაკეთებული პირველი ინდური გემის მაკეტით დააჯილდოვა; ეს ინდოეთში ერთ-ერთ საპატიო საჩუქრად ითვლება.

1962 წელს რევაზ ჩხეიძე ახალი ფილმით წარსდგა საზოგადოების წინაშე. ესაა „ზღვის ბილიკი“, ამპავი პენსიაზე გასული მეზღვაურისა (ამ როლს სერგო ზაქარიაძე თამაშობს), რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლი ზღვას შეალია. ხანდაზმულობის გამო იგი იძულებულია მყუღრო, აუღელვებელ ცხოვრებას შეეჩვიოს, მაგრამ ბერიკაცში უკვდავია ზღვის სტიქიისადმი სიყვარული და იგი ოცნებით გასცქერის უკიდეგანო ჰორიზონტს.

ერთხელ მოხუცი მეზღვაური ახალგაზრდებს შორის მოხვდება და მათი ჭაბუკური შემართების წყალობით თვითონაც შეცურავს ზღვაში.

ამ ფილმში გონივრულად უპირისპირდება ერთმანეთს ხანდაზმული ზღვაოსნის უშრეტი ნებისყოფა და ახალგაზრდების მამაცური შემართება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მაშინ, როცა ბერიკაცი და ახალგაზრდა, ლონიერი დათო, შორს შესცურავენ ზღვაში. მოხუცი გრძნობს, რომ ზღვა აირია და ახლა წყალში ყოფნა ძალზე საშიშია, მაგრამ დათო მას არ უჯერის და მალე მწარედ ნანობს თავის უგუნურებას — მას ძალ-ღონე ერთმევა. ზღვის მგელი ძველებურად შეებრძოლება სტიქიას, დათოს გადაარჩენს, მაგრამ თვითონ იღუპება...

ზღვის ბილიკზე სიარული მხოლოდ მამაცთა ხვედრია. კინორეჟისორმა იცის, რომ ბილიკზე მხოლოდ მგლები დაიარებიან. სწორედ ამ ბილიკზე უვლია ზღვის ბებერ მგელს და ახლა ნაღვლიანი თვალებით გასცქერის მას.

ამ ფილმში რეჟისორმა ორი პერსონაჟი შეახვედრა ერთმანეთს: პირველი ცხოვრების გამოცდილებით ბეჭებდამძიმებული და ამავე ცხოვრებისაგან ჯანგაცლილი მოხუცი მეზღვაურია, რომელსაც იმის გული მაინც მოსდგამს, რომ ზღვის სტიქიას შეეჭიდოს. მეორე კი ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე კაცია, რომელმაც არაფერი იცის ზღვის ვერაგობაზე. ცნობილია, როგორ იმარჯვებს დაუძლურებული გამოცდილება ძლიერ გამოუცდელობაზე, მაგრამ ამ ფილმში ანალოგიური პრობლემა სულ სხვაგვარადაა გადაჭრილი. რეჟისორმა ყველა სხვა ვერსია უარყო და სწორედ ის გააკეთა, რასაც სხვები თავს არიდებდნენ, დაამტკიცა თუ რა ძვირად უჯდება გამოცდილებას გამოუცდელობაზე გამარჯვება. ამის აშკარა დადასტურებაა ფილმის ტრაგიკული ფინალი.

კარგა ხანია გადაიქუხა მეორე მსოფლიო ომის ქარტეხილმა, აღარ რიალებს შენობათა ნაფუძვარებზე ცეცხლის ალი, მივიწყებას მიეცა შიმ-

შილით სიკვდილის შიში და აღარავის აკრთობს ფოსტალიონის მოულოდნელი გამოჩენა, ბრძოლის ველზე ახლობელი ადამიანის დაღუპვის საზარელი ცნობა არ მოჰქონდესო.

ცეცხლმა შთანთქა კაცობრიობის ისტორიაში უკანასკნელი და უსაშინლესი მასობრივი გენოციდის ავტორები, თუმცა ისინი ხელცარიელები არ წასულან ქვესკნელში — ორმოცი მილიონი ლაღი სიცოცხლე გაიყოლეს თან.

ეს ციფრი მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ყველა სახელმწიფოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 7-8 პროცენტს შეადგენს. მათ შორის იყვნენ მოხუცები, ქალები, ბავშვები. დღეს მთელი მსოფლიო თავს ხრის ამ საზარელი ომის მსხვერპლთა წინაშე, გულში ცეცხლად ინახავს მათ სამარადისო ხსოვნას.

საქართველომ კი ამ ომში საკუთარი შვილების ბევრად მეტი სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად.

მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველ ვაჟკაცთა საშუალო ასაკი ოცდასუთ წელს არ აღემატებოდა...

მაგრამ, საქართველოდან საომრად მრავალი ბერიკაცი წავიდა, მათ შორის ერთი მოხუციც.

საომრად? არა, თავიდან მხოლოდ დაჭრილი შვილის სანახავად და, როცა თვალწინ ახლად გაცნობილი შვილის ტოლი რუსი ვაჟკაცი არაადამიანურად მოუკლეს, მან თოფს დასტაცა სელი და ბერლინამდე ფეხით იარა, რათა თავისი გვარი მიეწერა რაიხსტაგის სვეტზე.

ეს ჯარისკაცი, გურჯაანელი გლეხი, ახალგაზრდა მეომრის გოდერძი მახარაშვილის მამა, გიორგი გახლდათ. იგი სერგო ზაქარიაძის ბრწყინვალე შესრულებით მალე ჯარისკაცის მამად მოევლინა კინოსამყაროს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გიორგი მახარაშვილი კვლავ ჩავიდა ბერლინში, მაგრამ არა საომრად და სადავიდარაბოდ, არამედ, გერმანელ კინომაყურებელთა გულების დასაპყრობად. გიორგი მახარაშვილმა ასე შემოიარა მთელი მსოფლიო მოკლე ხანში და ყველა პროგრესულად მოაზროვნისათვის ჯარისკაცის მამა გახდა, იმ ჯარისკაცისა, რომელიც მშვიდობის სადარაჯოზე დგას და მომავალი თაობის სულიერ სიმშვიდეს იცავს.

რამდენი რამ წაგვიკითხავს ამ საოცრად კეთილ კახელ მოხუცზე, რომელიც ერთდროულად მრისხანეცაა და კეთილიც, მკაცრიც და ალერსიანიც, დაბნეულიცა და დაფიქრებულიც.

ყველა თავისებურად აღიქვამს გიორგი მახარაშვილის კოლორიტულ და მრავალფეროვან სახეს.

გიორგი მახარაშვილი ჭეშმარიტად კაცთმოყვარე, ნამდვილი პატრიოტი და მამულიშვილია, ვაჟკაცური ადამიანი, ხალხის ზნეობისა და სინდისის აშკარა გამოხატულება. მისი ხასიათის ეროვნული თვისებები ვიწრო ჩარჩოებით არ იფარგლება, იგი დიდი ინტერნაციონალისტია.

მახარაშვილი მრავალსაუკუნოვანი დაკოჟრილი ფესვია, რომელიც ღრმად გადგმულია მშობლიური მიწის წიაღში. იგი მთლიანად ამ მიწის შვილია —აუჩქარებელი, სიტყვაძუნწი, გამოკვეთილი. იგი უკვე თითქოს მთელი არსებით შეეჩვია ომს, დენთის მძიმე სუნს, ომის საშინელებებზე, მის ყოველწუთიერ საფრთხეზე კი არ ფიქრობს, არამედ რაღაც წარმოუდგენელი ძალით გრძნობს მიწის სურნელებას, მის სიმსუბუქეს, ნაყოფიერებას.

გიორგი მახარაშვილი ის ჯარისკაცია, რომელსაც შეუძლია სიამოვნებით ესაუბროს საგაზაფხულოდ გაღვიძებულ მიწას. მისი სახე ფართო განზოგადებისაა, იგი როგორც ქართველი ხალხის სიდიადის, ისე მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის აშკარა გამოხატულებაა.

გიორგი მახარაშვილის ხასიათი ჭეშმარიტად ხალხურია — ამ სიტყვის ყველაზე ღრმა და მართებული გაგებით. იგი სიმბოლური მამაა შვილებისა, რომელთა მამებიც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ბრძოლის ველზე.

გიორგი მახარაშვილი ყველა ქვეყნისა და ყველა დროის ჯარისკაცის საყვარელი მამაა...

„ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორია კინოდრამატურგი სულიკო ჟღენტი.

რეჟისორ რევაზ ჩხეიძესა და სცენარისტ სულიკო ჟღენტს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან, კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტშიც ერთად სწავლობდნენ.

„ზღვის ბილიკის“ გადაღებისას სულიკო ჟღენტმა რევაზ ჩხეიძეს რამდენიმე ფურცელი გადასცა, თან სთხოვა, მომავალი კინოსცენარის ანოტაციაა, გულდასმით წაიკითხე და აზრი მითხარიო. როგორც ითქვა, ამ დროს მიმდინარეობდა „ზღვის ბილიკის“ გადაღება და რევაზ ჩხეიძეს მართლაც რომ არ ჰქონდა დრო, მაგრამ მეგობარს ხათრი ვერ გაუტეხა და ნაწერი დაიტოვა. იფიქრა, ეს საქმე რომ სახვალიოდ გადავდო, მუშაობაში ჩართულს, შეიძლება სრულიადაც გადამავიწყდესო და იმავე საღამოს, როცა ტროლეიბუსით შინ ბრუნდებოდა, ჯიბიდან დაკეცილი ფურცლები ამოიღო და კითხვას შეუდგა. შეუმჩნევლად ჩაიძირა ნაწარმოების სილრმეში და უცებ იგრძნო, როგორ გაიტაცა მისმა შინაარსმა. შემდეგ მეორედ

გადაიკითხა ანოტაცია, მესამედ... იმავ საღამოს შინ მიაკითხა სერგო ზაქარიაძეს.

სერგო მთავარ როლს თამაშობდა კინოფილმ „ზღვის ბილიკში“ და იმ პერიოდში მოხუცი მეზღვაურის ცხოვრებით ცხოვრობდა. დიდი მსახიობი მუშაობას არც შინ სწყვეტდა და ამიტომ გაუკვირდა კიდეც რევაზ ჩხეიძის ნაგვიანევი სტუმრობა. თუმცა იცოდა, რომ ასეთ დაძაბულ დროს რეჟისორი უმიზეზოდ არ ესტუმრებოდა. რევაზ ჩხეიძემ უხმოდ გაუწოდა მსახიობს სულიკო ჟღენტის სცენარის ანოტაცია. სერგო მაგიდას მიუჯდა და ნაჩქარევად გადაავლო თვალი სტრიქონებს, მაგრამ პირველი აბზაცის წაკითხვისთანავე თითქოს დამშვიდდაო, თავიდან შეუდგა კითხვას. ბოლო გვერდი რომ ჩაიკითხა, ერთხანს გაირინდა, თავი ხელებში ჩარგო და ასე იჯდა საკმაო ხანს. შემდეგ რევაზისაკენ გამოიხედა და თვალებში ჩამდგარმა ცრემლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რეჟისორის ვარაუდი.

კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ საბოლოო გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე საქვეყნოდ განაცხადებს:

„საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვოცნებობდი ისეთ კარგ სცენარზე, რომლის მიხედვითაც შექმნილ ფილმში უბრალოდ როლს კი არ ვითამაშებდი, არამედ გმირის ცხოვრებით ვიცხოვრებდი. ვოცნებობდი ისეთ სცენარზე, რომლის ავტორს უნარი ექნებოდა, ღრმად ჩასწვდომოდა მოვლენის არსს, მიეკვლია და ამოეხსნა მისი მიზეზები. კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ ჩანაფიქრი რომ შევიტყვე, მაშინ სხვა ფილმში ვიყავი დაკავებული, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, რომ მოხუც მეზღვაურთან შედარებით ჩემში გიორგი მახარაშვილი მეტ ნდობას იმსახურებდა. ზოგჯერ ისეთი შეგრძნება ამიტაცებდა, თითქოს შვილის საძებრად მიმავალი მებრძოლად გარდაქმნილი მოხუცისაკენ მიმეჩქარებოდა. მეგონა, დრო ძალზე ზანტად მიიზლაზნება-მეთქი, ამიტომ, გადავწყვიტე „ზღვის ბილიკის“ გადაღების პროცესში „ჯარისკაცის მამის“ სცენარი დამემუშავებინა. ამრიგად, ერთდროულად ორ როლზე მიწევდა მუშაობა. თვალნათლივ ცოცხლდებოდა და ხორცს ისხამდა — „ჯარისკაცის მამის“ სიუჟეტი“...

დაძაბულ და მომქანცველ მუშაობაში ერთი წელიწადი გავიდა. ამოცანა რთული და საპასუხისმგებლო იყო. სადაცაა დაიწყებოდა კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ მოსამზადებელი სამუშაოები, ჯერჯერობით კი მხოლოდ რეჟისორის როლი იყო ნათლად გამოკვეთილი. არავითარი თარგი, არავითარი ტრაფარეტი, და თუ იგი მაინც იქნება, მხოლოდ იმისათვის, რომ კინოფილმს წითელ ზოლად გააყოლოს მთავარი გმირის ადამიანური

ლირსება, პატრიოტიზმი, გლეხური სიეშმაკე, ვაჟკაცური პირდაპირობა და კეთილშობილება.

კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ სცენარს საფუძვლად სიმართლე ედო. ამდენად ახლა ბევრი რამ მთავარი გმირის როლის შემსრულებელ სერგო ზაქარიაძეზე იყო დამოკიდებული. თავისი უბადლო ოსტატობის წყალობით უნდა მიეცა მას ფილმისათვის დამაჯერებლობა იმ მდიდარი სამყაროს გადმოცემის გზით, რითაც სულდგმულობდა ჯერ უბრალო კახელი გლეხი, ხოლო შემდეგ — გმირული საბჭოთა არმიის აქტიური მებრძოლი გიორგი მახარაშვილი.

როდესაც ბერლინის უდიდეს კინოთეატრ „კოსმოსში“ კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ პრემიერა მიმდინარეობდა, აღტაცებულმა გერმანელმა მაყურებელმა გულთბილი ოვაცია გაუმართა მოხუც ქართველ მშრომელ გლეხს, რომელიც მხოლოდ სხვისმა სიბოროტემ აიძულა თოხი ღობეზე მიეყუდებინა, ხელში შაშხანა აეღო და მედგრად შებრძოლებოდა ფაშიზმს. ობიექტურმა გერმანელმა კინომაყურებელმა მაშინ ერთხელ კიდევ იგრძნო, რომ გიორგი მახარაშვილი, მისი შვილი გოდერძი და მრავალი მისთანანი გერმანულ ფაშიზმს ებრძოდნენ და არა გერმანელ ერს, რომელმაც სხვაზე ნაკლებად არ იცის მშვიდობიანი ცხოვრებისა და შრომის ყადრი.

კინოფილმი „ჯარისკაცის მამა“ უკვე საკმაოდ გახმაურებული იყო კინოს სამყაროში, ამიტომ მისი ესოდენ დიდი წარმატება გერმანიაში არავის გაკვირვებია, მაგრამ ფილმმა მაინც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აი, რას ამბობდა ამასთან დაკავშირებით კინორეჟისორი ჰაინც თილი:

„მე მგონია, რომ ამ ფილმმა ყველაზე მეტად აგვაღელვა და ჩაგვაფიქრა სწორედ ჩვენ, გერმანელი კინემატოგრაფისტები. ვფიქრობ, ხალხთა შორის მშვიდობა და ერთიანობა არასოდეს არ დაირღვევა, თუ ძლიერზე ძლიერი იქნება მსოფლიოს ანტიჰუმანისტურ ძალებთან ბრძოლის ფრონტი. კინოფილმი „ჯარისკაცის მამა“, როგორც ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოები, სწორედ რომ ანტიჰუმანისტურ ძალებთან ბრძოლის საუკეთესო იარაღია“.

გერმანელი კინემატოგრაფისტი არ შემცდარა. „ჯარისკაცის მამა“ მართლაც მძლავრი იმპულსია პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისათვის.

კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ცალკეული ნიუანსები ბოლომდე ავლენენ გიორგი მახარაშვილის დიდბუნებოვნობას, მის ვაჟკაცურ შემართებას, ბავშვურ გულუბრყვილობასა და გმირულ სულს, რომელიც მაყურებელს არ შეიძლება არ გადაედოს. ახლობელ ადამიანად სწო-

რედ ამიტომ აღიქვამენ ბერიკაცს. არც არის გასაკვირი! — ადამიანი ხომ ხელოვნების ნაწარმოებში ყოველთვის ეძებს ამაღლებულ გრძნობებს, განსაკუთრებით იმახსოვრებს და ითვისებს მას. ნათელი საწყისის პოზიციებზე მდგომ ადამიანს მუდამ იტაცებს ხასიათობრივი კონტრასტები.

ქართული კინოს ეს შედევრი თავისი მორალური სიწმინდით, ადამიანური, მოქალაქეობრივი მრწამსით უშუალო ხალხურ პოზიციებამდეა აყვანილი და მაყურებელში საუკეთესო გრძნობებს აღვიძებს.

სოციალისტური რეალიზმის ძირითად საყრდენ წერტილს ფორმით ეროვნული და შინაარსით თანამედროვე პროგრესული ხელოვნება წარმოადგენს. ალბათ, არ მოგვიწევს იმის მტკიცება, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოებთა მთავარი მიმართულებაა რეალისტური, ეროვნული ხასიათის კინემატოგრაფია, რაც სოციალისტური საზოგადოების შექმნის დიადი მიზნების სამსახურში, მის მუდმივ სადარაჯოზე უნდა წარმოვიდგინოთ.

კინოფილმ „ჯარისკაცის მამაზე" მომუშავე ჯგუფს დიდი მიზანი ამოძრავებდა — უნდა შეექმნა ინტერნაციონალური ულერადობის ფილმი, რომელშიც აისახებოდა საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმაღლე და დიდი ჰუმანიზმი. ჯგუფმა რევაზ ჩხეიძის ხელმძღვანელობით ამ რთულ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი.

აი, რას მოგვითხრობს კინოფილმ „ჯარისკაცის მამის" სცენარის ავტორი, კინოდრამატურგი სულიკო ულენტი:

„ხშირად მეკითხებიან, გამოვიგონე თუ არა ადამიანი, რომელიც ასე ბრწყინვალედ განასახიერა ქართული კინოსა და სცენის ტიტანმა სერგო ზაქარიაძემ. სხვა დრამატურგებისა და სცენარისტებისაგან განსხვავებით ამ შეკითხვას უარყოფითად ვპასუხობ. მე არ გამომიგონია გიორგი მახარაშვილი, რადგან სინამდვილის გამოგონება პრაქტიკულად შეუძლებელია. მე უბრალოდ გავაერთიანე ჩემ მიერ ომში ნანახი რამდენიმე ადამიანი, რომლებიც განსხვავებული ხასიათისანი იყვნენ..."

83-ე წითელდროშოვანი ბრიგადის მეთექვსმეტე განსაკუთრებული ბატალიონის ყოფილ რიგით მებრძოლ სულიკო ულენტს ახლაც თვალნათლივ ახსოვს მისი თანამებრძოლი, სამოც წელს მიღწეული ბოდბისხეველი გლეხი რამინ მახარაშვილი. ეს იყო ახოვანი, უდიდესი ფიზიკური ძალის, ფოლადისებური ხასიათისა და გამძლეობის ბერიკაცი, რომელიც ცხრამეტი-ოცი წლის თანამებრძოლებს საკუთარი შვილებივით ეპყრობოდა.

ერთხელ ბატალიონმა ოცდაათი კილომეტრი გაირბინა შეუსვენებლივ, შემდეგ ბრძანება მოვიდა -- დაღლილსა და დაქანცულ მებრძოლებს სას-

წრაფოდ ბლინდაჟი უნდა აეშენებინათ. ეს კი ნიშნავდა ქვასავით გამაგრებულ მიწაში ღრმა ორმოს ამოთხრას, მძიმე ბოძების ჩაყენებას და კიბის საფეხურების მოწყობას. სამუშაო მართლაც მძიმე იყო.

ღამენატეხ, განაწამებ ბიჭებს ძილმა დარია ხელი. არავის ახსოვს როდემდე ეძინათ ფხიზელი ძილით ბრძანების მოლოდინში, რომ ბლინდაჟის გათხრა დაეწყოთ. მაგრამ ისინი ბრძანების მჭახე ხმამ კი არა, ომახიანმა ქართულმა სიმღერამ გამოაღვიძა. ჯარისკაც რამინ მახარაშვილს ბლინდაჟისათვის ღრმა ორმო ამოეთხარა, შიგ ბოძები ჩაეწყო და ახლა კიბის საფეხურებისათვის ამზადებდა მასალას. თავისი ნახელავით გახარებული მოხუცი მეომარი თავდავიწყებით მღეროდა.

ბიჭები სახტად დარჩნენ, რადგან ოცდაათკილომეტრიანი გადარბენისას რამინ მახარაშვილს სხვაზე მეტი ჯაფა ადგა: მას მოჰქონდა ორი მძიმედ დატვირთული ზურგჩანთა, ოთხი ავტომატი და ხელყუმბარების მოზრდილი შეკვრა. ამის მიუხედავად, ბერიკაცმა არ იცოდა, რა იყო დაღლა.

1942 წლის გაზაფხულზე ნოვოროსიისკთან ბატალიონის ბიჭები ასეთი სურათის მოწმენი გახდნენ — ჯარისკაცი რამინ მახარაშვილი ხიშტით ჩიჩქნიდა მიწას და ხორბალს თესდა. ყველანი გაკვირვებული შესცქეროდნენ მის საქმიანობას, რამინი კი არაამქვეყნიური გატაცებით ბუტბუტებდა: „გაზაფხული მოდის, გაზაფხული!..“

რამინ მახარაშვილი ქართველი გლეხის განუმეორებელი სიმბოლო გახლდათ, იგი ორგანულად ვერ შეეგუა ომს და ყოველთვის მშვიდობიანი ცხოვრებისა და შენების დაუოკებელი კეთილშობილური სურვილით იყო შეპყრობილი.

მაგრამ ბოდბისხეველმა გლეხმა რამინ მახარაშვილმა მაინც ერთი რამით დაამასსოვრა ყველას თავი.

ჯარის ქვედანაყოფი, სადაც სულიკო ჟღენტი და რამინ მახარაშვილი იბრძოდნენ, გერმანელთა ჯარის ნაწილებთან სისხლისმღვრელი შერკინების შემდეგ ქალაქ გელენჯიკის შორიახლოს დაბანაკდა. ქანცგამოცლილ ჯარისკაცებს ხანმოკლე დასვენების საშუალება მიეცათ. ქვედანაყოფის მეთაურის ბლინდაჟში კი ოფიცერთა შემადგენლობა შეიკრიბა და მომავალი საომარი მოქმედების გეგმის დაწვრილებით გარჩევას შეუდგა. მდგომარეობა ფრიად სერიოზული და დამაფიქრებელი იყო.

ორი-სამი კვირით ადრე ამ ადგილებში გერმანელთა შეიარაღებული ძალებით ერთ-ერთი დიდი დაჯგუფება იყო თავმოყრილი. საბჭოთა ჯარების ძლიერმა და განუწყვეტელმა შტურმმა ეს დაჯგუფება დაშალა, თუმცა სრულიად მოსპობა ვერ შეძლო. ახლა მტრის დაქსაქსული, მცირერიც-

ხოვანი, მაგრამ საკმარისი საომარი ტექნიკით აღჭურვილი რაზმები კრაზანებივით იყვნენ მოდებული მთელ სტეპში, ამას კი შეეძლო რაიმე გაუთვალისწინებელი ბარიერები შეექმნა საბჭოთა ნაწილების წინსვლისათვის. მეთაურის ბლინდაჟში, მაგიდაზე გაშლილ რუკაზე ავბედითად წამომართულიყო ერთი უსახელო სიმაღლე — ხვალ დილით ეს წერტილი უნდა დაელაშქრა ქვედანაყოფს და ამ პოზიციიდან გაძლიერებული იერიში მიეტანა გერმანელებით სავსე ახლო მდებარე სოფლებზე.

ასეთ რთულ სიტუაციაში და, ამასთან ერთად, ქაოსში, ყველა გერმანული ცალკეული რაზმის განლაგება შეიძლება თვით მათ სარდლობასაც კი არ სცოდნოდა, მაგრამ მაინც აუცილებელი იყო მოენე. მხოლოდ იგი თუ შეძლებდა მტრის დაფანტული პოზიციების გარშემო შექმნილი ბურუსის ნაწილობრივ გაფანტვას მაინც.

გადაწყდა, სახელდახელოდ შეკრებილიყო მზვერავთა ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობა რამინ მახარაშვილს დაევალა. მწვანედ დაფოთლილ მზვერავის ტანსაცმელში შენიღბული ბიჭები შეუმჩნევლად შესრიალდნენ ტყეში. მათ თითქმის დაუბრკოლებლად განვლეს მტრის რამდენიმე საცეცხლე პუნქტი, გერმანელ მზვერავთა მცირერიცხოვანი ჯგუფიც ყოველგვარი სროლისა და დავიდარაბის გარეშე გაატარეს, დღის შუქზე მოქმედებას ერიდებოდნენ და მხოლოდ დაღამებისას მიატანეს სოფელს. თითქმის მთელი სოფელი ხოხვით შემოიარეს, მაგრამ სასარგებლო სიტუაციაში ვერც ერთი გერმანელი ვერ მოიხელთეს. შუა ზაფხულის ისედაც მოკლე ღამე თვალსა და ხელს შუა მიილია, საცაა მზე მტრედისფრად შეაფერადებდა აღმოსავლეთის ცისკიდურს და ხელცარიელი საკუთარ ნაწილში როგორ დაბრუნდებოდნენ. მდგომარეობა საგანგაშო შეიქნა. ბიჭები აჩქარდნენ.

უცებ მათ უკან რაღაც ხმაური მოისმა. შემოტრიალდნენ და სახტად დარჩნენ. იქვე, ორიოდ ნაბიჯზე გერმანელი პოლკოვნიკი გაჯგიმულიყო სარგადაყლაპულივით. ეტყობოდა, გერმანელს უძილობამ დარია ხელი და სისხამ დილით სასეირნოდ გამოვიდა, ისიც უიარაღოდ, რადგან ახლომახლო მოწინააღმდეგის ჯარისკაცების გამოჩენას არ ელოდა.

გერმანელი პოლკოვნიკის დაბნეულობა თითქოს ბიჭებსაც გადაედოო, ისინი წამით შეყოვნდნენ, მაგრამ მყისვე მოიკრიბეს აზრი და პოლკოვნიკს დასაჭერად გამოუდგნენ.

საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. ვერც გერმანელი ბედავდა ყვირილს, რადგან ამ შემთხვევაში საბჭოთა მეომრებს დასაკარგი არაფერი ექნებოდათ და მათი პირველი მსხვერპლი უეჭველად პოლკოვნიკი გახდებოდა,

მაგრამ არც ბიჭებს არ შეეძლოთ თავი დაენებებინათ პოლკოვნიკისათვის, ვინაიდან საკმარისი იყო მას თავი სამშვიდობოს ეგრძნო, რომ წამსვე განგაშს გამოაცხადებდა და მაშინ ჩვენებს გარდუვალი დაღუპვა ელოდათ.

პოლკოვნიკი ქარის სისწრაფით გარბოდა, მზვერავებს კი ავტომატები გულში ჰქონდათ ჩაკრული და ასე მისდევდნენ, რათა რკინა არ აჩხარუნებულიყო და ვინმეს ყურადღება არ მიექცია. არავინ იცის რამდენი ხანი გრძელდებოდა ეს უაღრესად დაძაბული მუნჯური დევნა — თითქოს ბუნებამაც სუნთქვა შეიკრაო, ისე დაძაბული ჩანდა გარემო.

უცებ, საიდანღაც, ხის პატარა ჯიხური გამოჩნდა. გერმანელმა მარჯვედ შერგო თავი ჯიხურში და კარები საიმედოდ გადარაზა შიგნიდან. ბიჭებმა ყველაფერი დაკარგულად ჩათვალეს, როცა დაინახეს, რომ ჯიხურიდან ორმოცდაათიოდე მეტრის დაშორებით, მთავარ შარაგზაზე, შლაგბაუმის გარშემო ორი ავტომატიანი გერმანელი გუშაგი დადიოდა. მზვერავებმა რამდენჯერმე მოქაჩეს ჯიხურის კარი, მაგრამ იგი საიმედოდ იყო გამოკეტილი. ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ბიჭების მთავარი საზრუნავი ახლა ის იყო, რომ თავი როგორმე მშვიდობით დაეღწიათ აქედან, თან რაც შეიძლება მალე.

მალე ალბათ ინათებს, ისინი სხვა მოენის წახვას ვერც კი მოასწრებენ და ხელცარიელები უნდა დაბრუნდნენ ნაწილში.

— აბა ერთი, თოკი მომეცი, — წასჩურჩულა რამინ მახარაშვილმა ერთ-ერთ მზვერავს. გაკვირვებულმა ჯარისკაცმა უხმოდ მიაწოდა ბაწრის მსხვილი გრაგნილი რამინს და ჩურჩულითვე ჰკითხა:

— დროს დაკარგვა აღარ შეიძლება, ძია რამინ! მაინც რა გინდა გააკეთო ამ ბაწრით?

— ახლავე ნახავთ, თქვენ მხოლოდ ფეხზე წამოდგომისას მომეშველეთ! — მაგრამ ვიდრე ბიჭები გაერკვეოდნენ შექმნილ ვითარებაში, რამინმა მათი დახმარების გარეშეც იოლად მოაგვარა ყველაფერი — იგი კარების მხრიდან მიადგა ჯიხურს, ორპირად შემოახვია მას ბაწარი, წვეროები მხრებს ზემოთ გადმოატარა, ჩაიმუხლა ზურგშექცევით და ისე მსუბუქად წამოსწია საკმაოდ მძიმე ჯიხური, თითქოს მუყაოს ცარიელი ყუთი წამოიკიდაო.

დილით ჩვენი მზვერავები ჯიხურში გამომწყვდეული გერმანელი პოლკოვნიკით საკუთარ ნაწილში იყვნენ და თანამებრძოლებს უყვებოდნენ რამინ მახარაშვილის ზღაპრულ გმირობაზე.

რაც შეეხება იმ ამბავს, მამა რომ შვილს ეძებს, ეს თვით სცენარის ავტორს სულიკო ჟღენტს გადახდა თავს. პირველად რომ დაიჭრა, სულიკო

ქალაქ ორჯონიკიძის სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს. მთელი ქვეყანა შეაჯერა დედამისმა და, როგორც იქნა, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატისაგან მიიღო სპეციალური ნებართვა, იმ მძიმე ჟამს შვილის სანახავად ჩასულიყო ორჯონიკიძის ჰოსპიტალში. ამ დროს ორჯონიკიძე თითქმის ფრონტის ხაზზე მდებარეობდა და ქალაქი ხშირად იბომბებოდა. ქუჩებში სიარული საშიში იყო, მაგრამ სულიკოს დედამ საწადელი აისრულა და ჰოსპიტლამდე მიაღწია, თუმცა შვილთან შეხვედრა მაინც არ ეწერა — უკვე გამოჯანმრთელებული სულიკო რამდენიმე დღის წინ გამგზავრებულიყო საკუთარ ნაწილში. ალბათ წარმოიდგენთ, რა დღეში ჩავარდებოდა დედამისი. ცეცხლოვანი კილომეტრები მოიტოვა უკან, ერთხელ მაინც რომ შეევლო მონატრებული შვილისათვის თვალი, მაგრამ ბედი არ ეწია. დედამ უხმოდ გადაიტანა ყოველივე, შვილისათვის წამოღებული სურსათ-სანოვაგე და თბილი წინდები სხვა დაჭრილებს დაურიგა, დიდხანს საუბრობდა, მათი ალერსით გული მოიოხა და საქართველოში დაბრუნდა.

ოდნავ დავასწრებთ მოვლენათა შემდგომ განვითარებას და ვიტყვით, რომ კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ გადამღებმა ჯგუფმა პირველად სწორედ ეს ეპიზოდი გადაიღო.

დასაწყისი, როგორც ყველა რთული პროცესის სათავე, ძნელი და არასასურველი პერიპეტიებით იყო აღსავსე. საკანცელარიო ბიუროკრატიზმზე საფუძვლიანი იერიშის მიტანას ზოგჯერ უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე გადასაღები კინოფილმის მომზადებაზე შემოქმედებითს მუშაობას. რამდენჯერმე დაიწუნეს სცენარი, წინასწარი გაანგარიშებებით ნათელი იყო, რომ გადამღებ ჯგუფს შუა გზამდეც კი არ ეყოფოდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობანი. მაგრამ, საქმე მაინც დაიძრა მკვდარი წერტილიდან და რევაზი და მისი ასისტენტები ენერგიულად შეუდგნენ ფილმზე მუშაობას. ერთ მშვენიერ დღეს გიორგი მახარაშვილმა ეკრანზე პირველი ნაბიჯი გადადგა — შვილის საძებრად გადახვეწილი გლეხკაცი ჰოსპიტალს ესტუმრა ხორაგით დატვირთული.

როცა ეს ეპიზოდი საჩვენებლად კინოსტუდიაში მიიტანეს, სადემონსტრაციო დარბაზში სხვებთან ერთად სტუდიის სასცენარო განყოფილების მაშინდელი რედაქტორი ნოდარ დუმბაძეც ესწრებოდა. სწორედ მან ვერ შეიკავა პირველმა სიცილი, როცა ეკრანზე მისთვის დამახასიათებელი მძიმე ნაბიჯებით მომავალი ხურჯინგადაკიდებული სერგო ზაქარიაძე გამოჩნდა. შემდეგ სიცილი მთელმა დარბაზმა აიტაცა. გულიანად ხარხარებდნენ ისინიც, ვინც პირველ ხანებში საკმაოდ უნდობლად უყურებდნენ

სცენარის ჟანრობრივ თავისებურებებს და ბევრი რამ არაბუნებრივად ეჩვენებოდათ.

ეს იყო გამარჯვება! მაუწყებელი იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკულ ფონზე იბადება ქართველი ადამიანის ახალი სახე.

რევაზ ჩხეიძეს ამის შესახებ განსაკუთრებული აზრი ჰქონდა:

„მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღიდან ოცდაათ წელზე მეტი დრო გავიდა, მაგრამ ომის თემატიკას კვლავ დიდი ადგილი უკავია როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის კინემატოგრაფიაში. ხშირად, ძალიან ხშირად დამწყვეტია გული, რომ ქართულ კინემატოგრაფიაში არც ერთი მნიშვნელოვანი ტილო არ შექმნილა იმის შესახებ, რომ მთელი მსოფლიოსათვის ამ საშინელი განსაცდელის დროს, სხვა ერის შვილებთან ერთად ქართველი კაციც მედგრად იდგა სამკვდრო-სასიცოცხლო ომის მოწინავე ხაზზე; რომ მეოცე საუკუნის ამ უსაშინლეს ტრაგედიაში არ უღალატია მას თავისი ერის მდიდარი ტრადიციისათვის, რომელიც მოქალაქეობრივი იდეალების ერთგულებასა და ინტერნაციონალიზმში გამოიხატებოდა...“

კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ დედაარსი ძალზე უბრალოა — ომში გაწვეული შვილის საძებნელად წასული მოხუცი გლეხი სახლში დაბრუნებას არ მოისურვებს და სხვებთან ერთად ჩადგება სამშობლოს დამცველთა რიგებში.

არც ეს ეპიზოდია შეთხზული. სულიკო ჟღენტის ხანდაზმულ ბიძას, ლევანს ოდნავ შეცვლილი ბიოგრაფია აქვს. ერთადერთი პირმშოს ჯარში გაწვევიდან ერთი თვის თავზე მოხუცი მემანქანე (ნუ დავივიწყებთ, რომ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკები მაშინ ჯავშნის უფლებით სარგებლობდნენ, როგორც წესი, მათ ჯარში არ იწვევდნენ) სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა და ფრონტზე მოხალისედ გაგზავნა ითხოვა. მასავით თმაჭაღარა კომისარმა ლევანის თხოვნა რამდენჯერმე უარყო, მაგრამ მოხუცი მემანქანე მაინც არ თმობდა თავისას. გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ მისი თხოვნა მაინც დააკმაყოფილეს. ლევანი იმ სამხედრო ქვედანაყოფში გაანაწილეს, სადაც მისი შვილი პავლე იბრძოდა, მაგრამ დიდი უბედურება ეწვია ლევანს — ადგილზე ჩასულმა გაიგო, რომ მისი ვაჟიშვილი სამიოდე დღის უკან დაღუპულიყო მტერთან უთანასწორო ბრძოლაში.

მძიმე ტრაგედიამ ვერ შეარყია ქართველი ბერიკაცი, იგი მებრძოლთა რიგებში დარჩა, მამაცურად იბრძოდა, თითქმის მთელი ომი უვნებლად

გაიარა, მაგრამ მასაც უმუხთლა ბედმა — უნგრეთის მიწაზე დაიღუპა გმირულად.

აი, ის ძირითადი წყაროები, საიდანაც გამოიკვეთა ქართველი კაცის შთამბეჭდავი სახე, ჯარისკაცის მამისა და თვითონ გმირი ჯარისკაცის განუმეორებელი სახე.

მაინც რამ გამოიწვია გიორგი მახარაშვილისადმი კინომაყურებელთა ასეთი დიდი სიყვარული?

პასუხი მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: ბრძოლასა და შრომაში გამობრძმედილი საბჭოთა ხალხი ყოველ წამს მზად იყო ჩამდგარიყო სოციალისტური სამშობლოს დამცველთა რიგებში და საკუთარი მკერდით გადაღობებოდა სიკვდილს, ოღონდაც ფაშიზმის უღლისაგან რევოლუციის მონაპოვარი ეხსნა. ჩვენივე მტრების გულწრფელი აღიარებით საბჭოთა მრავალეროვანი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის საფუძველი ჯერ კიდევ სოციალისტური რევოლუციის გარიჟრაჟზე იჭედებოდა და ფოლადის ამ ნაზავს სიმტკიცეს მატებდნენ სწორედ მახარაშვილისთანა მყარი რწმენის ხალხი.

„ჯარისკაცის მამის“ გამოსვლა, კერძოდ კი, მონაწილეობა მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც სერგო ზაქარიაძეს წილად ხვდა პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, ნამდვილი ტრიუმფით აღინიშნა.

„მახარებს ჩემი მეგობრის რევაზ ჩხეიძის გამარჯვება!“ — წერდა გრიგორი ჩუხრაი.

„საიდუმლო უნდა გაგანდოთ: ფილმის ჩვენებისას რამდენჯერმე ავტირდი“, — აღიარებდა ტატიანა სამოილოვა.

„თქვენი ხელოვნება, — მიმართავდა ირაკლი ანდრონიკოვი ფილმის შემქმნელებს, — თამამია, შემართული, ბრწყინვალე, კოლოსალური!“

„ბევრი საბჭოთა ფილმი მინახავს სამამულო ომის თემაზე, — განაცხადა ცნობილმა ფრანგმა კინომსახიობმა მარინა ვლადიმ, — მაგრამ ქართველი კინემატოგრაფისტის მიერ ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმი შედევრია“.

„მინდა მივულოცო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივს, რომელმაც შექმნა ასეთი ამაღელვებელი, სიმართლითა და კეთილშობილებით სავსე ფილმი“, — ვეღარ მალავდა აღტაცებას გამოჩენილი იტალიელი კინორეჟისორი ჯუზეპე დე სანტისი.

და კიდევ რომელი ერთი მოვიტანოთ!

ი. ლუკინის მონოგრაფიაში „მომწიფებული სოციალიზმის მხატვრული ლიტერატურა“ ვკითხულობთ:

„...კომუნისტური იდეოლოგია, პარტიის იდეურ-აღმზრდელობიური მუშაობა მრავალეროვანი საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და აყვავების საწინდარია. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს ის თვალსაჩინო მიღწევები, ის მხატვრული ღირებულებანი, ნაწარმოებები, რომლებიც სრულუფლებიანად ითვლებიან საბჭოთა კლასიკის ნიმუშად. ლიტერატურაში მ. გორკის „კლიმა სამგინის ცხოვრება“, ვ. მაიაკოვსკის „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“, ა. ტოლსტოის „გზანი წამებისანი“, ლ. ლეონოვის „რუსული ტყე“, ა. ტვარდოვსკის „ვასილი ტიორკინი“, მუსიკაში დ. შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია, ა. ხაჩატურიანის „სპარტაკი“, ს. პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“, კინოში ს. ეიზენშტეინის „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, ძმები ვასილიევების „ჩაპაევი“, გ. ჩუხრაის „ბალადა ჯარისკაცზე“, რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“, მ. სარიანის, პ. კორინის, ა. დეინეკის, ბ. იოჰანსონის ტილოები ფერწერაში, ს. კონენკოვის, ნ. ანდრეევის, ვ. მუხინას ქანდაკებები — მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ესა და სხვა ნაწარმოებები სავსებით ღირსეულად შევიდნენ მეოცე საუკუნის მსოფლიო მხატვრული კულტურის ოქროს ფონდში...“

* * *

...ეკრანზე თანდათან, შეუმჩნევლად ჩნდებიან რევაზ ჩხეიძის გმირები. მოდიან დინჯად, ღირსებით. აი, თუნდაც ეს მართლაც ღიმილის ბიჭები, რომლებიც მალე დაამთავრებენ საშუალო სკოლას და დიდი ცხოვრების გზას დაადგებიან. ისინი უკვე ემზადებიან ცხოვრების საგზურის მისაღებად. უფრო სწორად, ემზადებოდნენ დიდი სამამულო ომის დაწყების წინადღეს.

ამ ფილმში საინტერესოდაა გადმოცემული თავგადასავალი მთელი იმ თაობისა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო დავაჟკაცება, ცხოვრების ავ-კარგის შეგრძნება. კინოფილმი „ღიმილის ბიჭები“ ეპიკური ჟანრის ნაწარმოებია და მრავალ შემთხვევაში აგრძელებს ამ ჟანრის საბჭოთა ფილმების სახელოვან ტრადიციას. აქ კიდევ ერთხელ ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ საქართველომ, საბჭოთა კავშირის სხვა ერის წარმომადგენლებთან ერთად, აუნაზღაურებელი მსხვერპლი გაიღო. ომში დაღუპული თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული ახალგაზრდა თაობა ერის გულის სისხლი იყო და იგი დიდი და კეთილშობილური პატრიოტული საქმისათვის დაიღვარა.

„ღიმილის ბიჭები“ რეჟისორს გააზრებული აქვს როგორც უზარმაზარი პანო, სადაც შესაძლებელია ერთი და იგივე ეპიზოდი გამეორდეს, ოღონდ სხვადასხვა ვარიაციებში. ამიტომ, ამ ეპიზოდებს რეჟისორი განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს.

ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად შემოდის ეს ახალგაზრდობა ჩვენს სულიერ სამყაროში. თანდათან იკვეთება ჭაბუკებისა და ქალიშვილების სახეები. ჯერ გაურკვეველი ურთიერთობის გაუცნობიერებელი გრძნობის, გაუბედავი მსჯელობის, ინსტინქტის კვალი არ გამქრალა მათ ცნობიერებაში. ეს საყვარელი ჭაბუკები, რომლებიც დიდად არ გასცილებიან ბავშვობის წლებს, ასაკისა და ცხოვრების გზაჯვარედინზეც დგანან.

რეჟისორი საკსებით სამართლიანად ფიქრობს, რომ კინოეპოპეის შექმნა არ ნიშნავს მხოლოდ ზოგადი გრძნობების, ხასიათისა და ურთიერთობების ჩვენებას. საჭიროა მათი დაკონკრეტება, გაადამიანურება, რათა განზოგადების მთავარი მომენტი, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს ამგვარი ხასიათის ფილმში, ფსიქოლოგიურ საფუძველსა და ცხოვრებისეულ გამართლებას არ იყოს მოკლებული. ფილმში ბუნებრივად შემოდის ოჯახური სიტუაციის ამსახველი სცენა, მეგობრობის თემა, თემურისა და ნათელას ურთიერთობა, რომელსაც ხალისიანი იუმორით ავსებს „ბეთხოვენა“.

ძველი თბილისის კოლორიტული უბნისათვის დამახასიათებელ სიწყნარეს მოსწავლეთა ჟრიამული ავსებს. აი, ბავშვებიც გამოჩნდნენ. ისინი სკოლისაკენ მიიჩქარიან... ჟრიამული საკლასო ოთახში გადაინაცვლებს. ამ კადრებში თითქოს ყველაფერი ნაცნობია: სკოლა, საკლასო ოთახი, მასწავლებელი, მოსწავლეები. ხელოვნების დაუწერელი კანონების თანახმად კი რაიმე, თუნდაც ოდნავ სტანდარტული არ შეიძლება საინტერესო იყოს, მაგრამ აქ იმალება მთავარი რეჟისორული საიდუმლო, რომელიც მაყურებელს აიძულებს თვალმოუშორებლად უცქიროს კადრებს.

რევაზ ჩხეიძემ ერთ, მეტად ♦ნიშვნელოვან ფაქტორზე გადაიტანა ყურადღება. მან კარგად იცოდა, რომ მაყურებელს გულთან ახლოს მიაქვს ყველა ის წვრილმანი, რომელიც საკუთარ სიჭაბუკეს აგონებს. რაც უფრო ემატება ადამიანს წლები, მით უფრო მძაფრი ხდება მასში ეს ემოციური ქარგა. სწორედ ამ ფაქტორზე გააკეთა აქცენტი რევაზ ჩხეიძემ, რამაც საშუალება მისცა სტანდარტული კადრები გაეუშუალებინა და ცხოვრებისეულად მიმზიდველი გაეხადა.

დიდი სამამულო ომის დაწყების წინა წუთებს მაყურებელიც გრძნობს. რევაზ ჩხეიძე ომამდელი პერიოდის მშვიდობიანი ცხოვრების ჩვენებას შე-

მთხვევით როდი უთმობს ესოდენ დიდ ყურადღებას. ასეთ მოწმენდილ ცაზე გავარდნილი მეხი კი არ შეიძლება დამაჯერებელი არ იყოს.

„ღიმილის ბიჭები" იმ ახალგაზრდებს მიეძღვნა, რომლებიც კაცობრიობისათვის ყველაზე სასტიკმა მეორე მსოფლიო ომმა დააშორა სკოლის მერხს. ესენი იყვნენ უწვერულვაშო ახალგაზრდები, რომელთაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ რა არის პირველი სიყვარული და გაცრუებული იმედებით წამოშლილი სევდა. წამიერად შემოემსხვრათ ბიჭებს სიყმაწვილის ბაკანი და მათი ბავშვური ანცობის იარაღი — შურდული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის იარაღად — შაშხანად იქცა.

ბიჭებმა პირნათლად მოიხადეს ვალი. „ღიმილის ბიჭებში" უბრალოდ, ზეღმეტი ფერების გამოუყენებლად არის ნაჩვენები თუ როგორ იწრთობოდა ხასიათი დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში, როგორ ელინდებოდა მაღალი ადამიანური თვისებები, როგორ იჭედებოდა ჯერ კიდევ შორეული გამარჯვება.

მაშ ასე: ყმაწვილები ომში მიეშურებიან და უკვე მათი ფრონტული ცხოვრების პირველსავე დღეს უფროსი თაობის წარმომადგენელთა ყოველდღიური ყოფის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ ეს მხოლოდ თვალის ერთი გადავლებით. ყმაწვილკაცთა ამ სერიოზულ საქციელში მაყურებელმა შეუძლებელია არ შენიშნოს მრავალფეროვანი ცხოვრების მახვილი კუთხეების ნახევრად ბავშვური აღქმა, რომლისგანაც მალე ვერ დააღწევენ თავს. უფრო სწორად, ველარ მოასწრებენ თავის დაღწევას.

დიდი სამამულო ომის დაწყების ამსახველი ფრაგმენტის შემდეგ მაყურებელი მხოლოდ ერთხელ გაიღიმებს — ბარებით შეიარაღებული ახალგაზრდა ჯარისკაცები უკმაყოფილოდ შესჩივიან ზემდეგს, მიწის საბარავად ჩამოგვიყვანეთ თუ საომრადო. ფილმის მეორე ნახევრის სევდიან ფონზე მსუბუქი იუმორით აღსავსე ეს კადრი მეტად დამაჯერებლად არის შერჩეული. მაგრამ ნაღველგარეულია მაყურებელთა ეს ღიმილი, ვინაიდან აშკარად იგრძნობა მოახლოებული უბედურება. ასეთია ომის ულმობელი კანონი.

პირველი ბრძოლა დიდი დავიდარაბისა და საომარი მზადების გარეშე დაიწყო. ეს ნამდვილი ომია, აღმაფრენითა და გმირობით აღსავსე, რომელიც თითქოს ბრძოლის აზარტმა უბოძა ბიჭებს. რაოდენ დიდია სანგარში თავმოყრილი ნაომარი თანაკლასელების სიხარული, როცა დარწმუნდებიან, რომ არავინ გამოკლებიათ. სიკვდილი კი სადღაც ახლოსაა და გაფაციცებით ეძებს საკბილოს. მოძებნა კიდეც — ლევანი სამუდამოდ გაი-

რინდა. ბრმა ტყვია არცთუ ისე ბრმა აღმოჩნდა... ეს იყო ბიჭების პირველი შეხვედრა სიკვდილთან.

ის, რაც შემდეგ ჩნდება ეკრანზე, თითქოს სადღაც გვინახავს. არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე და სცენარისტი სულიკო ჟღენტი ანალოგიური თემის ნოვატორები და პირველწამომწყებნი იყვნენ. მაგრამ ხომ არსებობს რაღაც ნოვატორული ამა თუ იმ თემის საინტერესო გადაწყვეტაში? ომი და ახალგაზრდობა საბჭოთა კინემატოგრაფმა ჯერ კიდევ მაშინ დაუკავშირა ერთმანეთს, როცა მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა. რომელი ერთი კინოფილმი გნებავთ — „ჯარისკაცი ალექსანდრე მატროსოვი", „ახალგაზრდა გვარდია", „მამაცი ადამიანები", „კატიუშა", მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ჟანრობრივ თუ სიუჟეტურ ერთფეროვნებას. აბა, მოდით თვალი გადავავლოთ მსოფლიო ფერწერის ისტორიას. რამდენ გენიალურ მხატვარს შეუქმნია უკვდავი ქმნილება ერთსა და იმავე თემაზე, მაგრამ ბრალს ვერ დავდებთ ერთფეროვნებაში. სიუჟეტის გამეორება თვით ცხოვრებისაგან ნაკარნახევი სინამდვილეა და აქ მთავარი ის არის, რა მიმართულებით, რა სიძლიერით განავითარებს ხელოვანი ფილმის იდეურ და მხატვრულ ქარგას. ხელოვნებაც სწორედ ეს არის!

...კავშირგაბმულობის ხაზი გაწყდა კრიტიკულ მომენტში. მტერი მალე გადამწყვეტ იერიშზე წამოვა, ოცეული კი შტაბს მოწყვეტილია. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი დაიღუპება თუ ხაზი იერიშის დაწყებამდე არ აღდგა. რეჟისორულად სრულყოფილი და დახვეწილია ამ ამაღელვებელი კინოკადრების ფონი, მთავარი ემოციური ქარგა — სიჩუმე, თითოეული ჯარისკაცი და მის თვალში კიდევ ერთხელ გაკიაფებული ბედნიერი წარსულის წამიერი გაელვება.

ოცეულის მეთაურს ბრძანების გაცემა არ დასჭირვებია კავშირგაბმულობის ხაზის აღსადგენად — თითქოს მებრძოლთა თვალებში ამოიკითხა, რომ ყოველი მათგანი მზადაა დავალების შესასრულებლად. დავალების შესრულება კი სიკვდილთან გათამაშების ტოლფასია, რაც ბიჭებმა ჩინებულად იციან.

ფართოდ გაშლილ ველზე წელში მოხრილი მეკავშირე გარბის. მას მტრის ჯვარედინი ცეცხლი მიაცილებს. გამალებული ტრიალებს მავთულდახვეული გორგოლაჭი, რომლის მეორე წვერს მებრძოლი ეზიდება. ეს არის სწორედ ის დრამატურგიულად ნოვატორული მარცვალი, რომლის თაობაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. გორგოლაჭის ეს თავბრუდამხვევი ტრიალი სიცოცხლის ნიშანსვეტია და ამიტომ მივჩერებივართ ასეთი დაძაბულო-

ბით. მოულოდნელად გორგოლაჭი გაჩერდა. ავბედითი სიჩუმე ჩამონვა — ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. არც ამჯერად დასჭირვებია ოცეულის მეთაურს ახალი ბრძანების გაცემა. კვლავ მოკლე გადარბენა ჭურვებით გადათხრილ ველზე, კვლავ ატრიალდა გორგოლაჭი და კვლავ ავბედითად შეჩერდა... ახლა მესამე ჯარისკაცი ამოვარდა სანგრიდან და ზიგზაგებით გადაირბინა მინდორი, მაგრამ ვერც ამჯერად იტრიალა ბედის გორგოლაჭმა დიდხანს, კიდევ ერთი სიცოცხლე შეწყდა მის გაჩერებასთან ერთად. შემდეგ მეოთხე...

ამაღელვებელია ფილმის ეს ეპიზოდი. ფრონტის ერთ-ერთი მონაკვეთის კავშირგაბმულობის ხაზი, რომელზედაც ოცეულის ბედია დამოკიდებული, ახლა განსაკუთრებით გამოირჩევა ფართო მასშტაბურობით, ხოლო ფრონტის ეს უმცირესი მონაკვეთი თითქოს საბჭოთა სამშობლოს ფაშიზმისაგან დაცვის უმთავრეს ფორპოსტად გადაქცეულა.

ფილმს წითელ ზოლად გასდევს ინტერნაციონალური სულისკვეთება. კინორეჟისორმა უაღრესად დამაჯერებლად ასახა ახალგაზრდა ჯარისკაცების პატრიოტული შემართება, მათი მზადყოფნა, მკერდით გადაეფარონ რევოლუციის მონაპოვარს. მათი გმირული თავგანწირვა კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელია საბჭოთა ხალხის მატიანეში.

კინოფილმ „ღიმილის ბიჭების" გმირები ხასიათობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარე, თითქოს სხვადასხვანაირი უნდა იყოს მათი ცხოვრების გზაც. უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის — ომის ქარცეცხლმა მჭიდროდ შეადუღაბა ყმაწვილები ერთმანეთთან და მათი გაყრა მხოლოდ სიკვდილის მსახვრალმა ხელმა შეძლო. ასე დაიღუპნენ ყმანვილები...

დღეს უკვე ძალზე ცოტას ეტირება ომში დაღუპულთა სახელების ხსენებაზე. ულმობელი დრო აყუჩებს დანაკარგის სიმწვავეს, მაგრამ მარადჟამს დაუვიწყარია მათი სახეები, ვინც დაეცა, თუმცა სულიერად არ შედრკა და უკან არ დაიხია სიკვდილთან ჭიდილში.

ღიმილის ბიჭებიდან მხოლოდ „ბოლოკა" გადარჩა ცოცხალი და გამარჯვების სიხარულს ეზიარა. მხოლოდ მას ხვდა წილად იმის ბედნიერება, რომ ცარცის ნატეხით რაიხსტაგის დაცხრილულ სვეტზე სათითაოდ გამოეყვანა დაღუპული თანაკლასელებისა და თანამებრძოლთა სახელები.

ჯარისკაცის მამა გიორგი მახარაშვილი ცხოვრებისაგან გამოწრთობილი ბერმუხაა, მტკიცე მორალური თვისებებისა და მაღალი ზნეობის მატარებელი, შრომაში დაბრძენებული ბერიკაცი. ღიმილის ბიჭები კი გამოუცდელი ახალგაზრდები არიან, ჯერ კიდევ ბავშვები. მათ ცხოვრებისეული

გამოცდილება სრულებით არ გააჩნიათ, ჯერ მხოლოდ დიდი ცხოვრების კარიბჭესთან დგანან. ამის მიუხედავად მათი სულიერი აღმაფრენა, გმირული შემართება და მორალური ძალა ისევე უდრეკი და დაუმორჩილებელია როგორც მრავალჭირნახული ბერიკაციისა.

* * *

...ციცაბო ფერდობზე წამოქცეულ ხეჭეჭურს ოთხი ბერიკაცი დასდგომია თავზე. ასე იწყება რევაზ ჩხეიძის რეჟისურითა და სულიკო ჟღენტის სცენარით შექმნილი ფილმი „ნერგები".

ფესვებამოყრილი მსხლის გარშემო შეკრებილი ბერიკაცები სიცოცხლის ცვალებადობასა და ულმობელობაზე ბაასობენ.

„ — რას იზამ, ლუკა, უკვდავი არც ხე ყოფილა ამ ქვეყანაზე.

— ჩემი ბრალია, ამ ბოლო ხანებში მოვაკელი ხელი. შარშან გაზაფხულს უნდა გადამებელა, მაგრამ ვერ გადავწვდი ყველაფერს.

— ყველაფერს აქვს თავისი ბოლო. ორი საუკუნე მაინც იცოცხლეს ამ ხეებმა. ასე არაა, ლუკა?

— კი, არც ბევრი უკლდათ. აქ ამაზე ადრე ხარობდნენ ხეჭეჭურები, მარა გამხმარან. მერე ესენი ბაბუაჩემ გიორგის დაურგავს მამაჩემის დაბადებამდე.

— აცხონოს ღმერთმა, მადლიანი ხელი ჰქონია.

— აგერ, ცხონებული, ას წელიწადზე მეტია რაც მიწაში წევს და ეს ხეები კი ხარობდნენ და ხარობდნენ! ახლა სადღა ნახავ ხეჭეჭურებს, ჩვენში ისინი კაი ხანია გადაშენდნენ. ასე მგონია, ახლა მოკვდა ბაბუაჩემი გიორგი, უჰ, აქამდე ცოცხლად მიმაჩნდა, აბა, ეჰ..."

რეჟისორის ჩანაფიქრი ხალხურ სიბრძნეს დასტრიალებს თავს: უბრალოს, ძალდაუტანებელსა და ამაღელვებელს.

გონებაში ასეთი თქმულება ამოტივტივდა — პატარა ბავშვი ბაბუას მუხლებზე ჩამოუჯდა, ფუნჩულა თითებით წვერებზე მოუღიტინა და ენის მოჩლექით შეეკითხა:

— შენ ლოდის მოკვდები, ბაბუ?

ბერიკაცი დაფიქრდა, თვალზე თითქოს ცრემლი მოერია, სიყვარულით დახედა თავის შვილიშვილს და მიუგო:

— მე მაშინ მოვკვდები, ბაბუ, როცა შენ მოკვდები!

ამგვარი პასუხით შეშინებული ბავშვი ატირებული გაიქცა დედამისთან და ბაბუას ნათქვამი უამბო. ახალგაზრდა რძალმა მოხუცს უსაყვედურა.

— ნუ გეშინია, შვილო, ბავშვი არ დამიწყევლია, — მიუგო მოხუცმა, — მე სიკვდილად ის კი არ მიმაჩნია, მიწაში რომ ჩავწვები—ადამიანი მხოლოდ მაშინაა მკვდარი, როცა მის სახელს აღარავინ ახსენებს დედამიწის ზურგზე. ვიდრე ჩემი შვილიშვილი ცოცხალი იქნება, ჩემი სახელის ხსენებაც არ მოისპობა და მეც ცოცხალი ვიქნები. მის სიკვდილთან ერთად კი ჩემი სახსენებელიც გაქრება...

გულდასაწყვეტად წამოქცეულ ხეჭეჭურასთან ჩამუხლული მოხუცები სიკვდილის გარდუვალობაზე კი არ წუხან, სიცოცხლეგაცლილი ხეების დანახვა ასევდიანებთ, რაკი გამხმარ ხეჭეჭურებთან ერთად ქრება იმ ხეების დამრგველთა სახელიც.

სწორედ ეს გრძნობა ავალდებულებს ლუკას (მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე) თავისი შვილიშვილის კახაბერის წინაშე — წარმავალმაც ის უნდა დაურგას მომავალს, რაც წინაპარმა მას დაუტოვა.

კინოფილმ „ნერგებში" ორი უკიდურესობა უპირისპირდება ერთმანეთს: მარადისობა და მედღეობა. სწორედ მარადისობის კანონის თავგამოდებულმა, თითქმის ფანატიკურმა მიმდევარმა ლუკამ აიტეხა შვილიშვილ კახასთან ერთად ქვეყნიერების შემოვლა, ოღონდ ზუსტად ასეთივე ხეჭეჭურის ნერგები მოიტანოს და იმავე ფერდობზე გაახაროს, სადაც ახლა გამხმარი ფესვებიღა ჩანს. სწორედ ამ ძნელი მოგზაურობისას მოუწევს ბერიკაცს მედღეეებთან სამჯერ შეხვედრა.

პირველი მედღეე ზურაბ ქაფიანიძის მიერ განსახიერებული მეურმეა, რომელიც ურმის კოფოზე დასკუპებული არხეინად მოღიღინებს სოფლის ორღობეში. ლუკა ბაბუას და მეურმის საუბარი უსიამოვნოდ ბოლოვდება:

— კაცო, ხეჭეჭურების ნერგებისათვის ამ სიშორეზე წაისვლება? ეგერ, აი, რაიონის სანერგეში ფრანგულას ნერგებია, ხეჭეჭურივით თორმეტი წელი კი არ სჭირდება, ორ წელიწადში ნაყოფს იძლევა და დამზადების პუნქტშიც ორ აბაზს იძლევიან კილოში...

მეორე მედღეე სანერგის დირექტორია (მსახიობი—ზურაბ ლაფერაძე).

— არც გვიფიქრია ხეჭეჭურის გამოყვანა, მაგას ათი წელიწადი უნდა. აბა, ხეჭეჭურის გაზრდას და მის მოსხმას ვინ მოუცდის, ყოველ წელიწადს ხილის დამზადების გეგმაა შესასრულებელი.

მესამე მედღეე ძონძროხა მერკანტილისტია, რომელიც მიუხედავად ეკრანზე წამიერი გაელვებისა, საკმაოდ შთამბეჭდავად მოქმედებს მაყურებელზე და თავს ამახსოვრებს. ძონძროხას ნერგის შეძენა სურს, მაგრამ ბერიკაცი ფულს არ გამოართმევს და აჩუქებს. რამდენიმე კადრის შემდეგ

პატარა კახა სადგურის ბაქანზე ბაჯბაჯით მიმავალ ძონძრეხას ღაინ-ხავს, როპელიც ლუკა ბაბუას ნაჩუქარ ნერგს ფესვებით ასფალტზე მიახ-ხიალებს. ბავშვს გულმა ვერ გაუძლო და ხელიდან ნერგი გამოსტაცა.

პირველი მედღევე ვერასოდეს ჩაუხვდება ბერიკაცის ჩანაფიქრს, იმი-ტომ, რომ ხვალინდელ ქათამს დღევანდელ კვერცხს ამჯობინებს. მისი ლუ-კასთან შეჯახება ესაა კონფლიქტი უანგარო და ანგარებიან კაცს შორის.

მეორე მედღევე, მიუხედავად მისი შედარებით მაღალი საზოგადოებ-რივი მდგომარეობისა, ზუსტად ისევე მსჯელობს, როგორც ის მეურმე. ასეთი დირექტორებისათვის მხოლოდ დღევანდელი დღეა უმთავრესი — ოღონდ გეგმა შეასრულოს.

მესამის მოქმედება კი აშკარად მეტყველებს მისი ხასიათის სიყალბე-სა და სიხარბეზე. ასეთი ხალხის ცხოვრების პრინციპი მისივე სუბიექტი-დან გამომდინარეობს, — „ეს ქვეყანა დუმაა, მოთალე და ჭამე".

ასეთ შეჯახებებში გამოვლინდა ფილმის მოქალაქეობრივი პათოსი, მხატვრული ნაწარმოებების ფილოსოფიური განზოგადების ძალა და შე-მეცნებითი მნიშვნელობა, რამაც „ნერგებს" ემოციურობითა და იდეურო-ბით საინტერესო ნაწარმოების ღირებულება მისცა.

„ნერგები" პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ ასე შეაფასა:

„ის, რაც განსაკუთრებით მხიბლავს რევაზ ჩხეიძის შემოქმედებაში, არის რეჟისორის უნარი აქტუალური პრობლემების დაყენებისა. მისი ყო-ველი ნაწარმოები ამ ნიშნით აღინიშნება და სასიამოვნოა, რომ მისი ახა-ლი ფილმი „ნერგები" სწორედ ამ თვალსაზრისითაა უაღრესად საყურად-ღებო.

რეჟისორმა პატარა ქართული სოფლის მკვიდრთა ცხოვრებისეული სინამდვილის ფონზე გაშალა ფილმის ძირითადი პრობლემა. ფილმი გვხიბლავს, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ იგი გამსჭვალულია საოცრად ნათელი სულისკვეთებითა და განწყობილებით, ადამიანზე, მომავალ-ზე ზრუნვის კეთილშობილური აზრით.

დარწმუნებული ვარ, რომ რევაზ ჩხეიძის ახალ ფილმს სიამოვნებით მიიღებს ჩვენი კინომაყურებელი და იგი სათანადო, საპატიო ადგილს დაი-ჭერს ქართული კინოხელოვნების ისტორიაში".

1973 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მთავარი რედაქტორის ოთარ ეგაძის კაბინეტში კინოფილმ „ნერგების" თაობაზე ასეთი საუბარი გაიმართა:

— რით გამოირჩევა რევაზ ჩხეიძის „ნერგები"? — შეეკითხნენ ოთარ ეგაძეს.

— იმით, რომ „ნერგებში" ჩანს რეჟისორის სახე, ბუნება, ხასიათი, მისწრაფება, თანმიმდევრობა, განსჯა-მოქმედება, რისხვა-მოფერება, საკუთარი მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსის დამკვიდრება.

— განა რეჟისორი ფილმში თავის თავს ხატავს?

— დიახ, ხატავს ქვეცნობიერად, მკაფიო ნიჭით, მხატვრული ინტუიციით. ზოგი რეჟისორი შემოქმედებით მარათონზე მსოფლმხედველობით სიმტკიცეს კარგავს, მხატვრული გამოსახვის ფორმის ძალა ელევა და ბრჭყვიალა ეკვილიბრისტიკის ციებ-ცხელებას ეძლევა. ასეთ ფილმებს ხალხის გულის მისამართი ერევა. რევაზ ჩხეიძეს ასეთი რამ არ ემართება, ძველადვე აღიარებულ მიზანს მიჰყვება და მიზანთან მისასვლელ ბილიკებს იმრავლებს. თავის ესთეტიკურ მწვერვალზე მოსახვედრად ხან ჩრდილოეთის მხარის მწვანით აბიბინებულ ფერდობებით ადის, ხან კი მზით გადატრუსული სამხრეთი კალთის ციცაბოებს მიჰყვება. მისი კონტრასტული ბილიკები კოლორიტულად სხვადასხვაა, მაგრამ მხატვრულ-ესთეტიკურად ერთნაირი. აი, რატომ ვამბობთ — რევაზ ჩხეიძე თავის ფილმში თავს კი არ იმეორებს, თავის თავს ამკვიდრებს და ამრავალფეროვნებს.

— სხვას რაღას ამჩნევთ?

— კონტრასტების ხატვის უნარს. კონტრასტულია ბაბუა-შვილიშვილის მოფერება, ზრუნვის ატმოსფერო — დაბერებული ხეჭეჭურების წაქცევა და ნორჩი ნერგების გახარებით სიბერის წაუქცევლობა.

— კონტრასტულობა ხომ თაობათა შორის კონფლიქტის წყაროცაა?

— ამ ფილმში არაა თაობათა შორის კონფლიქტის გამონაჟონიც კი, რაკი არ არსებობს ამის განმაპირობებელი სოციალურ-ზნეობრივი წინამძღვარი, ბაბუა-შვილიშვილი ერთი მიზნით მიაბიჯებს და გზაზე არ ხვდებათ ისეთი შესახვევები, რომლებშიც თითოეული თავისთვის გაუხვევს. თუ მოხდა და მოხუცი გზაში მოკვდება, ყრმა იცოცხლებს და სიჭაბუკე სვლას განაგრძობს. აი, ამიტომ ლულავს მშვიდად თვალს ბაბუა და დაბეჯითებით სჭვრეტს მარადისობას შვილიშვილიც. ფილმის ასეთი ფინალი თაობათა ზნეობრივი ჰარმონიის თავფურცელია, რაკი სიბერემ სიყმაწვილე ჩაიხუტა და ყლორტმა ფესვი არ მოიგლიჯა.

— ხომ არაა უხერხული ტრაგიკულ სცენაში კომიკური ეპიზოდის შეტანა?

— პირიქით, ჭირისუფლის ოჯახში სტუმრისადმი მოკრძალებამ აამაღლა ჩვენებური მასპინძლობის ჩვევა და შეცბუნებული სტუმრის სამძიმრით კიდევ უფრო აამაღლა ადამიანური კეთილშობილება. ეს ეპიზოდი

საოცნებო იქნებოდა უნიჭიერესი ნეორეალისტი რეჟისორისათვის და მიუწვდომელიც.

— გინდათ თქვათ, რომ „ნერგებს" ყველა მიიღებს?

მინდა ვთქვა, რომ ყველა გულში ჩაირგავს „თუ გული გულობს", კეთილ ადამიანებს კი გულიც ერთნაირი აქვთ, მათ შორის ამ ფილმს გაუცნობელ ამერიკელებსაც, საქართველოში ავტობუსით რომ მოგზაურობდნენ. აი, მათ კლასობრივ ქვეყანას კი მართლაც აწუხებს სიბერე-სიჭაბუკის ურთიერთმორიგეობის მოურიგებლობა, მაგრამ ასეთ ზნეობრივ ვირუსს მათივე სოციალურ-საზოგადოებრივი მოუგვარებლობა აჩენს.

— რა სახელწოდებას მისცემდით ამ ფილმს?

— მხოლოდ იმას, რაც ავტორებმა მისცეს, რადგან მათი ეპიკური ნოველა სიბერე-სიჭაბუკის განუყრელობასა და ერთიანობას ქადაგებს, ოპტიმიზმის სევდას ან სევდის ოპტიმიზმს უმღერის.

ყოველივე ეს დღეისათვის წარსულია, ქართული კინოს კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი...

* * *

1978 წლის გვიანი შემოდგომა ქობულეთში გავატარე, სადაც ერთ-ერთი რესპუბლიკური გაზეთის დავალებით ვმუშაობდი. საღამოთი, ზღვის სანაპიროზე სეირნობისას ბავშვობის მეგობარს გადავაწყდი. ძველი ამბებიც გავიხსენეთ და ახალსაც გადავწვდით. სხვათა შორის ისიც ვუთხარი, რევაზ ჩხეიძეზე წიგნსა ვწერ-მეთქი.

— რას მეუბნები! — გაუხარდა მეგობარს, — მაშინ ისიც გეცოდინება, რომ რევაზ ჩხეიძე ახლა ქობულეთში იმყოფება.

წამსვე დავფაცურდი და მისამართი დავადგინე.

სანატორიუმ „საქართველოში" რევაზ ჩხეიძესთან მაშინ მივედი, როცა იგი გაცხარებული მუშაობდა შემოქმედებითს ჯგუფთან ერთად.

გვერდებჩანიშნული და გადაშლილი წიგნები მაგიდაზე რომ ველარ დატეულიყო, სკამებზე გადაეფინათ. სულიკო ჟღენტი და რევაზ ჩხეიძე ორსერიიანი კინოფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ" სცენარზე მუშაობას ამთავრებდნენ.

კინოფილმის სცენარის პირველმა ვარიანტმა რამდენადმე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. საბჭოთა პარტიული მუშაკი ჩვენი საზოგადოების ნებისმიერ ეტაპზე გამოირჩეოდა თავისი პატიოსნებით, ამოუწურავი ენერგიით, დაუღალავი შრომისმოყვარეობითა და ვაჟკაცური შემართებით. რომ არაფერი ვთქვათ მდიდარ წარსულსა და პერსპექტიულ მომავალზე,

თანამედროვე პარტიულ მუშაკს ხშირად უხდება მასშტაბური პრობლემების გადაჭრა, გაბედული გადაწყვეტილებების მიღება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა ცხოვრებითაა ნაკარნახევი. მისი ძირითადი სასიცოცხლო მოწოდებაა დაუდგრომელი და თავდაუზოგავი ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია გმირულ ბრძოლებსა და შრომაშია ნაწრთობი; საბჭოთა ადამიანების მარჯვენით გატეხილმა ყამირმა და პროგრესული, ნათელი გონებით ათვისებულმა კოსმოსმა გიგანტური ძალა შემატეს მის ისედაც უშრეტ ენერგიას. საბჭოეთის ისტორიის ამ მდიდარ ფურცლებზე მკაფიოდაა ასახული ჩვენი მრავალეროვანი ხალხის მდიდარი შრომითი ტრადიციები და მაღალპატრიოტული სულისკვეთება, იდეურ-მორალური სიმტკიცე და განუმეორებელი ჰუმანიზმი...

ზღაპრულ შთაბეჭდილებას ტოვებს ის გიგანტური სინამდვილე, რომელსაც ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის უმამაცესი და უკეთილშობილესი ადამიანები ქმნიდნენ.

კომუნისტი სერგეი ლაზო ისე ჩაიფერფლა ორთქლმავლის ღუმელში, არც დაუკვნესია.

კომუნისტი ნიკოლოზ გასტელო თავისი თვითმფრინავიანად უყოყმანოდ ვარდება მტრის რიგებში და დამცინავად ჩაშტერებია სიკვდილს თვალებში.

კომუნისტი ალექსეი მერესიევი ერთი წამითაც არ ურიგდება ბედისა თუ უბედობის საშინელ ირონიას და ორივე ფეხმოკვეთილი თავის საბრძოლო თვითმფრინავს უბრუნდება.

კომუნისტი იური გაგარინი კოსმოსში გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრე მშვიდ ძილს ეძლევა ექიმების მითითებით და სრულიადაც არ უკრთის შეუცნობი სამყაროს მოულოდნელობებს.

აი როგორი უდრეკი ნების ხალხი არიან კომუნისტები. მათ არ იციან, რა არის დაღლა, შიში, სიცივე, შიმშილი, ავადმყოფობა, უკანდახევა, დათმობა. მთავარია კომუნისტს ფეხზე დგომა შეეძლოს, იგი კვლავ თავდავიწყებით გადაეშვება ბრძოლის ქარტეხილში ისე, როგორც ამას პავკა კორჩაგინი აკეთებდა.

მართლაც რომ დიდებული ტრადიციაა, ქედმოუხრელთა დინასტიის ცხოვრების მარად უცვლელი კრედო, მათი შრომითი და საბრძოლო გმირობის უკვდავი მატიანე.

მაგრამ საბჭოთა კომუნისტთა ამ გმირულ შემართებას, არნახულ სი-

მამაცესა და თავდავიწყებას თითქმის განუყრელად თან ახლავს უაღრესად ფაქიზი ადამიანური სული, სოციალისტური საზოგადოების თითოეულ წევრზე მშობლიური მზრუნველობის სითბო, ხალხთან სულიერი სიახლოვისა და ურთიერთობის განსაცვიფრებელი უნარი. დღევანდელი საბჭოთა საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია შეიქმნას ზუსტად ამგვარი გმირი, რომელიც მისაბაძი გახდება ყველასათვის, რომლის სულიერი ძალა და ცხოვრების მიზანი, უშრეტი ენერგია და უმწიკვლოება ბედნიერებას მოუტანს როგორც მის თანამედროვეებს, ასევე მომავალ თაობასაც.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფის უმთავრესი ამოცანაა, რომ ასეთი რთული და მრავალფეროვანი გმირი სრულიად სადად და უბრალოდ დახატოს.

— ჩვენი კომუნისტი თავისი მორალური სიწმინდითა და მოქალაქეობრივი მრწამსით ხალხურ პოზიციებზე დგას, ამავე დროს, იგი ჩვეულებრივი რიგითი საბჭოთა მშრომელი ადამიანია, — მითხრა საუბრის დასასრულს რევაზ ჩხეიძემ.

რევაზ ჩხეიძის ახალი მხატვრული ტილო მარტო ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშს არ წარმოადგენს. ამის დასტურად უნდა მოვიშველიოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ამხანაგ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე: ამოუწურავია ადამიანზე სულიერ ღირებულებათა იდეოლოგიური ზემოქმედების ძალა. აბა რა ლექციები, მოხსენებები, დისპუტები, სიმპოზიუმები შეცვლის, ვთქვათ, გიორგი თორელის, ახალი ტიპის პარტიის რაიკომის მდივნის კინოსახის იდეოლოგიურ ეფექტს?! ანდა ჭეშმარიტად ხალხურად ქცეული კომუნისტებისადმი მიძღვნილი ლექსისას? ანდა რუს ხალხთან მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსად დაწერილი რომანისას?! ანდა კომუნისტ ბაჩანა რამიშვილის მიერ აღმოჩენილი ზნეობრივი ყოფიერების მარადიული კანონი?! აქ საქმე სულაც არ ეხება პარტიული პროპაგანდის სისტემასა და ხელოვნების სფეროში ადამიანთა გულსა და გონებაზე ზემოქმედების საშუალებათა დაპირისპირებას. პროპაგანდას მეტი საშუალება აქვს იმისა, რომ იგივე იდეები მასების კუთვნილებად აქციოს მხატვრული სახეების მეშვეობით, დადებითი ემოციური ძალით და დიდი ხნით".

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის" სამხატვრო საბჭოს გა-

ოციანი წლების საზოგადო მოღვაწეები და ჟურნალისტები: პირველ რიგში სხედან (მარცხნიდან) ვ. წერეთელი (ექიმი) თ ჩუსკოვაძე, ი. ფანცხავა დავით კლდიაშვილი. ი. ჭყონია. ა. გარსევანიშვილი. ი კვიცარიძე. მეორე რიგში: ი თომაშვილი ოყროშიძე, ს გერსამია. ი გაბელია ვ. ბერიძე. მ. გავაშელი, შალვა დადიანი ნ. ლორთქიფანიძე. ვ. გაფრინდაშვილი კოლაუ ნადირაძე სერგო კლდიაშვილი ა. ცირეკიძე, ალ. ჭირაქაძე, დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე)

სხედან: დია ჩიანელი, მიხეილ ჯავახიშვილი და ნ. ძაძამია მეორე რიგში:
კოლაუ ნადირაძე და შაპრუტ ჩარკვიანი

ადრეული სიკაბუკის წლები. რევაზ ჩხეიძე, ამჟამად ისტორიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, პროფესორი გრიგოლ მარგიანი და კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე

კადრი დოკუმენტური ფილმიდან „ჩვენი სასახლე“

კადრი დოკუმენტური ფილმიდან „ჩვენი სასახლე“

კადრი ფილმიდან „მაგდანას ლურჯა“

კადრი ფილმიდან „მაგდანას ლურჯა“



კადრი ფილმიდან „ჩვენი ეზო“

კადრი ფილმიდან „ჩვენი ეზო“

კადრი ფილმიდან „განძი“

კადრი ფილმიდან „მაია წყნეთელი“



კადრი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“

კადრი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“

კადრი ფილმიდან „ბარიკადების მამა“

კადრი ფილმიდან „ზღვის ბილიკი“

კადრი ფილმიდან „ღიმილის ბიჭები“



კადრი ფილმიდან „ლიმილის ბიჭები“

კადრი ფილმიდან „ლიმილის ბიჭები“



კადრი ფილმიდან „ხერგები“

BUCBIGC

დრამატურგი გიორგი მდივანი, კინორეჟისორები მარლენ ხუციევი და რევაზ ჩხეიძე მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე

დრამატურგ კარლო გოგოძის საიუბილეო საღამოზე



1971 წელს თბილისში I ყაისის დემონსტრაციაზე

დრამატურგი გიორგი მდივანი და კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე სტუმრად საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივან მიხეილ გიორგაძესთან



1966 წელი. თბილისი. დრამატურგი კარლო გოგოძე, ეორეკ სადული და
რევაზ ჩხეიძე

ერთიანებულ სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ 1978 წლის პროდუქციის განხილვას „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე, ამხანაგმა ე. შევარდნაძემ თქვა:

„...მე არ შემიძლია არ მივესალმო ჩვენი კინოსტუდიის წამოწყებას, ამხანაგ რევაზ ჩხეიძის წამოწყებას, რომელსაც სურს შექმნას კინოსურათი, დრამატურგ სულიკო ჟღენტის სცენარის მიხედვით, პარტიის რაიკომის მდივანზე.

ამ ამხანაგებმა გადასდეს ძალიან მიმზიდველი და საინტერესო თემა, როგორიც არის უკვდავი ესპანელი მწერლის სერვანტესის „დონ კიხოტი“. უაღრესად რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო, არავინ არ იცის რა მოხდება ხვალ ესპანეთში. შეიძლება დაიკარგოს კიდეც ეს მეტად საინტერესო სამუშაო. მათ კი გადასდეს ამ ფილმის გადაღება და დღის წესრიგში დააყენეს ამოცანა — გადაიღონ ფილმი რაიკომის მდივანზე...“

ეს ორი, უაღრესად ობიექტური შეფასება ნიშანდობლივს ხდის ქართველი დრამატურგისა და კინორეჟისორის მისწრაფებას ჩვენს ქვეყანაში ამ თემებზე შექმნილ კინოფილმთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაეკავა ჩვენს მამულიშვილს, რომელიც ერთნაირი მზრუნველობით ეკიდება პარტიულ, სამეურნეო თუ საზოგადოებრივ საქმეს.

კომუნისტის მართლაც რომ იდეალური სახე გვიჩვენა თავის ცნობილ ლექსში „აი, ასეთი მწამს კომუნისტი“, ქართველმა პოეტმა, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა შოთა ნიშნიანიძემ:

უბრალო კეპი... უბრალო პალტო...
შიმშილი... ომი... დრო რთულზე რთული...
ის გადიოდა კრემლიდან მარტო
და ბავშვებისთვის გაპქონდა პური.
მისი სახელი ხალხში ამზეედა
იცხოვრა, მოკვდა
ხალხის გულისთვის:
აი ასეთი,
სწორედ ასეთი,
მხოლოდ ასეთი
მწამს კომუნისტი!
...რომ კომუნისტის
სახელი გერქვას,
ყველა როდი ვართ ღირსი.
დაფერილია ეს სიტყვა ყველგან

სისხლით, გმირული სისხლით.
მაშ გაუფრთხილდი მაგ
ნითელ მანდატს —
მზისა და დროშის
პანია ნაჭერს,
არ დაგავიწყდეს: შენ
საჭეს მართავ,
ლეგენდარული კომუნის
საჭეს!..

კომუნისტები უპირველესი არიან იქ, სადაც გაჭირვებაა. ისინი არასოდეს არ უმტყუნებენ საკუთარ პრინციპებს, არწივებად დაბადებულნი მიწაზე ვერ იჩოჩიალებენ. აი ვინ არიან კომუნისტები!

იცვლებიან საზოგადოებრივი ურთიერთობანი. მრავალი ანტაგონისტური წინააღმდეგობა წარიხოცა სოციალისტური სახელმწიფოს გარიჟრაჟიდან განვითარებული სოციალიზმის ეპოქამდე. ესეც ცვლილებაა. გარდაიქმნა საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის სულიერი სტრუქტურა, მისი იდეური თუ ზნეობრივი წყობა. არსებითი ცვლილება განიცადეს წარმოებითმა ურთიერთობებმა და საწარმოო ძალების განვითარების მახასიათებლებმა. უცვლელი დარჩა მხოლოდ ერთი რამ — იმ პარტიული უჯრედის თავკაცი, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტი ჰქვია.

სხვაგვარად შეუძლებელიცაა. პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნის პიროვნული არსი, მისი შემოქმედებითი პოტენციალი, იდეურ-პოლიტიკური სიღრმე და მორალურ-ზნეობრივი იერსახე სხვა არა არის რა, თუ არა საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს თვალუწვდენელი შენობის საძირკველში ჩატანებული დუღაბის ნაწილი.

რაიკომის მდივანი!

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ეს-ესაა გადაიქუხა. დამთავრდა სამოქალაქო ომიც, მაგრამ კულაკებმა და სხვა სახის კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა ზედიზედ მოაწყეს რამდენიმე საბოტაჟი. რაიონულ და საუწყებო პარტიულ უჯრედებს მეტად რთული ამოცანები აქვთ გადასაჭრელი — გუშინ იარაღშემართულები დღეს მშვიდობიანი ცხოვრების ქარცეცხლში უნდა გაუძღვნენ მშრომელ ხალხს, რომელმაც უსიტყვოდ ირწმუნა კომუნისტთა დაპირება და საბოლოოდ შეიძულა მოსახლეობის ის ფენა, რომელიც ყოველნაირად უშლის ხელს ყამირის გატეხვაში. პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნები დღედაღამ მუშაობენ, თითქმის ყველა მოვლენათა ცენტრში იმყოფებიან. ერთ-ერთი მათგანია

მიხეილ შოლოხოვის რაიკომის მდივანი ივან ნესტერენკო, რომელიც გაჭირვების ჟამს ჩავიდა დონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან სემიონ დავიდოვთან, საქმიანი საუბრის შემდეგ მეგობრულად შეეჭიდა მას და როცა ბალტიისპირელი მეზღვაურის მძლავრ მკერდს წააწყდა, ჭიდაობაში დამარცხებულს ბოლმა კი არ მოერია, სწორად შეაფასა მისი მეტოქე და კოხტა „ბრაუნინგით“ დაასაჩუქრა იგი. არავითარი მოშურნეობა და ავმეხსიერება...

აი, როგორი უნდა იყოს რაიკომის მდივანი!

ერთხელ ქართული საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანს, მრავალი ჯილდოს კავალერს, ამჟამად პენსიონერ, ზესტაფონის მკვიდრს გიორგი ბრეგვაძეს დავემგზავრე მატარებელში. აი რა მომითხრო მან:

„სამამულო ომში მძიმედ დავიჭერი — მარჯვენა დავკარგე. დემობილიზაციის შემდეგ ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ამირჩიეს. ვარლამ წვერავა იყო მაშინ ზესტაფონის პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი, მე კი რაიკომის ბიუროს წევრი. თანაც რაიონში სურსათის განაწილების საქმე მებარა. მახსოვს, ერთხელ მე და ვარლამ წვერავა მის კაბინეტში ვსხედვართ და ხვნა-თესვის მოახლოებული კამპანიის ავ-კარგზე ვსაუბრობთ. ამ დროს პირადი მდივანი შემოვიდა და ვარლამს მოახსენა: ვიღაც ქალია მოსული და თქვენთან შემოსვლას თხოულობსო. შავებში ჩაცმულ ქალს შვიდიოდე წლის ბავშვი შემოჰყვა. სიცივისაგან დიდსაც და პატარასაც ხელები გალურჯებოდათ.

— რა გნებავთ, დეიდა. საიდან ბრძანდებით? — ჰკითხა ვარლამმა.

— დილიკაურიდან ვარ, შვილო, კუპატაძის ქვრივი. ქმარი ომში დამეღუპა. შვილიც იქაა, მაგრამ აგერ უკვე ექვსი თვეა მისგან არავითარი ცნობა არ მომსვლია. არავითარი დახმარება არ მიმიღია, დამემშა შვილიშვილები, — მოხუცმა ქალმა თავი ველარ შეიკავა და მწარედ ატირდა. უხმოდ ქვითინებდა, ღაწვებზე ცრემლი დასდიოდა საცოდავს.

ვარლამი ადგილიდან წამოდგა, ქალს მხარზე ხელი დაადო და მზრუნველად უთხრა:

— დამშვიდდი, დეიდა. რაც კი შემიძლია, ყველაფრით დაგეხმარები. აგერ, წერილს გაგატანთ სასურსათო საწყობის გამგესთან, — ვარლამმა რამდენიმე სიტყვა წააწერა თავის სასურსათო ტალონს და ქალს გადასცა, რომელიც ლოცვა-კურთხევით და მადლობის თქმით გავიდა ოთახიდან. ვარლამ წვერავა მე მომიბრუნდა.

— სწორად გამიგე, გიორგი! — მითხრა მან და სიგარეტს მოუკიდა, — სხვა საშუალება არ მქონდა და პირადად ჩემი ოჯახისათვის განკუთვნილი

სანოვაგე გავატანე. ვინ იცის როგორ უჭირს. ალბათ ჩემი ჯალაბიც მშიერი ზის სახლში. ერთი დღის საკმარი სურსათი მასესხე თუ საამისო საშუალება გაგაჩნია და როგორც კი საშუალება გამიჩნდება, წამსვე დაგიბრუნებ.

ასეთი საოცარი ადამიანი იყო...“

აი როგორი უნდა იყოს რაიკომის მდივანი!

ყოველივე კეთილშობილური ადამიანის რწმენის ნაყოფია. დღეს არავინ უწყის, როდის ჩაისახა რწმენა ადამიანის შეგნებაში. ეს ალბათ იმ მოვლენას უნდა დავუკავშიროთ, როცა შეიქმნა საზოგადოება და ადამიანს მოყვასის საპირისპიროდ მტერი გაუჩნდა. აი კაცობრიობის განვითარების სამი ძირითადი საყრდენი წერტილი: საზოგადოება, ადამიანი, რწმენა. საკმარისია ამ სამ განზომილებას შორის რაიმე ბალანსი დაირღვეს და რწმენადაკარგული ადამიანი სრულიად უსარგებლო ტვირთი გახდება საზოგადოებისათვის, შეიძლება მტრადაც კი მოეკიდოს მას.

მაგალითი? რამდენიც გნებავთ!

წარმოიდგინეთ მღვდელი, რომელიც დღენიადაგ ქადაგებს: დიდი მარხვა შეინახეთო, თვითონ კი დამშეული მგელივით ნთქავს ხორცეულს. ან როგორი დასანახ-მოსასმენი იქნება ტრიბუნაზე შემდგარი პირში სიგარეტგაჩრილი ლექტორი, რომელიც აუდიტორიას ნიკოტინის მავნებლობაზე ეჩიჩინება.

ასეთი ფაქტიც კი შეიმჩნეოდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, მაშინ, როცა წყალი სათავეში აიმღვრა. ანგარებამ იძალა, ოცდაათმა ვერცხლმა კიდევ ერთხელ დაუბრმავა თვალები იუდას და მაშინ ბევრმა პარტიულმა მუშაკმაც ულალატა თავის მრწამსს. ბევრი კი, მიუხედავად მრავალგვარი წინააღმდეგობებისა და თითქმის ადმინისტრაციული ძალდატანებისა, მთელი თავისი არსით ებრძოდა სიბილწეს, მიუხედავად იმისა, რომ იმ ძნელბედობის ჟამს სწორედ ასეთი პრინციპულობისათვის მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი ბეწვზე ეკიდა.

აი, როგორი უნდა იყოს რაიკომის მდივანი!

ასეთი ფაქტიც მომხდარა.

ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონის პარტიის რაიკომის მდივანმა რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი განცხადებებითა და ეკონომიკური გაანგარიშებებით შეაჯერა. რაიონის ყველა სოფელს არ ჰქონია განათება, სამანქანო გზა და ბევრი სხვა ცხოვრებისეული სიკეთე, რომელიც დღეს უბრალო, საარსებო მინიმუმად ითვლება. ხალხი მოკლებული იყო გართობის ყოველგვარ საშუალებებს, ბავშვებს უჭირდათ სკო-

ლაში სიარული. კავშირგაბმულობის უქონლობის გამო შეუძლებელი იყო ავადმყოფთათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ხოლო მომლოგინეებს, ისე როგორც წინა საუკუნეებში, ბებიაქალები დასტრიალებდნენ თავს.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყურად იღო მოსახლეობის ასეთი გასაჭირი და სათანადო დახმარების აღმოჩენა აღუთქვა რაიკომის მდივანს.

სიტყვას მალე საქმე მოჰყვა — ჯერ კაპიტალურად ნაშენები სამანქანო გზები შევიდა ექსპლოატაციაში, შემდეგ მაღალი ძაბვის სადენები გაიჭიმა მაღალმთიან სოფლებში. მალე ტელევიზორების ცისფერი ეკრანები აციაფდნენ, სისტემატური გახდა კინოსეანსების ჩატარება სოფლებში, აშენდა საავადმყოფოები, სამშობიარო სახლები, სკოლები...

ერთი სიტყვით, იგრძნო ხალხმა ახალი ადამიანის მოსვლა, იმედი მიეცათ, მადლიერების უდიდესი გრძნობით განიმსჭვალნენ რაიკომის პირველი მდივნის მიმართ.

აი, როგორი უნდა იყოს რაიკომის მდივანი!

როცა ამ წიგნისათვის მასალებს ვაგროვებდი, ჩემს ნაცნობ-უცნობ, პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო დარგის მუშაკებს ჩამოვუარე და ყველას ერთნაირი კითხვა დავუსვი:

მაინც როგორი უნდა იყოს რაიკომის მდივანი?

პასუხად 31 „უნდა" მივიღე, საქმიანი, ლამაზი, აუცილებელი და შთამაგონებელი, რომელიც წითელ ხაზად გასდევს რაიკომის მდივნის პიროვნებას. აი ისინი:

რაიკომის მდივანი:

მისთვის არ უნდა არსებობდეს მცირე და დიდი საქმე, მცირე და დიდი ობიექტი ან სუბიექტი. რაიმე საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტისას.

უნდა იყოს ობიექტური ნებისმიერი ფაქტის, სუბიექტის თუ მთელი ორგანიზაციის შეფასებისას.

უნდა იყოს სამაგალითო შრომისმოყვარე.

ნორმალურად უნდა გააჩნდეს შეზავებული როგორც მბრძანებლობის, ასევე დამორჩილების უნარი.

მაქსიმალურად უნდა ფლობდეს საკუთარ თავს, ჰქონდეს დახვეწილ ემოციები და არ გამოვიდეს მოთმინებიდან.

უნდა გაუფრთხილდეს ავტორიტეტს, მაგრამ პირადს კი არა, რაიკომის მდივნის ავტორიტეტს. (რა თქმა უნდა, პირადსაც გაფრთხილება სჭირდება, მაგრამ კარგია თუ იგი თვითმიზანი არ გახდება).

პარტიული მუშაობის ალღო სინქრონულად უნდა იყოს შეფარდებული

სამეურნეო ხელმძღვანელის ცოდნასთან, მხოლოდ ცოდნასთან, რადგან რაიკომის მდივნად ზოგჯერ ირჩევენ ახალგაზრდა, გამოუცდელ მუშაკს.

უცხო არ უნდა იყოს მისთვის არავითარი ცხოვრებისეული. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირად ფიზიკურ ძალას, ჯანმრთელობას. თუ საჭირო გახდება, სასმელსაც არ უნდა მოერიდოს.

რაიკომის მდივნად არჩევის შემდეგ ჩვეულებრივ ურთიერთობაში უნდა დარჩეს თავის ძველ მეგობრებთან.

შრომითი ცხოვრების გზა უნდა გაიაროს და მეტი გაჭირვებაც იწვნიოს, ვიდრე სხვა პიროვნებამ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ბევრ ადამიანსა და სიტუაციას ვერ გაუგებს.

კარგად უნდა იცნობდეს ან გაეცნოს იმ კუთხეს, სადაც იგი მოღვაწეობს. ეს მის ავტორიტეტს გაამაგრებს, რადგან მშობლიური სოფლის ისტორიის დეტალური შესწავლა ჩამოსული კაცისაგან ხალხის დაუფარავ სიმპათიებს იწვევს მისდამი.

აუცილებლად უნდა ჰყავდეს თავისი ოჯახი, და თუ იგი უცოლშვილოა, აუცილებლად უნდა იცოდეს ოჯახის ყადრი.

არამც და არამც არ უნდა მოასვიოს სხვას საკუთარი აზრი, მას უნდა შეეძლოს მასების დარწმუნება და მათი გაძღოლა.

ღრმად უნდა ერკვეოდეს ცხოვრების სხვადასხვა საკითხში. ამიტომ დახმარებისათვის ხშირად უნდა მიმართოს სპეციალისტებს.

უნდა შესწევდეს იმის უნარი, რომ მრავალი მიმდინარე საკითხიდან ამოირჩიოს მთავარი, დაალაგოს ისინი მნიშვნელობის მიხედვით და ამის შემდეგ გადაჭრას საკითხები.

უნდა ჰქონდეს თავისი შეცდომის აღიარების უნარი, არ უშინდებოდეს თვითკრიტიკის სიმწარეს.

ყოველთვის უნდა იყოს მობილური, უბრალო, მაგრამ მაინც გამოირჩეოდეს სხვებისაგან.

ხალხის მასებზე ზემოქმედებისათვის უნდა გააჩნდეს პირადი მაგალითის ძალა, მაგრამ ყოველგვარი ამბიციის გარეშე.

უნდა იყოს გამბედავი ზოგიერთი საჭოჭმანო საკითხის გადაჭრისას, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ბრმა რისკი. რაიკომის მდივანს, ისევე როგორც მენაღმეს, არა აქვს შეცდომის უფლება.

უნდა იყოს ოპერატიული, პუნქტუალური და სიტყვის კაცი.

უნდა იყოს თანამგრძნობი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, კომუნიკაბელური, კეთილგანწყობილი, სალმიანი, ყურადღებიანი და დაკვირვებული.

უნდა შეეძლოს მოვლენათა სწორი აღქმა. მხედველობის არედან არ უნდა გამორჩეს თვით უმნიშვნელო დეტალიც კი, და რაც მთავარია, რაიკომის მდივანს არა აქვს უფლება გადაუხვიოს მის მიერ დასახულ გზას.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს ყოველგვარ იდეოლოგიურ კომპრომისზე, თუნდაც პირადადაც რომ დაზარალდეს მისი პრინციპულობის შედეგებისაგან.

უნდა იყოს განათლებული ადამიანი.

უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის განუსაზღვრელი გრძნობა, რადგან სულ უფრო მეტი დემოკრატიზაციის პროცესში, რაც თან ახლავს განვითარებული სოციალიზმის ეპოქას, რთულდება სოციალური წინააღმდეგობები და მასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრის გზები.

უნდა ცხოვრობდეს იმ ხალხის ცხოვრებით, რომელთანაც იგი მუშაობს, უხაროდეს და სწყინდეს მათთან ერთად, მათი პოზიციებიდან უნდა ებრძოდეს მავნე და დრომოჭმულ ტრადიციებს.

ერთნაირი უნდა იყოს მდივნის სავარძელში და წვეულების სუფრასთან.

ერთი სიტყვით, რაიკომის მდივანს უნდა გააჩნდეს ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელი კეთილი თვისებები, ამდენად, ადამიანს ადვილ საქმედ მოეჩვენება ასეთი პარტიული მუშაკის იდეალური ვარიანტის შემუშავება, მაგრამ მარტივი ხასიათების სინთეზი საბოლოო ჯამში, მეტად რთულ კვანძად გვევლინება.

სწორედ ამ ამოცანას გაართვა თავი „კინოსტუდია „ქართული ფილმის" შემოქმედებითმა ჯგუფმა კინოფილმში „მშობლიურო ჩემო მიწავ". ამის დასტურად თბილისის ერთ-ერთი რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის სიტყვები უნდა მოვიშველიო, რომელიც მან ფილმის დემოსტრირების შემდეგ მითხრა:

— კინოფილმი „მშობლიურო ჩემო მიწავ" რომ ვნახე, საკუთარი აზრი ჩაშომიყალიბდა. მართალია, რაიკომის მდივნის ფუნქციებში ადრეც კარგად ვერკვეოდი, მაგრამ ამ ფილმმა ბევრი ისეთი რამ აღმომაჩენინა საკუთარ თავში, რომელსაც ადრე არც კი ვაკვირდებოდი...

რამდენიმე ხნის წინათ გამოჩენილ ქართველ კინორეჟისორებს რევაზ ჩხეიძესა და თენგიზ აბულაძეს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭათ. არაოფიციალურ მილოცვას ჩვეულებრივ ოფიციალური ინტერვიუ მოჰყვა, სადაც მრავალი საინტერესო რამ ითქვა ქართულ კინოსთან დაკავშირებულ საჭირბოროტო საკითხებზე. უდავოა ის დიდი აღმავლობა, რაც ბოლო წლებში ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფმა განიცა-

და. ხელოვნების მუშაკთა თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი ესაა არსებითი წვლილი სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

— ჩვენი დარგის მუშაკებს, — თქვა რევაზ ჩხეიძემ, — ღრმად აქვთ შეგნებული საბჭოთა კინოხელოვნების განუსაზღვრელი როლი თანამედროვეთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში და თავიანთ უპირველეს მოვალეობად იმ ემოციურად ძლიერი მხატვრული ტილოების შექმნა მიაჩნიათ, რომლებიც მასშტაბურად მაღალ შემოქმედებითს დონეზე დააყენებენ ხალხის ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს. ეს ამოცანები ახალ კონკრეტულ შინაარსს და მნიშვნელობას იძენს „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე.

რევაზ ჩხეიძემ საქმით უპასუხა ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს.

თვით კინოფილმის დასაწყისი ალეგორიული და მრავლისმთქმელია — მუშების ჯგუფს ჩირგვებში გახლართული დაჭრილი არწივი ჩაუგდია ხელში და მილიციაში მიჰყავს. მართლაც, რა ესაქმება არწივს მილიციაში, იგი ცაში საფრენად გაუჩენია ღმერთს და დიდი საცოდაობა იქნებოდა მისთვის მიწაზე სიარული დაგვეწყებინებინა. ღმერთს ღმერთისა, კეისარს კეისრისა!

აი რას სწერს ამ ეპიზოდის თაობაზე გაზეთ „თბილისის" ფურცლებზე ოთარ ეგაძე: „...ლაღმა ადამიანმა არწივსაც არწივული სილაღე დაუბრუნა. აბა უიმისოდ რას დაემსგავსებოდა, რა ძალა აფრენდა ყოველ ცისმარე დღეს ცასა და დედამიწას შუა. ან კი რა ფასი აქვს ისეთი კაცის სილაღეს, ვინც მშობლიური მიწის მშვენიერებას ერჩის, არწივს არწივობას წაართმევს, ვერტმფრენიდან თოფის გასროლით შვლის ნუკრის სისხლით მწვანე ბალახს შეღებავს, მეზობელს შვილივით ნაზარდ ვაზს აუკაფავს, სოფელს მამლის ყივილს დაუკარგავს, ნასახლარებს ამრავლებს, ახალშენებს დააგვალვიანებს, სათავისოდ მიტაცებულ მდინარეს აღმა შეატრიალებს, სხვებისაკენ დაბლა მორაკრაკე ნაკადულს კალაპოტს განზე გადაუგდებს, მამაპაპური ზნეობის ხატს ჩამოიხსნის და უცხო ჯიშის შენ-ჩემობის ინსტინქტის ჭანგიან ჯვარს გულზე დაიკიდებს".

გვირაბიდან ავტომანქანა გამოვიდა და შეჯგუფული ხალხის წინ გაიყინა. ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა და გაოცებული შეაჩერდა ხალხს, რომელიც ფრთებგაკავებულ არწივს მოათრევდა. ფრინველთა მეფე თითქოს დაუბეჩავებია ძალმომრეობას, თავი სისხლში აქვს მოსვრილი, მძიმედ სუნთქავს. მაგრამ მის გამოხედვაში მაინც იგრძნობა უბედობისადმი შეუგუებლობა, სიამაყე და დიდი შინაგანი ძალა. მარტოხელა მგზავრი მტკიცე ხმით

მიმართავს არწივის დამტყვევებელთ: გაუშვით, მისი ადგილი ცაშია, ხალხნო!..

თავისუფლებას მოწყურებულმა არწივმა ოდნავ წაიბარბაცა, მოკაუჭებული ნისკარტი ზეცისაკენ შემართა, ძალამოკრებილმა რამდენიმე მეტრი გაირბინა და მიწას მოსწყდა. ახლა იგი თავის სტიქიაშია, თვალუწვდენელი სიმაღლიდან დასცქერის დაბლა მყოფთ. თითქოს ბუნებამაც კი გაიხარა ასეთი მშვენიერებისაგან. რამდენი აზრი და გულისთქმაა ჩაქსოვილი ამ თითქოსდა უბრალო ეპიზოდში...

თანამედროვე გმირის პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ამ წიგნში.

— ჩემთვის გმირი ის არის, ვინც საკუთარ თავს ივიწყებს სხვების გულისათვისო, — ამბობს რევაზ ჩხეიძე და ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ გიორგი თორელმა საკუთარი თავი დაივიწყოს მაშინ, როცა ფრინველთა მეფეს ასეთ გასაჭირში დაინახავს. რაც შეეხება მნიშვნელოვანი პარტიული რგოლის ხელმძღვანელს, მას სწორედ ასეთი თვისებები უნდა ახასიათებდეს. გიორგი თორელის ცხოვრების მიზანია სამშობლოსა და ხალხისადმი უანგარო სამსახური. როგორც უკვე ვთქვით, ცხოვრება ცვალებადია თავისი ფორმითა და შინაარსით, წლების განმავლობაში სახეს იცვლის ხელმძღვანელობის მეთოდები, მაგრამ ადამიანში უცვლელია მხურვალე გული და პატრიოტიზმი. სწორედ ეს თვისებებია გამოკვეთილი გიორგი თორელში, რაიკომის ახალი ტიპის მდივანში, რომელთა მსგავსებიც მრავლად გვხვდებიან დღევანდელ საქართველოში.

კინოფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ მაღალი იდეურ-პროფესიული დონე და მხატვრულად დახვეწილი სტილი მისი უსაზღვრო წარმატების საწინდარი გახდა. საბოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის წინა დღეებში იგი თითქმის მთელი საბჭოთა კავშირის კინოეკრანზე აჩვენეს. გამოძახილიც შთამბეჭდავი იყო. აი რას სწერენ ამ ფილმზე საკავშირო თუ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების გვერდებზე კინომცოდნეები და უბრალო კინომაყურებლები:

**გაზეთ „ტიუმენსკაია პრავდის“ მიმომხილველი ი. გრომოვი:** „ისტორია და დღევანდელობა, ჯადოსნური ქვა და უხვი სიმწვანე, მაცოცხლებელი წყარო და ყოვლის გადამხრუკავი ქარის სუნთქვა, — ყველაფერი შეერთებულა მშობლიური მხარის იერში. ჭეშმარიტად რომ „მარადიულია მიწა“, აძლევს ადამიანებს თავშესაფარს, აჭმევს და აცმევს. ადამიანი კი თავისი შრომითა და შემართებით ჯეროვანს უზღავს.

კაცმა რომ თქვას, მიწისა და მისი მფარველი ადამიანის ეს ფილოსო-

ფიური ერთიანობა საერთოდ სურათის დამდგმელის რევაზ ჩხეიძის შემოქმედების დამახასიათებელია (გაიხსენეთ მისი ფილმები „ჯარისკაცის მამა", „ნერგები"). აქ მან კვლავ გამოიჩინა თავი სახალხო ტიპების დიდ მცოდნედ. კოლორიტულია კინოკამერის ობიექტივში მოხვედრილი სახეები: ბრძნული, მხიარული, ჩაფიქრებული, ზოგჯერ სასაცილო, აქა-იქა კი მკაცრიცაა, მაგრამ ეს ყველა ერთად ხალხია.

შემთხვევითი არ არის, რომ ორი სახე — მშობლიური მიწა და ხალხი (თუნღაც მოძახილით, მეხსიერებაში წამიერი გაელვებით) ყველგან და ყველაფერში, უაღრესად დრამატულ, დაძაბულ სიტუაციებშიც კი ცოცხლობს ფილმის მთავარი გმირის გიორგი თორელის გულში. სწორედ ისინი შეადგენენ სიცოცხლის, პარტიის რაიკომის მდივნის მუშაობის აზრს".

**გაზეთი „სმენა", ახალი ამბების სააგენტოს მიმომხილველი ბ. ბერმანი:** „კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის ახალ ფილმს ქვესათაური აქვს — „მოთხრობა რაიკომის მდივანზე". ეს გახლავთ პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი გიორგი თორელი. ფილმის პირველსავე კადრებში მაყურებელს წარმოუდგება სპორტულად, ან თუ შეიძლება ასე ითქვას — ერთგვარად დაუდევარი ელეგანტურობით ჩაცმული ახალგაზრდა კაცი. თავიდან მასში იქნებ ვერც კი შეიცნო დიდი მასშტაბის ხელმძღვანელი, რომელზედაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთელი რაიონის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ტონუსი. მაგრამ ეპიზოდიდან ეპიზოდამდე მაყურებელი თანდათან რწმუნდება, რომ მის წინ დგას ცოცხალი სახე ხელმძღვანელისა, რომელსაც პრაქტიკაში არა მარტო მტკიცე ხასიათის იმედი აქვს, არამედ, უპირველესად, ეყრდნობა ღრმა ინტელექტს, სოციალურ-ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ანალიზს".

**გაზეთი „ლიტერატურნაია გაზეტა":** „კინოფილმში „მშობლიურო ჩემო მიწავ" დაწვრილებითაა განხილული რაიკომის ახალგაზრდა მდივნის გიორგი თორელის პირადი ხასიათი, კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის, დრამატურგ სულიკო ჟღენტისა და ოპერატორ ლომერ ახვლედიანის, აგრეთვე მთელი დამდგმელი ჯგუფის ღვაწლი ამ დიდ საქმეში. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი კაცის პატრიოტული და მოქალაქეობრივი შემართება.

მრავალეროვან საბჭოთა კინოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მომნიფებულია ქართული კინემატოგრაფი, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიო აღიარება. მის საუკეთესო ნაწარმოებებში ასახულია მშობლიური ხალხის მდიდარი ისტორია, კულტურისა და ადათ-წესების თავდავიწყებით სიყვარული, ნაკლოვანებებისადმი ფხიზელი ანალიტიკური მიდ-

გომა, მხატვრული აზროვნების ფილოსოფიური სიღრმე, გონებამახვილური იუმორი და შემოქმედებითი ძიება".

**„მოსკოვსკაია კინონედელია":** „გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის რევაზ ჩხეიძის ფილმები ყოველთვის ატარებდნენ კონკრეტულ პოეტურ ხასიათს. აბა გაიხსენეთ, თუ როგორ იცავს ჯარისკაცის მამა უცხო მიწაზე ქართველი ადამიანისათვის მუდამ სათაყვანებელ ვაზს. კინომოთხრობაში პარტიის რაიონული კომიტეტის ახალგაზრდა მდივანზე გიორგი თორელმა თავისუფლება მიანიჭა ხალხის ბრბოსაგან თავდაკორტნილ ფრინველთა მეფეს. ასეთი პოეტური სცენა საკმაოდ დიდი ხანია არ გვიხილავს ეკრანზე".

**რსფსრ სახალხო არტისტი ელდარ რიაზანოვი:** „თანამედროვე ქართული კინემატოგრაფის დიდი გულშემატკივარი ვარ და ამის თაობაზე არაერთხელ აღმინიშნავს პრესასა თუ რადიოტელევიზიაში. მაგრამ ბოლო შეხვედრამ ქართულ კინოსთან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კინოფილმი „მშობლიურო ჩემო მიწავ" ეხება ადამიანს, რომელსაც საკუთარ თავზე ძლიერ უყვარს თავისი მამული. მე მთელ ქართველ ხალხს მინდა მოვულოცო მეტად თავმდაბალი და პრინციპული რაიკომის მდივანი გიორგი თორელი, რომლის მტკიცე ხასიათმაც განაპირობა ამ ფილმის ესოდენ დიდი წარმატება".

**პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე:** „ეს ფილმი მასშტაბურია და მისი დიდი პოპულარობა სწორედ იმან განაპირობა, რომ რაიკომის მდივნის ასეთი ტიპი ფრიად დამახასიათებელია მთელი საბჭოთა კავშირისათვის. მე უკვე ვთქვი გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე, რომ რევაზ ჩხეიძის ეს ფილმი საქართველოში ლენინური პრინციპების ძირეული აღდგენის პერიოდში რომ გადაეღო, მას არ ექნებოდა ასეთი დიდი დიაპაზონი და ადგილობრივი მნიშვნელობის კინოფილმად წარმოგვიდგებოდა. მაგრამ დღეს, როცა საქართველოში დამკვიდრებულია ლენინური პარტიული ცხოვრების წესი და იგი თითქმის სანიმუშოდაა გამხდარი მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი „მოთხრობა რაიკომის მდივანზე" მართლაც რომ რეზონულად ჟღერს. რაც შეეხება, ამ ფილმში წინა პლანზე წამოწეულ პრობლემებს, ისინი უდავოდ ზოგადსაკაცობრიოა და მათი აქტუალობა ეჭვს არ იწვევს. კინოფილმ „მშობლიურო ჩემო მიწავ" რევაზ ჩხეიძის დიდი გამარჯვებაა.

**მწერალი ნოდარ დუმბაძე:** „ეს ფილმი კიდევ ერთხელ გარწმუნებს ადამიანს, თუ რაოდენ ძლიერი და შთამბეჭდავია რეალისტური კინოხელოვნების ძალა. ეკრანზე წარმოსახული სიმართლე რაიკომის მდივნის ეროვნულ ტიპს შეუმჩნევლად აერთიანებს პოლიტიკურ მოღვაწესთან. ამ ფილმში არაფერია შეთხზული, გადმოცემული ყალბი სიმბოლიკის ტონებში.

ვფიქრობ, რომ ფილმის სცენარი სულიკო ჟღენტის ერთ-ერთი უძლიერესი ნაწარმოებია. ხოლო ოპერატორმა ლომერ ახვლედიანმა განუმეორებელი შთამბეჭდაობა შესძინა მას".

კინოფილმმა „მშობლიურო ჩემო მიწავ" მყარად გაიდგა ფესვები. ამას წინათ იგი მოძმე ბულგარეთს ესტუმრა. პრემიერამდე, როგორც საქართველოს, ასევე ბულგარეთის ტელევიზიით ამ ფილმის წარმატებაზე ილაპარაკა ბულგარეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში დ. ჟულევმა. კინოფილმი ჯერ სოფიაში აჩვენეს, ცენტრალურ კინოთეატრში, შემდეგ კი ქალაქ პაზარჯიკში. მას მთელი ქალაქის პარტიული აქტივი დაესწრო. ფილმის წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ პაზარჯიკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პეტკო პეტკევმა საჯაროდ განაცხადა: ეს ფილმი არა მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებია, არამედ ქრესტომათიული ფილმი პარტიულ მუშაკზეო.

ყველა ამ მრავალრიცხოვან რეცენზიასა და სპეციალისტთა გამონათქვამში აღნიშნულია კინოფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ" მთავარი ლაიტმოტივი — გიორგი თორელი პარტიული თუ სამეურნეო მუშაობის სტილით, პასუხისმგებლობის გრძნობით და, თუ გნებავთ, მოქალაქეობრიობითაც კი უპირისპირდება თავის წინამორბედ რაიკომის მდივანს. კინოფილმის დასაწყისშივე ეს იგრძნობა გიორგი თორელის მძღოლის პანიკური შიშით თავისი ახალი „ხაზეინისადმი", მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავად და ლაკონიურად ძველსა და ახალ რაიკომის მდივნებს ერთმანეთისაგან განასხვავებს გიორგი თორელის დიალოგი ხანშესულ თანამშრომელ ქალთან, რომელსაც ვერც გაუბედნია უთხრას რაიკომის მდივანს, რომ მასთან ტელეფონით საუბარი სურთ. გიორგი თორელი მართლაც რომ უზომოდ გაკვირვებულია მისადმი ხალხის ასეთი შიშითა და მორიდებით და რამდენიმე ღიმილნარევი ფრაზით ამსხვრევს ბიუროკრატიზმისა და მიკროტირანიის იმ სქელ ბაკანს, რომელიც მის წინამორბედს შეუკოწიწებია თავისი უდღეური ავტორიტეტის განსამტკიცებლად. მაინც რაში სჭირდებოდა პარტიის რაიკომის ყოფილ მდივანს ასეთი იაფი ავტორიტეტი? იმიტომ, რომ მშრომელთა ფართო მასებისათვის თავისი განუზომელი სიმკაცრითა და ვითომ შეუვალი ხასიათით თვალები აეხვია და ამით ერთი მუჭა მექრთამეების, მუქთახორებისა და გამომძალველებისათვის თავისუფლად პარპაშის საშუალება მიეცა. სწორედ ასეთმა უბოდიშო რევერანსებმა მოუტანა ამ ფილმს ასეთი დიდი წარმატება.

ღრმად შთამბეჭდავია გიორგი თორელის დედის სიტყვები: ზოგიერთი ადამიანი კომუნისტური პარტიის რიგებში იმიტომაა შემძვრალი, რომ პი-

რადი ცხოვრება უკეთესად მოიწყოსო. მწარე სიმართლეა, იშვიათი, მაგრამ ფრიად თვალშისაცემი, რომელიც უარყოფით დაღს ასვამს ადამიანებს. არ დამავიწყდება, ერთ ჩემ ყოფილ მეგობარს, იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე რომ დააწინაურეს, გულით მოვულოცე წინ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი. მისმა სამადლობელმა პასუხმა კი გამახევა: ამ სამუშაოზე იმიტომ გადმოვედი, რომ ბინის მიღება დავაჩქარო, თორემ ცუდ ადგილზე არც ადრე ვმუშაობდიო. მაინც რა უნდა იწამო ასეთი ადამიანისა? გიორგი თორელის დედის დამაფიქრებელმა სიტყვებმა სწორედ ეს ეპიზოდი გამახსენა.

ამ კინოფილმში „წყალს" ვერსად ვერ მოიძევ ადამიანი. იგი ცხოვრების მტვერში ამოგანგლული და გამომშრალი უდაბნოა, რომელშიც ქვიშის ყოველ მარცვალს თავისი დიდი დანიშნულება გააჩნია. აბა გაიხსენეთ რაიონის საავადმყოფოს დერეფანში მწოლიარე ავადმყოფები. ამ პრობლემის აქტუალობაზე მართლაც რომ ვერავინ შემოგედავება. თითქოს კონკრეტულ სახეებს ხედავ ამ ავადმყოფებში, რომელთა უსასოობა გულს გიკლავს. ხედავ მათ სახეებსაც, ვინც სათანადო მზრუნველობას არ იჩენს რესპუბლიკის რაიონებში სამკურნალო დაწესებულებათა წესრიგში მოსაყვანად. სატირის მახვილი თავის მიზანს აღწევს.

ყველაზე მწვავედ მაინც ის ხელმძღვანელი მუშაკებია მხილებული, ვინც საჩვენებელი მეურნეობების გამოჩინებით ცდილობენ მყუდრო ჩრდილში იქონიონ, ერთიანად გაპარტახებული საერთო მეურნეობა. წარმოების ასეთი ბუტაფორიული მეთოდებით მხოლოდ უბადრუკი და არაფრისმთქმელი ავტორიტეტის მოხვეჭა თუ შეიძლება. აქაც შეუბრალებლად ებრძვის რეჟისორი ჩვენი დღევანდელობის არცთუ ისე იშვიათ მანკიერებას.

კინოფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ" კულმინაციად მაინც ის ეპიზოდი მიმაჩნია, როცა კოლმეურნეობის საერთო კრებაზე პარტიის რაიკომის მდივანი თვითონაც უყოყმანოდ დაუპირისპირდება და მშრომელ ხალხსაც დაუპირისპირებს კოლმეურნეობის თვითკმაყოფილების გრძნობით აღსავსე თავმჯდომარეს კარლო გალდავაძეს. საჩვენებელი მეურნეობის, ასე ვთქვათ, მაღალი მიღწევებით კბილებამდე შეიარაღებული თავმჯდომარე სხვებსაც და საკუთარ თავსაც აღტაცებული დითირამბებითა და პანეგირიკებით ამკობს და ბოლოს გამოაცხადებს:

— ამახანაგებო! საერთო კრების შემდეგ გაიმართება ჩვენი კოლმეურნეობის დრამატული წრის სპექტაკლი „ოპტიმისტური ტრაგედია", ახლა კი კრებას დახურულად ვაცხადებ...

მოულოდნელად იქუხა კარლო გალდავაძისათვის მოწმენდილ ცაზე.

ყველას სათქმელი რაიკომის მდივანმა სთქვა და ხალხმა შვებით ამოისუნთქა:

— ჩვენ იმ სპექტაკლის ნახვაც გვეყოფა აქ რომ შედგა. ახლა კი დროა საქმეზე გადავიდეთ. ამ დილით თქვენი ფერმები დავათვალიერე...

მაყურებელმა შეიძლება იფიქროს, რომ გიორგი თორელმა კოლმეურნეებს მტკივნეული ადგილი მოუძებნაო, როცა ქართული ვაზის მივიწყებული ჯიშების ჩამოთვლას შეუდგა: მაღლარა, ჩხავერი, საფერავი, ჯანი, კრახუნა.

მაგრამ წარსულის ამ დიდი სიკეთის უიმედოდ მივიწყება გიორგი თორელის სატკივარიცაა და ხალხის სატკივარიც. დარბაზი ერთხმად ეხმარება რაიკომის მდივანს: კლარჯული, ალადასტური, ჯავახეთური, მიკეთი, მტევანდიდი, მიკერენჩხი, მახათურა, მტრედისფეხა, ხარისთვალა...

კულისებიდან სახეზე გრიმმოდებული მსახიობი მეზღვაურები იმზირებიან, ამ კუთხის შვილები. როგორც კი კოლმეურნეები ვაიოს უკაცური მიტოვებული ველების ათვისებასა და სოფლის სხვა საზრუნავზე ალაპარაკდნენ, მსახიობებმა წამსვე მაყურებელთა დარბაზში გადაინაცვლეს. რაიკომის პირველი მდივანიც ხალხში ჩამოვიდა და სცენაზე ის აბსოლუტური უმცირესობა დარჩა, ვინც ტყავიდან ძვრება და ყველა არტისტულ საშუალებას ხმარობს საკუთარი რეპუტაციის შესანარჩუნებლად. მართლაც დიდებული გადაწყვეტაა! ჭეშმარიტებაა და მწარე სიმართლე. სიმართლეს კი ვერსად გაექცევი.

მაყურებელთა დარბაზში მოულოდნელად შემოცვენილი შეიარაღებული მეზღვაურების დანახვაზე კოლმეურნეები ჯერ შეკრთნენ, მაგრამ ნაცნობი სახეები რომ ამოიკითხეს ხალისით ჩაებნენ მათთან საუბარში. თუმცა, კარლო გალდავაძის შეკითხვას, აქ რატომ ჩამოხვედითო, ვიღაცის იუმორნარევი შეძახილი დაედევნა:

— რა ამბავია, რევოლუცია ხომ არ მოხდა?

დიახ, რევოლუცია მოხდა, აზრის რევოლუცია, რადგანაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მშრომელთა გულისთქმა და შემართება მიძინებული იყო და იგი სწორედ რევოლუციამ გამოაფხიზლა. დარბაზში დაუპატიჟებლად შემოვარდნილი სახემომღიმარი ბალტიისპირელი მეზღვაურები იმ თავის ახლო წინაპრებს გვაგონებენ, ვინც საკუთარი სისხლი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ჩააქცია სოციალისტური რესპუბლიკის შენობის საძირკველში. ვის-ვის, მაგრამ ბალტიისპირელთა მოღუშულ სახეებს ყოველთვის აქვთ იმის უფლება, ჰკითხონ ყოველ ჩვენთაგანს თუ როგორ ვუფრთხილდებით სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს, როგორ პატივს ვცემთ

რევოლუციის ქარცეცხლში გმირულად დაღუპულთა უკვდავ ხსოვნას, რომელისაც თავისი გაუხარელი ხანმოკლე სიცოცხლის ფასად გვიბოძეს მიწა, შრომა და ხელშეუხები თავისუფლება. ამიტომ ჟღერს ასე ბუნებრივად და დამაჯერებლად სპექტაკლ „ოპტიმისტური ტრაგედიის“ მონაწილე მსახიობთა ესოდენ მკაცრი და შეურიგებელი ტონი და არც ის გვეხამუშება, რომ ყველაზე ახალგაზრდა მსახიობს აგრონომ რეზო იმედაძეს მეზღვაურის ტანსაცმელი შემოაძარცვეს და კოლმეურნეობის ახალ თავმჯდომარედ აკურთხეს. ეს სცენაც უაღრესად ცხოვრებისეული, მიზანდასახული და დამაჯერებელია — მშრომელ ხალხს რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკები მიუძღოდნენ წინ და ახლაც ბოლშევიკი უნდა გაუძღვეს.

სოციალისტურმა საზოგადოებამ საბოლოოდ უცვალა სახე კაპიტალისტური ნყობილების სულიერი კრედოს ამსახველ ემპირიულ ფორმულას „ადამიანი ადამიანის მგელია“. ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის მოქალაქეობრივი ვალია იყოს ყველას მიმართ კეთილმოსურნე და ყურადღებიანი, აღმოუჩინოს დახმარება და, თუ ეს საჭირო გახდება, თავიც კი გასწიროს სხვისთვის. მაგრამ თუ ადამიანებზე ზრუნვა შენს პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენს, აქ უკვე გასარკვევი აღარაფერია. არადა, ხომ ცხოვრობენ ჩვენს გვერდით უმწეო ადამიანები, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება.

გიორგი თორელი ორღობეში მიმავალმა სამამულო ომში დაღუპული ჯარისკაცის ქვრივმა შეაჩერა. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი მასთან მიღებაზე მოსულ მოხუც ქალს მოძველებული სახლის კარ-ფანჯრებისა და კოჭების გამოცვლას დაპპირდა, მაგრამ მიმდინარე საქმეებით უზომოდ დატვირთული გიორგი თორელს თავისი დაპირება გადაავიწყდა და ახლა იგი დამნაშავე ბალღივით დგას მოხუცი ქალის წინაშე. თითქოს მცირე, უმნიშვნელო დეტალი გამორჩა რაიკომის მდივანს მხედველობიდან, მაგრამ სწორედ ეს დეტალი აღმოჩნდა ძალზე მნიშვნელოვანი როგორც ჯარისკაცის ქვრივის ასევე გიორგი თორელისთვისაც. სწორედ ამიტომ დუმს რაიკომის მდივანი და ვერაფრით დაუმშვიდებია მოხუცი ქალი. აი რას წერდა ამ სცენის შესახებ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“:

„არ ვიცი, როგორ აღწერდა მწერალი იმ სულიერ მდგომარეობას, რომელსაც გიორგი თორელის გმირი განიცდის; შესაძლოა, ამას მრავალი გვერდი დასჭირვებოდა, შესაძლოა, ორიოდე ძუნწი შტრიხითაც მიეღწია შესაფერისი ლიტერატურული გამომსახველობისათვის, მაგრამ კინემატოგრაფმა აქ აშკარად გვაგრძნობინა თავისი ძალა. გიორგი თორელი ჯვარცმულივით დგას დედაბრის წინაშე. კინოოპერატორ ლომერ ახვლედიანის

კამერა კი თითქოს უხილავი გზებით მიიკვლევს გზას თორელის არსებაში და ერთიანად გვარწმუნებს მისი სულის მდუღარებით. და ბოლოს, თუ შეიძლება ითქვას, „კინემატოგრაფიული ფრაზა“, დროის ის შუალედი, როცა გიორგის სურს გამოთხოვებისას მაინც უთხრას დედაბერს რაიმე სანუგეშო, მაგრამ ვერ ამბობს, უაღრესად მრავლისმთქმელი და მრავლისმომცველია.

მაყურებელმა ამ დროისათვის უკვე იცის, რომ გიორგი თორელი, როგორც პიროვნება, სულაც არ იმსახურებს ასეთ ულმობელ გაკიცხვას, და ამიტომაც, მთელი არსებით თანაუგრძნობს მას. მაგრამ მოხუცმა ქალმა, რომელმაც იწამა მისი სიტყვა, არაფერი არ აპატია. არც თვითონ თორელი მიუტევებს საკუთარ თავს ამ შეცდომას, რადგან პრინციპულობასთან და უკომპრომისობასთან ერთად, სამართლიანობა მისი ცხოვრების დევიზია“.

მძიმე მემკვიდრეობა მიიღო თავისი წინამორბედი რაიკომის მდივნისაგან გიორგი თორელმა. ერთ დროს საქართველოს ხვავიანი და ძლიერი სოფელი, რომელიც თავის დროზე ქალაქებს არჩენდა ეკონომიკურად და სულიერად, ახლა ისე დაკნინებულა, რომ საკუთარ ეკონომიკურ მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. ხალხისაგან მიტოვებულ ქვაშედგმულ ტერასებს სარეველა ბალახი მორევია და მთელ იდუმალებას წარსულის უტყვი მოწმე ლოდებიც ამძიმებენ. ერთ დროს ცოცხალი გარემო ახლა თითქოს საღათას ძილით მიძინებულა, აქა-იქ თუ შეხვდები ადამიანებს. სწორედ მაშინ, ამ მცირერიცხოვან ხალხს შორის გიორგი თორელი ყველა რაინდთა შორის უკეთილშობილეს რაინდს დონ კიხოტს შეხვდება, რომელსაც არც საქართველოში არ აუღია ხელი თავის ისტორიულ მისიაზე და თავგანწირვით ებრძვის ქარის წისქვილებს. ერთი შეხედვით არის, უფრო სწორედ იყო, რაღაც დონკიხოტური იმაში, რომ ადამიანს ეცადა ვაიოს ველისთანა მკვდარი ფართობების აღდგენა, ვაუკაცური შემართებით შერკინებოდა უსამართლობას, სიცრუეს, ფლიდობას, ვოლუნტარიზმს, პროტექციონიზმს, ნათლიმამობას, მიმკერძოებლობას, პირფერობასა და სხვა ნეგატიურ მოვლენებს, მაშინ, როცა ფრონტის ხაზს იქით სეთურიძისთანა ყოვლისშემძლე გარეწრები იდგნენ, რომელნიც პირადი კეთილდღეობისა და გამდიდრებისათვის ყველანაირ შანტაჟსა და პროვოკაციაზე წავიდოდნენ. მაგრამ გიორგი თორელის მოწინააღმდეგენი მალე რწმუნდებიან იმაში, რომ მათ წინ პაწია ბავშვივით გონებადაფანტული რაინდი დონ კიხოტი კი არ დგას, არამედ რკინისებური ნებისყოფისა და უშრეტი ენერგიის ადამიანი.

გიორგი თორელი დაუფარავად მისდევს ბავშვობის ოცნებას. მან მამი-

საგან იცის, თუ როგორ უნდა მოძებნოს წყალი ვაიოს გადახრუკულ მიწებზე. წყალი კი სიცოცხლეა, რომელსაც აგრერიგად ელოლიავებიან ადამიანები. მიწისადმი დიდი სიყვარულის გრძნობაც წყალმა უნდა გამოაღვიძოს იმ ადამიანებში, ვინც წარსულში ზურგი შეაქცია მშობლიურ კუთხეს და ქალაქს შეეხიზნა. იწყება ძნელი მომქანცველი ბრძოლა, მაგრამ რაიკომის პირველი მდივანი მარტო როდია. მის მხარდამხარ იბრძვიან პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ასმათ იაშვილი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე გურამ ღლონტი, რომელიც, მართალია, საქმოსან სეთურიძის მეგობრის ძლიერი ხელის წყალობით მოხვდა ამ თანამდებობაზე, მაგრამ გიორგი თორელის გაცნობისთანავე ირწმუნა მისი სულიერი სიწმინდე, მაღალპატრიოტული გრძნობები და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა თავის ყოფილ „კეთილმოსურნეებთან". აი რას წარმოადგენს პირადი მაგალითის ძალა.

ძნელია დაარწმუნო იმედგაცრუებული ხალხი და კვლავ უკან, მიტოვებულ სოფლებში დააბრუნო. საამისოდ არც სამანქანო გზებია მომზადებული, არც სახლები და, რაც მთავარია, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ჯერ ფულს ვერ გამოჰყოფს ხრიოკი მიწების ასათვისებლად. უნდა გამოიძებნოს შიდა რეზერვები, უნდა წავიდნენ რისკზე. გიორგი თორელი საგზაო მშენებლობის უფროსს გამოიძახებს და გზის გაყვანის გეგმებს გააცნობს. ინჟინრის ყოველნაირად დასაბუთებული უარი არ ჭრის. რუბიკონი აუცილებლად უნდა გადაილახოს.

და აი ყველა სიძნელე უკან დარჩა. ტრაქტორები შეტევის მომლოდინე ტანკებივით გარინდებულან სასტარტო ნიშნის მოლოდინში და მალე მათი გუგუნი ცას სწვდება, ბელტი ბელტს ეცემა და იწყება ვაიოს გაყამირებული მიწის ათვისება, დიადი მომავლის სიმბოლო.

ფილმის შემდგომ კადრებს კვლავ წარსულში გადავყავართ. რეტროსპექტივა ამაღელვებელი და გულში ჩამწვდომია... პატარა გიორგიმ მამის დაუხმარებლად იპოვა წყალი ვაიოს ველებზე. წყალი — სიცოცხლის ელექსირი! ბავშვის ხმა ტრაქტორების გუგუნს უერთდება: „მამიიი... წყალი ვიპოვე... მამიიი...!"

კინოფილმის ფინალში მისი დედააზრია მოქცეული — კრემლის ყრილობათა სასახლის ტრიბუნაზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რაიკომის მდივანი გიორგი თორელი თავის გულისნადებს უზიარებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთავრობის, ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ბოლოს, არ შემიძლია არ აღვნიშნო ამ ფილმის მთავარი აღმოჩენა — მსახიობი თემურ ჩხეიძე, რომელსაც დღემდე კინო და თეატრალური საზო-

გადოება იცნობდა როგორც ნიჭიერ და საინტერესო თეატრალურ რეჟისორს. მან შესანიშნავად განახორციელა დრამატურგისა და კინორეჟისორის მიერ ჩაფიქრებული რაიკომის მდივნის სახე, რაც გამარჯვების საწინდარი გახდა, სწორედ ფილმის დამდგმელთა მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით მივიღეთ ისეთი მაღალმხატვრული ღირსების ნაწარმოები, რომელიც ამავე ფილმის რედაქტორის ავთანდილ გველესიანის ენით რომ ვთქვათ:

„ფილმი ღაღადებს: კვლავაც ძალობდეს, ჰყვაოდეს ვენახი — საქართველოს სისხლძარღვი, კვლავაც ტანობდეს მუხა — საქართველოს დედაბოძი.

ფილმი ამტკიცებს — ჯერაც უნდა განიწმინდო, შემდგომ ეზიარო მშვენიერებას,

ფილმი ამკვიდრებს — ჭეშმარიტება ადამიანისა არის ის, რაც მას ადამიანად აყალიბებს.

ფილმი მოუხმობს მაყურებელს, დაამუშაოს ერის ბაღ-ვენახები.

ფილმი აღძრავს სურვილს, წარიმართოს ცხოვრება მეტი სიბრძნითა და რუდუნებით.

ფილმი „მშობლიურო ჩემო მიწავ" ის კომპასია, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ზნეობრივ, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე პროცესში ჩაწვდომის საშუალებას იძლევა".

დიდ გემს, როგორც იტყვიან, დიდი ცურვა მოელის.

მდგომარეობამ მოიტანა და, ორიოდე ათწლეულით უკან უნდა დავიხიო: ორმოცდაათიან წლებში კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე კორესპონდენციას აქვეყნებს ჟურნალ „დროშაში", რომელსაც იმხანად მწერალი გრიგოლ აბაშიძე რედაქტორობდა. წერილში, რომელიც საქართველოში ჩამოყვანილ ესპანელ ბავშვებს ეხებოდა, ასახული იყო ყმაწვილი კაცის გულისთქმა. რევაზ ჩხეიძეს ბავშვობაშივე ჩაენერგა ამ ქვეყნის სიყვარული. წერილში განსაკუთრებით იყო გამახვილებული ყურადღება ესპანელი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურაზე, მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე, რომანტიკულ ბუნებაზე, უდიდეს პატრიოტულ გრძნობებსა და ქართველი ხალხის შორეულ, ნათესაურ დამოკიდებულებაზე ბასკებთან.

გამოქვეყნებულმა კორესპონდენციამ ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ გრიგოლ აბაშიძემ რევაზ ჩხეიძეს ჟურნალში თანამშრომლობაც კი შესთავაზა.

გაივლის მეოთხედ საუკუნეზე მეტი და რევაზ ჩხეიძე მადრიდში შეხვდება მეგობრებს, რომლებთანაც მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმ-

ნიფო ინსტიტუტში სწავლობდა. ესენი არიან ესპანელი ანტონიო ალვერასი და ბასკი რობერტო მარკანი. პირველმა საოპერატორო ფაკულტეტი დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნდა სამუშაოდ. რობერტო მარკანი კი სამხატვრო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ საქართველოში გამოეშურა. ორი წელიწადი დაჰყო მან კინოსტუდია „ქართულ ფილმში"— მულტიპლიკატორად, მონაწილეობდა მრავალი ფილმის შექმნაში. რობერტო მარკანი დღესაც შესანიშნავად მღერის ქართულ სიმღერებს, კარგად ახსოვს ძველი თბილისის ქუჩები, მთაწმინდა, ფიქრის გორა და, საერთოდ, ყველაფერი, რაც მას საქართველოსთან აკავშირებს.

ანტონიო ალვერასმა საკუთარი კინოფირმა გახსნა მადრიდში და ძირითადად დოკუმენტურ და სარეკლამო ფილმებს უშვებს. სწორედ მან შესთავაზა ქართველ კინორეჟისორს ერთობლივად შეექმნათ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ბასკი ხალხის ისტორიულ წარსულზე, მის აწმყოზე.

ამ მომხიბვლელმა წინადადებამ გაახარა რევაზ ჩხეიძე, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის ქალაქ მადრიდში, საკავშირო ტელევიზიის გაერთიანება „ეკრანსა" და ესპანეთის რადიოტელევიზიის შემოქმედებითს კოლექტივებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომ განახორციელონ ერთობლივი მრავალსერიიანი ფერადი სატელევიზიო მსატვრული ფილმის „დონ კიხოტის" დადგმა.

ფილმის დადგმა რევაზ ჩხეიძეს დაევალა. გენიალური ესპანელი მწერლის, მიგელ დე სერვანტესის რომანის მისედვით რევაზ ჩხეიძემ ვიქტორ შკლოვსკისთან ერთად დაწერა ამ ფილმის სცენარი. ფილმის გადამღებ ჯგუფს ესპანეთის რადიოტელევიზიამ მიამაგრა სპეციალური კონსულტანტი. გარდა ამისა, კინოფილმისათვის მუსიკას დაწერს ესპანელი კომპოზიტორი, მხატვრული გაფორმება კი დავალებული აქვთ კინოსტუდია „ქართული ფილმის" მუშაკებს. 1978 წელს მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები, დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა რეჟისორული სცენარი. კინოფილმის გადაღება იწარმოებს როგორც ესპანეთში, ასევე საქართველოში.

რევაზ ჩხეიძემ მაშინ ათი დღე დაჰყო ესპანეთში. იგი რამდენჯერმე ესტუმრა ესპანეთის რადიოტელევიზიის საერთაშორისო სტუდიის გენერალურ დირექტორს ვ. იბანესს. ათდღიან შემოქმედებითს მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ესპანეთის რადიოტელევიზიის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებიც. ნატურალური გადაღებები დაიწყება ესპანეთში მომავალ წელს, დანარჩენი კადრები კი შეიქმნება საქართველოში. აღნიშნული გა-

რემოება შემთხვევითი როდია. ესპანეთი თავისი კოლორიტით ძალიან წაგავს საქართველოს, ხოლო ლამანჩში ჩასული ქართველი კაცი წამით დაფიქრდება, შემთხვევით ქართლში ხომ არ მოვხვდიო.

კინოფილმის გადამღებმა ჯგუფმა ყურადღებით დაათვალიერა და შეისწავლა ესპანეთისათვის აგრერიგად დამახასიათებელი ფუნდუკები, ფეხით მოიარა ის ადგილები, სადაც დონ კიხოტმა თავისი რაინდული ოდისეა მოაწყო... თვით რევაზ ჩხეიძემ მოინახულა ტობოსი, ქალწულ დულცინეას მშობლიური სოფელი — აქაურ სახლებს სერვანტესის უკვდავი სიტყვები ამშვენებს: — „სანჩო, სიჩუმე, სიჩუმე, სანჩო!". ოდნავ წინ წაიწევ და კვლავ სერვანტესი: „სანჩო, მოექეცი პატივისცემით!". ერთი სიტყვით, სოფელი ტობოსი ისეა შენახული და დაცული, როგორც სერვანტესმა აგვიწერა თავის უკვდავ ნაწარმოებში.

როგორც ლიტერატურული, ასევე სარეჟისორო სცენარი უკვე მოწონებულია და სიტყვა ახლა ქართულ კინემატოგრაფს ეკუთვნის.

აი, რას ამბობს სცენარის თანაავტორი მწერალი და დრამატურგი ვიქტორ შკლოვსკი:

„რევაზ ჩხეიძემ ისე ამომწურავად და ლამაზად ჩამოაყალიბა სცენარის არქიტექტონიკა, რომ მე თითქმის ბევრი არაფერი დამიმატებია. ვიტყვი მხოლოდ, მე, 85 წლის მოხუცი, როცა ვესტუმრე ესპანეთს — ძველსა და ახალს, სიცოცხლის, შიშისა და იმედის ქვეყანას — კვლავ ვიგრძენი მიგელ დე სერვანტესის უკვდავება, უკვდავება სიკეთის, სიწმინდის, კაცთმოყვარეობისა. ჩვენმა დონ კიხოტმა აქ უთუოდ უნდა გაიმარჯვოს თუნდაც იმიტომ, რომ ჩემთან ერთად არის შესანიშნავი ქართველი შემოქმედი რევაზ ჩხეიძე.

რატომ ვამბობთ ასე რწმენით?

იმიტომ, რომ შეუძლებელია გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას (აღარაფერს ვამბობ შოთა რუსთაველსა და ვაჟა ფშაველაზე) მიწაზე ფეხშიშველად გავლილმა კაცმა სერვანტესი არ იგრძნოს, იმიტომ, რომ ქართველ კაცს საოცრად შეუძლია დაინახოს სიკეთე და დაგანახვოს კიდეც იგი, კარგი და ადამიანური ეძებოს ადამიანებში. რევაზ ჩხეიძის გამორჩეული თვისება სწორედ ეს გახლავთ, გავიხსენოთ „ჯარისკაცის მამა" — დიდი კაცური ალალმართლობა, სიბრძნე და ტრაგედია.

როგორც უკვე აღვნიშნე, სცენარზე მუშაობისას გამაოცა რევაზ ჩხეიძის აზროვნების სიღრმემ და ერუდიციამ, სიკეთემ. ვისაც ერთობლივი

სცენარი უკეთებია, კარგად იცის ამ პროცესის უსიამოვნებანი, და მე, ვიქტორ შკლოვსკი, საქვეყნოდ ცნობილი ჩემი ჭირვეულობით, ერთხელაც არ შევდავებივარ რევაზ ჩხეიძეს, რადგან მისი ნათქვამის აზრი შინაგანად ჩემი იდეაც აღმოჩნდა. ამასთან ვგრძნობ, რომ „დონ კიხოტის“ წინაშე მოკრძალებით და თრთოლვით მდგომი ქართველი კინორეჟისორი ლამანჩელის დიდ სიკეთეს, სიწმინდეს, დიდ ჰუმანიზმს ქართული გემოვნებით, ლაზათით, აზრითა და გონებით შეამკობს.

ამიტომაც ვამბობ ასე რწმენით — ჩვენი „დონ კიხოტი“ უეჭველად გაიმარჯვებს!“.

## და კვლავ მძიმე პური...

როცა კინორეჟისორის შრომაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, წამსვე გადასაღებ მოედანზე მოფუსფუსე ხალხი წარმოგვიდგება თვალწინ, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოირჩევა კინორეჟისორი.

მაგრამ ვიდრე რეჟისორი გადასაღებ მოედანზე გავიდოდეს, ბევრი საკითხი უნდა მოაგვაროს, ირბინოს, დაეკითხოს, იმეცადინოს და სხვებიც ამეცადინოს. და ყველაფერი ეს უნდა გააკეთოს ერთმა ადამიანმა. წარმოიდგინეთ, რამდენი დრო და ენერგია სჭირდება მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდს.

დღეისათვის კი რევაზ ჩხეიძე უდიდესი დატვირთვით მუშაობს: როგორც კინორეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" ხელმძღვანელი, საზოგადო მოღვაწე და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამ რამდენიმე წლის წინათ „ახალ ფილმებში" გამოქვეყნდა კინომცოდნე ირინე კუჭუხიძის წერილი „რევაზ ჩხეიძე", სადაც ნათქვამია:

„...რა არის საწყისი, რაც ამ განუზომელ შრომას ერთი კაცისათვის რეალურად შესაძლებელს ხდის? დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს რევაზ ჩხეიძის პიროვნების ხასიათია, მთელი თავისი წინააღმდეგობებით, მაგრამ ერთი განმსაზღვრელი თვისებით, მისი უნარით და ადამიანური ნიჭით საერთო საქმე თავისად გაიხადოს, საზოგადოებრივი და ეროვნული ინტერესები პირადზე უფრო მაღლა დააყენოს; თუ რაიმე წამოწყება, სწრაფვა ან საქმე კეთილშობილია, მაგრამ ვთქვათ, ძნელი მისაღწევი, გადაწყვეტილება უყოყმანოდ მიიღოს და მისი რეალიზაციისათვის, როგორც იტყვიან, „ქვა გახეთქოს"; უპატრონოს სუსტს, დაიცვას და დაეხმაროს ნიჭიერ ახალგაზრდობას, მოყვასს, არასოდეს თქვას ლიტონი სიტყვა".

ამ რამდენიმე წინადადებაში მეტად ლაკონიურადაა გადმოცემული

ქვაკუთხედი რევაზ ჩხეიძის შრომითი თუ შემოქმედებითი წარმატებისა. აქვე თუ დავამატებთ იმ ფაქტს, რომ რევაზ ჩხეიძემ კარგად იცის თავისი სუსტი მხარეები, რაც მისი სიძლიერის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტორია, მივიღებთ შესანიშნავი თვისებების მქონე ადამიანს, რომელიც თავდაუზოგავად ემსახურება ქართული კინოს აწმყოსა და მომავალს.

ახლა კი შევიხედოთ რეჟისორის ლაბორატორიაში და მასთან ერთად მივყვეთ „ფილმის შექმნის რთულ პროცესს".

ცნობილია, რომ ხშირად ხელოვნების ნაწარმოებს, კერძოდ, ფილმსაც, საფუძვლად ცხოვრებისეული რეალური ეპიზოდი უდევს.

შემოქმედი, იქნება იგი მწერალი თუ კინორეჟისორი, საკუთარ ფანტაზიას ცხოვრებაზე დაყრდნობით შლის, აღვივებს, ამდიდრებს და სახეს უცვლის, მაგრამ მაინც სინამდვილეში არსებულ ხასიათებსა და პრობლემებს ეყრდნობა.

ღრმად რომ ჩაწვდე ცხოვრების მოვლენებს, სხვადასხვა კუთხიდან რომ შეხედო მომხდარ ამბავს და დეტალურად გააანალიზო იგი — არის ერთადერთი და აუცილებელი გზა, ამას კი, უპირველეს ყოვლისა, აკეთებს კინოდრამატურგი.

კინემატოგრაფიის გარიჟრაჟზე, როდესაც მუნჯ მოკლემეტრაჟიან ფილმებს იღებდნენ, სცენარი მხოლოდ გადასაღები კადრების ჩამოთვლას, კადრების აღნუსხვას წარმოადგენდა და ლიტერატურასთან არაფერი ესაქმებოდა. მასში თითქმის არ ჩანდა დრამატურგის დამოკიდებულება მოვლენებისადმი, მოქმედ გმირთა ღრმა სულიერი სამყარო, მათი ხასიათები, არ იხვეწებოდა დიალოგები.

კინოს ცნობილი თეორეტიკოსი ბელა ბალაში ამბობს:

„ფილმის სცენარი არავითარ შემთხვევაში არ არის ლიტერატურული ფანტაზიის პროდუქტი. კინემატოგრაფიის განვითარებასთან ერთად, უფრო კი მას შემდეგ, რაც კინო ხმოვანი გახდა, კინოსცენარმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა, როგორც ბოლომდე ჩამოყალიბებულმა მხატვრულმა, ლიტერატურულმა ნაწარმოებმა".

კინოდრამატურგიის განვითარების ფორმები, შეიძლება ითქვას, განსაზღვრავს კინემატოგრაფიის ფორმებს. იმ ტენდენციების მიხედვით, რომელიც განუხრელად იმარჯვებს კინოში, არაჩვეულებრივად იცვლება თვით კინოსცენარის აღნაგობის პრინციპი. 50-იანი წლების შემდეგ კინოში თანდათანობით დაისახა ისეთი გზა, როდესაც დრამატურგის განვითა-

რების კლასიკური პრინციპები თანდათანობით მოდუნდა და მეტი ადგილი დაეთმო ხასიათების დეტალურ აღწერას, განწყობილებათა გადმოცემას, გარემოს ზუსტ ასახვასა და სხვა. სიუჟეტის მნიშვნელობა მეორეხარისხოვანი ხდება და მხოლოდ ნაწილობრივ იპყრობს მაყურებლის ყურადღებას. სწორედ სიუჟეტის გაუბრალოებამ და ხასიათების დამუშავების სიღრმემ შეუწყო ხელი ხალხური სახეების შექმნას.

აი, რას წერს კინორეჟისორი სერგეი იუტკევიჩი:

„სულიკო ჟღენტმა კარგად იგრძნო, რომ იუმორი სახის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. სწორედ ამან უნდა განაწყოს მაყურებელი სიმპათიურად ფილმისადმი, მით უმეტეს, როცა ეს იუმორი ორგანულ ხასიათს ატარებს და გმირის ეროვნული სახიდან გამომდინარეობს.

ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ დრამატურგმა სულიკო ჟღენტმა და რეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ უტყუარად, დამსახურებულად შეაფასეს იუმორის როლი ამ დრამატულ, თითქმის ტრაგიკულ ნაწარმოებში.

გავიხსენოთ ის შესანიშნავი ეპიზოდი, როცა ბლინდაჟში ოფიცერთა მიერ საომრად დაწუნებული გიორგი მახარაშვილი, თავისი სოფლის წესის თანახმად, მეთაურს საჭიდაოდ გამოიწვევს. ამ ეპიზოდში კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ დრამატურგს იუმორი სრულებითაც არ სჭირდება რაღაც შოვინისტური იდეების შესანიღბად“.

ამგვარად, ინტერესს იწვევს არა ამ ნაწილის სიუჟეტური განვითარება, არამედ მისი ემოციური ქარგა.

როგორც ითქვა, ფილმის კრიტერიუმი ლიტერატურული სცენარია, მაგრამ მისი მზადყოფნა სრულებითაც არ აძლევს კინორეჟისორს თვითდამშვიდების უფლებას, ის კი არა და, სწორედ ახლა იწყება კინორეჟისორის „თეთრი ღამეები“. თუ ლიტერატურული სცენარი ფილმის კრიტერიუმია, მაშინ სარეჟისორო სცენარი ფილმის პროექტს წარმოადგენს. თუმცა ამ მიმართულებით არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი. მაგალითად, ცნობილი ფრანგი რეჟისორი რენე კლერი სცენარის შექმნას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, იტალიელ კინორეჟისორს ფედერიკო ფელინის მიაჩნია, რომ ყველაფერი გადაღების ადგილზე უნდა შეიქმნას. რევაზ ჩხეიძე კი თვლის, რომ ერთმანეთის საწინააღმდეგო ეს ორი აზრი შეიძლება ცალკეული შემოქმედის ინდივიდუალურ თვისებას გამოხატავდეს. მისი აზრით, სარეჟისორო სცენარის ზუსტ და კეთილსინდისიერ დამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ეს ეტაპი ფილმზე მუშაობის დიდი, მრავალფეროვანი პროცესის მხოლოდ ერთ ნაწილად თუ

ჩაითვლება. რაგინდ დეტალურადაც არ უნდა იყოს დამუშავებული სარეჟისორო სცენარი, მისი ურყევ კანონად გამოცხადება მაინც არ შეიძლება, რადგან მუშაობის პროცესში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, ეს კი აისახება სარეჟისორო სცენარში.

ერთობ დაძაბული და მომქანცველი სამუშაოა თუნდაც ფილმის გმირებისათვის საჭირო კოსტიუმების შერჩევა. ამ დარგში ერთი მთავარი კანონი მოქმედებს: კოსტიუმი გმირის ხასიათს უნდა გამოხატავდეს, იგი მსახიობს უნდა ეხმარებოდეს გმირის ფსიქოლოგიური ხასიათის გახსნაში.

რევაზ ჩხეიძემ ერთი ასეთი დეტალი გაიხსენა თავისი რეჟისორული მუშაობიდან: კინოფილმ „მაგდანას ლურჯას" ვიღებდით. დიდი ხანი ვეძიე მაგდანას კოსტიუმი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა იყო საძებნი? ყველამ იცის, რომ ხანში შესული ქართველი ქალის და ისიც ქვრივის ტანსაცმელი თალხი ფერის უნდა იყოს. თავზე — ტრადიციული თავსაფარი, შავი, საკმაოდ ფართო ქვედა კაბა და ასეთივე შავი ზედატანი. თითქოს საკმაოდ ცოტა რამ იყო საძებნი, მაგრამ საქმე შემდეგში მდგომარეობდა: გვინდოდა ეკრანზე ყოფილიყო არა ხანდაზმული ქალი, ბავშვებზე ზრუნვითა და ცხოვრების მძიმე ტვირთით გატეხილი, არამედ დედა, რომელშიც ჯერ კიდევ ბევრი რამ იქნებოდა ახალგაზრდული, როგორც საერთო იერში, ისე მიხრა-მოხრაში. მაგდანას სახის ასეთი გააზრება კიდევ უფრო აშკარას გახდიდა კეთილშობილებას და ქართულ ხასიათს ქალისას, რომლისთვისაც ბავშვებისადმი ერთგულება და პირადი ბედნიერების შეწირვა ეროვნული ტრადიციაა. ყოველივე ამის გაგებაში მაყურებელს მაგდანას კოსტიუმიც უნდა დახმარებოდა. გარდა იმისა, რომ მსახიობს უნდა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნილება, საჭირო იყო კოსტიუმის ისეთი ქსოვილისაგან დამზადება, რომ ტრადიციული ქართული კაბის ფართოდ გაშლილ ხაზებს და შავ ფერს არ შეექმნა მეტად მძიმე იერი. ამიტომ, სოფელ უფლისციხეში, გორის რაიონში, სადაც, ძირითადად, მიმდინარეობდა ფილმის გადაღება, ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის მაგდანასათვის მოვძებნეთ ნახმარი, მზეზე გახუნებული, შავი, ნაქსოვი ჟაკეტი, რომელიც საკმაოდ უხეშად გამოიყურებოდა, მაგრამ, ამავე დროს, როგორც ყოველი ნაქსოვი, ტანზე კარგად ერგებოდა მსახიობს. ამით არ დაგვირღვევია ეროვნული ტრადიცია. მაგდანა, როგორც გახსოვთ, ზუსტად ეპოქისთვის შესაფერი გემოვნებით იყო ჩაცმული, მაგრამ კოსტიუმის საშუალებით მის იერში შეტანილი იყო ქალური, ახალგაზრდული შტრიხი, რომელიც ეხმა-

რებოდა მსახიობს ეთქვა ის, რაც სახის სიღრმეში იფარებოდა. უფლისცი-ხის მოსახლეობაში ნაცვამი და თითქმის გადაყრილი ტანსაცმლიდან ამოვარჩიეთ მაგდანას შვილების — მიხოს და სოფოს ტანსაცმელი, ეს უეჭველად, ქმნიდა ცხოვრებისეულ სიმართლეს და, რა თქმა უნდა, კინოსტუდიის სამკერვალო საამქროს ვერც ერთი მკერავი ვერ შეკერავდა მსგავს ტანსაცმელს".

ეს თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ რამდენი მუშაობა სჭირდება მრავალთა შორის ერთადერთის, ოპტიმალური ვარიანტის შერჩევას.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ფორმალურად თუ ვიმსჯელებთ, სარეჟისორო სცენარის დაწერის შემდეგ შემოქმედებითად „ცოტა" საქმე რჩება: სარეჟისორო სცენარში ცალ-ცალკე, ზუსტად დაგეგმილი კადრების გადაღება, ბოლოს მათი მონტაჟი და... ფილმიც მზად არის, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფილმის ზუსტად სარეჟისორო სცენარის მიხედვით გადაღება პრაქტიკულად შეუძლებელია. ხშირად გადაღების პროცესში კინორეჟისორი მსახიობთან, ოპერატორთან, კომპოზიტორთან ან მხატვართან ურთიერთობაში პოულობს ზოგიერთი კადრის და შეიძლება მთელი ეპიზოდის ახლებურ, უფრო საინტერესო გადაწყვეტას, ვიდრე ეს ადრე სარეჟისორო სცენარში იყო გადაწყვეტილი.

კინოფილმ „ჯარისკაცის მამაში" ერთ-ერთი ყველაზე დამამახსოვრებელი და შთამბეჭდავი სცენაა, როდესაც გიორგი მახარაშვილი ღრმა თოვლში დაფლულ სახელმწიფო-სასაზღვრო ბოძს შემთხვევით იპოვის და მებრძოლებთან ერთად, ყუმბარების გრიალში, ვაშას ძახილით ფეხზე დააყენებს მას.

სარეჟისორო სცენარში ეს ეპიზოდი სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. იქ მოცემული იყო ჩვენი ჯარის დიდი ნაწილების გადასვლა უღრან ტყეში, ღრმა თოვლში. მძიმედ მიაბიჯებდნენ დაღლილი მებრძოლები და მათ შორის გიორგი მახარაშვილიც. ამ დროს გაისმოდა შორეული ვაშას გუგუნი. მებრძოლებისკენ მორბოდა აღფრთოვანებული ჯარისკაცი და ლეიტენანტს მოახსენებდა, ჩვენმა ჯარმა საზღვარს მიაღწიაო. გახარებული, თავდავიწყებული მებრძოლები გარბოდნენ წინ, საზღვრისაკენ...

რეჟისორი გრძნობდა, ეს ეპიზოდი ტრაფარეტული გამოვიდოდა და გიორგი მახარაშვილის ამბავი საერთო აჟიოტაჟში გაითქვიფებოდა. ამ სცენის გადასაღებად საჭირო იყო ისეთი „გასაღების" პოვნა, რომელიც, მიუხედავად სახელმწიფო საზღვრის აღმოჩენის ფაქტის გრანდიოზულობისა, ადამიანის ხასიათს გამოხატავდა.

რევაზ ჩხეიძე პირველად სერგო ზაქარიაძეს გაენდო, შემდეგ სულიკო

ულენტს მოეთათბირა და ბოლოს მხატვარ ზურაბ მეძმარიაშვილს, რეჟისორ თემო მიქაძესა და სამხედრო კონსულტანტს, გენერალ-ლეიტენანტ ივანე ვლადიმიროვს გაუზიარა თავისი აზრი. ფიქრობდა, რომ ეს უკანასკნელი, რომელიც მასობრივ სცენებს სცემდა პატივს, მის ვარაუდს არ გაიზიარებდა, მაგრამ პირველი სწორედ გენერალი დაეთანხმა რევაზ ჩხეიძეს. დაიწყო საერთო ძალებით ძიება და მალე ეკრანზე გამოჩნდა ეპიზოდი, რომელიც თავისი მხატვრულობით გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ის, რომელიც სარეჟისორო სცენარით იყო გათვალისწინებული.

ერთ-ერთ გადამწყვეტ ეტაპად ფილმის შექმნის რთულ პროცესში რეჟისორები მოსამზადებელ ეტაპსა და მსახიობების შერჩევას მიიჩნევენ როგორც მთავარი როლებისთვის, ისე მნიშვნელოვანი ეპიზოდებისთვის. თუ სცენარი განსაზღვრულია ამა თუ იმ მსახიობის ინდივიდუალობაზე, ეს საქმე შედარებით იოლია. რეჟისორი ამ მსახიობს იწვევს სასინჯ გადაღებებზე და, როგორც იტყვიან, „როლში სვამს“ მას.

კინოფილმ „ჯარისკაცის მამის“ სცენარი თავიდანვე იმ განზრახვით იწერებოდა, რომ გიორგი მახარაშვილის როლი სერგო ზაქარიაძეს უნდა შეესრულებინა, ამიტომ სასინჯ გადაღებებსაც მხოლოდ როლთან შეგუებისა და გარეგნული სახის საბოლოო გამოძერწვის მნიშვნელობა ჰქონდა.

მაგრამ ასეთი შემთხვევა ხშირად როდი უვარდებოდა ხელში რევაზ ჩხეიძეს. კინორეჟისორის პრაქტიკაში ასეა: ყოველი როლისთვის მსახიობის ხანგრძლივი ძებნა უხდებათ, როგორც კინომსახიობთა შორის, ისე თეატრში, უმაღლეს სასწავლებლებში, ქარხნებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში და... ქუჩებში. გააჩნია, როგორი როლია შესასრულებელი — ქალის თუ მამაკაცის, ბავშვის თუ მოზრდილის, როგორი გარეგნობისა უნდა იყოს პერსონაჟი, როგორი ხასიათის.

რევაზ ჩხეიძეს ზოგჯერ ჰქონდა ბედნიერება სცენარის წაკითხვისთანავე გაერკვია თუ ვინ ვის როლს შეასრულებდა. ასე იყო, როცა იღებდა კინოფილმს „ჩვენი ეზო“. გოჩა აბაშიძე, სოფიკო ჭიაურელი, გიორგი შენგელაია, ნოდარ ფირანიშვილი იმთავითვე გაჩნდნენ რეჟისორის გონებაში, როგორც შესაძლებელი კანდიდატები. გოჩა აბაშიძის საცდელი გადაღებისათვის არც ფიქრი დაუხარჯავს, არც დრო. პირდაპირ მიანდო ამ ნიჭიერ ახალგაზრდას რთული როლის შესრულება. სოფიკო, ნოდარი და გიორგი თითოჯერ გადაიღო. ამ როლზე გასასინჯად სხვა კანდიდატები არც მოუწვევია.

„მაგდანას ლურჯას“ გადაღების დროს ბევრი არჩია, ვის უნდა ეთამაშა მაგდანას როლი. შემდეგ მენახშირე მიტუას როლის შემსრულებელმა

გაუჩინა თავსატეხი, ვის არ მიმართა, რომელი მსახიობის კანდიდატურა-ზე არ შეჩერდა, ვიდრე აკაკი კვანტალიანი გამოჩნდებოდა. საქმე იმაშია, რომ კვანტალიანმა თვითონ განაცხადა ამის სურვილი.

ფილმის რეჟისორები რევაზ ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე შიშობდნენ, რომ აკაკი კვანტალიანი, როგორც კომიკოსი, მენახშირე მიტუას სახეს გროტესკულ იერს მისცემდა და სოციალური ჟღერადობის ნაცვლად კარიკატურა გამოვიდოდა. მაგრამ შიში უსაფუძვლო გამოდგა და პირველივე საცდელი გადაღებისას წარმოდგა სრულიად ახალი სახე, სავსე უგუნურობითა და უხეშობით, ღიმილის მომგვრელი, მაგრამ მაინც საშიში და არასასიამოვნო.

კიდევ უფრო ძნელი გამოდგა მაგდანას შვილების პოვნა. საინტერესოდ წარიმართა მიხოს როლის შემსრულებლის ძიება. უპირველეს ყოვლისა, რეჟისორებმა სიტყვიერად მოხაზეს მიხოს პორტრეტი: ნამდვილი სოფლის ბიჭი, აღმოსავლური, ქართველის იერით — შავტუხა, დაფიქრებული, დინჯი, მკვირცხლი გონებისა და საზრიანი... რევაზ ჩხეიძემ და თენგიზ აბულაძემ თხოვეს ყველა ნაცნობს, ყველა მეგობარს თუ სადმე ეგულებოდათ ან შეხვდებოდათ ასეთი ბიჭი, სტუდიაში მოეყვანათ. გააკეთეს განცხადებები გაზეთში, რადიოში.

სასურველი შედეგი არ ჩანდა. გადაწყვიტეს კანდიდატი თბილისის გარეუბნების სკოლებში ეძებნათ. ლენინის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში შევიდნენ, საბჭოს ქუჩაზე, და...

პირველ კლასში პატარა, დაბღვერილი შავტუხა ბიჭუნა ლექსს კითხულობდა. მან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და სტუდიაში დაიბარეს. მეორე დღეს გადაიღეს ფოტოგრაფიული სინჯი, რომელიც მოიწონეს. შემდეგ ბავშვს ასეთი დავალება მისცეს: შეუმჩნევლად უნდა გადაპარულიყო ბაღში, სადაც მოხუცი მებაღე თვლემდა. ეს ეტიუდი კინოეკრანისათვის გადაიღეს და დარწმუნდნენ, რომ საქმე ჰქონდათ სრულიად შესაფერის კანდიდატურასთან. ეს ბავშვი გახლდათ როლანდ ბორაშვილი, რომელმაც შემდგომ შესანიშნავად განახორციელა მიხოს როლი კინოფილ „მაგდანას ლურჯაში", ხოლო შემდეგ წარმატებით ითამაშა ბევრ სხვა ქართულ ფილმში და ამჟამად კინოში აგრძელებს მუშაობას.

ასეთი რამ კინოს სამყაროში სრულიადაც არ ითვლება უცნაურობად. ხშირია შემთხვევა, როცა ახალ ფილმში ყველასათვის მოულოდნელად ასპარეზზე გამოდის სრულიად გამოუცდელი მსახიობი. საუბარია „ქუჩიდან მოყვანილ" მსახიობებზე, რომელთაც არასოდეს დაბადებიათ სურვილი აღმოჩენილიყვნენ ეკრანზე, მაგრამ პირველი როლის მაღალ დონეზე შეს-

რულებამ განაპირობა მათი შემდგომი ბედი. ამ გზით მოვიდნენ კინოში ნატო ვაჩნაძე, სპარტაკ ბაღაშვილი, კოხტა ყარალაშვილი.

ამავე გზით დაიმკვიდრეს ადგილი მსოფლიო კინოვარსკვლავთა თანავარსკვლავედში ჯინა ლოლობრიჯიდამ, სოფი ლორენმა და სილვანა პამპანინიმ.

ერთხელ, ჰოლივუდში რევაზ ჩხეიძეს აჩვენეს ის კაფე, სადაც ნაყინს ყიდდა ლანა ტიურნენი. აქ შეამჩნია იგი კინორეჟისორმა, სტუდიაში მიიწვია და შემდეგ ლანა ცნობილი ვარსკვლავი გახდა. ამის შემდეგ, თურმე, ამ კაფეში ნაყინის გამყიდველის ადგილისთვის დღემდე დიდი კონკურსია.

თავის წიგნში „საუბრები კინოხელოვნებაზე" რევაზ ჩხეიძე წერს: „როგორც ისტორია გვიჩვენებს, არაპროფესიონალი მსახიობის ძიების ექსპერიმენტი გამართლებულია, თუმცა, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: გააჩნია, როგორი როლია სათამაშო, რა ფსიქოლოგიური სიღრმისა და როგორი ხასიათის ფილმის შექმნას ისახავს მიზნად რეჟისორი. ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე არაპროფესიონალს შეეძლო შეესრულებინა ფერნანდელის ან ტოტოს როლები კინოფილმებში „კანონი კანონია", „ნეაპოლი-მილიონერთა ქალაქი", ან შეეცვალა ვივიენ ლი „ლედი ჰამილტონში", ან ოდრი ჰეპბერნი ნატაშა როსტოვას როლში ფილმში „ომი და მშვიდობა", ან სერგო ზაქარიაძე „ჯარისკაცის მამაში". თუ კინოში, თეატრისაგან განსხვავებით, მაინც ხდება „სასწაულები" და მთავარ როლში მოულოდნელად გამოჩნდება მსახიობი — არაპროფესიონალი, ეს იმიტომ, რომ აქ დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობის ნატურალურ-კონკრეტულ მონაცემებს და მათ იდენტურობას ავტორის მიერ შექმნილ როლთან. როგორც ცნობილია, კინოში, თეატრთან შედარებით, ძნელია გრიმის ხმარება და, საერთოდ, სახის შეცვლა. თეატრში მაყურებელი სცენიდან მოშორებულია და ამდენად მსახიობის სახეს გარკვევით ვერ აღიქვამს, როგორც ეს ეკრანზე ხდება. ამიტომ ვერიდებით კინემატოგრაფისტები გრიმის ხმარებას, რადგან იგი ეკრანიდან, უბრალოდ, თვალს გვჭრის.

ამის გამო ხშირად, როცა ქუჩაში შემთხვევით შემხვედრი ადამიანის გარეგნობა ემთხვევა როლისათვის საჭირო გარეგნობას (განსაკუთრებით ეს ეხება ქალიშვილებს) და როლი არ არის ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათისა, საკითხი ასე ზუსტად დამთხვევის სასარგებლოდ წყდება".

როცა ყველა ეს ეტაპი წარმატებით შესრულდება, რჩება ერთი ყველაზე „იოლი" ფაზა — გადაღება.

ეს დღე რაღაცით წააგავს ახალი გემის ექსპლუატაციაში გადაცემის საზეიმო ცერემონიალს — იხსნება შამპანურის ბოთლი. შემდეგ მსახიობები

იკავებენ თავიანთ ადგილებს და... რამდენიმე ხნის შემდეგ მაყურებელი იღებს გამზადებულ ფილმს, რომლის გმირები პაპანაქება სიცხეში სულმოუთქმელად დარბიან, უსკდებათ ყინული და ეშვებიან ცივ წყალში, თავდავიწყებით ხტებიან მატარებლიდან ან თავგამეტებით ასკდებიან მიწას გაჭენებული ცხენიდან და ა. შ. ძნელია ფილმის ჩვენების პროცესში წარმოიდგინო მთელი ეპიზოდებისა თუ ცალკეული კადრების გადაღების მთელი სირთულე.

ზაფხულის ეპიზოდს ამომავალი მზე სჭირდება, ესე იგი, გადამღები ჯგუფი დილის ხუთ საათზე „საბრძოლო მზადყოფნაში" უნდა იყოს. საჭიროა თოვლიანი პეიზაჟი? ყინვისა და ქარბუქის მიუხედავად ღია ცის ქვეშ უნდა იმუშაო! და რაც მთავარია, ხელიდან არ უნდა გაუშვა ხელსაყრელი მომენტი, რომლის ხელმეორედ გადაღებისთვის შეიძლება თვეობითაც კი მოგიწიოს ლოდინმა.

წარმოიდგინეთ საახალწლო ღამის რამდენიმე წუთიანი ეპიზოდი კინოფილმ „ჯარისკაცის მამიდან". ღრმა ძილმა დაღლილ ჯარისკაცებს თავი წაართვა და ახლა გათოშილები წვანან სანგრებში. ეს კადრები მოსკოვის მახლობლადაა გადაღებული, 30-35 გრადუსიან ყინვაში. მართლაც რომ გაძნელდა მაშინ მუშაობა. გაყინული ბეღურები ქვებივით ცვივოდნენ მავთულებიდან, იყინებოდა გადამღები აპარატის მოტორი და ვაი-ვაგლახით ათბობდნენ. მსახიობები კი იძულებული იყვნენ, საათობით გაუნძრევლად წოლილიყვნენ გაყინულ სანგარში, რომლის ამოთხრა ექსკავატორმაც კი ვერ შეძლო და მხოლოდ აფეთქების საშუალებით მოხერხდა. იყო იმის შიში, რომ მსახიობებს სახე ან კიდურები მოეყინებოდათ, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა...

არ შეიძლება გონებაში არ ამოტივტივდეს მსახიობისა და რეჟისორის ალექსეი ბატალოვის მოგონება, როცა იგი მძვინვარე ზამთრის დღეებში ლენინგრადის ქუჩებში კინოფილმ „შინელს" იღებდა: „შემდეგი დღე კიდევ უფრო საშინელი იყო, ამინდი საბოლოოდ მოიშალა. საკმარისი იყო ხუთი წუთი გაჩერებულიყავი ქუჩაში, რომ ტანისამოსი ჩვრად ქცეულიყო. აკაკი ბაშმაჩკინის როლის შემსრულებელი მსახიობი როლანდ ბიკოვი ჯერ კიდევ წინა დღეს გაცივდა და სიცხემ აუწია. ვერ წარმომედგინა, როგორ შემეძლო მეთხოვა მისთვის გადაღების წინ ქურქი გაეძრო და ქუდი მოეხადა. მას მთელი სცენა უნდა ეთამაშა და განუწყვეტლივ ერბინა აკაკი აკაკიევიჩის საცოდავ ცივ მუნდირში. მხოლოდ საქმისადმი ფანატიკურმა სიყვარულმა და დიდმა აქტიორულმა კეთილსინდისიერებამ აიძულა ავადმყოფი როლანდ ბიკოვი გაეკეთებინა ის, რაც მან გააკეთა..."

აი, ის მძიმე პური, რომელიც ბევრჯერ უგემნია კინემატოგრაფს, თუმცა უმჯობესია, სიტყვა კვლავ რევაზ ჩხეიძეს მივცეთ:

„...და მაინც, ჩვენი შრომა დიდი სიყვარულითა და ხალისით არის სავსე. მასში იმდენი გამომგონებლობა, ფანტაზიის ესოდენი გაქანება, ნებისყოფის იმდენი ძალაა ჩასადები და თანაც იმდენ მოულოდნელობასთანაა დაკავშირებული, რომ ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დაუვიწყარ, შესანიშნავ მოგონებად რჩება. გადაღების ყოველი დღე, ყოველი კადრი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა კინორეჟისორის, საერთოდ, გადამღები ჯგუფის ცხოვრებაში. ჩვენ, კინემატოგრაფისტები, მოკლებული ვართ იმ საშუალებას, რომ შეგვეძლოს მწერლების, მხატვრების ან კომპოზიტორების მსგავსად, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიტანოთ ჩვენს ნაწარმოებში. მწერალს შეუძლია როგორც უნდა ისე მოეპყრას თავის ხელნაწერებს: გადააკეთოს მთელი თავები, შეცვალოს მოქმედ გმირთა ხასიათების ნიუანსები. ცნობილია, რომ დიდი მწერლები წლობით მუშაობენ ამა თუ იმ ნაწარმოებზე. მათი ხელნაწერების შესწავლა გვარწმუნებს, თუ როგორ სცვლიდნენ ისინი პირველ ჩანაფიქრს, შეჰქონდათ ახალ-ახალი თავები და სხვა შესწორებანი. კინოში ეს თითქმის შეუძლებელია, ამიტომ ერთხელ გადაღებულს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი ფილმისთვის.

ცნობილი კინორეჟისორი მიხეილ რომი თავისი პირველი ფილმის გადაღების წინ მივიდა თურმე საბჭოთა კინოს კორიფე სერგეი ეიზენშტეინთან და სთხოვა კონსულტაცია (გი დე მოპასანის „ფუნთუშას“ იღებდა).

— სულ ერთია, არ გამიგონებთ, — სიცილით თქვა ეიზენშტეინმა.

—სინდისს გეფიცებით, გაგიგონებთ!

— რომელი კადრით იწყებთ გადაღებას?

— ყველაზე უბრალოთი — ახლო ხედი, — ჩექმები აწყვია კარების წინ.

— გადაღება როდის გაქვთ?

— ხვალ.

— წარმოვიდგინოთ, რომ ზეგ ტრამვაის ქვეშ ჩავარდებით. გადაიღეთ კადრი ისე, რომ მე შემეძლოს იგი კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში მივიტანო, ვაჩვენო სტუდენტებს და ვუთხრა: „შეხედეთ, რა დიდი რეჟისორი დაიღუპა უდროოდ! მხოლოდ ერთი კადრის გადაღება მოასწრო, მაგრამ რაც გადაიღო, უკვდავია. ჩვენ ამ უკვდავ „ჩექმებს“ არქივში მოვათავსებთ.

— მესმის, — უთხრა მიხეილ რომმა.

— ტრამვაის ქვეშ ჩავარდნა აუცილებელი არაა, — დაუმატა ეიზენ-შტეინმა.

— შემდეგ, შემდეგ როგორ გადავიღო? — კვლავ დაეკითხა რომი.

— რა თქმა უნდა, ზუსტად ასევე. ყოველი კადრი, ყოველი ეპიზოდი, ყოველი ფილმი.

მიხეილ რომისა და სერგეი ეიზენშტეინის ამ საუბრიდან კარგად ჩანს ის, რაც მუდამ უნდა ახსოვდეს ყოველ კინორეჟისორსა და კინომუშაკს. ეს არის პასუხისმგებლობის უსაზღვრო გრძნობა".

კინოაპარატი კი კვლავ ტრიალებს. კადრი კადრს ემატება, იქმნება სიმართლე, რომელმაც ხვალ უნდა აალაპარაკოს კინოსამყარო. მაგრამ საკმარისია ამ სიმართლეში ოდნავ გაიკიაფოს სიყალბის ელემენტმაც კი, რომ კინოსამყარო უკვე სულ სხვაგვარად ალაპარაკდება, ტიტანური შრომა, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ.მაინც აღმოჩნდება წყალში გადაყრილი.

როგორც უკვე ვთქვით, კინომსახიობი, თეატრისგან განსხვავებით, ნატურაზე გადაღების დროს რეალურ სამყაროში მოქმედებს და ეკრანზე შემოაქვს სტანისლავსკის მიერ „მცირე სიმართლედ" წოდებული ელემენტები.

კინოფილმ „ჩაპაევში" არის ერთი ასეთი საინტერესო დეტალი. როცა ჩაპაევი ფურმანოვს მოწინააღმდეგის ჯარების განლაგებასა და მათზე იერიშის მიტანის გეგმას განუმარტავს, მას წინ კარტოფილები უწყვია თვალსაჩინოებად. ეს ერთ-ერთი ამაღლებული ეპიზოდია მთელ კინოფილმში, ვინაიდან მასში სრულყოფილადაა გადმოცემული ხალხის წიაღიდან აღმოცენებული სტრატეგისა და სარდლის შინაგანი ბუნება, ადამიანისა, რომელშიც კლასიკურ განათლებას ინტუიციის გრძნობა აჭარბებს. სხვა დიდი სარდლები ანალოგიურ მდგომარეობაში უბრალოდ სასაცილო იქნებოდნენ, მაგრამ ჩაპაევი შესანიშნავად შეეწყო ამ ბუნებრივ სიტუაციას. თუმცა, ეს კადრი სარეჟისორო სცენარის მიხედვით სხვაგვარად იყო დაგეგმილი — ჩაპაევს ჯოხით უნდა მოეხაზა სილაში მომავალი ბრძოლების ამსახველი სურათი. ამას მხარს უჭერდნენ ფილმის რეჟისორები ძმები ვასილიევები. მაგრამ მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა ბორის ბაბოჩკინმა თავისი დაიჟინა და სილა კარტოფილებით შეცვალეს. ასე უბრალოდ იქნა ნაპოვნი ეპიზოდის ისეთი მხატვრული გადაწყვეტა, რომელიც სამუდამოდ შევიდა კინოისტორიაში.

სწორედ ეს არის სტანისლავსკის ის „მცირე სიმართლე", რომელსაც, სამწუხაროდ, ბევრი კინომოღვაწე დღესაც სკეპტიკურად უყურებს, თუმცა

ტატიანა დორონინა, ალექსანდრე ზარხი და რევაზ ჩხეიძე ალაბინაში, 1973 წელს

შეხვედრა მწერლებთან

მორიგი სხდომა...

გამოფენა „კინოს ტექნიკური საშუალებების“ გახსნა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“



ტექსელში ქართველი ჯარისკაცების საძმო სასაფლაოზე

1971 წელი. კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე და ქართული კინოს პიონერი ვასილ ამაშუკელი



ალექსეევი, რევაზ ჩხეიძე, რუბენ მამულიანი და გიორგი შენგელია

კინორეჟისორები კოტე სურმავა, რევაზ ჩხეიძე, სერგეი გერასიმოვი და მარლენ ხუციევი

ესპანეთის ქალაქი ალკალა. საკავშირო გაერთიანება „ეკრანის“ დირექტორი
ბორის ხესინი და რეჟისორ ჩხეიძე მიგელ დე სერვანტესის სახლთან




კინორეჟისორები გიორგი შენგელაია, რევაზ ჩხეიძე და ნიკიტა მიხალკოვი
ჰოლივუდის სტუდია „მეტრო გოლდვინ მაიერში“

1977 წელი მადრიდის მუზეუმი „პრადო“. რევაზ ჩხეიძე და ესპანელი მხატვარი
რობერტო მარკანი რომელიც 1951-56 წლებში მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ
ფილმში“ მხატვარ-მულტიპლიკატორად






ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქი ბერკლი. კინორეჟისორები გიორგი შენგელაია და რევაზ ჩხეიძე

ჰოლივუდში: რომან კარმენი, ფრანკ კაპრა, ნატაშა ფატეევა და რევაზ ჩხეიძე

რევაზ ჩხეიძე და ალან ქაჯური მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე

1965 წელი. ამერიკის შეერთებული შტატები. რომან კარმენი, ნატაშა ფატეევა
და რევაზ ჩხეიძე ამერიკელ მსახიობებს ესტუმრნენ

კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე, დრამატურგი სულიკო ელენტი და მსახიობი
სერგო ზაქარიაძე მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ბულგარეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის მთავარი მდივანი რაშო შოსეხოვი,
რევაზ ჩხეიძე, კინომცოდნე ილია ვაისფელდი და უნგრელი რეჟისორი კოვაჩი

დარიალის ხეობაში კინოფილმ „ნერგებზე" მუშაობისას

1972 წელი. კინოფილმ „ნერგების" გადაღებაზე დარიალის ხეობაში



1978 წელი. კინომსახიობი დოდო აბაშიძე და რეჟისორი რევაზ ჩხეიძე ქალაქ
გურჯაანში ჯარისკაცის მამის ძეგლის გახსნაზე

რევაზ ჩხეიძე, ნიკოლოზ კრიუჩკოვი და ვალერიან ყვაჭაძე მოსკოვში

რამაზ ჩხიკვაძე, რევაზ ჩხეიძე და სულიკო ჟღენტი მეტეხის ალაგზე

უცხოური პრესა იუწყება...



კინოფილმ „რაიკომის მდივნის“ გადაღებაზე.


მიგვეგზავნეთ
„ქარიყლ-ვილში"
ბატონო... დონ ქიხოტ
ნებისმიერ ჩხეიძეს
ვიქნებ ფალიოტ
ნებისმიერ ჩხეიძეს!
1976. 8.12.

ბევრ გამოჩენილ კინორეჟისორს თავისი შემოქმედებითი ცხოვრების სახელმძღვანელოდ მიაჩნია იგი.

აი როგორ შეიქმნა კიდევ ერთი „მცირე სიმართლე“ კინოფილმ „ჯარისკაცის მამაში“: ნახევრად მძინარე გიორგი მახარაშვილი სროლისა და აფეთქების ხმაზე ქოხიდან უნდა გამოვარდნილიყო და გაოგნებულს, თავბრუდახვეულს უნდა იყვირა „გდე ნემცი, გდე ნემცი!“ ეს ბუნებრივად ჟღერდა, ვინაიდან გერმანელთა ასეთი მასირებული თავდასხმისას კახელი გლეხი, რა თქმა უნდა, დაიბნეოდა და არც ის ეცოდინებოდა, თუ საითკენ გაქცეულიყო. კადრები წინასწარ შემუშავდა და საერთო მოწონება ეაიმსახურა: ქოხიდან გამორბიან ჯარისკაცები, არის ერთი ფუსფუსი და ორომტრიალი, გიორგი მახარაშვილი დაბნეულია და აღარ იცის, საით გაიქცეს, თან წამდაუწუმ ჯარისკაცებს მისძახის, სად არიან გერმანელებიო.

რევაზ ჩხეიძემ გადასაღები ჯგუფი მოამზადა და დაიწყეს უშუალოდ გადაღებისთვის რეპეტიციის ჩატარება, მსახიობები წინასწარ მიცემული გეგმის მიხედვით ამოქმედდნენ.

რევაზ ჩხეიძე მიხვდა: საქმე ისე არ მიდიოდა, როგორც საჭირო იყო. ეპიზოდს მახარაშვილისათვის აუცილებელი რამ აკლდა, აშკარად აუცილებელი, მისი მდგომარეობის დრამატიზმისა და კომედიურობისათვის.

და მაშინ რევაზ ჩხეიძე კიდევ ერთხელ დაჰყვა ცხოვრების სიმართლეს, მის დინებას და ერთი მარტივი შეკითხვა დასვა: საით გაიქცევიან საბჭოთა ჯარისკაცები მტრის შემოტევისას? ბუნებრივია, გერმანელების შესახვედრად. საით გაიქცევა იგივე სიტუაციაში გიორგი მახარაშვილი? რა თქმა უნდა, ვიდრე შექმნილ მდგომარეობაში გაერკვევა, იგი ჯარისკაცების მხარდამხარ ირბენს, მაგრამ, როგორც კი დაადგენს გერმანელების ადგილსამყოფელს, მახარაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ჯარისკაცად და შურისმაძიებლად, საწინააღმდეგო მხარეს გაიქცევა. ერთი შეხედვით, თითქოს შეუმჩნეველი დეტალია, მაგრამ მიზანსცენის ასეთმა შეუმჩნეველმა ცვლილებამ კარგად გადმოგვცა გიორგი მახარაშვილის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი დამოკიდებულება საკითხისადმი: ბოლოს და ბოლოს სადაა მისი ადგილი, სოფლის ვენახში თუ ბრძოლის ფრონტზე.

ძნელია დაწვრილებით აღნუსხო ის ტიტანური შრომა, რომელიც გადამღებმა ჯგუფმა კინორეჟისორის ხელმძღვანელობით უნდა გასწიოს ფილმის შესაქმნელად. ვინაიდან ეს შემოქმედებაა, შემოქმედება კი არც ერთი ინსტრუქციის ჩარჩოებში არ ეტევა.

კინორეჟისორმა კინემატოგრაფიულ სახეთა სისტემის შექმნით უნდა

ჩამოაყალიბოს სცენარის შინაარსის შესატყვისი სახე, მაგრამ, ამავე დროს, საკუთარი ელემენტების შეტანით უნდა გაამდიდროს იგი.

კინორეჟისორმა დამაჯერებლად, მოქნილად უნდა გააერთიანოს ყველა კომპონენტი: სცენარი, მსახიობი, მხატვარი, კომპოზიტორი, ოპერატორი და მათი შემოქმედება ერთი იდეურ-მხატვრული გადაწყვეტისაკენ წარმართოს.

კინორეჟისორი უნდა იყოს არა მარტო ფილმის გადაღების შემოქმედებითი ცენტრი, არამედ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის ყოველდღიური, მრავალმხრივი საქმიანობის წარმმართველი.

და რაც მთავარია, კინორეჟისორი თვით უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი მაყურებელი.

როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირები, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, კულტურის სამინისტრო და თეატრალური საზოგადოება სერიოზულად და საფუძვლიანად უნდა გაერკვეს, თუ როგორია ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი ხელოვნების ძალა, რამდენად სწორად, მართლად და ღრმად ასახავს ლიტერატურული, სცენური, მხატვრული და მუსიკალური სახეები ჩვენი დროის გმირს, ჩვენს თანამედროვეს, ჩვენს თანამემამულესა და თანამებრძოლს, რომელსაც დაჰყავს ხომალდები და იცავს სახელმწიფოს საზღვარს, ადნობს ფოლადს და მოჰყავს პური, ასწავლის ბავშვებს და წვდება ბუნების ჯერ კიდევ ამოუცნობ საიდუმლოებებს.

ყოველივე ამ საკითხების დადებითად და დროულად გადაჭრას ესაჭიროება სათანადოდ მომზადებული კადრები.

კინორეჟისორი ბევრ კადრს ვერ აღზრდის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავისუფალი დროით მაქსიმალურადაა შეზღუდული. კინოსტუდიის დირექტორს კი ბევრი და კარგად მომზადებული მუშაკი სჭირდება. არადა, რამდენი სიფრთხილეა საჭირო ამ საშვილიშვილო და პატრიოტულ საქმეში ოდნავი შეცდომაც რომ არ მოგვივიდეს.

არცთუ ისე შორეული წარსულის ტრადიცია კადრების არასწორ მომზადებასა და განაწილებაში დღესაც ბევრგან მიანგრევს წალკოტად ქცეულ პროსპექტს. ზოგიერთ დარგში ფეხმოკიდებული უმეცრება დროსაც ამახინჯებს და ცხოვრების სილამაზესაც. და ამ შემთხვევაში „არცოდნა“ — „არცოდვა“ კი არაა, არამედ დიდი დანაშაულია აწმყოსა და მომავლის წინაშე, ისტორიას თავი რომ დავანებოთ.

ის, რაც ჯერ კიდევ დაძლეული არ არის, ხვალ აუცილებლად უნდა

ალმოიფხვრას და ამოიძირკვოს, ვინაიდან ხელოვნებაში წამიერი დაყოვნება ცხოვრების მრავალწლობით ადგილზე გაყინვას და კონსერვაციას ნიშნავს.

სწორედ ამ აქტუალურ საკითხს მიუძღვნა რევაზ ჩხეიძემ თავისი გამოსვლა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე: „...ახლო წარსულში ფეხმოკიდებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაზე და, მათ შორის, ხელოვნების განვითარებაზე. ვინ იცის, რამდენი საინტერესო ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, რომლებიც ცხოვრების ცხოველმყოფელ პრობლემებს ეხებოდა. პომპეზურობა, პარადულობა — აი, საითკენ უბიძგებდნენ ხელოვნების მუშაკებს იმდროინდელი ხელმძღვანელები. იმ დროის ზოგიერთი ნიმუში დღესაც „ამშვენებს“ ჩვენს მოედნებსა და ქუჩებს, სასახლეებსა და სკოლებს.

უკანასკნელ ხანებში, რა თქმა უნდა, დიდად შეიცვალა მუშაობა შემოქმედებითს კავშირებსა და საზოგადოებებში. ამ კოლექტივებსა და მათ ხელმძღვანელებს კარგად აქვთ შეგნებული ის რთული ამოცანები, ჩვენ წინაშე მთელი თავისი სიდიდით რომ დააყენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქვეყნოდ ცნობილმა დადგენილებამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

საინტერესო გამოფენათა ინიციატორი გახდა მხატვართა კავშირი, ხოლო საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა და კინემატოგრაფისტთა კავშირებმა საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრები გამართეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში. ქართველი კინემატოგრაფისტები თავიანთი ფილმებით ეწვივნენ სტუმრად ბაიკალ-ამურის მაგისტრალის გმირ მშენებლებს.

სასიამოვნოა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ქართული საბჭოთა კულტურის პროპაგანდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, არამედ საზღვარგარეთაც.

ქართული კინო ერთ-ერთი უძველესთაგანია ჩვენს ქვეყანაში. მას თავიდანვე საფუძველი ჩაეყარა, როგორც დემოკრატიული და ჰუმანური ტრადიციების ხელოვნებას. ქართული საბჭოთა კინოს ოსტატთა უფროსმა თაობამ დასაბამი მისცა მისი, როგორც ხალხური და პარტიული ხელოვნების ტრადიციას. მისი განვითარება იდგა სოციალისტური რეალიზმის გზაზე და ჩვენ მოწოდებული ვართ განვაგრძოთ და ახალ სიმაღლეებზე ავიყვანოთ იგი.

მხატვრულ კინოში საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები არცთუ

ისე სწრაფად პოულობს ასახვას, მაგრამ ქართველი კინემატოგრაფისტებისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაყოფიერ მუშაობაში არ შეიძლებოდა არ არეკლილიყო ის ცვლილებები, რაც ბოლო ხანს რესპუბლიკაში მოხდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმზე ითქვა, რომ „ქართული კინო უნდა გახდეს კომუნისტური მორალის ნორმებიდან იმ გადახვევათა ერთ-ერთი მთავარი მამხილებელი, რომლებიც შეინიშნებოდნენ რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში". ეს მოწოდება ჩვენთვის უაღრესად დროულიც იყო და აქტუალურიც.

შეიძლება ითქვას, რომ კინემატოგრაფიაში ბევრი რამ მოხდა ახალი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება საბჭოთა კინოს შემდგომი განვითარების შესახებ და, შესაბამისად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება, ქართული საბჭოთა კინოს განვითარების ძირითად პროგრამად გადაიქცა.

შესამჩნევად გადახალისდა კინოსტუდია „ქართული ფილმის" შემოქმედებითი ცხოვრება. ფართო და მრავალმხრივი გახდა სტუდიის შრომითი საქმიანობა.

ყოველივე ამან გამოიწვია ჩვენი შემოქმედებითი კადრების აქტივობის გაზრდა. უნებლიედ გვახსენდება ზუსტი და მოხდენილი სტრიქონები გიორგი ლეონიძის ერთ-ერთი ლექსიდან:

პოეტებო გულსაც უნდა
ბერტყვა, როგორც ხურჯინს!..

მართლაც და, გული დაიბერტყა ბევრმა ჩვენმა შემოქმედმა. კომუნისტური პარტიის მგზნებარე მოწოდებებმა ღრმა გამოძახილი ჰპოვა კინოს ოსტატთა შორის, აქტიური შემოქმედებისა და მაღალნაყოფიერი შრომისადმი განაწყო ისინი.

შეიქმნა ნამდვილად მაღალმხატვრული ღირსების ფილმები, რომელთაც დიდი ჯილდოები მოიპოვეს როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო კინოფესტივალებზე მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ბაქოში, ალმა-ათაში, სან-რემოში, ლონდონში, პარიზში, ბელგრადში, სან-სებასტიანში, ჩიკაგოსა და თეირანში.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერით კინოსტუდია „ქართული ფილმი" 1975 წელს საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილებით გამოცხადდა პირველი კატეგორიის სტუდიად. ეს მისი მუშაობის აღიარებაა.

მაგრამ, ჩვენ ზოგჯერ გვაქვს შემოქმედებითი წარუმატებლობის შემთხვევები. ზოგჯერ ფილმები ეძღვნება ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან პრობლემებს, მაგრამ თემა გადაწყვეტილია სქემატურად, დაბალმხატვრულ დონეზე. ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ცხოვრების ურთულესი მოვლენების ცუდი, ზერელე ცოდნა და პროფესიული მომთხოვნელობის შეუწყნარებელი შესუსტება. ცოდვა გამხელილი ჯობია: ჩვენ ხშირად ვჩქარობთ გამოვაქვეყნოთ ჯერ კიდევ დაუხვენავი ნაწარმოები, დავიწყოთ გადაღება ისეთი სცენარისა, რომელიც ჯერ კიდევ სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს. აბა გაიხსენეთ, რამდენს მუშაობდა ლევ ტოლსტოი თავის ხელნაწერებზე, რამდენი ვარიანტი არსებობს „ანა კარენინასი", „ომი და მშვიდობისა"! გამიგონია ასეთი ფაქტი: პუშკინს, როდესაც პეტერბურგიდან საქართველოში მოდიოდა, ეტლში ცხენების გამოცვლა დასჭირდა და მოკლე წერილი, რომელიც მან მეჯინიბეს მისწერა, სამჯერ გადააკეთა, სამჯერ გადაწერა. რა არის ეს? დიდ პოეტს არ შეეძლო დაეწერა დაუდევრად თუნდაც ისეთი უბრალო შინაარსის წერილიც კი, რომელიც ცხენების გამოცვლას ეხებოდა.

როგორია კადრების პოლიტიკა კინემატოგრაფიაში?

მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ „კომსომოლსკაია პრავდას" კორესპონდენტმა მკითხა: არ გეშინიათ ახალგაზრდა კინორეჟისორს დამოუკიდებელ ფილმს რომ აძლევთ დასადგმელად? ეს ხომ გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებულიო. მე ვუპასუხე სრულიად გულწრფელად: აქ ყველაზე ნაკლები რისკია-მეთქი. მართლაც და, ახალგაზრდა ადამიანს ასწავლის მთელი ჩვენი ხალხი — როგორ უნდა იცხოვროს, ასწავლის კომკავშირი, ზრდის კომუნისტური პარტია, ასწავლის სკოლა, და ბოლოს უმაღლესი სასწავლებელი. ყოველივე ეს ცხოვრებისა და პროფესიული მომზადების დიდი სკოლაა... სერგეი ეიზენშტეინი 26 წლისა იყო, როდესაც დადგა კინოფილმი „ჯავშნოსანი „პოტიომკინი" — მსოფლიო კინემატოგრაფიის შედევრი. 25 წლის ნიკოლოზ შენგელაიამ გადაიღო კინოფილმი „ელისო". საბჭოთა კინოს უკანასკნელი 20-25 წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდობის თამამი დაწინაურება კინოში მხოლოდ განახლებასთან, ახალ, საინტერესო მოვლენებთან არის დაკავშირებული. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ხელოვნება ვითარდება ყველა თაობათა შესაძლებლობის ჰარმონიული შერწყმით. მაგრამ თუ ჩვენ ვფიქრობთ ხვალინდელ დღეზე, ვფიქრობთ მომავალზე, არ შეიძლება კადრების მომზადების საკითხი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად არ ვაქციოთ. როდესაც იმ მანკიერ წლებს ვიხსენებთ, რომლებზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, ჩვენ არ შეგვიძლია მტკივნე-

ულად არ ვიგრძნოთ იმ პერიოდის გავლენა სწორედ კადრების მოპზადებისა და შერჩევის პრობლემებზე. ამ ვითარებამ კინოსაც დაატყო თავისი კვალი.

კადრების მომზადების ერთადერთი კერა ჩვენთვის აქამდე იყო კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტი მოსკოვში. კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და საქართველოს კინოკომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ რატომღაც ჩათვალეს, რომ ჩვენ გვემუქრებოდა კადრების სიჭარბე და ოფიციალური წერილით დააყენეს საკითხი კინემატოგრაფიის საკავშირო კომიტეტის წინაშე, რომ ქართველი სტუდენტები არ ყოფილიყვნენ მიღებული კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში. ქართულ კინოსა და ტელევიზიას უთუოდ დააკლდა მთელი თაობა კინომუშაკებისა, რომლებიც ახლა უკვე ფართო არენაზე იქნებოდნენ გამოსულები და, ვინ იცის, რამდენ საინტერესო კინონაწარმოებს შექმნიდნენ. მაინც რა მონაცემებს, რა სტატისტიკას ემყარებოდნენ მოსკოვში გაგზავნილი ზემოთ ხსენებული წერილის ავტორები, გაუგებარია! განა ისინი ვერ ხედავდნენ, რომ უკვე მაშინ დიდომში მთავრდებოდა კინოსტუდიის ახალი კორპუსები, რაც ერთიორად გაზრდიდა „ქართული ფილმის“ წარმოების სიმძლავრეს? ვის უნდა გადაეღო ეს ფილმები? ნუთუ ისინი ვერ ხედავდნენ თუ როგორ ფართოვდებოდა ტელევიზიის გადაცემათა პროგრამები, რედაქციები? ვის უნდა დაეკავებინა იქ რეჟისორის ადგილები? არაპროფესიონალებს? საუბედუროდ, ეს ასეც მოხდა, რამაც, რა თქმა უნდა, უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც ქართული კინოს, ასევე ტელევიზიის დონეზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერითა და საქართველოს კინოკომიტეტის აქტიური და ქმედითი ჩარევის შედეგად აღნიშნული პრობლემა წარსულში გონივრულად და უმტკივნეულოდ გადაიჭრა და საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს ქართველ კინოსპეციალისტებს და, მათ შორის, კინორეჟისორებს.

ქართული ეროვნული კინოს განვითარების დღევანდელი დონე, ამ ფაკულტეტებზე მიღებული კონტიგენტი და პედაგოგთა — თენგიზ აბულაძის, ლანა ღოღობერიძისა და ელდარ შენგელაიას მაღალი კვალიფიკაცია საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ რამდენიმე წელიწადში საიმედო შევსებას მივიღებთ სტუდიისათვის, აუცილებლად მიგვაჩნია კინოდრამატურგთა, კინოოპერატორთა და კინომცოდნეთა ფაკულტეტის გახსნაც, რაც მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

უკანასკნელ პერიოდში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაობის მოცულობა ერთიორად გაიზარდა და 1970 წელს გამოშვებული შვიდი სრულმეტრაჟიანი ფილმის ნაცვლად, კინოსტუდია ახლა წელიწადში 14 სრულმეტრაჟიან მხატვრულ და სატელევიზიო ფილმს უშვებს. სიბარულით მინდა აღვნიშნო, რომ უფროსი და საშუალო თაობების კინო და ტელეოსტატტა გვერდით გამოჩნდა და წარმატებით მუშაობს ახალგაზრდა ნიჭიერ კინორეჟისორთა მოზრდილი ჯგუფი.

კინომსახიობთა დახელოვნებისა და ახალგაზრდა კადრების მომზადებისათვის, აგრეთვე, კინოსცენარების მიხედვით საცდელი სპექტაკლების დადგმისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კინომსახობის სპეციალურ თეატრ-სტუდიას, რომელიც შეიქმნა რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით 1975 წელს და რომელსაც მიხეილ თუმანიშვილი ხელმძღვანელობს.

კინოხელოვნების შემდგომი განვითარება და წინსვლა დიდად არის დამოკიდებული მის ტექნიკურ და საწარმოო ბაზაზე. მე მინდა განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე რიგის მშენებლობის საკითხზე.

სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმოების შემდგომ სწრაფ ზრდას. აქედან გამომდინარე, საჭიროა შესრულდეს ის დაპირებები, რომლებიც ხშირად გაგვიგონია ხელმძღვანელი ამხანაგებისაგან და სტუდიის დასასრული მეორე რიგის მშენებლობა შეტანილ იქნას მომავალი ხუთწლედის გეგმაში. უამისოდ შეუძლებელია სერიოზული ლაპარაკი ქართული სამამულო კინემატოგრაფიის შემდგომ განვითარებაზე.

აქვე მინდა აღვნიშნო: დღეისათვის უეჭველად მომწიფებულია საკითხი, რომ თბილისში აშენდეს საბჭოთა მხატვართა თანამედროვე საგამოფენო დარბაზი.

ხარისხის პრობლემას ლიტერატურასა და ხელოვნებაში, კერძოდ, კინოში ბევრი ასპექტი აქვს. რეცეპტების წერა აქ ძნელია და იქნებ არც იყოს საჭირო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, უკვდავი მხატვრული ნაწარმოები მაშინ შექმნილა, როცა ხელოვანს დაუხატავს ნათელი იდეალებისთვის მებრძოლი, სულიერად მტკიცე და ზნეობრივად მაღალი გმირის სახე. მაყურებელს და მკითხველს უყვარს ვაჟკაცობისა და თავგანწირვის რომანტიკა, შეუპოვარი სულის გმირები, რომლებიც სძლევენ დაბრკოლებებს და მისაბაძნი არიან მოქალაქეობრივი შეგნებით, სიმტკიცითა და ჰუმანური სულისკვეთებით.

ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მუშათა კლასის თემას, უნდა შექმნან ჩვენი დროის მგზნებარე კომუნისტის ცოცხალი სახე. პირადი ვალდებულების წესით უნდა მოგახსენოთ, რომ წელს შევუდგები დრამატურგ სულიკო ჟღენტის სცენარის საფუძველზე ახალი ფილმის გადაღებას, რომლის ცენტრალური გმირი იქნება სამოცდაათიანი წლების კომუნისტი, ადამიანი, რომლისთვისაც ყოველი დღე, საათი და წუთი მისი პირადი ღირსების გამოცდას წარმოადგენს.

დასასრულ, მე მინდა შევეხო ერთ საკითხს; მიუხედავად პარტიისა და მთავრობის არაერთი დადგენილებისა, ჩვენ, ხელოვნებისა და კინოს მუშაკები, სათანადო გულისყურით ვერ ვეკიდებით ახალგაზრდობის აღზრდას.

რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ჩვენში ბევრი რამ კეთდება. მაგრამ ნაკლი მაინც ბევრია. ცოტა წიგნი იწერება ბავშვებისათვის, ცოტა სპექტაკლები იდგმება თეატრებში. კინოსტუდიაც სცოდავს ამ მხრივ. ჩვენ დავალებული გვაქვს წელიწადში ერთი მხატვრული ფილმი მაინც შევქმნათ ბავშვებისათვის, მაგრამ ეს ყოველთვის როდი სრულდება. თან, არც არავინ გვეკითხება შეუსრულებლობის მიზეზს, თითქოს ეს მეორეხარისხოვანი საქმე იყოს.

სათანადოდ ვერ ვიყენებთ მოზარდებთან პირადი კონტაქტებისა და ზეგავლენის ფორმებს.

მოზარდის ფსიქიკა სათუთად ითვისებს ყველაფერს. სკოლაში მისული მწერლის, მსახიობის, ხელოვანის ცოცხალი, საინტერესო საუბარი შეიძლება მოზარდისთვის ცხოვრებაში გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად იქცეს. ვინ იცის, რამდენ ბავშვს გადავარჩენდით არაჯანსაღი ტენდენციებისაგან, ზოგჯერ დანაშაულისაგანაც, მეტ ზეგავლენას რომ ვახდენდეთ მოზარდებზე პირადი სიახლოვით და მშვენიერების სიყვარულს რომ ვუნერგავდეთ მათ.

სკოლაში, როგორც წესი, არ ისწავლება ხელოვნების ისტორიის, მუსიკისა და კინოს საფუძვლები. რა თქმა უნდა, სასკოლო პროგრამა ისედაც უზომოდაა გადატვირთული, მაგრამ, როგორღაც ხომ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ არ დაირღვეს სასურველი პროპორცია სწავლებასა და მოზარდის სულიერ, მორალურ, ესთეტიკურ აღზრდას შორის! იშვიათად ვხვდებით, რომ სკოლაში საინტერესოდ და მიმზიდველად აცნობდნენ ბეთჰოვენის, მიქელანჯელოს, ჩაიკოვსკის, ფალიაშვილისა და ფიროსმანის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შემოქმედებით ინტელიგენციას ბევრი საქმე

აქვს გასაკეთებელი და არ შეიძლება იყოს მისთვის უფრო საპატიო მოვალეობა, ვიდრე პარტიისთვის მუდმივი და აქტიური დახმარება საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის დიდ პატრიოტულ საქმეში".

შემთხვევით როდი მოვიყვანეთ თითქმის სრულად რევაზ ჩხეიძის სიტყვა, თქმული საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე. აქ კიდევ ერთხელ მტკიცდება, თუ როგორ ახლო დგანან ერთმანეთთან მისი სიტყვა და საქმე. რევაზ ჩხეიძემ პირნათლად შეასრულა თავისი დაპირებები:

კინოფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ" გადაღება დასრულდა.

გადამღები ჯგუფი აქტიურად მუშაობს მრავალსერიიან ფილმის „დონ კიხოტის" შექმნაზე.

— კინოსტუდია „ქართული ფილმი" კვლავაც განუხრელად იბრძვის და იღვწის ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების მომზადების ფრონტზე და ყველა საშუალებით ცდილობს გაუკაფოს მათ გზა დიდ კინოში.

— დღეისთვის მთლიანად დაძლეულია ის მანკიერი მხარეები, რაც შეიმჩნეოდა ადრეულ პერიოდში კინოსტუდიის საქმიანობაში.

— კინოსტუდია „ქართულ ფილმში" გამოშვებული კინოპროდუქციის იდეურ-პროფესიული დონე ძირითადად აკმაყოფილებს თანამედროვე ცხოვრების მრავალმხრივ მოთხოვნებს.

და რაც მთავარია, კინოსტუდია „ქართული ფილმი" მთელი დატვირთვით მუშაობს.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, საკმარისი დრო იმისათვის, რომ სწორად შეაფასო წარსულის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები და ღირსეული ადგილი დაუკვიდრო მის შედეგებს აწმყოსა თუ მომავალში. 1981 წლის იანვარში, როცა საქართველოს კომუნისტები თავის უმაღლეს ფორუმზე — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე შეიკრიბნენ, რევაზ ჩხეიძემ მაღალი ტრიბუნიდან მიმართა დელეგატებს: „თანამედროვე ქართული კინემატოგრაფიის შემოქმედებითს სახეს განსაზღვრავს მაღალი იდეური და მხატვრული დონე. თანამედროვის შინაგანი სამყაროსადმი დიდი ინტერესი, ახალი თემებისა და საინტერესო მხატვრული გადაწყვეტების აქტიური ძიება. საბჭოთა და საზღვარგარეთელი მაყურებლების აღიარება დაიმსახურეს თენგიზ აბულაძის, ელდარ და გიორგი შენგელაიების, ნანა მჭედლიძის, ოთარ იოსელიანი, მერაბ კოკოჩაშვილის, სოსო ჩხაიძის, ვახტანგ მიქელაძის და ბევრი სხვა რეჟისორის ფილმებმა. ლანა ღოლობერიძის ახალ კინოსურათს „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. უნდა აღინიშნოს რომ დიდი წარმატება ხვდა

წილად ცენტრალური ტელევიზიის ეკრანებზე მრავალსერიიან სატელევიზიო მხატვრულ ფილმს „დათა თუთაშხია", რომელიც რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ შექმნა გ. გაბესკირიასთან ერთად. ამ კინოსურათებში თემის მნიშვნელობა შეხამებულია ზუსტად და ნიჭიერად ნაპოვნ ფორმასთან და ეს უზრუნველყოფს მაყურებელთა თანაგრძნობას და გაგებას.

მაგრამ არა მარტო ხელოვანის ნიჭი და ოსტატობა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი იდეური სიმწიფე განსაზღვრავს დღეს წარმატებას, ნაწარმოების საზოგადოებრივ რეზონანსს. კინოხელოვნებამ — პარტიის აქტიურმა თანაშემწემ — დროის, ისტორიის მოწოდებით უნდა გააშუქოს ჩვეულებრივის არაჩვეულებრიობა, გვიჩვენოს შრომითი დღეების პოეზია, გაიაზროს ხალხის ყოფის დღევანდელი რეალობანი კომუნისტური პერსპექტივების მიხედვით. და ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს ადამიანის მეშვეობით, მართლაცდა ღრმად ვუჩვენებდეთ მის პიროვნებას, ვაშუქებდეთ მის განუმეორებლობას. როცა აკვირდება ადამიანის ხასიათში ტიპურ ნიშნებს, შინაგანი განვითარების ხაზს, იკვლევს თანამედროვე გმირის ქცევის მოტივებს, ხელოვანი ყოველთვის შეიგნებს ხოლმე იმას, თუ რაოდენ მრავალფეროვანია ადამიანის, პიროვნების კავშირი თანამედროვე საზოგადოებასთან. სწორედ ამაზე ფიქრით ვიწყებდით მუშაობას კინოდილოგიაზე „მშობლიურო ჩემო მიწავ", რომელშიც ვცდილობდით გვეჩვენებინა დღევანდელი ახალგაზრდა პარტიული მუშაკი, თვალი გაგვედევნებინა მისი სულიერი მომწიფებისათვის, გაგვეშუქებინა მისი მაღალი მორალური თვისებები, რომლებიც ადამიანს ანიჭებენ ძნელ და მაღალ უფლებას იყოს პასუხისმგებელი ადამიანთა ბედისათვის.

საქართველოს კინემატოგრაფს დღეს საინტერესო პერიოდი დაუდგა. სტუდია „ქართულ ფილმში" მოვიდა შემოქმედებითი ახალგაზრდობა — საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი. ხელოვნებაში მათ მიერ გადადგმული უკვე პირველი ნაბიჯი მოწმობს, რომ ქართული ეკრანის ოსტატებს ღირსეული ცვლა ეზრდება.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გადასაწყვეტი პრობლემა გვაქვს, რომლებიც ხელს გვიშლიან შემოქმედებითს მუშაობაში. ვსარგებლობ შემთხვევით, და უნდა ვთქვა, რომ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მეორე საამშენებლო ტრესტი აჭიანურებს ფირის დამუშავების საამქროს აგებას. სასურველი იქნებოდა, საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში გახსნილიყო კიდევ ორი ფაკულტეტი — კინოსასცენარო და კინოსაოპერატორო

ჟაკულტეტები. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გადავწყვიტოთ კვალიფიციური სპეციალისტებით სტუდიის შევსების პრობლემა.

დასასრულ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკთა, ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ყველა მოღვაწის სახელით, ნება მიბოძეთ, აღგითქვათ ,რომ ეკრანის ოსტატები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, ნიჭსა და შთაგონებას, რათა შექმნან ჩვენი დიადი დროის ღირსი მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები“.

რევაზ ჩხეიძის სიტყვა და საქმე კი არასოდეს გაყოფილა. ეს დაპირებაც, უდავოა, შესრულდება.

1981 წელი სამმაგად ბედნიერი გამოდგა რევაზ ჩხეიძისათვის; ამ წელს გამოვიდა ეკრანზე მისი ერთ-ერთი საუცხოო ნამუშევარი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, იგი არჩეული იქნა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატად და ამ დიდ ფორუმზე მისი კანდიდატურა წამოაყენეს სკკპ XXVI ყრილობის დელეგატად.

მართლაც დიდი ბედნიერებაა!

ამას წინათ მოსკოვში გახლდით სამსახურეობრივი მივლინებით. გადავწყვიტე გამომეყენებინა ეს შემთხვევა და რევაზ ჩხეიძის ნაცნობ-მეგობრებისა და კოლეგებისგან ზოგიერთი მასალა წამომეღო ამ წიგნისათვის. უბის წიგნაკი მთელი გულისყურით გადავათვალიერე, და, პირველ რიგში, ცნობილი კინორეჟისორის გრიგორი ჩუხრაის ტელეფონის ნომერი ავკრიფე. სიმართლე გითხრათ, დიდად კმაყოფილი არ დავრჩენილვარ, როცა გავიგე, რომ მეორე დილით ჩუხრაი იტალიაში მიემგზავრებოდა ორი თვით.

— დღესვე თუ შევხვდებით ერთმანეთს. ხვალ დილით ადრე უნდა გავემგზავრო — მითხრა მან.

— ახლავე მოვდივარ! — მივაძახე სულმოუთქმელად. დაახლოებით ნახევარ საათში უკვე გრიგორი ჩუხრაის ბინაში ვიყავი.

კინორეჟისორი გრიგორი ნაუმის ძე ჩუხრაი უაღრესად სტუმართმოყვარე, კომუნიკაბელური და ტკბილმოუბარი ადამიანია. ასეთი ხასიათის ხალხთან გაცნობას დიდი დრო არ სჭირდება. მათთან ყოველგვარი „დაზვერვის“ გარეშე შედიხარ კონტაქტში და პირველივე სიტყვების გაცვლა უკვე მეგობრული, გულღია საუბრის დასაწყისს ნიშნავს. მათთან ურთიერთობის პირველსავე წუთებში გეჩვენება, თითქოს დიდი ხნის ნაცნობს ხვდები და უბრალოდ, გაწყვეტილ საუბარს განაგრძობ.

გრიგორი ჩუხრაიმ მორიგი სადღეგრძელო წარმოთქვა, შემდეგ ყავა მოსვა, ჭიქა ფანჯარაზე ჩამოდგა და დინჯად თქვა:

„რევაზ ჩხეიძე დიდი მხატვარია, სწორედ ამიტომ მიმაჩნია გაუმართლებლად ის ამბავი, რომ მისი ენერგიის დიდი ნაწილი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორობას მიაქვს. წმინდა შემოქმედებითი თვალსაზრისით ვამბობ ამას, თორემ რევაზი ამ ადმინისტრაციულ პოსტზე არანაკლებ ეფექტური და სასარგებლო იქნება ქართული კინოს განვითარებისათვის. ეს ჩემთვის განსაკუთრებით გასაგებია, რადგან მეც მხვდა წილად პატივი ათი წლის განმავლობაში მეზიდა კინოსტუდიის დირექტორობის მძიმე ჯაპანი. ორგანიზაციულმა საქმიანობამ კი, რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს და დროც ცოტა მიჰქონდეს, არ შეიძლება მნიშვნელონი დაღი არ დაასვას ხელოვანის შემოქმედებით საქმიანობას. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, მედალს ორი მხარე აქვს.

ვიმეორებ: რევაზ ჩხეიძე დიდი მხატვარია და ეს მას მორალურ და პროფესიულ უფლებას აძლევს დაეხმაროს ხელოვნების სხვა დარგების მუშაკებს, რათა აღმოაჩინონ და შემოქმედებით სამსახურში ჩააყენონ თავიანთი თავი. დღეისათვის კინოსტუდია „ქართული ფილმს“ თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა. წინა პლანზე წამოიწიეს ახალგაზრდა ნიჭიერმა კინემატოგრაფისტებმა და ამაში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის რევაზ ჩხეიძის დამსახურებას ვხედავ. ძალიან გთხოვთ, ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ხაზს ვუსვამდე და არ ვაღიარებდე იმ ნიჭიერი დირექტორების დიდ შრომასა და ამაგს ახალგაზრდა შემოქმედთა მიმართ, ვინც რევაზ ჩხეიძემდე კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ხელმძღვანელობდნენ. ეს ჩემი მხრიდან დიდი უსამართლობა იქნებოდა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ როგორ სიტუაციაში აღმოჩნდებიან ხოლმე ახალგაზრდა ტალანტები—მთელ თავიანთ შესაძლებლობებს საკუთარი ნიჭის რეალიზაციას ახმარენ და ინდივიდუალურად იკაფავენ გზას შემოქმედებით ცხოვრებაში თუ მათ აქტიურ დახმარებას უწევენ ისეთი ნიჭიერი და გულახსმიერი ხელმძღვანელები, როგორიც რევაზ ჩხეიძეა!

რევაზ ჩხეიძის კიდევ ერთი თვისება მხიბლავს — მას ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების აღმოჩენის საოცარი ალღო გააჩნია. ვის, ვის და თქვენ, ალბათ, ჩემზე უკეთ გეცოდინებათ ეს ამბავი. არ შეიძლება ხაზი არ გავუსვა იმ გარემოებას, რომ როცა მის ამ თვისებას ემატება შემოქმედებითი და ძიებითი სიმამაცე და მდიდარი გამოცდილება, რომელიც აუცილებელი კომპონენტია მის შემოქმედებაში, ვიღებთ შესანიშნავი ბუნებრივი მონაცემებით დაჯილდოებულ პედაგოგსა და აღმზრდელს, რომელიც ახალგაზრდა ტალანტებს საშუალებას აძლევს მთლიანად გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი უნარი.

მე და რევაზ ჩხეიძე ერთად ვსწავლობდით კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში. საინტერესოა ის მომენტი, რომ კინორეჟისორები, რომლებიც ჩვენთან ერთად სწავლობდნენ ინსტიტუტში და რომელთაც შემდეგ გარკვეული ადგილი დაიმკვიდრეს საკავშირო და მსოფლიო კინემატოგრაფიაში, სწავლისას არ იყვნენ ფრიადოსნები. ალბათ, არ ვაწყენინებთ მათ, თუ კონკრეტულად დავასახელებ გვარებს. ესენია საქვეყნოდ სახელგანთქმული კინორეჟისორები თენგიზ აბულაძე, როლანდ ბასოვი და, რაღა თქმა უნდა, მე და რევაზ ჩხეიძე. გარდა იმისა, რომ ჩვენ ფრიადოსნები არ გახლდით, ამ ჩვენს „დანაკლისს" ვავსებდით დიდი სიეშმაკითა და უბოროტო ანცობით, რაღა თქმა უნდა, ამ სიტყვის ყველაზე კარგი გაგებით.

რევაზ ჩხეიძე სტუდენტობის დროსაც ჩამოყალიბებული პროფესიონალი მხატვარი იყო. იგი უკვე ახალგაზრდობის ადრეულ წლებში აზროვნებდა, გრძნობდა, ხედავდა და საკუთარ ხელწერას აყალიბებდა. უკვე მაშინ იგრძნობოდა, რომ რევაზი მალე აუცილებლად იტყოდა თავის სიტყვას სამამულო კინემატოგრაფიაში. ამის დასტური გახლდათ ის განსაცვიფრებელი ალღო, რომლის წყალობითაც ყველას გვასწრებდა ერთი წამით, მიეგნო რაიმე სიახლისათვის, თავისებურად, საინტერესოდ აღექვა მომხდარი და ნანახი. ეს რევაზ ჩხეიძის ძირითადი საბრძოლო იარაღი გახლდათ.

კარგად მახსოვს, ჩვენი დროის სტუდენტობის მთავარი დევიზი საკუთარი ღირსების დაცვა იყო. მართალია, პედაგოგები და აღმზრდელები გულდასმით გვარწმუნებდნენ, რომ რეჟისორისთვის ყველაზე მავნე ისაა, როცა საკუთარი ღირსების დაცვის გრძნობა მისი პიროვნებიდან გამომდინარეობს და არა მისი შემოქმედებიდანო, უფრო უარესია, როცა ეს ელემენტები მის მიერ შექმნილ ფილმში გადაინაცვლებს და ეკრანზე გამოვაო. ამან თითქოს რაღაც პაროდიულობის დაღი დაასვა ჩვენს მაშინდელ შემოქმედებას — ეს პირადი შტრიხი, როგორც იტყვიან, სტრიქონებს შორის უნდა ჩაგვეწერა, შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც საგრძნობლად.

მე რევაზ ჩხეიძეზე რამდენიმე წლით უფროსი ვარ და ამდენად, მთელი მეორე მსოფლიო ომის მანძილზე სამშობლოს დამცველ მებრძოლთა რიგებში ვიდექი, მაგრამ არა კინოაპარატით, არამედ შაშხანითა და ხელყუმბარით. პირველი საბრძოლო წრთობა 1939 წელს მივიღე ფინეთის ომში. იქიდან დემობილიზაციაში გაუსვლელად აღმოვჩნდი მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში, სადაც ხუთჯერ დავიჭერი და ლაზარეთში ჭრილობების მოშუშების შემდეგ კვლავ ფრონტზე ვბრუნდებოდი. ალბათ, სწორედ

ასეთი საბრძოლო ბიოგრაფია გახდა იმის ძირითადი საბაბი, რომ საბჭოთა ჯარისკაცზე ფიქრი დავიწყე და გადავწყვიტე მისი საინტერესო სახე შემექმნა ეკრანზე.

რევაზ ჩხეიძის ცხოვრება კი სულ სხვაგვარად წარიმართა. პირადად მას ფრონტზე არ უბრძოლია, მაგრამ არც ზურგში იჯდა გულხელდაკრეფილი. იგი უფროსებს ელოდა ფრონტიდან, სულმოუთქმელად კითხულობდა მათ მიერ გამოგზავნილ სამკუთხრა ბარათებს, ხოლო სამამულო ომის გამარჯვებით დაგვირგვინების შემდეგ ომგადახდილებთან საინტერესო საუბრებში ათენებდა და აღამებდა. მათ კი ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი. სწორედ ამან განაპირობა ის ამბავი, რომ რევაზის შემოქმედებაში მთავარი ადგილი ომის ჭირვარამგამოვლილ ხალხს ეკუთვნის, ჯარისკაცის მამის განუმეორებელი სახის შექმნაზე რომ არაფერი ვთქვათ.

მახარაშვილის შესახებ ბევრი რამ ითქვა, მაგრამ მაინც განსაკუთრებით მინდა გამოვყო მის ხასიათში ერთი ღირსშესანიშნავი დეტალი. ყველამ ვიცით, რომ კახელი ბერიკაცი, ბედის უკუღმართობას შვილის საძებრად რომ გადაუხვეწია, უეშმაკო, ჭკვიანი და პირდაპირი ადამიანია, რომელსაც იუმორის განუსაზღვრელი გრძნობა გააჩნია, სხვასაც რომ აცინებს და თვითონაც მთელი გულით იცინის. ხელოვნების ბევრ მუშაკს და, სამწუხაროდ, კინემატოგრაფიის საკმაოდ ბევრ წარმომადგენელსაც ხშირად მიაჩნია, რომ სიცილით შეიძლება დიდი შეურაცხყოფა მივაყენოთ ადამიანს და იგი შეიძლება კომპრომენტირებულიც კი აღმოჩნდეს ფართო საზოგადების თვალში. ეს აბსოლუტურად მცდარი შეხედულებაა და კატეგორიულად არ ვეთანხმები მას, ვინაიდან, სიცილით მხოლოდ გონებასუსტი და გულბოროტი ადამიანი თუ შეიძლება დარჩეს უკმაყოფილო და ღრმად შეურაცხყოფილი. სრულქმნილ პიროვნებას, თუ, რა თქმა უნდა, მას იუმორის საკმაო გრძნობა გააჩნია, ჯანსაღი სიცილი მხოლოდ სიამოვნებასა და კმაყოფილებას მოუტანს მაშინაც კი, როცა დაცინვის ობიექტად საკუთარი თავის მსგავს პიროვნებას ხედავს. ასეთ ადამიანს შეუძლია გაიცინოს საკუთარ თავზეც; ასეთი „თვითკრიტიკა" მას მხოლოდ საერთო პატივისცემასა და სიყვარულს თუ მოუტანს. ერთი სიტყვით, ასე საღად მოაზროვნე ხელოვნების მუშაკებით ჯერ კიდევ ვერა ვართ მაინცა და მაინც განებივრებულები.

აბა ერთი გამოჩენილ იუმორისტ მწერალს ან ჟურნალისტს დავეკითხოთ, რა უფრო ურჩევნია თავისი სატირულ-იუმორისტული ნაწარმოების გმირად — გონებადაფანტული და დაბნეული ინტელექტუალი, თუ უაღრესად სერიოზული ჭკუათხელი ადამიანი. უეჭველია, რომ ყოველი მათ-

განი პირველ ვარიანტს აირჩევს, რაც სავსებით გასაგებია. ჭკუათხელის გაშარჟება, ნებისმიერ შემთხვევაში და უკიდურეს სასაცილო სიტუაციაშიც კი, უინტერესო და აბსოლუტურად ცინიკური გამოვლინება იქნებოდა.

როგორც უკვე ითქვა, ბევრი საბჭოთა კინემატოგრაფისტი შეგნებულად ერიდება თამამ სიცილს და ამით დავიწყებას აძლევს საბჭოთა კინემატოგრაფიის უმდიდრეს გამოცდილებას.

საქმე იმაშია, რომ იტალიელებს შეუძლიათ საკმაოდ მხიარულად და, ამავე დროს, მკაცრად იცინონ საკუთარ თავზე და ამით მხოლოდ სიმპათიებს იწვევენ ჩვენში. კარგად ართმევენ თავს ანალოგიურ ამოცანებს ფრანგი და ამერიკელი კინემატოგრაფისტებიც. მათი სიცილი შთამბეჭდავი, დამაფიქრებელი, ხალასი და შთამაგონებელია.

სიცილში საბჭოთა კინემატოგრაფიის ტრადიციის ქვაკუთხედად ამ შემთხვევაში კინოფილმი „ჩაპაევი" უნდა მივიჩნიოთ. ალბათ, გაიხსნებთ, თუ რამდენ ეპიზოდში გამოიყურება სასაცილოდ ამ ფილმის მთავარი გმირი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ყველასთვის საყვარელი და მიმზიდველი რჩება ეკრანზე.

მრავალი ფილმი გადაღებულია მსოფლიო პროლეტარიატის ბელად ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე, მაგრამ მათ შორის ყველაზე ძვირფასი და საინტერესო ფილმებია „ლენინი ოქტომბერში" და „თოფიანი კაცი". გაიხსენეთ, ამ კინოფილმებში რა ხშირია კეთილი სასაცილო სიტუაციები.

მრავალი, იაფფასიანი იუმორით შეზავებული, არაფრისმთქმელი და უინტერესო ფილმები კარგა ხანია მიეფარა მეხსიერების ცისკიდურს, ლენინისადმი მიძღვნილ ამ საინტერესო ფილმებს კი კინომაყურებელი არასოდეს არ დაივიწყებს.

რაც შეეხება სიცილსა და იუმორს ეკრანზე, რევაზ ჩხეიძეს ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვს. იგი ჯიუტად მიუყვება იუმორის საუცხოო გრძნობის მქონე ქართველი ხალხისა და თავისი მასწავლებლისა და ხელმძღვანელის მიხეილ რომის მიერ გაკვალულ გზას, რის დამადასტურებლადაც კვლავ რევაზ ჩხეიძის ტრაგიკომიკური სინთეზი უნდა მოვიშველიო.

ხელოვნების ურთულეს დარგში — კინემატოგრაფიაში ხშირად შეეხვდებით ასეთ გამოთქმას — ესა თუ ის ფილმი საინტერესო და მიმზიდველი მხოლოდ ამა და ამ აქტიორის ბრწყინვალე თამაშის წყალობით გამოვიდაო. სიმართლე გითხრათ (ნუ მიწყენენ სცენისა და კინოს სახელოვანი და მდიდარი გამოცდილების მქონე ოსტატები), მე არც ამ გამოთქმას ვეთანხმები, ვინმე თუ არ დამიჯერებს, მოვიდეს და ერთად გადავავლებთ თვალს მსოფლიო სტანდარტის კინოფილმებს და წამსვე დარწმუნდება,

რომ წარმატების მწვერვალებს დიდი მსახიობები გარკვეულწილად ნიჭიერ კინორეჟისორებთან ერთად აღწევენ.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს დიდი აქტიორი ნიჭიერი კინორეჟისორის გარეშე არაფერია და ელემენტალური სცენური სახის შექმნა არ შეუძლია. თვალსაჩინოებისთვის ასეთი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ სერგო ზაქარიაძემ, როგორც კინომსახიობმა, თავისი დიდების ზენიტს კინოფილმ „ჯარისკაცის მამით" მიაღწია. იგი მანამდეც ხშირად გადაღებულა ბევრი ფილმში, მაგრამ ეს ფილმები დიდად პოპულარული არ ყოფილა. გიორგი მახარაშვილის სახის შექმნის შემდეგ თითქმის ყველა ის ფილმი საინტერესო და პოპულარული გახდა, რომელშიც კი სერგო ზაქარიაძე თამაშობდა და დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. აი, რას ნიშნავს ფილმისთვის პოპულარული მსახიობი.

მაგრამ, აქვე უნდა გავუსვა ხაზი იმ გარემოებასაც, რომ ვერც ნიჭიერი კინორეჟისორი გახდება ვერაფერს ნიჭიერი აქტიორის გარეშე. საშუალო მსახიობური ძალებით კინოფილმი შეიძლება სიუჟეტურად საინტერესო და დახვეწილი გამოვიდეს, მაგრამ ეს თვისებები სავსებითაც არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ აღნიშნული ფილმი მსოფლიო კინოს სტანდარტის დონემდე ამაღლდეს".

იტალიაში მიმავალი გრიგორ ჩუხრაი თითქმის თვითმფრინავის ტრაპამდე მივაცილე. გამომშვიდობებისას რევაზ ჩხეიძესთან მეგობრული მოკითხვა დამაბარა და მირჩია:

— სერგეი იუტკევიჩი ინახულეთ უეჭველად, იგი რევაზ ჩხეიძის მასწავლებელი იყო კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში. ბევრ საინტერესო რამეს მოგითხრობთ...

ასეც მოვიქეცი და მეორე დღეს რევაზ ჩხეიძის ყოფილ პედაგოგს სოციალისტური შრომის გმირს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს სერგეი იუტკევიჩს ვეწვიე. როცა გაიგო, რომ ამ წიგნისათვის მასალებს ვაგროვებდი, თავისი საქმე უყოყმანოდ გადადო გვერდზე და ისედაც შეზღუდული დროიდან ორი საათი დამითმო. მაგრამ ვიდრე საუბარს დავიწყებდით, თავისი ახლად გამოსული წიგნი „კინო — ეს 24 კადრის სიმართლეა წამში" — მიჩვენა. ამ წიგნში გულდასმითაა განხილული საკავშირო და მსოფლიო კინოს პრობლემები; ავტორი გვიზიარებს თავის ჩანაფიქრს პოლიტიკურ ფილმზე, განაზოგადებს დოკუმენტალიზმის როლს ხელოვნებაში. წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი სულიკო ჟღენტისა და რევაზ ჩხეიძის შემოქმედებითს თანამე-

გობრობას, ფართოდაა განხილული კინოფილმი „ჯარისკაცის მამა", როგორც საბჭოთა ხელოვნების ნიმუში.

სერგეი იუტკევიჩმა წიგნს ასეთი წარწერა გაუკეთა:

«Мне хочется, дорогой Резо, напомнить тебе, что у истоков твоей блестящей творческой работы стоял и любящий тебя автор этой книги. Сергей Юткевич».

ასეთმა წარწერამ შორეული, ისტორიული სინამდვილე წამოატივტივა. ერთხელ ახალგაზრდა კინორეჟისორები გრიგორი კოზინცევი და სერგეი იუტკევიჩი კოტე მარჯანიშვილის ასისტენტებად მუშაობდნენ კიევის თეატრში. ეს ის პერიოდია, როცა კოტე მარჯანიშვილი „ცხვრის წყაროს" დადგმაზე მუშაობდა. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ გრიგორი კოზინცევი და სერგეი იუტკევიჩი კოტე მარჯანიშვილს თავიანთ მასწავლებლად. უფრო მეტიც: დიდ რეჟისორთან ურთიერთობიდან ოცი წლის გასვლის შემდეგ სერგეი იუტკევიჩმა გამოსცა თავისი პირველი წიგნი, რომელსაც ასეთი ეპიგრაფი წაუმძღვარა: „ვუძღვნი ჩემს ძვირფას მასწავლებელს კონსტანტინე მარჯანიშვილს". ამ ერთ წინადადებაში ყველაფერია ნათქვამი — პედაგოგის დამსახურება აღსაზრდელთა წინაშე და აღზრდილთა უსაზღვრო მადლიერების გრძნობა. ეს ეპიზოდი რევაზ ჩხეიძესთან საჩუქრად გამოტანებულ წიგნზე მინაწერმა გაგვახსენა, ვინაიდან მთელ ამ პროცესში რაღაც ტრადიციისმაგვარი იგრძნობა, ქართველი კაცის როლი საბჭოთა კინემატოგრაფის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სწორედ ამიტომაა ეს წიგნი ძვირფასი რელიქვია.

სერგეი იუტკევიჩი ხალისიანი თანამოსაუბრე გამოდგა:

საუბრის დასაწყისშივე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ძალიან ახლოს ვდგავარ ქართულ ხელოვნებასთან და განსაკუთრებით ქართულ კინემატოგრაფთან. ორ ათეულზე მეტი ხნის წინათ კინოსტუდია „ქართული ფილმის" ძირითადი ძალებით და ჩემი რეჟისურით გადავიღე მხატვრული კინოფილმი „სკანდერბეგი — ალბანეთის დიდი მეომარი".

ამ ფილმში მთავარ როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა. მასთან ერთად მიწვეული მყავდა სერგო ზაქარიაძე, მაგრამ, როგორც უკვე იცით, ჩემი ნაცნობობა ქართულ ხელოვნებასთან კონსტანტინე მარჯანიშვილით დაიწყო. რევაზის შემდეგ ჩემი მოსწავლე გახლდათ კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში ელდარ შენგელაია, ხოლო ქართული კინოს თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ნატო ვაჩნაძესა და ნიკოლოზ შენგელაიასთან, საქმიანი კონტაქტების გარდა, დიდი პირადი მეგობრობაც მაკავშირებდა. ასე რომ, როდე-

'საც კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში სასწავლებლად ორი მორცხვი ახალგაზრდა თენგიზ აბულაძე და რევაზ ჩხეიძე მოვიდა, მე მათ ცარიელი ხელით არ დავხვედრივარ. გარკვეული წარმოდგენა მქონდა ქართული ხელოვნების მდიდარ ტრადიციებზე.

აქვე უნდა აღვნიშნო, საერთოდ, რევაზ ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში სწავლების პერიოდში საბჭოთა კინემატოგრაფს ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ახალგაზრდა კადრებმა მედგრად შემოუტიეს. გასაკვირი არაა, რომ პედაგოგი ყოველთვის დაინტერესებულია იმუშაოს ჭკვიან მოსწავლეებთან. ამას, ალბათ, თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია, რომელთა შორის მთავარი მაინც ისაა, რომ შენმა ნაყოფიერმა და მომქანცველმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ უქმად არ ჩაიაროს — უახლოეს პერიოდში მოგცეს შთამბეჭდავი შედეგი. სწორედ ამიტომ, რევაზ ჩხეიძესა და თენგიზ აბულაძესთან ერთად ჩემი კურსის მსმენელებად გრიგორი ჩუხრაი და როლანდ ბასოვი შეეარჩიე.

საერთოდ სიტყვა სწავლება კინორეჟისორისა და აქტიორისათვის მიუსადაგებლად და უადგილოდ მიმაჩნია. განა შეიძლება ადამიანს შეასწავლო მხატვრობა, მწერლობა ან პოეტობა, თუ მას არავითარი მიდრეკილება და შინაგანი ტალანტი არ გააჩნია ამ საქმის მიმართ? არავითარ შემთხვევაში! ასევე შეუძლებელია ადამიანი სწავლების გზით გახდეს დიდი ხელოვანი. პედაგოგის როლი ხელოვანის აღზრდის პატრიოტულ საქმეში ფრიად რთულია — იგი მაქსიმალურად უნდა დაეხმაროს ნიჭიერ ადამიანს, რათა ამ უკანაკსნელმა საკუთარი თავი აღმოაჩინოს და თავის გემოვნებას თამამად გაუხსნას გზა.

ჩემი მოღვაწეობის კრედო ყოველთვის ასეთი ყოფილა და იქნება — პედაგოგმა თავისი ინდივიდუალური თვისებები კი არ უნდა მოახვიოს თავს აღსაზრდელს, არამედ, პირიქით, მან უნდა გამოკვეთოს და ჩამოაყალიბოს აღსაზრდელის ინდივიდუალური თავისებურებანი გარკვეულ სისტემად.

თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, თუ რატომ მივიჩნევდი რევაზ ჩხეიძეს ძლიერ სტუდენტად. ჩემი ეს დასკვნა მისი ინდივიდუალური ხასიათიდან გამომდინარეობდა. რევაზი არასდიდებით არ იჯერებდა თავის სიძლიერეს, თუნდაც ნებისმიერ რეგიონში ყველა თავისი სისუსტე აღმოეფხვრა. სხვაგვარად მას შეიძლება თავმდაბლობაც ვუწოდოთ, მაგრამ ეს იყო ხელოვნებისადმი სიყვარულისა და მაქსიმალურად დაუფლების დაუოკე-

ბელი სურვილი. რევაზ ჩხეიძემ საკუთარი თავის მხატვრად აღიარებამდე მეტად რთული და მრავალფეროვანი შემოქმედებითი გზა გაიარა.

პირველ ყოვლისა, იმის რწმენა ჩავუნერგე მათ, რომ თუ კინორეჟისორს სურს წარმატებით დალაშქროს ხელოვნების მწვერვალები, მან აუცილებლად უნდა გაიაროს აქტიორის სკოლა. ამ აუცილებელი პირობის გარეშე იგი უბრალოდ ვერ მოახერხებს საინტერესო სახეების შექმნას. რევაზ ჩხეიძე აქტიურად შეუდგა სხვადასხვა ხასიათობრივი სახის შექმნას და მალე თავისასაც მიაღწია.

კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში სწავლების პერიოდი ოთხ ძირითად ნაწილად მაქვს დაყოფილი და ეს სტადიები რაღაცით მაგონებენ შოტლანდიელი მწერლის ჯონ ჰანტერის მოთხრობა „მონადირეში" მოყვანილ ასეთ ფაქტს: აფრიკის გაუვალი ჯუნგლების მონადირე, ვიდრე პროფესიონალი გახდებოდეს, სამ სტადიას გაივლის. პირველად მონადირე, რომელმაც ეს-ესაა აიღო ხელში სანადირო თოფი, დარწმუნებული არაა საკუთარ ცოდნაში და ამის გამო ერიდება ჯუნგლებში ღრმად შეჭრას. მან იცის, რომ აფრიკის გაუვალ ბუჩქნარში ოდნავი შეცდომაც კი უეჭველ დაღუპვას ნიშნავს. პირველი სტადიის გავლისას მონადირე იშვიათად თუ დაიღუპება და ეს მხოლოდ იმ სიფრთხილის წყალობით, რომელიც მის პირად შიშთანაა დაკავშირებული. ყველაზე საშიშ პერიოდს პროფესიონალი მონადირის ცხოვრების გზაზე მეორე სტადია წარმოადგენს. აქ უკვე მონადირე რწმუნდება, რომ იგი საკმაოდ კარგად იცნობს ჯუნგლების ფაუნასა და ფლორას და შეუძლია ნებისმიერი მძიმე მდგომარეობიდან იოლად დააღწიოს თავი. იგი დიდად დარწმუნებულია საკუთარ თავში და თამამად შედის ტყეში ყოველგვარი სიფრთხილისა და თავდაჭერის გარეშე, ვინაიდან სჯერა, რომ ზეპირად იცის ჯუნგლების ყველა კუთხე-კუნჭული და ბილიკი. მაგრამ მდუმარე ტყე ვერაგულადაა ჩასაფრებული და მცირეოდენი შეცდომაც კი საბოლოო ანგარიშს უდგენს გათავხედებულ და საკუთარ თავში უზომოდ დარწმუნებულ მონადირეს. ამ უკანასკნელს უეჭველი დაღუპვა ელის ნადირის კლანჭებში, უკეთეს შემთხვევაში, შიმშილით მაინც. თუ მონადირე ამ სტადიას გადაურჩა, იგი უფრო ფრთხილი და შორსმჭვრეტელი ხდება. მან უკვე იცის, რომ საფრთხის უგულებელყოფა ჯუნგლებში ყოვლად შეუძლებელია და ძველებურად ფრთხილი და დაკვირვებული ხდება. შემდეგში, როცა იგი შესანიშნავი პროფესიონალი მონადირე და ჯუნგლების შესანიშნავი მცოდნეა, მთელი სიფრთხილითა და მოწიწებით ეპყრობა გაუვალ ბუჩქნარს და ეს უკვე

იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია პროფესიონალი მონადირე დაიღუპოს თავისი დაუკვირვებლობისა და უმეცრების გამო.

თითქმის იგივე სტადიები უნდა განვლოს ხელოვნების რთულ გზაზე მიმავალმა ახალგაზრდა ადამიანმა. პირველ სტადიას მისთვის ცხოვრების საბოლოო გზისა და პროფესიის არჩევა წარმოადგენს. ამ დროს ყმაწვილი დაწვრილებით უნდა გაეცნოს საკუთარ ინდივიდუალურ თვისებებს, ღრმად ჩასწვდეს თავის მსოფლმხედველობას და შემდეგ საბოლოოდ გააანალიზოს მთელი თავისი შესაძლებლობანი. ამ სტადიისთვის აღზრდის საკუთარი მეთოდი მქონდა შემუშავებული, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: თუ სტუდენტის მიერ დასადგმელად განზრახულ სპექტაკლში ხუთი მოქმედი პირი მონაწილეობდა, ვაიძულებდი მომავალ რეჟისორს ჯერ თვითონ განესახიერებინა ხუთივე როლი და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყო სპექტაკლის დადგმისათვის მზადება. ვფიქრობ, ეს მეთოდი სხვებთან შედარებით სრულყოფილი და სასარგებლოა.

ერთი რამის წინააღმდეგი ყოველთვის ვყოფილვარ და ვიქნები. ზოგიერთი პედაგოგი აიძულებს მომავალ რეჟისორებს თვითონვე დაწერონ სცენარი გადასაღები კინოფილმებისათვის. მე ვფიქრობ, რომ ეს სრულებითაც არ შედის კინორეჟისორის კომპეტენციაში და თუ ასეთი რამ მოხდება, სიუჟეტის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების შესაძლებლობა მხოლოდ რეჟისორის ინდივიდუალური თვისებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. საინტერესო სცენარის შექმნა მხოლოდ ცალკეულ კინორეჟისორებს თუ შეეძლოთ და ისინიც თითზე ჩამოსათვლელი არიან. ასეთები იყვნენ ჩარლზ ჩაპლინი, ბერგმანი და დოვჟენკო. ფედერიკო ფელინი მომავალი ფილმის სიუჟეტს თვითონ იგონებდა, მაგრამ მას სცენარი არასოდეს შეუქმნია და ყოველთვის სხვას ავალებდა. დასამალი არაა, რომ ერთეული ტალანტები სტუდენტებს არასოდეს არ უნდა წარმოვუდგინოთ. ეს ვერასოდეს ვერ მოიტანს სასურველ შედეგს. ამასთან დაკავშირებით ერთი ასეთი სასაცილო ამბავი მახსენდება: წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი ერთ-ერთი გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. პირველსავე ვარჯიშზე მან მარჯვენა გარემარბი თავისთან მოიხმო და ასეთი დავალება მისცა:

— უნდა ეცადო, რომ მარჯვენა ფლანგიდან გარღვევაზე გასვლისას ჯერ მოწინააღმდეგის ერთი მცველი მოატყუო, შემდეგ მეორე, მესამეც და როდესაც შენს წინ მარტო ცენტრალური მცველი და მეკარე დარჩებიან, მარცხენა ფლანგისკენ გაიხედე თითქოს ბურთის გადაწოდებას აპირებდე. მოწინააღმდეგენი ყურადღებას მარცხენა ფლანგზე გადაიტანენ და შენ

მარტო ის დაგრჩება გასაკეთებელი, რომ დინჯად შეაგორო ბურთი კარში.

— კი მაგრამ, ამდენი ხალხის მოტყუება როგორღა შევძლო? — გამოეპასუხა მწვრთნელს შეცბუნებული გარემარბი.

— როგორც გინდოდეს ისე! მე ხომ ვატყუებდი.

აქედან გამომდინარე, მომავალ კინორეჟისორებს უნდა შთავუნერგოთ, რომ მათ საკუთარი თავი დაინახონ და აღმოაჩინონ ტოლსტოის, ჩეხოვისა და პუშკინის ნაწარმოებებში და შემოქმედებითი გზა გაუხსნან ამ ახალშობილს. არ არის სავალდებულო, რომ ახალგაზრდა კადრებს საკუთარ თავში ვაძებნინოთ ესა თუ ის ტალანტი და ამით არასწორი გზით განვავითაროთ ისინი. ეს გახლავთ მეორე სტადია.

ხელოვანის ჩამოყალიბებისა და სრულქმნის პროცესში პირველ ორზე არანაკლებ საპასუხისმგებლო და რთულია მესამე სტადია. ამ დროს ხდება სტუდენტების მიერ ათვისებული მასალის, ნათამაშევი როლებისა და დამუშავებული რეჟისურის უნიფიცირება. ეს პერიოდი თითქმის მთლიანად ეძღვნება ეტიუდების მონტაჟსა და კინოგადაღებებს, კინორეჟისორის ტექნიკური არსენალის გამდიდრებასა და კინოლენტებთან აუცილებელ მუშაობას. ამ სტადიაში თენგიზ აბულაძესა და რევაზ ჩხეიძეს ვავალებდი გადაეღოთ ქრონიკული და დოკუმენტური კინოკადრები, შეექმნათ მათი შესატყვისი კინომასალა. მესამე სტადია ის პერიოდია, როცა ახალგაზრდა რეჟისორი საბოლოოდ რწმუნდება, რომ მან კინოაპარატით უნდა გაიკვალოს გზა ცხოვრებაში, რაკი სავსებით დაუფლებულია ხელოვნების ამ დარგს.

სწავლების საბოლოო და დამაგვირგვინებელი სტადია დიპლომზე მუშაობა გახლავთ. ამ დროს ბიჭები ერთმანეთის ნაწარმოებებში და კინოსცენარებში როლებს ცვლიდნენ. ეს საშუალებას აძლევდა აღსაზრდელებს უფრო მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება შეეძინათ, უფრო ღრმად და შინაარსიანად გასცნობოდნენ ერთმანეთის შემოქმედებითს თავისებურებებს.

მახსოვს რევაზ ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე მაშინ „დონ კიხოტის" დადგმის თავკაცები იყვნენ და ძალზე საინტერესოდაც გააკეთეს იგი. სწორედ ამიტომ თითქმის მთელმა კურსმა გაიმეორა ამ სპექტაკლის ძირითადი როლები.

სწორედ სწავლების ასეთი კურსი გაიარეს ჩემთან ქართველმა ჭაბუკებმა და სავსებით ბუნებრივად მიმაჩნდა ის ამბავი, რომ თავდაპირველად კინოფილმებს ერთად იღებდნენ. საინტერესოდაც გამოსდიოდათ და

ეს იმიტომ, რომ მათ რეჟისორული მსოფლმხედველობა ერთად ჩამოუყალიბდათ — ბევრ რამეში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს.

ასევე ერთად მუშაობდნენ ჩემი ყოფილი აღზრდილი კინორეჟისორები ელდარ შენგელაია და ალექსეი სახაროვი. მათ მრავალი საინტერესო კინოფილმი შექმნეს და რევაზ ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის მსგავსად მოგვიანებით განცალკევდნენ.

წარმოიდგინეთ, რაოდენ სასიხარულოა ის დღე, როცა პედაგოგმა საკუთარი წვალებისა და შრომის ფასად მოსული მოსავალი უნდა მოიწიოს. სწორედ მე ვიყავი ნათლია რევაზ ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის მიერ ერთობლივად შექმნილი კინოფილმისა „მაგდანას ლურჯა". კინოფილმი მე ნარვადგინე კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე და ბიჭებთან ერთად მეც არანაკლებ მაღელვებდა მისი ბედ-იღბალი. ეს იყო მათ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი საერთაშორისო არენაზე. მერე და, როგორი დიდი ნაბიჯი! ახლაც კი მიძნელდება იმის განსაზღვრა, ვინ უფრო იყო გაბარებული ამ შესანიშნავი ქართული ფილმის ასეთი არნახული წარმატებით, მე თუ ჩემი აღზრდილები.

არანაკლებ საინტერესო მასალა მომაწოდა რევაზ ჩხეიძის შემოქმედებითი ჩამოყალიბების პროცესზე ცნობილმა მწერალმა და კინოკრიტიკოსმა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა ილია ბენიამინის ძე ვაისფელდმა:

მე და რევაზ ჩხეიძე საკმაოდ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრა. სადაც არ უნდა მოხდეს ეს შეხვედრა, იქნება ეს თბილისი, მოსკოვი თუ საზღვარგარეთი, ჩვენი ეს თავშეყრა არასოდეს არ წააგავს კინოკრიტიკოსისა და კინორეჟისორის წინასწარგამიზნულ თუ შემთხვევით შეხვედრას. აქვე უნდა დავსძინო, რომ ჩვენი ხალასი მეგობრობა ეკრანმა წარმოშვა და მანვე განამტკიცა.

როგორც საბჭოთა კინოკრიტიკის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რევაზ ჩხეიძის შემოქმედებაში დიდად ვაფასებ მხატვრული განზოგადების უნარს. საერთოდ, კინოს მოიხსენიებენ როგორც წარმოშობით ფოტოგრაფიულ ხელოვნებას. ამაში არის სიმართლის რაღაც ნაწილი, მაგრამ არა ამომწურავი და შეურყეველი. იმიტომ, რომ ამ თვალსაზრისით კინემატოგრაფი კატეგორიულად განსხვავდება ფოტო და ფერწერული ხელოვნებისაგან მხატვრული ჩანაფიქრის რეალიზაციის ფონზე.

რევაზ ჩხეიძის მრავალმხრივი შემოქმედება თვალნათლივ გვარწმუნებს, რომ იგი დაუბრკოლებლივ აღწევს მხატვრული განზოგადების უმაღ-

ლეს საფეხურებს და, რაც საოცარია, იგი ამას ახერხებს ერთმანეთისგან განსხვავებული გზებითა და საშუალებებით.

მაგალითად, კინოფილმ „მაგდანას ლურჯაში" წინა პლანზეა წამოწეული ქრონიკული ასკეტიზმი და ამ ფილმის მკაცრი სტილის მიუხედავად განზოგადების ძალა უზარმაზარი და შთამბეჭდავია. სულ სხვა გზებითაა მიღწეული ანალოგიური სიმაღლე კინოფილმ „ჯარისკაცის მამაში". აქ უფრო მეტი სივრცეა, ფართოდაა გაშლილი ადამიანის ხასიათი, მოხერხებულადაა ურთიერთშერწყმული ბავშვური გულუბრყვილობა და ხალსური სიბრძნე. ყველაზე ექსცენტრული ამ კინოფილმში ადამიანის ნატურის უშუალობაა, რომელიც მოხერხებულად და შეუმჩნეველადაა ჩაქარგული ჰაერში, მთებში, ცასა და მშობლიურ მიწაში. ამ შესანიშნავ კინოფილმს დღეს მხოლოდ ის ამძიმებს, რომ გიორგი მახარაშვილის განუმეორებელი სახის შემქმნელი დიდი მსახიობი სერგო ზაქარიაძე ცოცხალი აღარ არის.

სწორედ მასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ასეთი ეპიზოდი ჩვენი ურთიერთობიდან. თბილისში ვიყავი სტუმრად ქართველ კინემატოგრაფისტებთან. ზაფხულის სიცხემ ცოტა არ იყოს შეგვაწუხა და გარეთ გამოვედით. მე, რევაზ ჩხეიძე და სერგო ზაქარიაძე საუბარში გავერთეთ და სრულიად შეუმჩნევლად აღმოვჩნდით მამადავითის მთის ძირას, ქალაქის უძველეს კვარტალში. ვერც კი აგიწერთ იმ ბავშვურ ანცობასა და აღტკინებას, რითაც სერგო ზაქარიაძე, საკმაოდ ხანში შესული ადამიანი, არბოდა მთაწმინდის ფერდობზე. მე საკმაოდ გამოწრთობილი ჯანმაგარი ტურისტი ვარ, რევაზ ჩხეიძე კი ახალგაზრდა და მხოლოდ ეს თვისებები გვშველოდა, სერგო ზაქარიაძეს რომ დავწეოდით. მალე მთაწმინდაზე ვიყავით და იქიდან გადმოვცქეროდით უზარმაზარ ხეობაში ზღაპრული სფინქსივით ჩაწოლილ საქართველოს დედაქალაქს. მაშინ უნდა გენახათ სერგო ზაქარიაძის სიხარული. თვალები ისეთი აღტაცებით, ბავშვურად უელავდა, თითქოს ძველიცა და ახალი თბილისიც მისი აშენებულია და ჩვენ გვახარებსო. შემდეგ მისი განწყობილება ჩვენც გადაგვედო და ამდენად ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ მოვექეცით. ძველი და ახალი თბილისი ისე ბუნებრივად შერწყმოდა ერთმანეთს, მათ შორის ვერავითარ საზღვარს ვერ აღმოაჩენდა თვით ყველაზე კირკიტა ადამიანიც კი.

იმავე საღამოს მე და რევაზ ჩხეიძე ქართული ჭედური ხელოვნების დიდოსტატ ირაკლი ოჩიაურს ვეწვიეთ სტუმრად. მასთან რეჟისორი სერგეი გერასიმოვი დაგვხვდა. ჩვენ ერთად ვათვალიერებდით ირაკლი ოჩიაურის ახალ ნამუშევრებს და აქაც ვიგრძენით სინთეზური კავშირი უძველეს

ქართულ ტრადიციასა და თანამედროვე ინტერნაციონალიზმს შორის. სწორედ მაშინ ვირწმუნეთ, რომ ძველისა და ახლის ასეთი ბუნებრივი ურთიერთკავშირი ქართული ხელოვნების ოსტატებს ეროვნულმა ტრადიციამ უბოძა.

რევაზისთვის ასეთი კავშირი თითქოს მისი ორგანიზმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. უფრო სწორად, ეს მისი სუნთქვაა, რომელსაც არ სჭირდება არავითარი თეორიული მიმოკვლევა და პრაქტიკული დაკვირვება.

თუმცა (კვლავ ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ მე კინოკრიტიკოსი ვარ), ზოგჯერ შემინიშნავს — რევაზ ჩხეიძე განზოგადების გზებს ეძებდა... განზოგადებაში. ასეთი პერიოდის არსებობას თავის შემოქმედებაში თვით კინორეჟისორიც არ უარყოფს. ამ დროისათვის მან გადაიღო მხატვრული ფილმები „მაია წყნეთელი“ და „ზღვის ბილიკი“, რომლებიც „ფერმკრთალად“ გამოიყურებიან რევაზის მიერ შექმნილ სხვა ფილმებთან შედარებით. მაგრამ შემოქმედებითი ძიების ეს დაძაბული პერიოდი დიდ ხანს არ გაგრძელებულა და მალე რევაზ ჩხეიძემ აღმოაჩინა, რომ აზროვნების ასეთი გზა მისთვის დამახასიათებელი არ არის და რეჟისორულმა ექსპრესმა კვლავ თავისი ნაცადი გზით გაიქროლა. კინორეჟისორი არ შემცდარა საკუთარი პოზიციის შეფასებაში, რადგან სამყაროს აღქმის ეს ხერხი უფრო მიესადაგებოდა კინორეჟისორების დოვჟენკოს, კავალერიძის და ილენკოს შემოქმედებითს ხელწერას. ეს ფაქტი უდავოა.

მე, როგორც კინომაყურებელმა, დიდი შვებით ამოვისუნთქე, როდესაც ეკრანზე მხატვრული ფილმები „ჯარისკაცის მამა“ და „ღიმილის ბიჭები“ ვიხილე. ამ უკანასკნელი ფილმიდან ჩემს მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩა ის ამაღელვებელი ეპიზოდი, როცა ლევანი გაწყვეტილი კავშირგაბმულობის აღსადგენად მავთულის გორგოლაჭს მიარბენინებს თავდახრილი. ახალგაზრდა, გამოუცდელი ჯარისკაცის ყოველ მოძრაობაში საშინელი დაძაბულობა იგრძნობა. ჩანს, ყმაწვილს ჯერ ხეირიანადაც კი არ უყნოსია თოფის წამლის სუნი. ჩემთვის აქ მარტო გორგოლაჭი კი არ ტრიალებს, ესაა ბედის ბორბალი, რომელიც კიდევ ერთხელ გვბდის მოწმედ სამშობლოს თავისუფლებისთვის გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ომისა. ყოველ კადრს ადამიანი ისეთი განცდებით უცქერის, როგორც შექსპირის დრამის პერიპეტიებს. არც აქაა სადავო რაიმე.

რეჟისორული სტილისტიკის თვალსაზრისით კინოფილმ „ღიმილის ბიჭებში“ პოეტურადაა გარდაქმნილი ქრონიკალურობა, მაგრამ დამიწებულია იმ სულიერი სიმაღლით, რითაც გადაღებულია ეს ეპიზოდი. ჩვენ

წინაშე აქ დგანან არა მარტო ლევანი და მისი თანამებრძოლი მეგობრები, არამედ, მაქსიმ გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანები მთელი თავიანთი სიდიადით". ამ კინოფილმებში რევაზ ჩხეიძემ უდავოდ მიაღწია განზოგადებათა დიდ სიმაღლეებს და უფლება არა მაქვს არ აღვნიშნო, რომ ამ წარმატებათა მიღწევაში მას დიდი დახმარება გაუწია მთავარმა „მეკავშირემ" დრამატურგმა სულიკო ჟღენტმა, რომელიც ასევე ჩემი აღზრდილი გახლავთ...

მოსკოვიდან წამოსვლის დღეს დომოდედოვოს აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში სრულიად შემთხვევით კინორეჟისორ მარლენ ხუციევს შევხვდი. მარლენი ნათესავებს აცილებდა თვითმფრინავით. რევაზ ჩხეიძისაგან ვიცოდი, რომ ის და მარლენი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ, რამდენიმე დღეს ამიტომ ვეძებდი ასე გაფაციცებით, მაგრამ უშედეგოდ — მარლენი ხან კინოსტუდიაში იყო, ხან ბიბლიოთეკაში და ვერასგზით ვერ მოვიხელთე. ახლა კი, ცოტა გაკვირვებულიც ვიყავი, რომ ჩემთვის ესოდენ საჭირო ადამიანი ასე იოლად ვიგდე ხელთ. უკეთეს შემთხვევას კაცი ვერც კი ინატრებდა, მარლენიც სიამოვნებით დამეთანხმა წინადადებაზე იქვე კაფეში ჩამომსხდარვიყავით და მოკლედ მოეთხრო რევაზ ჩხეიძესთან პირადი და შემოქმედებითი ურთიერთობების თაობაზე.

აი, რა მითხრა მარლენ ხუციევმა:

მე, რევაზ ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე ერთად ვსწავლობდით კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში და ერთმანეთთან უაღრესად გულთბილი, მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა. მაგრამ, როგორც ჩვენთვის, ასევე მთელი ჩვენი კურსისათვის სამაგალითო იყო რევაზის მეგობრობა ლენინგრადელ ვიტალი მელნიკოვთან და ესპანელ ლიანოსთან. ამჟამად ორივენი საქვეყნოდ სახელგანთქმული კინორეჟისორები არიან.

რევაზ ჩხეიძე მთელ ინსტიტუტში გამოირჩეოდა როგორც უშუალო და დემოკრატიული შეხედულებების მქონე ადამიანი, როგორც ინტერნაციონალისტი და კაცთმოყვარე. დღეისთვის ეს და კიდევ სხვა ბევრი კეთილი თვისება რევაზ ჩხეიძის შემოქმედების ძირითადი საყრდენი წერტილია.

რა შეიძლება გაიხსენო ადამიანმა სტუდენტობის წლებთან დაკავშირებით? მას, ვისაც ეს წლები გაუვლია, ვერავითარი მოგონებებით ვერ გააკვირვებ, ხოლო ვინც ამ ტკბილ წლებს არ დასწაფებია, ალბათ, უბრალოდ, ვერც კი თანაგიგრძნობს სიფრიფანად დაჭრილი შავი პურისა და ძმურად გაყოფილი ერთი ულუფა კერძის ნაღვლიან მოგონებებში. ამ წლებთან დაკავშირებული თითოეული დღე და საათი ისევე დაუვიწყარია, რო-

გორც საკუთარი გვარი და სახელი, როგორც მოქალაქეობრივი მოვალეობა. ამ წლებმა თავისი ხელწერა დაამჩნია არა მარტო ჩვენს პირად ცხოვრებას, არამედ შემოქმედებასაც.

სამიოდე წლის წინათ მე და რევაზ ჩხეიძე საბჭოთა კინემატოგრაფის დავალებით საფრანგეთის ქალაქ ავინიონში გავემგზავრეთ. სხვა ფილმებთან ერთად „ჯარისკაცის მამაც" აჩვენეს, რამაც ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ერთხელ სასტუმროში პორტიემ მოსაკითხი ბარათი დაგვახვედრა — იქ მცხოვრებ ვიღაც ქართველს „ჯარისკაცის მამა" ენახა, გაეგო, რომ მისი დამდგმელი რეჟისორი იქ იყო და რევაზ ჩხეიძეს მოკითხვის ბარათს უგზავნიდა. ბოლოში ხელს აწერდა „მუსიე გველესიანი". სხვა არაფერი. მისი მისამართიც კი არ ეწერა, რომ მადლობა მაინც გადაგვეხადა. ბარათი კი ავინიონშივე იყო შედგენილი, საფოსტო კონვერტიდან ჩანდა. ორივენი ცოტა გაკვირვებულებიც დავრჩით შორეთში გადახვეწილი თანამემამულის ამ უცნაური საქციელით — იგი რატომღაც თავს არიდებდა ჩვენთან შეხვედრას. რამდენიმე დღის შემდეგ ეს შემთხვევა თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ ავინიონის ქუჩებში სეირნობისას ჩვენი ყურადღება ერთ-ერთი მაღაზიის რეკლამამ მიიქცია, „ჯორჯიან იოგურდ", რაც ქართულ მაწონს ნიშნავს. მაღაზიაში შევედით, მართლაც აღმოჩნდა, რომ აქ ქართულ მაწონს ყიდდნენ. პატრონის ვინაობით დავინტერესდით და გვითხრეს, ჩვენი შეფი ქართველი ემიგრანტია, გვარად გველესიანიო. უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია თურმე რაც ავინიონში ცხოვრობს.

— სად შეიძლება მისი ნახვა? — დავინტერესდით ჩვენ.

— აქვე, მეორე სართულზე.

საფრანგეთში სამშობლოდან დიდი ხნის გადმოხვეწილი თანამემამულის ნახვის შესაძლებლობამ რაღაც ამოუცნობი მოუთმენლობით აგვავსო. მეორე სართულზე ავედით და ოთახის კარი მორიდებით შევაღეთ. ბუხართან მიდგმულ საქანელა სკამზე ლამაზი გარეგნობის მოხუცი იჯდა და გაზეთს კითხულობდა. თავი მოაბრუნა და რომ დაგვინახა, წამსვე მიხვდა ვინც ვიყავით. ახალგაზრდა ჭაბუკივით წამოხტა ფეხზე და იმერული გულღიაობით შემოგვეგება. წმინდად ლაპარაკობდა ქართულს, მაგრამ მაინც ჭარბობდა მის ინტონაციაში ფრანგული პრონონსი.

— ასეთი სიხარული ალბათ კარგა ხანია არ განმიცდია, — შვილებივით გვეფერებოდა მოხუცი.

წამსვე გაიშალა ქართული სუფრა, ღვინო, მწვანილი, ყველი, ხილი და ქართული, დიახ, ქართული ლავაში.

დასაწყისში ცოტა დაძაბულობას ვგრძნობდით, მალულად ვაკვირდებოდით აშკარად ნოსტალგირებულ მოხუცს, გვინდოდა გაგვეგო, რა გავლენა მოახდინა მასპინძელზე ჩვენმა ვიზიტმა. მეოთხე ჭიქა ღვინომ ყველა გაგვამხიარულა, შეშღეგმა მოგონებებმა კი კვლავ ნაღვლის სიმწარე შეაპარა სუფრას.

რევაზ ჩხეიძემ სასმისი ასწია და სადღეგრძელო წამოიწყო, თუმცა მისი სიტყვები შთაგონებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სადღეგრძელოს:

— მიწის ყივილი მინდა ვადღეგრძელო, იმ უბერებელი მიწისა, რომელმაც მიხეილ ჯავახიშვილის გაფრანგებულ ქართველ მოხუც კაშორს სიკვდილის წინ მისდა შეუცნობლად ქართულ, მშობლიურ ენაზე დააწყებინა ლაპარაკი, — შემდეგ იგი მოტრიალდა, მოხუცს თვალებში შეხედა და უთხრა, — იქნებ გადაწყვიტოთ საქართველოში წამოსვლა? თქვენ ამით ბევრ ქართველს გაახარებთ!

მოხუცს დაღარულ ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა, ხმა აუკანკალდა:

— ანი ვეღარსად ვეღარ წავალ, შვილებო. ჩემი უსაყვარლესი მეუღლე, რომელიც ჭირსა და ლხინში გვერდიდან არ მომშორებია, აქ არის დასაფლავებული. მეც მის გვერდით უნდა დავრჩე. შვილები კი თან არ წამომყვებიან. მიმძიმს ყველაფერი ამის დათმობა. ვიცოდი, რომ ამ წინადადებას შემომთავაზებდით, სწორედ ამიტომ მომერიდა თქვენთან შეხვედრისა, რომ ჩემი უარით გული არ გტკენოდათ. ერთი რამ კი უდავოდ მიხარია — გუმანმა რომ არ მიმტყუნა. გიორგი მახარაშვილისთანა მიწისა და ერისმოყვარული ადამიანის სახის ჩამომქმნელისაგან სწორედ რომ არც ველოდი სხვა წინადადებას.

სამი დღის შემდეგ, როცა მე და რევაზი ავინიონიდან მივემგზავრებოდით, ისეთ გუნებაზე ვიდექით, თითქოს ამ ქალაქში უახლოეს ადამიანს ვტოვებდით.

კინემატოგრაფიის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რევაზ ჩხეიძე თბილისში წამოვიდა. მე მოსკოვში დავრჩი საბავშვო ფილმების სტუდიაში, რომელიც ამჟამად მაქსიმ გორკის სახელს ატარებს და ცნობილი კინორეჟისორის ბარნეტის ხელმძღვანელობით დავიწყე მუშაობა. მე და ბარნეტმა ერთად ვნახეთ რევაზის პირველი ნამუშევარი, რაც მას ძალზე მოეწონა, ხოლო ქართული ცეკვების გამომსახველობამ და კადრების ცვლის ტექნიკამ ბარნეტზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მართალია, სურათი მოკლემეტრაჟიანი იყო, მაგრამ თითქმის ყველა ცეკვა წარმოდგენილი გახლდათ თითქმის მთელი სისრულით.

როცა რამდენიმე ხნის შემდეგ ეკრანებზე გამოჩნდა რევაზ ჩხეიძისა

და თენგიზ აბულაძის მიერ გადაღებული კინოფილმი „მაგდანას ლურჯა“, ბარნეტს სრულებითაც არ გაკვირვებია ამ ფილმის წარმატება და იგი სავსებით კანონზომიერ მოვლენად ჩათვალა.

მე და რევაზ ჩხეიძე იტალიაში ვიმყოფებოდით საბჭოთა კინოფილმების ჩვენებაზე. ადგილობრივმა კოლეგებმა შემოგვთავაზეს დაგვეთვალიერებინა მხატვარ ვაზარელის სამხატვრო გალერეა, რომელიც მას საკუთარ სახლში ჰქონდა მოწყობილი. სიამოვნებით დავთანხმდით და მალე ვაზარელის სახლს მივადექით. ეს იყო, ალბათ, რენესანსის დროს აგებული ბაროკოს სტილის შესანიშნავი აპარტამენტი, სადაც მოხდენილად იყო ჩაქსოვილი თანამედროვე ელემენტები. ერთი სიტყვით, ვაზარელის შესანიშნავი სახლი ჰქონდა, ხოლო რაც შეეხება ნამუშევრებს...

შეგვიყვანეს მოსაცდელ დარბაზში. მოსამსახურე პერსონალი ნელა დაილალებოდა დერეფნებში და ამით რაღაც დამთრგუნავ ატმოსფეროს ქმნიდა. უცებ რაღაც ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა ატყდა:

— ვაზარელი მოდის, თავად ვაზარელი! — ერთი კი დაიძახა ლივრეიანმა ლაქიამ და კარებს უკან გაუჩინარდა. დარბაზში მარტო ჩვენ დავრჩით. ველოდებით, მაგრამ, სადაა ვაზარელი. ახლა მეორე ოთახში გაგვიყვანეს, იქაც იგივე დაძაბული სიტუაცია, იგივე ჩურჩული და შეყვირება— ვაზარელი მოდისო.

— ვაზარელს თუ ვერ ვნახავთ, იქნებ მისი რომელიმე ნახატის ნახვა მაინც გვეღირსოს, — ეშმაკურად ჩაიღიმა რევაზმა, რომელიც რაღაცას მიხვდა.

თურმე მთელი ეს სცენა ჩვენს ფსიქოლოგიურად შესამზადებლად კეთდებოდა, რათა უფრო მეტად გვერწმუნა ჯერ ვაზარელის პიროვნებისა და შემდეგ მისი ქმნილებების სიდიადე, მაგრამ არც ჩვენი ანკესზე წამოგება იყო ადვილი. როცა მე და რევაზს სულ სხვა ოთახში ამ „დიდი მხატვრის“ ნაცოდვილარი გვაჩვენეს, წამსვე მივხვდით, რომ საქმე გვქონდა ნიჭიერ საქმოსანთან და უნიჭო მხატვართან, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობდა სახელი გაეთქვა და საამისოდ არც დიდ ფულად ხარჯს ერიდებოდა.

ამის შემდეგ, მე და რევაზი ერთმანეთს ხუმრობით ვაზარელის ეძახიან, ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად სერიოზულადაც გვიხდება ამ სახელის გამოყენება, ვინაიდან არც კინოს სამყაროა დაზღვეული ვაზარელის ტიპის „შემოქმედთაგან“, რომლებიც არანაკლები დაჟინებით იბრძვიან უდიდესი და უნიჭიერესი შემოქმედის სახელისათვის.

მე და რევაზ ჩხეიძეს მხოლოდ პირადი მეგობრობა როდი გვაკავში-

რებს. მან არაერთხელ შემომთავაზა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სამუშაოდ გადმოსვლა, მაგრამ მრავალი დაუმთავრებელი საქმე რომ არა, ალბათ, უკვე საქართველოში ვიქნებოდი.

ახლა კინოფილმის გადაღებას დავიწყებ ალექსანდრე პუშკინის დაუდეგარ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაიწყო და მალე ფილმი ეკრანზე გამოვა. საამისოდ დიდი, წინასწარი სამუშაოები ჩავატარე. თითქმის ფეხით მოვიარე ის ადგილები, რომლებიც რაღაცით მაინც იყო დაკავშირებული დიდი პოეტის სახელთან. დამატებით რამდენჯერმე გადავიკითხე მისი ნაწარმოებები, რათა უფრო დიდი შთაბეჭდილებების ქვეშ მოვექცეულიყავი.

როცა საქართველოში გადმოვალ სამუშაოდ, პირველ რიგში, ნიკოლოზ ბარათაშვილზე ფილმის მზადებას შევუდგები. სიმართლე გითხრათ, ეს აზრი დიდი ხანია მაწვალებს. სამწუხაროდ, დღესდღეობით არცთუ ისე ბევრი დოკუმენტური მასალა მოგვეძებნება საქართველოს ამ შესანიშნავი შვილის პირად ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. სწორედ ეს დიდი დანაკლისი მიბიძგებს შევქმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაუვიწყარი სახე.

კიდევ ერთი ჩანაფიქრი მაქვს მომავლისთვის. მინდა გადავიღო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ჩემს იმ ქართველ თანამემამულეებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში შრომობენ და ვაჟკაცური შემართებით ამტკიცებენ ქართველი კაცის სასახელო ტრადიციებს. ფილმის სიუჟეტური ქარგა დაახლოებით ასეთი იქნება: მათ მეხსიერებაში შემორჩენილი ძველი თბილისისა და საქართველოს ახლანდელი დედაქალაქის ურთიერთდაპირისპირება — რაღა თქმა უნდა, ინტერნაციონალური მეგობრობის ფონზე.

როგორც ხედავთ, გეგმები დიდია, მაგრამ ისინი თითქმის მთლიანად არიან დაკავშირებული კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“, რომელსაც ჩემი მეგობარი და თანამებრძოლი რევაზ ჩხეიძე უდგას სათავეში.

„დიდი გამძლეობისა და ვაჟკაცური შემართების პატრონი უნდა იყო, თუნდაც ერთი დღე რომ იცხოვრო ისე, როგორი ცხოვრებითაც სულდგმულობს კინორეჟისორი, კინოსტუდია ქართული ფილმის დირექტორი რევაზ ჩხეიძე".

ამ სიტყვებით იწყებს თავის ერთ-ერთ რეპორტაჟს რესპუბლიკური გაზეთი „ზარია ვოსტოკა", რომელიც ამ სახელოვანი ადამიანის დაბადებიდან 50-ე წლისთავს მიეძღვნება.

ამ სტრიქონების სიმართლე რომ იწამოთ, საჭიროა რამდენიმე საათი გაატაროთ რევაზ ჩხეიძის სამუშაო კაბინეტში.

რევაზ ჩხეიძის სამუშაო დღე ზამთარ-ზაფხულ დილაადრიანად იწყება (ამის თაობაზე ინფორმაციას მაწვდის ამ გარემოებით არცთუ დიდად გახარებული რევაზ ჩხეიძის მეუღლე). ტრადიციული ფინჯანი ყავა და შემდეგ წინა დღით გადაღებული კინოკადრების ანალიზი და დირექტორის მიერ გაცემული მითითებების თავიდან გადასინჯვა. საკმარისია რაიმე არ მოეწონოს, რაღაცაში ეჭვი შეიტანოს, მაშინვე შენიშვნებით ჭრელდება სამუშაო რვეული. შემდეგ მიმდინარე დღის სამუშაო გეგმებს უნდა გადაავლოს თვალი. აქაც რამდენიმე კორექტივი და კვლავ გადასაღები ფილმის სცენარი. ყველაფერი ეს სამსახურში წასვლამდე უნდა გააკეთოს, ვინაიდან კინოსტუდიის ეზოში შესვლისთანავე ძალაში შევა დირექტორის სტატუსი და უკვე გადასაღები კინოფილმების რეჟისურას ამდენ ყურადღებას, ბუნებრივია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუთმობს. საზრუნავი, კინორეჟისორის დარად, კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორსაც თავსაყრელი აქვს.

დილომში მდებარე კინოსტუდიის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე აქა-იქ თუ მოჰკრავთ თვალს ადამიანებს. ადრეული დილაა. ეს ხალხი, ძირითადად, ღამის ცვლის მუშაკები არიან. სამუშაო დღე ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ზუსტად ცხრა საათზე, როცა კინოსტუდიის განიერ შესასვლელს ტალღად მოაწყდებიან თანამშრომლები, მათ იციან, რომ რევაზ დავითის-ძე ჩხეიძე უკვე თავის სამუშაო კაბინეტში იმყოფება.

კვლავ ჩვეულებრივი სამზადისი, ოღონდ ამჯერად კინოსტუდიის დირექტორის სამზადისი. დღევანდელი დღე, ალბათ დიდად არ იქნება განსხვავებული სხვა სამუშაო დღეებისაგან, მაგრამ არც მოულოდნელობაა გამორიცხული. კარგია თუ ეს მოულოდნელობა სასიამოვნოა, მაგრამ ზოგჯერ... თუმცა ამის თაობაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

დილაადრიან რევაზი კაბინეტიდან გამოვიდა და, ჩვეულებრივ დილის შემოვლას შეუდგა. ერთი საათი ამ საქმიანობას უნდა დაუთმოს. დილის ცხრა საათზე კი კაბინეტში შევა და მომსვლელებთან ერთად კინოსტუდიის ცხოვრების ავ-კარგსა და სხვა საკითხებზე იმსჯელებს...

ჯერ პალტოც არ გაეხადა, რომ ოთხი კაცი შეპყვა კაბინეტში. შემდეგი ოთხი თვითონ გამოიძახა და ნაადრევი გაზაფხულის სუსხით შეპყრობილ ფართო ოთახში ჩამოცხა კიდეც.

ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის მანძილზე ხშირად მიწევდა ხოლმე წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან შეხვედრა. სიმართლე გითხრათ, როცა კრიტიკულ კორესპონდენციას ვამზადებდი ზოგიერთ დირექტორს არ სიამოვნებდა ჩემთან შეხვედრა, მაგრამ თუ მასზე ნარკვევი იწერებოდა, გაგიხარიათ! ერთმა დირექტორმა თათბირის მონაწილენი დაითხოვა და რამდენიმე საათის შემდეგ დაიბარა — ახლა ჟურნალისტი მყავს სტუმრად და ხომ არ ვაცდევინებო. არადა, თათბირზე წარმოების საჭირბოროტო საკითხი იხილებოდა. ნარკვევი კი დავწერე, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ გამომიქვეყნებია.

ეს უმნიშვნელო დეტალი იმისათვის გავიხსენე, რომ რევაზ ჩხეიძის მისალებშიც მოვიდნენ ტელეჟურნალისტები და მდივანს სთხოვეს, მოეხსენებინათ დირექტორისთვის მათი იქ ყოფნა. რევაზ ჩხეიძე თვითონ გამოეგება სტუმრებს, დიდი ბოდიში მოუხადა და უთხრა: ახლა ისეთი სასწრაფო საქმეები მაქვს გადასაწყვეტი, რომ თქვენთან დაწვრილებითი საუბრისთვის ვერ მოვიცლი და მეორე ნახევრისათვის გადავდოთო.

რევაზ ჩხეიძე კვლავ კაბინეტში შევიდა და სამუშაოში ჩაეფლო. მე მაგიდის გვერდით ვიჯექი და ჩანაწერებს ვაკეთებდი. ასე მოვილაპარაკეთ — მისთვის ხმა არ უნდა გამეცა, რათა ხელი არ შემეშალა და ჩუმად უნდა მეკეთებინა ჩანაწერები.

რევაზმა ბროლის დიდი საფერფლე თავისკენ მიიწია, მაგიდის პრიალა ზედაპირზე დაგდებული ქაღალდის ნახევი კალათში ჩააგდო და კალენდარი გადაფურცლა. ფიქრის ძაფი ტელეფონის ზარის ხმამ გაწყვიტა:

— გისმენთ!

— მაპატიეთ, ხომ ვერ მეტყვით, კინოსტუდიის დირექტორი როდის იქნება?

— მე გახლავართ, რევაზ ჩხეიძე, გისმენთ!

ტელეფონის მეორე ბოლოში ეტყობა არ ელოდნენ, რომ პირდაპირ კინოსტუდიის დირექტორთან მოხვდებოდნენ, ამიტომ დაბნეული მოსაუბ-

რე ცოტაოდენ აყოვნებს პასუხს, მაგრამ რევაზისგან გამხნევებული სხაპა-სხუპით ლაპარაკობს:

— რაიონიდან ჩამოვედი, ბატონო რევაზ, თქვენთან, ჩემი შვილის თაობაზე. საშუალო სკოლა წელს დაამთავრა, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, ჩემო ბატონო და მისი მასწავლებლებიც მეუბნებიან, ბავშვი ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარეაო. გაგიჟებულია ბავშვი, სარეჟისორო ფაკულტეტზე უნდა ჩავაბარო მისაღები გამოცდებიო... — იგრძნობოდა, რომ სტუმარმა საბოლოოდ გადალახა უცაბედი შეცბუნებისაგან გამოწვეული უხერხულობის ზღვარი, — ვიდრე თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარებდეს მისაღებ გამოცდებს, თქვენთან მინდა იმუშაოს კინოსტუდიაში, ნებისმიერ რიგით თანამდებობაზე. როცა შრომის სტაჟი წესრიგში ექნება, მისაღები გამოცდების ჩაბარება შესამჩნევად გაუადვილდება. ხომ იცით, რას ნიშნავს ახალგაზრდა დამწყები ხელოვანისთვის თქვენნაირი ავტორიტეტის მქონე კინორეჟისორთან ოდნავ სიახლოვეს დგომაც კი — აშკარად სხისი სიტყვებით დააბოლოვა მონოლოგი სტუმარმა ისეთი სიჩქარით, კაცი იფიქრებდა, სამგზავრო მატარებელზე აგვიანდება და ბოლო ვაგონს მისდევსო.

რევაზ ჩხეიძეს გაეღიმა. წამით გაახსენდა, როგორი შემართებითა და შეუპოვრობით ცდილობდნენ ის და თენგიზ აბულაძე სერგეი ეიზენშტეინთან სამუშაოდ მოხვედრას და მომსვლელზე საშვი დაუშვა.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მილიციის განყოფილებიდან დარეკეს. ვიღაც ბრაკონიერებს დინამიტით უამრავი თევზი გაუწყვეტიათ არაგვში. მდინარის ორივე ნაპირი თითქმის კილომეტრის სიგრძეზე ლაყუჩებდახეთქილი თევზით იყო თურმე მოფენილი. ბრაკონიერები ადგილზევე შეუპყრიათ თევზის დაცვის სამმართველოსა და მილიციის მუშაკებს. მათ პირველსავე დაკითხვაზე აღიარეს, რომ ასაფეთქებელი ნივთიერება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთ-ერთი პიროტექნიკოსისგან შეიძინეს. ერთი სიტყვით, კინოსტუდიის თანამშრომელი ეჭვის ქვეშ იმყოფებოდა და რევაზ ჩხეიძეს, როგორც კინოსტუდიის დირექტორს, დახასიათება უნდა მიეცა მისთვის.

როცა მთელი ეს ამბავი მშვიდობიანად დამთავრდა, რევაზ ჩხეიძეს ვკითხე, თუ რაზე ფიქრობდა იგი დახასიათების გაცემის წინ.

— ყველაფერზე, — მითხრა რევაზმა, — განსაკუთრებით კი იმაზე, რომ არ აღმოვჩენილიყავი გაორებულ მდგომარეობაში. აქ შეცდომა არ შეიძლებოდა, ადამიანის ბედი სასწორზე იდო, და თუ სამუშაო ადგილი



კადრები ფილმიდან „მშობლიურო ჩემო მიწავ“


COMMANDER

მას ვერ გაამართლებდა, მაშინ მის ბრალმდებლად უნდა გამოსულიყო და ციხის კარამდე მიეყვანა.

შემდეგ კალმისტარი მოიმარჯვა და დახასიათება დაწერა:

„...თითქმის ოცდაათი წელიწადია უმწიკვლოდ ემსახურება კინოსტუდია „ქართულ ფილმს“... არასოდეს ყოფილა შენიშნული არა თუ ასეთ მძიმე დანაშაულში, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სრულიად უმნიშვნელო შემთხვევაშიც კი... არის შესანიშნავი მეოჯახე... გულისხმიერი მეგობარი. მორალურად გამოწრთობილი... დახასიათება ეძლევა...“

საქმის პირველი ნახევარი შესრულებული გახლდათ. რევაზ ჩხეიძემ თავისი პირადი აზრი ჩამოაყალიბა და ასეთი დახასიათებით, როგორც იტყვიან, ქვასაც კი გახეთქავდა ადამიანი. მან მაინც ჩათვალა საჭიროდ, ეთხოვა მილიციის ორგანოებისათვის, უფრო მეტი გულისხმიერებითა და სიზუსტით მოკიდებოდნენ ამ საქმეს, თვითონ კი, კიდევ ერთხელ რომ დარწმუნებულიყო ეჭვმიტანილის უდანაშაულობაში, თავისთან მოიხმო იგი:

— იქნებ ვინმემ მოგპარა ასაფეთქებელი ნივთიერება და შემდეგ ბრაკონიერებს გადასცა?

— არა, ბატონო რევაზ, თითოეული გრამი ამონალი მკაცრი აღრიცხვით მაქვს შენახული. საწყობს როცა შეამოწმებენ, თვითონ დარწმუნდებიან, რომ მართალი ვარ. აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს.

— საინტერესოა, რაღა მაინც და მაინც შენ გადებენ ხელს ბრაკონიერები ასეთი დაჟინებით?

— ამის თაობაზე უკვე მოგახსენეთ: ჩემთან ვილაც მოვიდა, მომყიდეო, მაგრამ უარით გავისტუმრე. ეს იყო და ეს.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ბრაკონიერებს მაშინ წაადგნენ თავზე, როცა მათ ბოლო დინამიტი ააფეთქეს. ერთი ცალი მაინც რომ ჩავარდნოდათ ხელში საგამომძიებლო ორგანოებს, წამსვე დაადგენდნენ, სად იშოვეს ასაფეთქებელი ნივთიერება.

ტელეფონის ზარი კვლავ აწკრიალდა. რევაზ ჩხეიძე ყურმილს დასწვდა. მილიციის განყოფილებიდან რეკავდნენ.

— მეც ასე ვფიქრობდი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო! — დაასრულა ტელეფონით საუბარი რევაზ ჩხეიძემ და რაღაც სიახლის მოლოდინით ერთიანად დაძაბულ პიროტექნიკოსს მოუტრიალდა:

— სიმართლე უღიარებიათ ბრაკონიერებს, დინამიტი თურმე სხვა პიროვნებისაგან შეუძენიათ. შენზე გაბრაზებულები ყოფილან და ამიტომ

გადებდნენ თურმე ხელს — ერთხელ ვთხოვეთ ასაფეთქებელი ნივთიერება. მოეყიდა ჩვენთვის და უარით გამოგვისტუმრაო. ალბათ, სინდისმა შეაწუხა ბრაკონიერები, ერთ ცოდვას მეორე აღარ მიუმატეს და ნამდვილი დამნაშავე გამოააშკარავეს. აბა, შენ იცი, გული არაფერზე გაიტეხო, წადი და ძველებურად იმუშავე!

ათი წუთი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც უზომოდ გახარებულმა პიროტექნიკოსმა რევაზ ჩხეიძის კაბინეტი დატოვა, რომ ოთახში რამდენიმე უცხო კაცი შემოვიდა. საკმაოდ მძიმედ იყვნენ დატვირთულები საქაღალდეებითა და ქაღალდის გრაგნილებით. ყველაფერი ეს მაგიდებზე ჩამოაწყვეს და აკურატულად გაშალეს. მშენებლები იყვნენ, ქალაქის სამშენებლო ტრესტის ერთ-ერთი სამმართველოს სპეციალისტები.

მათი საუბარი მშვიდად დაიწყო; რევაზ ჩხეიძემ თავისი მოადგილე იხმო, კაპიტალური მშენებლობის დარგში რომ მუშაობდა. ცოტა ხანში მშენებლები და კინემატოგრაფისტები რაღაც საკითხზე ვერ მორიგდნენ და საუბარი საკმაოდ ფიცხელ კამათში გადაიზარდა.

მშენებლები ამტკიცებდნენ, გადასაღები პავილიონი დაბლობ, სწორ ადგილზე უნდა აშენდეს, საძირკველი უფრო მყარი აუშენდება და ამით მშენებლობაც ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს. ამის დასტურად მშენებლებმა ურთულესი მათემატიკური ფორმულებითა და გაანგარიშებებით ააკვესეს კინოსტუდიის დირექტორის კაბინეტი. რევაზ ჩხეიძე და მისი მოადგილე კი თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ პოზიციას. ის კი არა, საკმაოდ დელიკატურად აგრძნობინა კიდეც მშენებლებს, პავილიონის აგება ყველაზე ხელსაყრელია მთის ფერდობზე, მაგრამ თქვენ მიწის სამუშაოებს ერიდებით, ვინაიდან სამუშაო ბევრი იქნება, ხოლო ანაზღაურება კი შედარებით მცირეო.

რევაზ ჩხეიძის ასეთმა მოულოდნელმა რეზიუმემ ჯერ ერთი მშენებელი შეაკრთო და დააფიქრა, შემდეგ მეორე, მესამე კი უბრალოდ მიხვდა, რომ „ბრძოლა“ წაგებულია.

— კეთილი, ბატონო რევაზ, თანახმა ვართ! ხვალიდანვე დავიწყებთ მოსამზადებელ სამუშაოებს და თვენახევარში ნულოვანი ციკლი ამოყვანილი გვექნება. გრაფიკით ამ სამუშაოების ჩატარებაზე ორი თვეა დაშვებული და, თუ ჩვენ მას ვადაზე ადრე ჩავაბარებთ, სუბ-მოიჯარადრე ორგანიზაციასაც გაუადვილდება საქმე.

— კი მაგრამ, მიწის სამუშაოების ჩატარებას მარტო საკუთარი ძალებით თუ აპირებთ, ალბათ, საქმე უფრო გართულდება? — გამოეპასუხა დირექტორი.

— სავსებით სწორი ბრძანდებით. მიწის მოთხრაზე თქვენი ხალხის დახმარება დაგვჭირდება. თუ თქვენ არასპეციალიზირებული სამუშაოების შესრულებაში დაგვეხმარებით, მაშინ შეიძლება სამუშაო თვენახევარზე ადრეც დავამთავროთ...

რამდენიმე წუთის წინ თავდაუზოგავად მოდავე მხარეები ისე გულთბილად ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, რომ კაცი იფიქრებდა, კარგა ხნის უნახავი მეგობრები არიანო.

რევაზ ჩხეიძემ საათს დახედა: თერთმეტზე საწარმოო თათბირი აქვს. როგორ გასულა დრო, ხუთი წუთიღაა დარჩენილი. მდივანს გამოუძახა და თათბირის მონაწილენი კაბინეტში მოიწვია. ხუთივე მოადგილე და თითქმის ყველა განყოფილებისა და უბნის ხელმძღვანელი უკლებლივ გამოცხადდა და თათბირი ყოველგვარი ოფიციალური რიტუალის გარეშე დაიწყო.

იმდღევანდელი საწარმოო თათბირის დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა. იხილებოდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" გადაღებისა და გახმოვანების პროცესის ფილმების მდგომარეობა.

**მომხსენებელი** — მოგახსენებთ შემოქმედებითი თუ ტექნოლოგიური პროცესის რა სტადიას გადიან დღევანდელი ფილმები, რომლებსაც ესესაა ვიღებთ. კინოფილმ „უბედურების" გადამღები ჯგუფი უკვე გახმოვანებისათვის ემზადება, მაგრამ მუსიკა ჯერ დამთავრებული არ არის.

**რ. ჩხეიძე** — 18 დეკემბერს ეს ფილმი კინოგაქირავებას უნდა ჩაბარდეს, ამიტომ საჭიროა გადამღებ ჯგუფს გახმოვანებისთვის დამატებით დაენიშნოს კიდევ ერთი ცვლა. გარდა ამისა, კინოფილმი „უბედურება" სიუჟეტურად ძალზე რთულია და საკავშირო კომიტეტში, ალბათ, მისი დაცვა დაგვჭირდება. ამ კინოსურათს მოსკოვში წაჰყვება კინოსტუდიის მთავარი რედაქტორი გივი დვალიშვილი. შეკითხვები ხომ არა გაქვთ? კეთილი. შემდეგი საკითხი? (თავის ყოველ კომენტარს რევაზ ჩხეიძე ამ შეკითხვით ამთავრებდა, მაგრამ თითქმის არავინ გამოპასუხებია).

**მომხსენებელი** — კინოფილმი „წინაპართა მიწა" დამონტაჟების პროცესშია. იგი ოდნავ ჩამორჩება გეგმიურ ვადას.

**რ. ჩხეიძე** — კალენდარული გეგმით ამ კინოფილმის გახმოვანება მოპავალი წლის მარტის თვეში უნდა დამთავრდეს. გადამღებმა ჯგუფმა უნდა დააჩქაროს სამუშაო. გრაფიკიდან ამოვარდნას არავინ გვაპატიებს. გადამღებმა ჯგუფმა ხვალვე წარმოადგინოს თავისი წინადადება.

**მომხსენებელი** — მხატვრული ფილმები „მიზანი" და „ქორწინება იმერულად" სამონტაჟოშია და ყველაფერი რიგზეა.

**რ. ჩხეიძე** — კინოფილმ „მიზანს“ ასმეტრიანი ჩამორჩენა მოსდევს თითქმის პირველი კადრის გადაღების დღიდან. მართალია, ჩამორჩენა ტექნიკური მიზეზებითაა გამოწვეული, მაგრამ ეს მდგომარეობა მაინც უნდა გამოსწორდეს. როგორც მომახსენეს, გუშინ ოთხმოცდაათი მეტრი ფირი გადაუღიათ, მაგრამ ეს არაა საკმარისი. თათბირის შემდეგ რეჟისორის ასისტენტი დარჩეს და ერთად მოვილაპარაკებთ ზოგიერთ საკითხზე.

**მომხსენებელი** — „ძახილის“ გადამღები ჯგუფისადმი პრეტენზიები არ გაგვაჩნია, მთელი სიმკაცრით იცავენ გრაფიკს და ზოგიერთ მაჩვენებელში გეგმასაც კი უსწრებენ. რაც შეეხება კინოფილმ „კაცია-ადამიანს?!“, მისი გადაღებები უკვე პავილიონში მიმდინარეობს.

**რ. ჩხეიძე** — ახლა კარგი ამინდები დგას, ამიტომ უმჯობესია „კაცია-ადამიანის?!“ ნატურული კადრები გადაიღონ. პავილიონში გადაღება კი ნებისმიერ ამინდშიც შეიძლება.

შემდეგ კინოფილმი „კაშხალი მთაში“ გაარჩიეს. მას „გოლა“ მოჰყვა და, როცა რევაზ ჩხეიძემ შეიტყო, ამ ფილმისათვის გადასაღები ადგილი დიდი ხნის ძებნის შემდეგ შუამთაში შეურჩევიათ, კმაყოფილი დარჩა. მომხსენებელი კი ახალ ფილმებს ასახელებდა და რ. ჩხეიძეც ყველაზე ამომწურავ მითითებებს იძლეოდა. ასე გაირჩა კინოფილმების „რაიკომის მდივნის“, „იმერული ესკიზებისა“ და „კარიერის“ მდგომარეობა. თათბირი მალე დამთავრდა, მაგრამ მონაწილენი არ დაშლილან და კვლავ განაგრძობდნენ საქმიან საუბარს.

— გიორგი შენგელაიამ დამირეკა ამ დილით, — თქვა რევაზ ჩხეიძემ, — კოსტიუმებისთვის მასალების შოვნა გაჭირვებია თურმე. ამან შეიძლება სერიოზულად შეუშალოს ხელი. რაიმეთი უნდა დავეხმაროთ.

— ახლა წლის ბოლოა, ბატონო რევაზ, — ჩაერია საუბარში დირექტორის პირველი მოადგილე ჭოლა ჭყონია, — ფონდები მთლიანად ამოიწურა, ცეკავშირსა და ვაჭრობის სამინისტროს ისედაც ხშირად არ გააჩნიათ ჩვენთვის საჭირო საქონლის სრული ასორტიმენტი. ისევ თქვენ თუ დაგვეხმარებით რამეს.

— გამოსავალი მოიძებნება, — რევაზი ტელეფონის ყურმილს გადაწვდა, — მაღაზიები ზოგჯერ უარს გვეუბნებიან იმაზე, რომ ათ მანეთამდე ღირებულების საქონელი ნაღდ ანგარიშზე შევიძინოთ. შეიძლება ეს ჩვენი მხრიდან ფინანსური კანონის დარღვევაც იყოს, მაგრამ ჩვენი სამუშაოს სპეციფიკა გვაიძულებს კომპრომისზე წავიდეთ. ახლავე დავრეკავ ვაჭრობის სამმართველოში...

მთელი სამუშაო დღე თითქმის რევაზ ჩხეიძესთან ერთად გავატარე-

რა საკითხზე არ შეაწუხეს იგი იმ დღით თანამშრომლებმა თუ უცხო მთხოვნელებმა — ერთს ბინის საკითხი აინტერესებდა, მეორე უჩიოდა მეუღლეს, რომელიც კინოსტუდიაში მუშაობდა. მესამე შორეული ნათესავი გამოდგა და შეეხვეწა, შვილი სკოლაში აღარ დადის და იქნება თქვენმა სიტყვამ ცოტა ჭკუაზე მოიყვანოსო. მეოთხეს, უბრალოდ მატერიალური დახმარება სჭირდებოდა...

ხშირად გავმხდარვარ იმის მოწმე, თუ როგორ ჩაინიშნავს ხოლმე ხელმძღვანელი მომსვლელთა თხოვნას და დაპირება დაპირებად დარჩენილა. რევაზ ჩხეიძე კი იქვე წყვეტდა საკითხებს, მთხოვნელთა თანაღალსწრებით და პასუხსაც წამსვე აძლევდა მათ, დადებითი იქნებოდა იგი თუ უარყოფითი.

თუმცა ადამიანი თვითონ უფრო ლაკონიურად გადმოცემს თავის გულისნადებს, ამიტომ ურიგო არ იქნება, თვითონ რევაზ ჩხეიძე მოვიშველიოთ:

— ხშირად მსაყვედურობენ, რომ კინოსტუდიის ხელმძღვანელობით ძვირფას შემოქმედებითს დროს ვკარგავ. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მოულოდნელი იყო, როცა კინოსტუდიის ხელმძღვანელობა შემომთავაზეს. მოულოდნელი იმიტომ, რომ კინორეჟისორის პროფესიული მონოდება ფილმის გადაღებაა, კინოსტუდიის ხელმძღვანელობა კი სულ სხვა ფუნქციებს ითვალისწინებს. მაგრამ საკმარისია სტუდიის დირექტორის მოვალეობას შეხედო იმ თვალით, იმავე გულით, რა გულითაც ეკიდები ფილმის გადაღების საქმეს, მაშინვე ცხადი გახდება, რომ ეს ერთი და იგივე პატრიოტული საქმეა. მთავარია შეიქმნას ჩვენი ეროვნული კულტურის ის ნაწილი, რომელსაც ქართული კინო ჰქვია. სწორედ ამიტომ დღესაც ვერ გაშიგია, რომელი უფრო სჯობია, ჩემი შემოქმედებისა და ორგანიზატორული საქმიანობისათვის დავდგა საკუთარი კინოსურათი და მასზე გადავიტანო მთელი გულისყური, თუ მთელი არსებით დავეხმარო კოლეგებს საუკეთესო ფილმების გადაღებაში. ვფიქრობ ორივე ერთად.

ახლა, რაც შეეხება ჩემი კოლეგების საყვედურს იმის თაობაზე, რომ დირექტორობამ რეჟისორობას მომწყვიტა. როცა კინოსტუდიის დირექტორად მნიშნავდნენ, დიდი სურვილი მქონდა გადამეღო ფილმები „რაიკომის მდივანი" და „დონ კიხოტი".

„რაიკომის მდივანი" უკვე გამოვიდა ეკრანზე. „დონ კიხოტზე" მუშაობა კი მიმდინარეობს. ამდენად, მე სრულებითაც არ მივიჩნევ, რომ დირექტორობა ხელს მიშლის შემოქმედებითად..."

საღამოს ექვსის ნახევარზე რევაზ ჩხეიძემ მდივანი მოიხმო და

სთხოვა, თუ ვინმე მელოდება ახლავე შემოვიდეს, თორემ შემდეგ ამომრჩევლებთან შესასვედრად უნდა მოვემზადოო.

„რა პოსტიც უნდა ეჭიროს ჩვენში საბჭოთა დეპუტატს, — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა 1970 წლის ივნისში, როცა ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებაზე გამოდიოდა, — მას თავის მოვალეობად მიაჩნია მთელ თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობდეს პარტიის პოლიტიკით, იბრძოდეს პარტიის პროგრამის განხორციელებისათვის. მტკიცედ იდგეს მის პოზიციებზე. მას კარგად აქვს შეგნებული, რომ ამომრჩევლები პირველ რიგში სწორედ ამისათვის აძლევენ მას მანდატს, როცა ხმას აძლევდნენ მის კანდიდატურას. პარტიის პოლიტიკა გამოხატავს ხალხის ძირეულ, საარსებო ინტერესებს, ხოლო დეპუტატისათვის არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე ამ ინტერესებზე მაღლა“[1].

ერთხელ, ჩვენს სახელოვან მეტრომშენებელთან, კერძოდ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ამირან ზარქუასთან მომიწია შეხვედრა. რევაზ ჩხეიძესთან ერთად მაშინ ისიც თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი იყო და იქნებ რაიმე ინფორმაცია მომაწოდოს-მეთქი რევაზ ჩხეიძის შესახებ. ბევრი საინტერესო რამ მომითხრო ამირანმა, მაგრამ ბოლოს მაინც დეპუტატის სტატუსზე შეჩერდა და ფრიად ხატოვანი და ჩამაფიქრებელი შედარება მოიყვანა:

— როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს დედაქალაქის მიწისქვეშა გრუნტი, სადაც, ჩვენ მეტრომშენებლები ვიმყოფებით უმეტესად, ვულკანური წარმოშობისაა და ამდენად, სიმყარეში მას მხოლოდ ფოლადი თუ შეედრება. ერთხელ ამხანაგი გვესტუმრა, ეზოში დაყრილი ახლადამოღებული ტყვიისფერი ლოდები დაინახა. ახლოს მივიდა, ორი დიდი ქვა აიღო ხელში და ერთმანეთს შემოჰკრა, მაგრამ ოდნავაც არ გაფხაჭნილა რომელიმე. ალბათ, ეგონა, ასეთი სიმაგრის ქვა სახლ-კარის ასაშენებლად გამომადგებაო. იქვე გარიგებია მძღოლებს და მათაც რამდენიმე რეისი ქვა აუტანიათ. ჩემთვის რომ ეკითხა, ასე არ შეცდებოდა. ვულკანური წარმოშობის ქანი მიწის ქვეშაა ძლიერი, ფოლადივით მყარი, თორემ საკმარისია მიწის ზედაპიზე ამოიტანო, რომ მისი სიმყარე წამსვე ნაცრად იქცევა. სწორედ მაშინ იქცევა ფერფლად დეპუტატის ავტორიტეტი, მისი სიმყარე, თუ დადგება მისი არჩევა-გადარჩევის საკითხი, როცა იგი ხალხის მასებს მოსწყდება და მათ ავ-კარგს აღარ გაიზიარებს როგორც რჩეული.

...ზაფხულის ერთ წყნარ საღამოს რევაზ ჩხეიძის კაბინეტის კარი ნაძალადევი მორიდებით შეაღო ინტელიგენტის გარეგნობის მქონე ჭილოფის ქუდიანმა უცნობმა მამაკაცმა. დეპუტატმა სკამი შესთავაზა სტუ-

მარს და წინასწარ ბოდიშიც მოუხადა — ძალზე დაკავებული ვარ და თუ ხანგრძლივი საუბრისთვის ხართ მოსული, სჯობია ხვალ გამოიაროთ, ვინაიდან დღეს თხუთმეტ წუთზე მეტს ვერ დაგითმობთო.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო რევაზ! თხუთმეტი წუთის სალაპარაკო თქვენთან რა მაქვს, მაგრამ ვიდრე ჩემს სატკივარს გეტყოდეთ...

ვიდრე თავის გასაჭირს და ჭირ-ვარამს გაანდობდა, ზედმეტად ექსცენტრულმა სტუმარმა ფეხი ფეხზე შემოიდო და ათწუთიანი, საკმაოდ დილეტანტური ექსკურსი მოაწყო რევაზ ჩხეიძის შემოქმედებაში. მასპინძელს სიტყვა არ გაუწყვეტინებია სტუმრისათვის, მაგრამ, როცა ამ უკანასკნელმა „ღიმილის ბიჭების" გახსენებისას ლოყაზე გადმოდენილი ცრემლისთვის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, რევაზ ჩხეიძემ მხოლოდ მაშინ შეახსენა მორიდებით:

— კი მაგრამ, თქვენ, ალბათ, რაიმე კონკრეტული საკითხის გასარკვევად მობრძანდით!

— დიახ, ნამდვილად, ბატონო რევაზ! ახლავე მოგახსენებთ ყველაფერს. თქვენ ისე ახლოს მიუტანეთ ხალხს გულთან ომის ამაღელვებელი თემა, რომ მე, როგორც სამამულო ომის მონაწილეს, სწორად გამიგებთ. ასეც რომ არ იყოს, თქვენ ხომ ჩვენი დეპუტატი ბრძანდებით?!

— მაინც რაშია საქმე? — გვერდზე გასნია რევაზ ჩხეიძემ საქმიანი ქაღალდები და სტუმარს მიაჩერდა.

— შვილმა და რძალმა გამომაგდეს სახლიდან, ბატონო რევაზ! — ახლა უკვე ნამდვილმა ცრემლმა გაიკვალა გზა სტუმრის დაღარულ ლოყაზე, — მართალია, ზოგჯერ მთვრალი ვბრუნდები შინ, მაგრამ მათ უნდა გამიგონ. შარშან ჩემი ცხოვრების მეგზური, საყვარელი მეუღლე დავკარგე, გულითადი მეგობარი... დარდი მომეძალა... პენსიონერ ადამიანს სხვა გამოსავალი აღარ მრჩება და ღვინოს ვეძალები... რაიმე უნდა მიშველოთ...

აქ უცნაური არაფერია. მართალია, არცთუ ისე ხშირად, მაგრამ ანალოგიური კონფლიქტები რევაზ ჩხეიძეს ხშირად გაურჩევია სამსახურეობრივი მოვალეობის გამო, ან მოქალაქეობრივი პოზიციებიდან, მაგრამ რევაზი მაინც ააღელვა მოსმენილმა; მან რის ვაი-ვაგლახით დაიოკა თავი, რომ სტუმრისათვის არ ეთქვა: დეპუტატი ვალდებული არ არის ეზოეზო იაროს და მომდურავი მეზობელ-ნათესავები ერთმანეთს შეარიგოსო". მოგვიანებით, რევაზ ჩხეიძე ამ სიტყვებს მაღალი ტრიბუნიდან იტყვის იმ ხალხის გასაგონად, რომელთაც ელემენტარული წარმოდგენაც კი არა აქვს დეპუტატის უფლება-მოვალეობაზე და ყველანაირი თხოვნით აბეზრე-

ბენ მათ თავს. ახლა კი, რევაზ ჩხეიძეს უზომოდ შეეცოდა სტუმარი.

— სამსახურიდან პირდაპირ თქვენთან შემოვივლი, — დააიმედა რევაზ ჩხეიძემ სტუმარი და კარებამდე მიაცილა.

იმ საღამოს ცხრა საათზე მორჩა სამუშაოს. კაბინეტში შუქი გამორთო და ფეხით გაუყვა ქუჩას. დარდისგან დამწუხრებული სტუმრის ვიზიტმა რევაზ ჩხეიძე ჩააფიქრა. მაინც რა უნდა იღონოს დეპუტატმა, როცა მათთან ოჯახში მივა? საინტერესოა, როგორი ხალხია მისი ვაჟიშვილი და რძალი. რადგან მოხუცი ადამიანი ასე გაანაწყენეს, შეიძლება ცოტა უხეშებიც კი იყვნენ, მაგრამ არც ყოველდღე მთვრალი ადამიანის მისვლაა ოჯახში სახარბიელო. შეიძლება ცოტა მძიმეც კი იყოს მათთან საუბარი, მაგრამ, ალბათ, მაინც შეძლებს მათ დარწმუნებას, რომ ახალგაზრდები არავითარ შემთხვევაში არ არიან მართლები მოხუცი მამის წინაშე. ბოლოს და ბოლოს ეკრანის მეშვეობით თუ ახერხებს რომ გაუგონ, პირად კონტაქტში უფრო იოლად არ მოახერხებს!

ადრესატამდე კილომეტრი მანძილია. ის კი ფეხით მიდის. წინასწარ ემზადება სასაუბროდ.

ერთი ძველი, სტუდენტობისდროინდელი საკონფლიქტო ამბავი გაახსენდა და სახეზე ღიმილი შეუთამაშდა.

...სტუდენტობისას განცდილი შიმშილის გრძნობა არ შეიძლება მხოლოდ სტუდენტის უსახსრობას მივაწეროთ. რევაზ ჩხეიძეს მრავალჯერ დასთენებია თავზე გამოცდების წინა პერიოდში კონსპექტებზე მუშაობისას. ჭამის დროც კი არ რჩებოდა და ამიტომ სტუდენტს ერთდროულად უტეხდა შიმშილიცა და უძილობაც. დილით, როგორც იქნა, ცოტა დრო მოიხელთა და სტუდქალაქის სასადილოში შევიდა, საუზმე აიღო, სალაროსთან მივიდა ფულის გადასახდელად და... გახევდა — საგულდაგულოდ შენახული სამმანეთიანი ჯიბეში აღარ ედო. საშინელმა წინათგრძნობამ მოიცვა. გუშინ მასთან თანაკურსელი მეგობრის გარდა არავინ მისულა. ან იქნებ ჯიბიდან ამოუვარდა? თუმცა ეს უკანასკნელი ვარიანტი გამორიცხულია — ამ პაწია ჯიბიდან ფული და ისიც ქაღალდის ვერასგზით ვერ ამოვარდებოდა.

რევაზ ჩხეიძე უმალვე მიხვდა, რომ ყოველივე ეს მისი მეგობრის ნახელავი იყო. მოსკოველ ყმაწვილს მამა სამამულო ომის ფრონტზე დაეღუპა და დედამ გაჭირვებით გამოზარდა. რევაზს ყურმოკრული ჰქონდა, რომ ვიდრე ყმანვილი დედის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, ავი არაფერი ჩაუდენია, მაგრამ წამოიზარდა და ქუჩის გავლენის ქვეშ მოექცა. რამდენჯერმე მილიციაშიც კი მოხვდა წვრილმანი ქურდობისა და სხვა დანა-

შაულისთვის. მეზობლები და თანაკლასელთა მშობლები ჩაერივნენ და ყმაწვილი თავდებით გამოუშვეს, თან მისი აღზრდაც ითავეს. ღონისძიებათა ასეთმა კომპლექსმა თავისი ნაყოფი გამოიღო, ნიჭიერი ყმაწვილი მალე გონს მოეგო, საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა და სწავლა კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში განაგრძო. ეტყობა, მთლიანად ვერ დათრგუნა თავის ხასიათში სულსნრაფობა, ვინაიდან ადრეც იყო შენიშნული, რომ მესამეკურსელებს ხშირად ეკარგებოდათ ფული და სხვადასხვა ნივთი. დანაკარგს თითქმის ყოველთვის შემთხვევითად მიიჩნევდნენ. საბოლოოდ დარწმუნდა რევაზ ჩხეიძე, რომ ფული მისი მეგობრის მოპარული იყო.

დიდხანს იფიქრა მომხდარ ამბავზე. არ იცოდა რა გაეკეთებინა — არავითარი ფაქტი არ ჰქონდა ხელთ, მეგობრისთვის საყვედური ეთქვა და ზოგიერთი რამ შთაეგონებინა პატიოსანი ადამიანის მორალური კოდექსიდან. უცებ გონება ბრწყინვალე აზრმა გაუნათა — მეგობრის დედასთან წავიდა და ფრონტზე დაღუპული მეუღლის სურათი მოსთხოვა, უბის ჯიბეში ჩაიდო და დაელოდა.

სამოდე დღის შემდეგ მეგობარი სტუმრად მივიდა რევაზ ჩხეიძესთან. ამ მეგობრის დასანახად დემონსტრაციულად ამოიღო შარვლის ჯიბიდან რამდენიმე ცალი ათმანეთიანი და პიჯაკის იმ ჯიბეში ჩაიდო, სადაც მამამისის სურათი ედო, შემდეგ პიჯაკი გაიხადა, სკამზე გადაკიდა და თვითონ სააბაზანოში გავიდა პირის დასაბანად. გუმანმა არ უმტყუნა — როცა რევაზი ოთახში შევიდა, მის მეგობარს ხელში მამის სურათი ეჭირა და გულამოსკვნით ტიროდა. ამის შემდეგ არც რევაზ ჩხეიძეს და არც მის ამხანაგებს არაფერი დაჰკარგვიათ...

ამ ფიქრებში გართულმა რევაზ ჩხეიძემ ზარის ღილაკს თითი დააჭირა. ოჯახის წევრები ყველანი შინ იყვნენ. რევაზის სტუმრობას არავინ მოელოდა, არც ოჯახის მამა და არც მისი შვილი და რძალი. პირველად საუბარი ვერ აეწყო, მაგრამ შემდეგ რევაზი ალაპარაკდა, ლაპარაკობდა მკაცრად, ლინჯად, შთამაგონებლად. არც არავინ შემოდავებია და თავიც არავის უ ]ართლებია. რევაზ ჩხეიძის დამრიგებლურ სიტყვებში გადაჭარბებული და დაუჯერებელი არაფერი იყო. მას შემდეგ სამჯერ დაინტერესდა რევაზ ჩხეიძე ამ ოჯახის ბედით და როცა რწმუნდებოდა, ყველაფერი რიგზე იყო, უზომოდ გახარებული რჩებოდა.

— პენსიონერ ადამიანს სახლში ჯდომა უჭირდა, ჩვენთან დავაწყებინე მუშაობა, კინოსტუდიაში. დღეს მშვენივრად ართმევს თავს დაკისრე-

ბულ მოვალეობას უკვე სამოცდაათ წელს მიტანებული კაცი, — მითხრა რევაზ ჩხეიძემ.

რამდენჯერმე დავუსვი საკუთარ თავს შეკითხვა: რატომ დაინტერესდა რევაზი უცნობი ადამიანის ბედით? ალბათ იმიტომ, რომ იგი უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მაგრამ პასუხი სრულიად აბათილებს კითხვას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მყარ ურთიერთკავშირში არიან: რევაზი სწორედ ამგვარი ხასიათის გამო გახდა ხალხის რჩეული და იგი ასე იქცეოდა მაშინაც, როცა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არ იყო.

1974 წელს რევაზ ჩხეიძე აფხაზეთში გაემგზავრა, ქალაქ გაგრაში, მაგრამ არა კინოფილმის გადასაღებად. რევაზ ჩხეიძე ამას მოგვიანებით გააკეთებს და დიდ დახმარებას გაუწევს კინორეჟისორ ალექსანდრე ჟღენტს, რომელმაც იქ გადაიღო ფერადი მხატვრული კინოფილმი აფხაზი ხალხის საამაყო შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ხაზარიას საინტერესო ცხოვრებაზე. მაგრამ რევაზ ჩხეიძე ამჯერად სულ სხვა მისიით გამოდის ხალხის წინაშე — გაგრის № 484 საარჩევნო ოლქის მშრომელებმა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად რევაზ ჩხეიძის კანდიდატურა წამოაყენეს.

— სიმართლე გითხრათ, თვალებს ვერ დავუჯერე, როცა გაზეთებში ამის თაობაზე გამოქვეყნებული ინფორმაცია წავიკითხე.

დაუჯერებელი კი არაფერი იყო. რევაზ ჩხეიძემ, როგორც ხელოვანმა და მოქალაქემ, დაიმსახურა ეს პატივი.

...კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სანგარში მთვლემარე გიორგი მახარაშვილის ნაომარი, ნატანჯი სახე. იგი მშობლიური მუსიკის მონატრებულ ჰანგებსაც კი ვერ გამოჰყავს ბურანიდან. ღრმა ძილით სძინავთ ჯარისკაცებს და თითქოს მშვიდობიანი დროის მოგონებებმა დაამძიმესო, ისე ჩამოუდვიათ ერთმანეთზე თოვლით დაფარული თავები.

სწორედ ამიტომ უღირთ ადამიანებს ასე ძვირად მშვიდობა. რევაზ ჩხეიძეც მთელი ხმით ლაპარაკობს იმაზე, როგორ აბიაბურებს ომის უკეთურობას შრომას დანატრებული, ხელებდაკოჟრილი ბერიკაცი. რევაზ ჩხეიძე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენი საუკუნის უდიდესი მწერლის მიხეილ შოლოხოვის მიერ ჩამოყალიბებულ წმიდათაწმიდა აზრს:

„ვერ წაართმევ მშვიდობას მათ, ვისაც ხელთ ეპყრა იარაღი და მხურვალე ტუჩები კი ცრემლს აშრობდნენ დაობლებულ ბავშვთა ლოყებზე — მათ, ვინც იხილა და სამუდამოდ დაიმახსოვრა ომის საშინელებანი. მშვიდობა და მომავალი მარადჟამს ჩვენთან იქნებას!“

ამ სიტყვებში მიხეილ შოლოხოვი გულისხმობს დედამიწის ყველა პა-

ტიოსანი ადამიანის თანამეგობრობას, სისხლითა და ომის ქარცეცხლში შეღუღაბებული ინტერნაციონალური მეგობრობის გრძნობით გასპეტაკებულ თანამეგობრობას.

1979 წელს რევაზ ჩხეიძე კვლავ აირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ამჯერად ქობულეთის № 177 საარჩევნო ოლქში, მაგრამ გაგრელ მშრომელებს არასოდეს დაავიწყდებათ მათი დიდი ქომაგი და მოამაგე, რომელშიც თვეში ერთხელ მაინც ჩადიოდა ამომრჩევლებთან შესახვედრად, იქნებოდა იგი მოსკოვისკენ გზად მიმავალი თუ სპეციალურად ამისათვის გამგზავრებული. სწორედ რევაზ ჩხეიძის თაოსნობით აშენდა კინოთეატრი ბიჭვინთაში, ხოლო რაიონის განვითარების პერსპექტიული გეგმა რევაზ ჩხეიძის მონაწილეობის გარეშე არ განხილულა და დეპუტატის თაოსნობით მასში მრავალი სასარგებლო ცვლილება იქნა შეტანილი.

1971 წლის 21 ნოემბერს გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნდა რევაზ ჩხეიძის მეტად საჭირბოროტო წერილი „სიმართლე სხვას ლაპარაკობს", რომელიც ქართული კინოს დემოკრატიულ და ეროვნულ საფუძვლებს ეძღვნება.

„...უკანასკნელ ხანს, — ვკითხულობთ სტატიაში, — ჩვენს პერიოდულ პრესაში ქართული კინოს ისტორიის საკითხებზე გაიმართა პოლემიკა. სავსებით კანონზომიერია კინომცოდნეთა კამათი ამა თუ იმ თარიღის დასაზუსტებლად, მაგრამ მათ მიერ წამოყენებული საკითხებიდან მინდა გამოვყოთ ზოგიერთი, რომლებსაც ეროვნული კინემატოგრაფიის წარსულისა და შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

1966 წელს მოსკოვში გამომცემლობა „სოვეტსკაია ენციკლოპედიამ" ორ ტომად გამოსცა კინოლექსიკონი. ამ გამოცემაში უამრავი შეცდომაა, მეტად დაზარალებულია ქართული კინემატოგრაფია. გამოტოვებულია და ცალკე (ანბანის მიხედვით) არ არის წერილები ქართული კინოს ისეთი გამოჩენილი მუშაკების შესახებ, რომლებიც იყვნენ: ქართული მხატვრული კინოს ფუძემდებელი რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა, მსახიობები: კოხტა ყარალაშვილი და კირა ანდრონიკაშვილი (კინოსურათში „ელისო" და არაერთი ქართული ფილმის მთავარი როლის შემსრულებლები), ქართული კინოსა და სცენის უბრწყინვალესი წარმომადგენლები — ნუცა ჩხეიძე, უშანგი ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი; ქართული კინოს მუნჯი პერიოდის ერთ-ერთი პოპულარული მსახიობი და რეჟისორი კოტე მიქაბერიძე, კინოდრამატურგი და მსახიობი შალვა დადიანი, თანამედროვე ქართული კინოს ისეთი წამყვანი მუშაკები, როგორიცაა კინოდრამატურგი სულიკო

ულენტი, მსახიობი დავით (დოდო) აბაშიძე, რეჟისორი შოთა მანაგაძე და სხვა. კინოლექსიკონში არეულია თარიღები, შეცდომებით არის დაბეჭდილი გვარები და სახელები.

ცალკეული თავები, რომლებიც ქართულ კინემატოგრაფიას ეხება, როგორც ვიცი, დაწერილია ქართველი ავტორების მიერ. სამწუხაროდ, ამ ავტორთა სია და თვით წერილები მოსკოვში გაგზავნამდე არავის არსად განუხილავს, რაც განსაკუთრებით დაუშვებელია, როდესაც საქმე ენციკლოპედიურ გამოცემას ეხება. უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი გამოცემა შემდეგ ადგილს დაიკავებს საბჭოთა და საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებში და ვინ იცის, რამდენი წელი დასჭირდება, რომ ყველაფერი სათანადოდ გასწორდეს. საგაზეთო სტატიაში შეიძლებოდა არ წამომეწყო ამაზე საუბარი, რომ შეცდომებს მხოლოდ ფაქტობრივი ხასიათი ჰქონოდა და მათ უკან მნიშვნელოვანი საკითხები და მოვლენები არ მდგარიყო. მხედველობაში მაქვს ორი პუნქტი, რომლებიც ქართული კინოს საწყისებს ეხება და რომელთა დამახინჯება არასწორ ორიენტაციას აძლევს ქართული კინოს განვითარებას. ერთია ქართული კინოს დასაბამად 1910 წლის გამოცხადება (საქმე ეხება პირველი დოკუმენტური ფილმის გადაღებას) და მეორე, პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს" შექმნის თარიღად 1919 წლის მიჩნევა. არ ეგონოს მკითხველს, რომ მარტო თარიღების სიზუსტის საკითხი მაღელვებდეს. არა! აქ უფრო მნიშვნელოვანია მიჩქმალული, უფრო პრინციპული საკითხია უკანა პლანზე გადატანილი. შევეცდები გაგაცნოთ ამ ორი სერიოზული შეცდომის არსი.

„...პირველი კინოგადაღებები საქართველოში განხორციელდა 1910 წელს ა. დიღმელოვის (დიღმელი) მიერ, რომელიც შემდგომში გახდა კინოოპერატორთა ქართული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1912 წელს ვ. ამაშუკელმა გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში"...

ვასილ ამაშუკელი „აკაკის მოგზაურობის" (1912 წელი) გადაღებამდე იყო რამდენიმე ათეული მნიშვნელოვანი სიუჟეტის ავტორი, რომ პირველი გადაღებები მან 1908 წელს დაიწყო, რისი აღნიშვნითაც ჩვენი სამამულო კინოგადაღებათა ისტორიის დასაწყისიც 1910 წლიდან 1908 წელში გადაინაცვლებდა. ეს ხომ სრული სიზუსტით არის დადგენილი და არავის ეჭვს არ იწვევს?

თავის პირველ გადაღებებს ვ. ამაშუკელი ბაქოში აწარმოებდა. უეჭველად ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ მისი მოღვაწეობა ამ პერიოდში ჩვენი თეატრის გამოჩენილი რეჟისორისა და პატრიოტის კოტე მესხის

ზელმძღვანელობით მიმდინარეობდა. სწორედ კოტე მესხისა და ცნობილი მსახიობის ეფემია მესხის (მეუღლე პედაგოგ ი. გეპნერისა, რომელიც პროგრესულად აზროვნების გამო მეფის პოლიციის მიერ ბაქოში იქნა გადასახლებული) მეცადინეობის შედეგად ვასილ ამაშუკელი გაიგზავნა მოსკოვში, კინოაპარატის შესაძენად.

...საკვლევებით ბუნებრივია, რომ სწორედ ვასილ ამაშუკელი, რომელის შემოქმედება ფართო სოციალური ხასიათითა და ეროვნულ-დემოკრატიული ტენდენციებით გამოირჩეოდა, გახდა ავტორი იმ დროისათვის ნოვატორული დოკუმენტური ფილმისა „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. დიდია ამ ფილმის მნიშვნელობა ქართული კინოს ისტორიაში. გარდა იმისა, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი მთელ მსოფლიოში, მასში მთელი ძალით გამოვლინდა ვასილ ამაშუკელის პოზიციას კინოხელოვნების მიმართ. ვასილ ამაშუკელი ამ ახალ, დიდ ფილმშიც ერთგული დარჩა იმ მონინავე პრინციპებისა, რაც ადრე (1908-1909) გადაღებულ დოკუმენტურ სიუჟეტებში გამოსჭვიოდა.

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურობდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა
და გულს წრფელად ახურებდეს.

მღეროდა აკაკი და სწორედ სიმართლის მსახურად, წმინდა აზრის განსამტკიცებლად, ერის წყლულთა მოსაბანად და სამკურნალოდ უყურებდა ფილმის გადაღების ამოცანას ვასილ ამაშუკელი. მისი შემოქმედება უეჭველად არის შთაგონებული იმ ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის დემოკრატიული იდეებით, რომელიც საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ილიასა და აკაკის თაოსნობით იწრთობოდა...

...მეორე დიდი შეცდომა, რომელიც კინოლექსიკონის პირველ ტომშია, პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ დაბადების თარიღს ეხება. თუ კინოლექსიკონს დავუჯერებთ, იმავე თავში (ქართული კინემატოგრაფია), სადაც ჩვენი კინოს დაბადების თარიღად შეცდომით 1910 წელი იყო გამოცხადებული, პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“ 1919 წელს გადაუღიათ.

1967 წელს ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც ზეიმით აღინიშნა ქართული მხატვრული კინოს 50-წლისთავი. თბილისს ეწვივნენ სტუმრები ყველა რესპუბლიკიდან, კინოსტუდიებიდან, როგორც ცნობილია, 50-წლისთავის იუბილეს ყველა „ქრისტინეს“ დაბადებიდან — 1917

წლიდან ანგარიშობდა და არა 1919 წლიდან, როგორც ეს „კინოლექსიკონ-შია“ მითითებული. ასე გაშუქდა ეს მოვლენა ქართულ და საკავშირო პრე-საშიც. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ მაინც დაფიქრდებოდა ზო-გიერთი ჩვენი კინომცოდნე, უფრო გულდაგულ შეისწავლიდა საარქივო მასალებს და ფაქტებს, ანალიზის შედეგად დაიცავდა იმ ტენდენციას, რომ „ქრისტინე“ 1917-1919 წლებშია გადაღებული. ეს კი, სამწუხაროდ, არ მოხდა, რაც სამართლიან გაოცებას იწვევს...

...შეიძლებოდა ამ საკითხებზე ყურადღება არ გაგვემახვილებინა, რომ არ ვგრძნობდეთ უშუალო პრაქტიკულ კავშირს, რაც კინომცოდნეობასა და ქართული კინოს თანამედროვე განვითარებას შორის არსებობს. უეჭ-ველია, რომ დღევანდელი ქართული კინოს მდგომარეობა, ჩვენი ფილმე-ბის ავკარგიანობა დიდად არის დამოკიდებული მისი ისტორიისა და აწმ-ყოს ღრმა ობიექტურ შესწავლასა და შეფასებაზე. ვიდრე ქართული კინოს ისტორიისა და თეორიის საკითხები არ იქნება მაღალმეცნიერულ დონეზე აყვანილი, ქართული კინემატოგრაფიის განვითარება ყოველთვის ფრთებ-შეკვეცილი იქნება. ჩვენ კი გვჯერა ქართული კინოს მომავლისა, გვჯერა რომ შორს არ არის დრო, როცა ეროვნული კინემატოგრაფი შექმნის თა-ვის „ლილეს“ და „მრავალჟამიერს“, შექმნის მხატვრული ძალითა და გან-ზოგადებით მოყმისა და ვეფხის მსგავს კინოფილმს, ქართული ფილმიც მიემატება ხელოვნების იმ ფასდაუდებელ საუნჯეს, რაც ჩვენს ეროვნულ სიამაყეს შეადგენს“.

გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული ასეთი სტატიები უამ-რავია და მათ მოყვანას, ალბათ, ცალკე სქელტანიანი წიგნი დასჭირდებო-და. რაც მთავარია, ყოველ მათგანში იგრძნობა ცხოველი ინტერესი ქარ-თული კინემატოგრაფიის მიმართ, პატრიოტიზმის დიდი გრძნობა, უშრე-ტი ზრუნვა ქართული კინოს განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებ-სა და საბჭოთა კინოს უანგარო პოპულარიზაციაზე.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჰოლანდიაში პირველად მოეწყო საბჭოთა ფილმების კვირეული. მაშინ აჩვენეს კინოფილმები „ოტელო“, „სამი პლუს ორი“, „დიდი ბავშვები“, „დავაბიჯებ მოსკოვის ქუჩებში“, „ორნი“, „ჯა-რისკაცის მამა“ და სხვა. საბჭოთა კინემატოგრაფისტთა დელეგაციას ხელ-მძღვანელობდა რევაზ ჩხეიძე. როცა დელეგაცია ჰოლანდიიდან მოსკოვში ჩამოვიდა, ბუნებრივია, ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. აი, რა უთხრა რევაზ ჩხეიძემ ჟურნალ „სოვეტსკი ეკრანის“ კორესპონდენტს:

„ჩვენ პირველი საბჭოთა კინემატოგრაფისტები ვიყავით, ვინც ესოდენ დიდი შესვენების შემდეგ ეწვია ჰოლანდიას. ათი წლის წინათ აქ იყვნენ

კინოფილმ „დონ კიხოტის“ პრემიერაზე გ. კოზინცევი და ნ. ჩერკასოვი.

ჩვენი თვითმფრინავი ამსტერდამის აეროპორტში გვიან ჩაფრინდა, და პირდაპირ პრესკონფერენციაზე აღმოვჩნდით.

ჰოლანდიელები საკმაოდ ახლოს იცნობენ საბჭოთა კინოხელოვნებას. სხვადასხვა დროს მათ ნანახი აქვთ საბჭოთა ფილმები „ჯავშნოსანი „პოტიომკინი“, „ჩინგიზ ხანის შთამომავლები“ და სხვა. მაგრამ, როგორც ჩანს, ჰოლანდიელებს სურდათ უფრო ახლოს გასცნობოდნენ საბჭოთა კინოხელოვნებას, ამიტომ მათი შეკითხვები პრესკონფერენციაზე უაღრესად პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა და თანამედროვეობის ღრმა ინტერესით იყო განპირობებული.

ამსტერდამის კინოთეატრ „სინეტოლში“ პირველად საბჭოთა კინოკომედია „დავაბიჯებ მოსკოვის ქუჩებში“ აჩვენეს. ხალხით გაჭედილ დარბაზში ნემსიც კი არ ჩავარდებოდა. ჰოლანდიელმა კინომაყურებელმა დიდი ინტერესით მიიღო ჩვენი კინოფილმები, ადგილობრივ პრესაში დადებითი რეცენზიების მეტი არაფერი გამოქვეყნებულა. განსაკუთრებული მოწონება მაინც კინოფილმს „დავაბიჯებ მოსკოვის ქუჩებში“ ხვდა და იგი კვირეულის მარგალიტად აღიარეს. გაზეთმა „დე ფოლს კრანტმა“ აღნიშნა, ფილმი ორი დღის კი არა, ორი თვის განმავლობაშიც არ უნდა ჩამოდიოდეს ეკრანიდანო. გაზეთი დიდ მადლობას უხდიდა გიორგი დანელიას იმისათვის, რომ მან დაწვრილებით გააცნო ჰოლანდიელებს თანამედროვე მოსკოვი და იქ მცხოვრები საუკეთესო ადამიანები.

დიდი წარმატება დაიმსახურა ვ. აზაროვის ფილმმა „დიდი ბავშვები“. როგორც ერთ-ერთი ჰოლანდიელი კინოკრიტიკოსი აღნიშნავდა, ეს იყო შესანიშნავი თვალსაჩინოება ნამდვილი საბჭოთა ოჯახის გაცნობისა. რაც შეეხება ამ კინოფილმში დაკავებულ მსახიობებს ფიოდოროვასა და გრიბოვს, კინოკრიტიკოსები სავსებით სამართლიანად მიუჩენდნენ მათ ადგილს საუკეთესო ფრანგი კომიკოსების გვერდით.

რევაზ ჩხეიძეს არ უხსენებია მის მიერ გადაღებული ფილმები, თუმცა ამსტერდამის ერთ-ერთი დიდი გაზეთი „ნივე როტერდამს კურანტი“ წერდა, „რევაზ ჩხეიძემ „ჯარისკაცის მამის“ სახით შექმნა იუმორითა და პათოსით აღსავსე საინტერესო მოთხრობა მოხუც ქართველ გლეხკაცზე, რომელიც ერთადერთი შვილის საძებნად გადახვეწილა“.

ყველანი ერთხმად აღიარებდნენ, რომ სერგო ზაქარიაძის სახით რევაზ ჩხეიძემ მთავარი როლის განუმეორებელი შემსრულებელი აღმოაჩინა და კიდევ ერთხელ უკვდავყო ქართველი ადამიანი.

ამბობენ, ადამიანის პოპულარობას მის სახელზე მოსული წერილე-

ბი უნდა ამტკიცებდესო. რევაზ ჩხეიძეს ხშირად მოსდის წერილები. გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს:

„პატივცემულ რევაზ ჩხეიძეს!

სულითა და გულით მოგესალმებით და გილოცავთ ახალ 1976 წელს. მრავალი ახალი სიხარული და ბედნიერება დაგეკვებოთ თქვენ და თქვენს ოჯახს, მშვიდობიან ბედნიერ ცხოვრებას გისურვებთ საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

პატივცემულო რევაზ, არ გაგიკვირდეთ ეს პატარა ბარათი რომ მიიღოთ. გიცნობთ მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებიდან და თქვენი კინოფილმებიდან, როგორც ქართული კინოს სულის ჩამდგმელსა და სახელოვან კინორეჟისორს.

მე ვმუშაობ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ხარატად, მყავს ორი ბავშვი, ქალ-ვაჟი, ჩვენი სამშობლოსა და კინოს უსაზღვრო სიყვარულმა, თქვენდამი პატივისცემამ გადამაწყვეტინა თქვენი სახელი მეწოდებინა ჩემი ვაჟისათვის.

ქალაქი ქუთაისი ომარ ივანეს ძე ჩხეიძე“.

„დიდად პატივცემულო რევაზ!

დღეს, 25 ივნისს მივიღე 265 მანეთი, სწორედ ეკონომიური საჭიროების დროს, რაც ჩემი მორჩენის წინამორბედია. მიიღეთ ჩემი უსაზღვრო მადლობა და მაპატიეთ შეწუხებისათვის, რადგან თქვენ ისედაც ძალიან დატვირთული ხართ.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკამ გამოუშვა ბროშურები ჩემზე და პეტრე ჭაბუკიანზე, მალე გამოგიგზავნით.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას!

პატივისცემით ვასილ ამაშუკელი.
28 მაისი, 1977 წელი“.

„ბატონო რევაზ!

13 აპრილს ტელევიზიით ვუსმენდი და ვუყურებდი თქვენსა და პატივცემულ გიორგი შენგელაიას შეხვედრას ტელეეკრანზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ფილმის ჩვენების თაობაზე. თქვენი მოხსენება იყო შესანიშნავი, შინაარსიანი და აღმაფრთოვანებელი. მივიღე დიდი სია-

მოვნება, თითქოსდა თქვენთან ერთად მეც ვიყავი ამ დიდებული მამულიშვილური ღონისძიების მონაწილე.

ასეთი შინაარსიანი და ღრმა მოხსენებისათვის დიდ მადლობას გიძღვნით და გისურვებთ წარმატებებს მომავალ საქმიანობაში.

**პატივისცემით ჭიჭიკო ნაქაძე.**
ქ. თბილისი"

**პატივცემულო რევაზ!**

გვინდა თქვენმა ქართველმა თანამემამულეებმა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ წარმატებები, რასაც ქართული კინოს ფრონტზე აღწევთ. გისურვებთ ჯანმრთელობას მრავალი თქვენი მიზნის წარმატებით მისაღწევად.

ჩვენ უკვე ორი წელია მოცილებული ვართ ჩვენს პატარა, ტურფა საქართველოს. ვიმყოფებით საბჭოთა არმიის რიგებში, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე. ამ დროის განმავლობაში ქართული ფილმი არ გვინახია. ძალიან გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ორი ქართული ფილმი: „ჯარისკაცის მამა" და „გიორგი სააკაძე". თუ ამ თხოვნას შეგვისრულებთ, დიდად კმაყოფილები დავრჩებით.

**ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლები."**

**„ძვირფასო რევაზ დავითის ძევ!**

თქვენ საქვეყნოდ ცნობილი, პოპულარული ქართველი კინორეჟისორი ბრძანდებით და მე თავს ვიხრი თქვენი ტალანტის წინაშე. კინორეჟისორობა, უწინარეს ყოვლისა, ინდივიდუალურობაა. რაც უფრო მდიდარი და მნიშვნელოვანია მისი ინდივიდუალურობა, მით უფრო აინტერესებს მაყურებელს მის შემოქმედებასთან შეხვედრა. მე დიდის სიამოვნებით ვნახე თქვენ მიერ შექმნილი ყველა ფილმი და აღტაცებული ვარ თქვენი ხელოვნებით, რომელიც საოცრად აღწევს ადამიანის სულში.

მე უკვე დიდი ხანია ვაგროვებ შესანიშნავ ადამიანთა ავტოგრაფებს. დიდ ბოდიშს კი ვიხდი, ამ უცნაური თხოვნისათვის, მაგრამ ალბათ გამიგებთ — იქნებ როგორმე გამომიგზავნოთ თქვენი ფოტოსურათი პირადი ხელმოწერით.

**ლილეორგი იაკო**
ქ. ტალინი".

**„ძვირფასო რევაზ!**

უკვე დიდი ხანია ვმუშაობ დონ კიხოტზე. ჩვენთან 21 გრადუსი ყინვაა, იდეალური პირობა მუშაობისათვის. რაც შეეხება დონ კიხოტის ბიბლიოგრაფიას, შეაგროვეთ გარკვეული ლიტერატურა, რომლის შოვნასაც თქვენ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში მოახერხებთ. ესპანეთის ისტორიის შესასწავლად კარგი იქნება თუ იხელმძღვანელებთ რაფაელ ალტამირა-კრევსას წიგნით „ესპანეთის ისტორია". მჯერა, რომ ჩვენი ერთიანი მცდელობით საბოლოო მიზანს მივაღწევთ და საუცხოო ფილმს შევქმნით. ამის საწინდრად მხოლოდ თქვენი უზარმაზარი ნიჭი და უბადლო შრომისმოყვარეობა თუ იქნება.

უახლოეს პერიოდში შეგატყობინებთ სხვა ცვლილებების შესახებ. ახლა კი გისურვებთ მაგარ· ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

**ვიქტორ შკლოვსკი**
ჟ. მოსკოვი··.

ცხადია ეს წერილები, რომ იტყვიან მართლაც წვეთია ზღვაში. მაგრამ რევაზ ჩხეიძე ასწრებს პასუხი გასცეს ყველა წერილს, ნაცნობისა იქნება იგი თუ უცნობის, უყურადღებოდ არ სტოვებს წერილის ავტორებს.

...და კვლავ ფილმები

ისევ მაყურებლით სავსე კინოდარბაზი და ახალი ფილმის მოლოდინით დამუხტული მოუთმენლობა.

* * *

კინოფილმ „ბენზინის ჩამომსხმელის" ტიტრი თავიდანვე გვაფრთხილებს, რომ იგი ზღაპარია, მაგრამ პირველი კადრებიდანვე რწმუნდები, რომ ზღაპრული და დაუჯერებელი ფილმში არაფერია და კინორეჟისორს წინა პლანზე წამონეული აქვს აწმყოს, წარსულისა თუ მომავლის ფანტასტიური თუ რეალური სიტუაცია მთელი თავისი მამოძრავებელი და ხელისშემშლელი კომპონენტებითა და დადებითი და უარყოფითი მომენტებით.

ბენზინით გასამართ ჯიხურთან ახალგაზრდა ოპერატორი ფაციფუცობს — საწვავით ავსებს ავტომანქანათა ავზებს. ჯიხური მწვანეშია ჩაფლული და ყვავილთა ეს მომხიბლავი დიადემა იმდენად ბუნებრივადაა ჩაქსოვილი მისთვის უჩვეულო პეიზაჟში, რომ ზოგი დღევანდელი ავტოგასამართი სადგურის გადაბუგულ-გადახრუკული შემოგარენი დროებით დავიწყებას ეძლევა. მაყურებელს არც ის სიტუაცია ხვდება ხინჯად თვალში, რომ ახალგაზრდა ოპერატორი მანქანების ავზში ბენზინის ნაცვლად წყაროს ანკარა წყალს ასხამს, შემდეგ კი საქარე მინასაც მიუშხაპუნებს ხოლ-

შე წყლის ჭავლს. არავის უკვირს, იმიტომ, რომ ამ წყაროში ადამიანი უმალ ამოიცნობს სათავეს ყველა იმ სიკეთისა და ბედნიერებისას, რომელიც ასაზრდოებს, ამოძრავებს ადამიანებს. ისინი კი მოდიან და უხვად ეწაფებიან ამ წყაროს, ოღონდ ერთმანეთისგან განსხვავებული გზებით და მეთოდებით.

ჯიხურს „ზაპოროჟეცი" მოადგა, რომელშიც ცოლ-ქმარი ზის. მათი არაფრისმთქმელი სახეები ცოლ-ქმრის განურჩევლობასა და გულგრილობაზე მეტყველებს.

ოპერატორმა რეზინის მილი მიუმარჯვა მათი მანქანის ბენზინის აუზს, შემდეგ კი დამტვერილ საქარე მინასაც იგივე წყლით ჩამოურეცხა მტვერი და ჭუჭყი. არავითარი ემოცია, არავითარი გაკვირვება, ცოლ-ქმარი ინდიფერენტულობით მისჩერებია ამ უჩვეულო სცენას. ასეთი კატეგორიის ხალხს საერთოდ არ აინტერესებს ჩასწვდეს მატერიის მოძრაობის სიღრმეს. მოძრაობა მათთვის უბრალოდ ადგილის შეცვლაა, სხვა არაფერი და ეს წყვილი თავისი ფლეგმატურობით გვაგონებს განუწყვეტელ დიფუზიაში მყოფ ნაწილაკებს, რომლებიც ილუპებიან არა სულიერი სიცარიელის, არამედ უმოძრაობის გამო.

მერე სადგურთან ხალხით სავსე ავტობუსი გაჩერდა. მგზავრობით დაქანცულ-დაოსებული ხალხი თვლემს, მაგრამ არა მშვიდად, არამედ უაღრესად შეწუხებული და დატანჯული სახეებით. ავტობუსში ამ გამაღიზიანებელ ატმოსფეროს ლოგიკურ აკომპანიმენტად ევლინება პატარა ბავშვის ტირილის გულისგამაწვრილებელი ხმა. სანვავის ავზის სიცარიელეს თითქოს ავტობუსის სალონში გადაუნაცვლებიაო, სიმძიმედ ქცეულა და ეს სიმძიმე ახლა მაჯლაჯუნასავით აწევს დახუთულ მგზავრებს.

კვლავ იგივე პროცედურა — ოპერატორმა რეზინის მილი მიუმარჯვა ავტობუსის ავზს და სწორედ აქ ხდება სასწაული. ბავშვის ტირილის ხმა თანდათან მიწყნარდება და იგი მხიარულ ჭყლოპინში გადაიზრდება. აი, ჯერ ერთმა მგზავრმა წამოსწია ოფლით დაცვარული შუბლი, თითქოს ჰაეროვანი სიმჩატე შეიგრძნოო, სიამოვნებით გააზმორა და ახალგაზრდა ოპერატორმა გულიანად შეჰღიმა. მისმა მიწოდებულმა ანკარა წყარომ თითქოს მგზავრთა დაცარიელებულ სისხლძარღვებში გადაინაცვლა. ისინი მხიარულად წარმოიშალნენ და გზა გააგრძელეს. მაგრამ, ვიდრე ჩვენი ოპერატორი ავტობუსის საქარე მინასაც ჩამოსწმენდდეს მტვერს, ბენზინით გასამართ სადგურს „ვოლგა" მოადგება, საიდანაც ხვიჩიას განსახიერებული ავანტიურისტი და ქურდი „იპოლიტე" იმზირება. იგი გაკვირვებით გააყოლებს თვალს წყაროს სათავეში ჩადებულ რეზინის მილს, საიდა-

ნაც წყალი ბენზინის ავზში ჩაედინება. იპოლიტე წამსვე გაერკვა სიტუაციაში, მანქანიდან გადმოიპარა, საბარგული შეუმჩნევლად ახსნა და ალბათ სახანძრო სტენდიდან მოპარული კონუსისებური ვედრო გადმოიღო. მელასავით მიიძურწა ქურდი წყაროსთან და გულისწადილი აისრულა — ვედრო პირთამდე გაავსო წყლით, შემდეგ თავის მანქანასთან მივიდა და სავსე ვედრო ბენზინის აუზში ჩააპირქვავა.

მაგრამ, სიკეთე მხოლოდ მაშინაა კეთილი, როცა იგი ხალხისა და ბუნების ნაბოძვარია. ამ შემთხვევაში, ნაქურდალით ადამიანი შორს ვერ წავა. ქურდი იპოლიტე მალე მიხვდება ამას და ვიდრე მისი მანქანა უკმაყოფილოდ თუხთუხებს და ოჩანი ცხენივით ყალყზე შემდგარს წინ წასვლა აღარ სურს, ვიდრე იგი საკუთარი ხელით უკან მოაგორებს მანქანას, მოპარულ სითხეს გადმოღვრის მანქანის ავზიდან და ოპერატორი თავის ხელით შეუვსებს ბენზინის ავზს, გასამართ სადგურს ახლა ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" მოადგება, რომლის საჭეს უგონოდ მთვრალი მძღოლი უზის.

კვლავ სასწაული ხდება. როგორც კი მთვრალი მძღოლის მანქანის ავზი გაივსო, ოპერატორმა მძღოლს ამ სასწაულმოქმედი სითხით სავსე ჭიქა მიაწოდა. ამ უკანასკნელმა სადღეგრძელო ჩააბულბულა და წყალი გადაჰკრა. მძღოლი იმავ წამს გამოფხიზლდა, თითქოს არასოდეს არაფერი დაულევიაო. მეორე სასმისმა თავის ტკივილიც დაავიწყა ნამთვრალევს და გახარებულმა წყლით სავსე ჭიქა მანქანის კაპოტზე შემოდგა და ისე განაგრძო გზა. მისმა მანქანამ სხვა გასამართ სადგურს ჩაუარა, რომლის მფლობელები (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), გარგანტუას ტიპის ოთხი მამაკაცი მუშტრის სიმცირის გამო გულხელდაკრეფილები შესტირიან საკუთარი ბედის უკუღმართობას.

მოულოდნელად მათი ყურადღება „ზაპოროჟეცით" მიმავალმა გამხიარებულმა მძღოლმა მიიპყრო, რომელსაც სავსე ჭიქა შემოუდგამს მანქანის კაპოტზე, მძღოლი ხალისით მოუთხრობს ხელმოცარულ დოღლებს სასწაულმოქმედი სითხით მომუშავე გასამართი სადგურის თაობაზე. ოთხივე „გარგანტუა" გაოგნებული მისჩერებია მძღოლს, თითქოს, ფიქრობენ, ხომ არაფერს გვატყუებსო. შემდეგ ისინი გონს მოეგებიან და დავიდარაბით გარბიან ჩვენი ნაცნობი გასამართი სადგურისკენ. აქ ისინი კიდევ ერთხელ რწმუნდებიან, რომ მძღოლს სიმართლე უამბნია და შემდეგ ქიმიური ლაბორატორიისკენ მიეშურებიან საჩივლელად.

ქიმიური ლაბორატორიის თანამშრომლები წამსვე ჩნდებიან „შემთხვევის" ადგილზე. მათ სრულებით არ აინტერესებთ, თუ რა მეცნიერული

საფუძვლები უდევს უბრალო სასმელი წყლის ასეთ მაგიურობას. ისინი ბრძანების ჩუმი და ბრმა შემსრულებლები არიან, ხოლო წყალი წყლად უნდა იქნას გამოყენებული და არა საწვავად.

ქიმიური ლაბორატორიის თანამშრომლების განაჩენი მკაცრი და ულმობელია — ავტოგასამართი სადგური უნდა დაიკეტოს. განაჩენი იმავ წამს აღასრულეს. ახალგაზრდა ოპერატორი გულდაწყვეტილი სტოვებს იმ ადგილს, საიდანაც იგი განუსაზღვრელ სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანს.

წყარო უიმედოდ დაშრა, იმიტომ კი არა, რომ საკუთარ უსარგებლობაში დარწმუნდა, უბრალოდ: ადამიანებმა ვერ გაუგეს, არ წავიდნენ არც კომპრომისზე და არც უბრალო გართულებაზე. აირჩიეს, რომ ბრმად მიჰყოლოდნენ აქამდე გატკეპნილ გზას და ზურგი შეაქციეს ასეთ სიკეთეს.

კიდევ ერთხელ გაწბილდნენ ადამიანები. ალლო ვერ აუღეს სიკეთის სათავეს და კატეგორიული უარი განაცხადეს ბუნების შესაშურ ნაბოძვარზე. ცა მოიქუფრა, ტყვიისფერი ღრუბლებით გაიჭედა და კოკისპირულმა წვიმამაც არ დაახანა. ხალხი სახლებში ჩაიკეტა. ცხვირს ვერავინ ჰყოფს გარეთ. ატალახებულ გზატკეცილზე მანქანები ერთმანეთს ეჯახებიან; ანკარა წყარო, რომელსაც გუშინ დიდი სიკეთე მოჰქონდა ადამიანებისთვის, დღეს ღვთის რისხვად მოვლენია მათ.

ეს გაფრთხილებაა, დიდი გაფრთხილება მათი, ვინც სიკეთეს ბოროტებად აქცევს თავისი სისულელითა თუ საზრიანობით, გულუბრყვილობითა თუ სიბოროტით, ნებსით თუ უნებლიეთ.

შორს, ქალაქგარეთ კი ახალგაზრდა, კეთილი ოპერატორი მიაბიჯებს ზურგზე ბარშემოდებული. ბოლოს იგი ერთ ადგილზე შეჩერდება და გზისპირა მდელოზე ბარს დაჰკრავს. წყლის შადრევანი კამარას შეჰკრავს და ოჩანი ცხენივით აიყალყება. სიკეთის წყარო კვლავ ხალხის სამსახურში ჩადგა!

შემდეგი ფილმის სახელწოდებაა „ყუთები“.

დიდი ქალაქის ხალხმრავალ ქუჩაზე ტანაშოლტილი ლამაზი ქალიშვილი მოსეირნობს და ჯაჭვით უზარმაზარი ინგლისური დოგი მიჰყავს. კადრი იცვლება და ახლა ყურადღებას ახალგაზრდა ვაჟი იპყრობს, რომელსაც სახელურებიანი, მუხის დიდი სკამი შემოუდვია თავზე და არხეინად მოაბიჯებს. ხმაურიანი, აფუთფუთებული ქუჩა სისხლსავსე ცხოვრების სიმბოლოა და მის რიტმს თითქოს არაფერი უშლის ხელს, მაგრამ... მოულოდნელად აყეფებულმა ძაღლმა ყუთებზე წამოსკუპებული კატა დააფრთხო, კატამ ადგილიდან ისკუპა და ყუთების მთა წამსვე მიმოიფანტა ქუჩაში.

ამ გარემოებამ მეორედ მოსვლასავით იმოქმედა აქამდე უდარდელად მიმავალ ხალხზე. ისინი ჩამონგრეული ყუთების გარშემო შენივთდნენ და ატყდა ერთი ალიაქოთი და გაწევ-გამოწევა. ქალიშვილმა ისე განაგრძო გზა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ვაჟმა კი მომაღლო ადგილზე შემოდგა თავისი სავარძელი, ზედ ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე შემოიდო და .დამცინავი ღიმილით დაუწყო ცქერა ამ თანამედროვე „ბაბილონის გოდოლს". ჩხუბმა კი იმატა და მალე გზა სრულიად გადაიკეტა.

არეულობამ ისეთ კულმინაციას მიაღწია, აღარც მილიციელის გამოჩენამ უშველა, რომელმაც ქაღალდი მოიმარჯვა და ოქმის შედგენას შეუდგა. მილიციელმა ოქმის ფურცელი ჩვენთვის პირველი ფილმიდან უკვე ნაცნობი ცოლ-ქმრის „ზაპოროჟეცის" კაპოტზე ჩამოსდო და მისი შევსება დააპირა. ეს ის ცოლ-ქმარია, რომელთაც კინოფილმ „ბენზინის ჩამომსხმელში" თავი გამოიჩინეს თავიანთი ფლეგმატურობით. ისინი არც ამჯერად ღალატობენ „ტრადიციას". მათი მანქანა ამ შეხლა-შემოხლისაგან ტრამვაის მოძველებული ვაგონივით ჯაყჯაყებს, ისინი კი კვლავ ჩვეული გულგრილობით შესცქერიან ერთმანეთს.

ქუჩა დაიხუთა, მანქანების საყვირი ყურთასმენას ახშობს, მაგრამ არავის მოსდის თავში, ყუთები რომ გადაალაგოს და ჩაკეტილი ქუჩა გახსნას.

ბოლოს კვლავ სკამზე ჩამომჯდარი ახალგაზრდა ვაჟი მოევლინება მხსნელად ქუჩაში გაჩხერილ ხალხს. იგი, როგორც კეთილგონიერების განსახიერება, მივა შეჯახების ადგილზე და ყუთების მილაგებას დაიწყებს. სხვებმა მას მიბაძეს და მალე ქუჩა გაიწმინდა, ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა, ყველაფერი ამოძრავდა.

ამ ორი კინოფილმის რეჟისორი ჩხეიძეა, მაგრამ არა რევაზი, არამედ მისი ვაჟიშვილი ბიძინა, რომელმაც მამის მსგავსად კინემატოგრაფიის სახელმწიფო საკავშირო ინსტიტუტი დაამთავრა და ერთ-ერთი ფილმი თავის სადიპლომო ნამუშევრად წარუდგინა საგამოცდო კომისიას. მაგრამ, მოდით, სიტყვა მივცეთ თვით ამ ფილმების დამდგმელ რეჟისორს:

„მხატვარი, შემოქმედი უპირველესად თავისთვის, თავისიანებისთვის უნდა ქმნიდეს. თუ ავტორი ღირსეული შვილია თავისი ერისა, თუ მან შეძლო ადამიანთა ტკივილისა და საზრუნავის განზოგადება, მისი ნაწარმოები ხალხის კუთვნილებად იქცევა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას მოიპოვებს.

ფილმ „ბენზინის ჩამომსხმელზე" მუშაობისას მიზნად დავისახე ყველაფერი, იქნებოდა ეს თემის, ამა თუ იმ მსახიობის, ან მხატვრული გა-

მომსახველობითი ხერხების შერჩევა — ისე გამეკეთებინა, როგორც მომწონდა და სწორად მიმაჩნდა.

რატომ გადავიღე „ბენზინის ჩამომსხმელი“ და არა სხვა ფილმი?

ძალიან მიმიზიდა სიუჟეტმა, რომელიც ფიქრში, საუბარში იშვა. თავისი შინაარსით, თუ გნებავთ, ფორმითაც კი, იგი სიმართლის მთქმელ საშუალებად აღვიქვი.

სოფელსა შინა იყო, სოფელი მისით აშენდა;

სოფელმა კი იგი ვერ იცნო.

ბიბლიის სიტყვებისა არ იყოს, სწორედ ეს აზრი ამოვიკითხე კინოფილმის სიუჟეტში.

ჩემთვის დაუვიწყარია ის წუთები, საათები, რომლებიც სურათზე მუშაობისას ოპერატორ ფელიქს ვისოცკისთან, მხატვარ მიხეილ მედნიკოვთან, კომპოზიტორ ოლეგ კრავაიჩუკთან გავატარე. აქვე დიდი მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ფილმის დირექტორი ავთანდილ გენძეხაძე. უნდა ითქვას, რომ გადამღები ჯგუფის წევრები საოცარი სითბოთი და ყურადღებით ეკიდებოდნენ ერთმანეთს: ყველანი ერთად ვმუშაობდით, ვეხმარებოდით თუ საჭიროება მოითხოვდა, ერთმანეთის ფუნქციებში ვიჭრებოდით. ვფიქრობ შემოქმედებითი კოლექტივის ამგვარ ურთიერთობას, განწყობას კეთილი კვალი უნდა დაემჩნია ფილმის შესრულების დონეზე, მის ფორმაზე.

ფილმში ყურადღება გამახვილებულია დღესდღეობით საყურადღებო საკითხზე — შემოქმედი ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულებაზე, მისი დაცვის აუცილებლობაზე.

ადამიანი თავად არის ბუნების ნაწილი.

იმისთვის, რომ ალღო აუღო, ჩაწვდე მის საიდუმლოებას, უნდა გესმოდეს კიდეც მისი სულისთქმისა.

ფილმში ღიმილისმომგვრელია მეცნიერების ცდა, ლაბორატორიაში ქიმიური ანალიზებით გამოიკვლიონ წყლის შემადგენლობა.

მაგრამ სრულიად სხვა გრძნობა გეუფლება სურათის დასაწყისში, როდესაც ბენზინის ჩამომსხმელი ყვავილების მორწყვის შემდეგ იგივე წყალს უსხამს მანქანებს.

გეღიმება, მაგრამ თანდათან რწმუნდები, რომ ბენზინი კი არა, წყალი კი არა, თვით სიკეთე ამოძრავებს ამ მანქანებს. გაოცებს, რა შესძლებია კეთილი ადამიანის ხელს...

შემდეგი სურათის დადგმა სხვა კოლექტივში მომიხდა. „ყუთები“ გადაიღო ოპერატორმა ზაზა გუდავაძემ, მხატვრულად გააფორმა შოთა

გოგოლაშვილმა, ხმის ოპერატორია ნუცა შოშიტაშვილი, მუსიკა კელავ ოლეგ კრავაიჩუკისაა.

ჩემს ფილმში მინდოდა მეჩვენებინა, როგორ შეიძლება უბრალო რამ გასდეს ამგვარი აღელვების მიზეზი, თითქოს არაფრის გამო დაიხარჯოს უამრავი ადამიანის დრო და ენერგია მაშინ, როდესაც უბრალო, რიგითი ადამიანი თავისთვის ჩუმად გააკეთებს ნათელ, საჭირო საქმეს, რითაც სხვებს სიკეთესა და სიმშვიდეს მოუტანს.

არ ვიცი, რამდენად სრულყოფილად გადმოვეცით ჩანაფიქრი, სურვილები, რასაკვირველია, უფრო მეტი იყო. ერთი კი ცხადია, მკაფიოდ გამოიხატა ფილმის იდეა, რაც არსებითად იყო კიდეც ჩვენი მიზანი".

მოსკოვში ბიძინა ჩხეიძემ სწავლების კურსი გაიარა საბჭოთა კინემატოგრაფიის გამოჩენილ ოსტატ, სოციალისტური შრომის გმირ, სერგეი გერასიმოვთან. მოსკოვში ყოფნისას სერგეი გერასიმოვს შევხვდი და ვთხოვე თავისი აზრი გამოეთქვა ახალგაზრდა ხელოვანის შემოქმედებაზე:

„ერთადერთი, რაც დარწმუნებით შემიძლია ვთქვა ისაა, რომ ბიძინას შემოქმედებას არავითარი კავშირი არა აქვს რევაზ ჩხეიძის ხელწერასთან. უფრო შეიძლება რაღაც პარალელი გაივლოს ბიძინასა და რეჟისორ კობახიძის შემოქმედებას შორის, თუ გავიხსენებთ ამ უკანასკნელის მიერ გადაღებულ მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმებს „ქორწილი" და „ქოლგა" და, რაც ყველაზე მთავარია, ბიძინა შესაშური სიზუსტით აგებს თავის შემოქმედებას.

რევაზ ჩხეიძე საბჭოთა კინოს დიდოსტატია, ბიძინა კი ახლა იწყებს თავისი ხელწერის ჩამოყალიბებას, მაგრამ თუ ქართულ ხალხურ ანდაზას მოვიშველიებ, — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა"— ალბათ რევაზს არ ეწყინება, რომ საჯაროდ განვაცხადო — ბიძინა არაფრით არ ჩამორჩება უფროს ჩხეიძეს გარე სამყაროსა და მასში მომხდარი თვით უმნიშვნელო ცვლილებების თავისებურ, მეტად საინტერესო აღქმაში.

ბიძინა ჩხეიძეს უფრო მეტად კომედიური და გროტესკული ჟანრი აინტერესებს და იგი ალბათ მალე იტყვის თავის სათქმელს".

საბჭოთა კინოს ამ შესანიშნავი დიდოსტატის სიტყვებს არ შეიძლება არ ვერწმუნოთ.

* * *

დავეხეტები ქუთაისის ქუჩებში მარტო,
ვეძებ ნაცნობებს... ჩემს მეგობრებს ვეღარ ვნახულობ...

ო, როგორ მინდა ძველებურად გაეინაკარდო,
მიმაქროლებდეს სურვილები საგაზაფხულო....

...თეატრის ახლოს... მის კედლებთან, მზის გულზე
ხშირად გიყვარდა დგომა... საუბარი... ძმური ხუპრობა...
ურთიერთობა ერთმანეთთან კუპრით... ნახშირით,
არა, არ მახსოვს არ სუნთქავდა ჩვენს შორის მტრობა...

დია, დომენტი, ვანიონი, ვიქტორი და მე...
ვარლამ ჩხიკვაძე, კაპია და კიდევ რომელი...
თუ თავშესაქცევს, გასართობად ვიტყოდით რამეს,
იწყებდნენ ხითხითს შაპრუხი და შალვა ხონელი...

ეს ლექსი პოეტ ბონდო კეშელავას ეკუთვნის და მასში ქუთაისელ ცნობილ მწერლებსა და პოეტებს შორის მოხსენიებულია შესანიშნავი ქართველი მწერალი დია ჩიანელი. ეს დავით ჩხეიძის მწერლური ფსევდონიმია, რევაზ ჩხეიძის მამისა, რომელმაც შექმნა რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდის საინტერესო მოთხრობები და ნოველები.

ადამიანს, რომელიც ქმნის ეროვნულს და ზოგადსაკაცობრიოს, მისდა უნებლიედ შეაქვს სიმდიდრე ერის სულიერ საგანძურშიო, ამბობს დიდი ვაჟა. ეს სიტყვაცა და საქმეც ჩვენი ერის ტრადიციაა.

ხუთწლედის მხარდამხარ მდგარი მწერლები თუ ჟურნალისტები ხშირად მიაპყრობენ ყურადღებას თავისებურ დინასტიებს. მრავალი ვიცით და წაგვიკითხავს მეფოლადეთა, მშენებლების, მათემატიკოსებისა და სხვათა დინასტიების თაობაზე. არცთუ იშვიათად ამობრწყინდებიან ხოლმე ლიტერატურისა და ხელოვნების ცისკიდურზე ოჯახური ტრადიციების გამგრძელებელნი.

ჩხეიძეების დინასტიის მამამთავარი დავით ჩხეიძეა, დია ჩიანელი.

ვისაც კი ოდნავი კონტაქტი მაინც ჰქონია დია ჩიანელთან, ვისაც მისი „გიონ დარანა" ან სხვა მოთხრობები თუ პუბლიცისტური ნარკვევები წაუკითხავს, ალბათ, ვერც დაივიწყებს ვერც მის მშვენიერ გარეგნობასა და შესანიშნავ ხასიათს, ვერც მის ნაწარმოებში აფეთქებულ საოცრად ინდივიდუალურ სტილს. დია ჩიანელმა ცხოვრების დიდი, მაგრამ, ამავე დროს, მეტად ხანმოკლე გზა გაიარა — ორმოცდახუთი წლისა წავიდა...

დია ჩიანელი ქუთაისში ჩამოყალიბდა როგორც ნიჭიერი შემოქმედი. იგი ქუთაისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ცხოვრობდა როგორც უმწიკვლო ქართველი მამულიშვილი, სუნთქავდა სამშობლოს, მეგობრების, საქმისა და ოჯახის უსაზღვრო სიყვარულით. ოცდაათიანი წლების საქარ-

თველოს ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები ხშირად იყრიდნენ ხოლმე თავს დია ჩიანელის ოჯახში.

მწერალმა მამია ასათიანმა თავის მონოგრაფიულ ნარკვევში „დია ჩიანელი" დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გადმოგვცა ამ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის მისწრაფებები და საქმეები.

„...სახლის აივანზე, რომელიც რიონის აბობოქრებულ ტალღებს გადასცქეროდა, იმართებოდა იმ დროისათვის მეტად საჭირბოროტო საკითხებზე სჯა-ბაასი, შეპაექრებანი, ლიტერატურული დისკუსიები. ამ ოჯახის მეთაური დია ჩიანელი ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი შესანიშნავი წარომადგენელი გახლდათ. იგი ყოველთვის შუბლგაშლილი, გულღია და მუდამ მომღიმარი სახით უმასპინძლდებოდა სტუმრებს. ვის არ ნახავდით მის ოჯახში? იქ თქვენ ხშირად შეხვდებოდით ჩვენი დროის უდიდეს პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს, რეჟისორ კოტე მარჯანიშვილსა თუ უშანგი ჩხეიძეს, დემნა შენგელაიასა და კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, შალვა დადიანსა და სიმონ ჩიქოვანს, სერგო კლდიაშვილსა და რაჟდენ გვეტაძეს, პაოლოსა და ტიციანს, ვანიონ დარასელსა და პეტრე ბახტურიძეს, ლადო ასათიანსა და ილია ხოშტარიას, მიხეილ ალავიძეს და დავით თაქთაქიშვილს, პარმენ შელეგიასა და ნიკა აგიაშვილს, ლადო ბზვანელსა და ჯაჯუ ჯორჯიკიას, დავით მესხსა და გიორგი სამხარაძეს, ევგენი ფურცხვანიძესა და სევერიან ისიანს, ვლადიმერ იამანიძესა და გიორგი ნაფეტვარიძეს და კიდევ მრავალ სხვას, რომელთა გახსენება ახლა არცთუ ისე ადვილია. იგი თავის მშვენიერ მეუღლესთან ფაცია გოგო'ის ქალთან ერთად საოცარი სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა ამ ადამიანებს. იქ, მის ოჯახში, რიონის მშფოთვარე ტალღების ხმაურში, გალაკტიონს არაერთხელ გაუმხელია დიასათვის (თუ თვითონ რიონისთვის) თავისი ჯერ კიდევ დაუსტამბავი ლექსები. ამ ხალვათ აივანზე კოტეს არაერთხელ გაუნდვია დავით ჩხეიძისთვის თავისი ჩანაფიქრი ამა თუ იმ თეატრალურ დადგმებზე. ამ ოჯახში არაერთხელ უთქვამს უშანგის თავისი განუმეორებელი ხმით სვანეთის კლდეკარებში მომწყვდეული რიონივით გულგამჭოლავი მღელვარე მონოლოგები. აქ, ამ აივნის რიკულიდან არაერთხელ გადაშვებულა მუდამ რიონზე შეყვარებული ახალგაზრდა გიორგი შავგულიძე მის გაავებულ ჩქერებში; ბუნებისაგან საოცრად გამოკვეთილი მისი ვაჟკაცური ტანი ძველ ბერძნულ ფრესკასავით ცოცხლდებოდა მის ტალღებში. აქ არაერთხელ წაუკითხავს თავისი პირველი ლექსები ლადო ასათიანს, რომლის ფართოდ გახელილ და საოცრად მეტყველ თვალებში სამყაროს უკიდეგანო სიყვარული გამოსჭვიოდა. დიახ, აქ, სახლის გვერდზე წამომართულ

მაგნოლიის ხის ტოტებქვეშ დია ჩიანელი არაერთხელ დაგვხმარებია ჩვენ, ყმაწვილკაცებს, ყველაფრით, რითაც კი შესანიშნავი და დიდბუნებოვანი ადამიანები ეხმარებიან ხოლმე თავიანთ უმცროს მეგობრებს...“

დღისით თუ ღამით დია ჩიანელის ოჯახი ყოველთვის მზად იყო მწერლების, თეატრის მოღვაწეებისა და ხელოვნების მუშაკების მისაღებად და დახმარების გასაწევად. დია ჩიანელი პატრიოტული სულისკვეთებით იყო აღზრდილი და გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემის მაღალი გრძნობით ეკიდებოდა ყველას, ვინც მისი მამულისათვის, ახლად დაარსებული საბჭოთა ქვეყნისა და მისი ხალხისთვის ცოტაოდენ სიკეთეს მაინც სთესდა.

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქუთაისი ჯერ კიდევ ქართული ხელოვნების ფლაგმანი და მისი წინამძღოლია. როგორც იტყვიან, დუღს და გადმოდუღს ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრება. ამიტომ არც ის არის გასაკვირი, რომ საქართველოში ჩამოსულმა რუსეთის თვალსაჩინო მოღვაწეებმა და მწერლებმა წამსვე გეზი ქუთაისისკენ აიღონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი მასპინძელი უეჭველად დია ჩიანელი იქნება. იგია მათი მასპინძელი, მოპაექრე, დამპურებელი და გამსტუმრებელი.

1926 წელი. საქართველოში ჩამოსული რუსი მწერალი ილია ერენბურგი ბათუმის გავლით საფრანგეთში მიემგზავრება. მას, სამწუხაროდ, დრო არა აქვს, რომ გულის საწადელი აისრულოს და ქუთაისში შეიაროს, რომლის შესახებაც ასე ბევრი რამ გაუგონია. ილია ერენბურგს ბათუმამდე პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე მიაცილებენ. მათ მშვენივრად იციან, თუ როგორ დასწყდება გული დია ჩიანელს, როდესაც გაიგებს, რომ ესოდენ საპატივცემულო სტუმარი ქუთაისის გვერდის ავლით გაემგზავრა საქართველოდან. ძნელია ახლა იმის დადგენა, თუ ვინ შეატყობინა დია ჩიანელს ილია ერენბურგის საქართველოში ყოფნის შესახებ. იგი რიონის სადგურზე დახვდა ბათუმში მიმავალთ, სანაქებო ქართული სუფრა გაუშალა და ასეთი პატივით გააცილა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ამის შემდეგ ილია ერენბურგი დიდხანს იხსენებდა დია ჩიანელის შესაშურ გულღია მასპინძლობას.

რამდენიმე წლის შემდეგ, ქუთაისში მეუღლით ჩამოსული პავლე ანტოკოლსკი მოულოდნელად ავად ხდება. დია ჩიანელი გამოჯანსაღებამდე, თითქმის ორი კვირის განმავლობაში, არ შორდება ავადმყოფის საწოლს და თავად სასტუმროში უთენ-უღამებს.

დია ჩიანელი ცნობილია არა მარტო როგორც ლიტერატორი, არამედ, როგორც აქტიური საზოგადო მოღვაწე. იგი ძალზე დიდ შრომას ეწევა სამ-

შობლოს ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის. საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ასეთი ცხოველი ინტერესი მას ჯერ კიდევ ხარკოვში სწავლისას გაუჩნდა. აქ იგი ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა და, გარდა პატრიოტული შემართებისა, ეს მოვალეობაც აიძულებს უშუალოდ გაიზიაროს ქართველ და უკრაინელ სტუდენტთა ჭირ-ვარამი. სადარდელს კი რევოლუციამდელ ახალგაზრდა ინტელიგენციას რა გამოულევდა?

დია ჩიანელის აქტიური რევოლუციური საქმიანობა მეფის „ოხრანკის" მხედველობის მიღმა არ დარჩენილა, მაგრამ იგი დაპატიმრებასა და სატუსაღოებს მხოლოდ ღრმა კონსპირაციის წყალობით გადაურჩა. ხარკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ქუთაისში ჩამოდის და აქტიურად ებმება ლიტერატურულ საქმიანობაში. მალე იბეჭდება მისი პირველი ნოველების წიგნი „შემოდგომის ცრემლები".

მიუხედავად ახალგაზრდობისა და უკმარისი გამოცდილებისა, ამ წიგნში დია ჩიანელმა დაამტკიცა თავისი მაღალი გემოვნება, ნატიფი ხელწერა და სათანადო თეორიული მზადყოფნა უფრო საინტერესო ტილოების შესაქმნელად. დია ჩიანელი ხშირად იბეჭდება როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო პრესაში. იგი მალე იმკვიდრებს დიდი ცხოვრების აქტიური მონაწილის სახელს.

ოცდაათიანი წლები რევოლუციური გარდაქმნების წლებია. მთელს მსოფლიოს ანცვიფრებს ის გაბედული რეფორმები, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება.

სამშობლოს პური და ფოლადი სჭირდება, რათა მრავალსაუკუნოვანი სიბნელე ცოდნის შუქით გაჰკვეთოს. მშენებლობის ტემპები ზენიტს აღწევს. ქუთაისი, რომელიც მანამდე ლხინის, დროს-ტარებისა და ვარდ-ყვავილების ქალაქი იყო, საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიის მეორე ქალაქად იქცა. ქალაქის ეკონომიკურ რუქაზე ჩნდება ახალი კონტურები. მასიურად იწყება ბარიტის, გუმბრინისა და დარიშხანის წარმოება. საფუძველი ეყრება რიონჰესის მშენებლობას. ადამიანები არსებითად შეიცვალნენ — მათი ენერგია, აზრი და შემოქმედებითი სული მყუდრო სავანეს რევოლუციური მშენებლობის გრანდიოზულ მასშტაბებში პოულობს. ყოველივე ამან კი სრულიად შეცვალა ქუთაისის ინტელიგენციის სახე, მისი აზროვნების მიმართულება. აქედან გამომდინარე, უფრო საინტერესო გახდა ქუთაისის კულტურული ცხოვრება. ლიტერატურულ გაზეთთან ერთად გამოსვლა დაიწყო ჟურნალმაც. საოლქო პოლიტიკური გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობდა ქალაქის კულტურულ მშენებლობას. რასაკვირველ-

ლია, ასეთ დაძაბულ და მოუსვენარ პერიოდში ადვილი როდია ქალაქის ლიტერატურული ცხოვრების თავკაცობა. მაგრამ დია ჩიანელს ჰყოფნის იმის ვაჟკაცობა, რომ სწორედ ასეთ პერიოდში ჩაუდგეს სათავეში ქუთათურ ლიტერატორებს — მას ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ირჩევენ.

დია ჩიანელმა იცის: ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი იმისათვის, რომ ქართველი ინტელიგენცია საბოლოოდ ჩადგეს მუშათა კლასისა და პროლეტარიატის სამსახურში; ეს ორი მხარე ისე უნდა შედუღაბდეს და შეერწყას ერთმანეთს, მათ შორის არავითარი განმასხვავებელი ნიშანი არ უნდა არსებობდეს, როგორც სულიერი, ისევე მატერიალური. იგი ბევრს მუშაობს. დია ჩიანელი მაგალითის მიმცემია ქუთაისის ინტელიგენციისათვის. თუ მანამდე ამ ქალაქის ინტელიგენციის სახე, მისი აზროვნების ძირითადი მიმართულება უფრო ზერელე და არაფრისმთქმელი კამათით და ორატორული ნიჭის გამოჩენით შემოიფარგლებოდა, ახლა იგი მთელ ხალხთან ერთად სოციალიზმის მშენებლობის აქტიური შემოქმედი გახდა. საინტერესოდ აგვიწერს სულიერი და მატერიალური მშენებლობის ამ გრანდიუზულ პროცესს მწერალი მამია ასათიანი ზემოხსენებულ ნარკვევში „დია ჩიანელი“.

„...ქუთაისი იმ დროს საოლქო ქალაქი იყო. ეს კი ბევრ რამეს ნიშნავდა. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მომუშავე მეტად ნიჭიერი და განათლებული ადამიანები დიდი სიყვარულითა და თავდადებით ეხმარებოდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ რიონჰესის მშენებლობას საქართველოს კომუნისტური პარტიის ძველი ნევრი, რევოლუციის დიდ ქარიშხლებში გამოვლილი ადამიანი კლიმენტი სულავა ხელმძღვანელობდა... შემდგომში რაიონჰესის მმართველად დაინიშნა ვალოდია ჯიქია. მან ხელი მოჰკიდა ქუთაისის კეთილმოწყობას. ააშენა შესანიშნავი სასტუმრო „ქუთაისი“, დააგო პირველი ასფალტი რიონის სადგურამდე და გაამშვენიერა ქალაქის ცენტრალური ქუჩები. იგი ყოველმხრივ და დიდი მონდომებით ეხმარებოდა თეატრს, ლიტერატურულ გაზეთს და, საერთოდ, მწერლობას. მან პირველად გაამაგრებინა და გაანათებინა ბაგრატის ტაძრის კედლები, რათა რიონჰესის უმშვენიერეს კაშხალთან ერთად ქართველ კაცს ყოველთვის თვალნათლივ ეხილა თავისი დიდი წარსულიც, მისი გუშინდელი საამაყო დღეც. იმ დროს რიონჰესის მშენებლობაზე შესანიშნავმა ინჟინრებმა და ადამიანებმა მოიყარეს თავი: გიორგი მიქელაძე და მელიქ-ფაშაევი თავიანთი საინჟინ-

რო ნიჭით და გამოცდილებით არა მარტო რიონპესს აშენებდნენ, ისინი, ამავე დროს, წვრთნიდნენ ახალგაზრდა ინჟინრებს.

რიონპესის მშენებლობაზე მაშინ მუშაობდნენ კანდიდ ჩარკვიანი, გიორგი გიორგობიანი, კოტე გაბუნია, შურა მესხი და სხვები, რომელთა ადამიანობა, პარტიული სიმწიფე და კულტურა უთუოდ სამაგალითო იყო როგორც ახალგაზრდობისთვის, ასევე ქუთაისის ყოველი მოქალაქისათვის... ქალაქი ერთბაშად აივსო მანქანებით, ტრაქტორებითა და სამშენებლო მასალებით. პირველი მიწის მბურღავი „ექსკავატორი" დაიდგა მეოთხე უბანზე. მთელი ქალაქი მოაწყდა სანახავად. მაშინ მიწის ასეთი მექანიზმით თხრა მეტად გამაოცებელი იყო. მანამდე ადამიანები ორ კილოგრამ მიწის ბელტს ხელიხელ თუ მოაგლეჯდნენ რკინის ბარით დედამიწას, ექსკავატორი კი ერთბაშად ერთ კუბომეტრ მიწას ან ხრეშს სწევდა მაღლა და მანქანაზე ყრიდა. ვის ახსოვს ეს ექსკავატორი? დია ჩიანელისა და ჩემი თანხლებით სხვებთან ერთად გალაკტიონმა და გიორგი ქუჩიშვილმაც ინახულეს მაშინ ეს მანქანა..."

თანდათან ჩნდებიან ახალი სახელები. ესენია პედაგოგები: ნიკო ქუთათელაძე, პლატონ წულუკიძე, ნიკო მეფისაშვილი, თეიმურაზ და იასონ ჭუმბურიძეები, ნიკო ნუცუბიძე, ნიკო მისაბიშვილი, ლეო და ვარლამ იმნაძეები, ძმები ოსიკო და გიორგი დევდარიანები, ჟურნალისტები იროდიონ ხანთაძე, ტრიფონ, ნიკო და არჩილ ჯაფარიძეები; პედაგოგი მათემატიკოსები: სიმონ ოცხელი, სიმონ შარაშენიძე, გედეონ წერეთელი, სპირიდონ ჯორჯიკია და სხვები.

ქუთაისის ყოფილი რეალური სასწავლებლის მატერიალურ ბაზაზე იქმნება პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც ძალზე აფართოებს ქუთაისელი ინტელიგენციის სამოღვაწეო ასპარეზს და ამაღლებს მათ მოთხოვნილებებს. ინსტიტუტს იმთავითვე სათავეში უდგება ლენინურ ტრადიციაზე აღზრდილი ახალგაზრდობა, მის რექტორად კი ინიშნება დავით გვაზავა. შემდეგ მას ალექსანდრე გვაზავა ცვლის. ორივენი ლენინური კომკავშირის იმ თაობას ეკუთვნიან, ვინც ბორის ძნელაძესთან ერთად იდგნენ საქართველოს კომკავშირის სათავეებთან. ინსტიტუტში საქვეყნოდ ცნობილ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მოწვეულია დია ჩიანელიც, მოგვიანებით კი მას დაუსწრებელი ინსტიტუტის რექტორად ნიშნავენ. მიუხედავად ამისა, დია ჩიანელი ერთი წუთითაც არ სწყვეტს ლიტერატურულ მუშაობას.

იგი ჯერ კიდევ კოტე მარჯანიშვილის ქუთაისში ჩასვლამდე წერს საინტერესო პიესებს. მისი „ურაგანი" დადგა ნიჭიერმა რეჟისორმა მიხე-

ილ ქორელმა. ესაა რევოლუციური სულისკვეთებით აღსავსე პიესა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე. შემდეგ იდგმება სვანურ ლეგენდაზე აგებული „ბეთქილი“.

კოტე მარჯანიშვილის ქუთაისში ჩასვლა ჩვენი თეატრალური მატიანის ერთ-ერთი ოქროს ფურცელია. დია ჩიანელი ამ დროს ხელოვნების კავშირის თავმჯდომარეცაა. იგი ენერგიულად ეხმარება კოტე მარჯანიშვილს ახალგაზრდობის შერჩევასა და თეატრში მიზიდვის საქმეში. მარჯანიშვილის რეჟისურით იდგმება დია ჩიანელის საინტერესო პიესა „ბაილი“.

სწორედ დია ჩიანელის რჩევით წავიდა საბჭოთა არმიის რიგებში შემოქმედებითი მივლინებით ქართველი დარამატურგი ვანიონ დარასელი, რათა შემდეგ სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის კიკვიძის მეტად საინტერესო ლიტერატურული სახე შეექმნა.

ქუთაისის საოლქო კომიტეტის ინიციატივით იქმნება ეგრეთ წოდებული „ინტელიგენციის აქტივი“, რომლის ერთ-ერთი მეთაურთაგანია დია ჩიანელი. აქტივი უაღრესად დიდ და საინტერესო მუშაობას აწყობს ოლქში.

დია ჩიანელს დიდი ღვაწლი მიუძღვის ბაგრატის ნანგრევთა და გელათის ტაძრის დაცვაში, გეგუთის ციხე-სასახლის ნანგრევების აღდგენასა და უქიმერიონის მიწასთან გასწორებული ბალავერის გაწმენდაში.

დია ჩიანელი თითქმის ყოველთვის პროზასა და დრამატურგიაში მუშაობდა. მაგრამ მეგობრები და კოლეგები მას უფრო მეტად პოეტად მიიჩნევდნენ. ამაში კი მისი პირველი ნაწარმოებების გაცნობისთანავე დარწმუნდებით. ასეთი ნოველები, რომანი, პიესები მხოლოდ პოეტური სულის ადამიანს შეეძლო შეექმნა. მისი ნაწარმოებები გაჟღენთილია უაღრესი ადამიანური სითბოთი და ტკბილად და ლამაზად გვახსენებენ მოკრძალებულ მოღვაწეს, რომელიც 1934 წელს საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე ქუთაისელმა ლიტერატორებმა თავიანთ დელეგატად აირჩიეს.

დია ჩიანელს უხაროდა, რომ იგი მწერალთა ამ უდიდესი ფორუმის მონაწილე და ჩვენი მწერლობის მტკიცე საძირკველის ჩამყრელი იყო. მართლაც ვერავინ დაასახელებს მსგავს თავყრილობას, რომელსაც თავისი სიბრძნით ასეთი რეზონანსი მოეხდინოს მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე. სწორედ ამიტომ იყო ბედნიერი დია ჩიანელი, სწორედ ამიტომ შეეხაროდა ცხოვრებას და შრომას, ოჯახსა და მეგობრებს.

ასეთი კაცი იყო დია ჩიანელი და მის ამ მაღალ ადამიანურობას ხაზს უსვამდნენ, ვისაც ერთი წუთითაც კი უსაუბრია მასთან. ასეთი შთაბეჭდილებით გაემგზავრნენ ქუთაისიდან დავით მირსკი, ანდრეი ბელი, ბორის პასტერნაკი და სხვები.

ასეთ ოჯახში აიდგა ფეხი რევაზ ჩხეიძემ და ჩამოყალიბდა როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი. სკოლაში ამხანაგები ეხუმრებოდნენ — ისე კარგად ხმარობ გეოგრაფიის გაკვეთილზე წვერწამახულ ჯოხს რუკასთან, შენგან ან დიდი მეცნიერი გამოვა ან დაუმარცხებელი მოფარიკავეო. მაგრამ ხუმრობა ხუმრობად დარჩა; რევაზ ჩხეიძეს არც ნიუტონის სამყარო აუფორიაქებია, არც კოლუმბისა და არც დარტანიანის. იგი კინოს მსახური გახდა.

მოვიდა ადამიანი და ცხოვრებას თავისი კვალი დაამჩნია.

მრავალ რეჟისორულ სიახლეებს გვთავაზობს კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე თავისი შემოქმედების გრძელ გზაზე. კიდევ ბევრჯერ გაგვახარებენ, მოგვაწყენენ, ჩაგვაფიქრებენ, გაგვაცინებენ და თვალებს აგვიცრემლებენ მისი საინტერესო გმირები, წარსულის, აწმყოსა თუ მომავლის ადამიანები.

## გადაღებული ფილმები

„ბორის პაიჭაძე“

დოკუმენტური ფილმი. 1 ნაწილი, 1952 წ.

სცენარის ავტორი რ. ჩხეიძე, ტექსტი ვ. ზამბახიძისა, დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, ოპერატორი ა. აჯიბეგაშვილი, ხმის ოპერატორი რ. კეზელი.

„ჩვენი სასახლე“

დოკუმენტური ფილმი. 2 ნაწილი, 1953 წ.

სცენარის ავტორი ვ. ჭიაურელი, ტექსტი დ. გაჩეჩილაძისა, რეჟისორები რ. ჩხეიძე და თ. აბულაძე, ოპერატორი ბ. კრეპსი, ხმის ოპერატორი რ. კეზელი.

„ქართული ხალხური ცეკვები“

დოკუმენტური ფილმი. 2 ნაწილი, 1954 წ.

სცენარის ავტორი დ. გაჩეჩილაძე, რეჟისორები რ. ჩხეიძე და თ. აბულაძე, ოპერატორი ფ. ვისოცკი, მუსიკალური გამფორმებელი კომპოზიტორი ა. კარესელიძე, მხატვარი გ. გოცირიძე.

„მაგდანას ლურჯა“

ე. გაბაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. მხატვრული ფილმი, 7 ნაწილი, 1976 მ., 1955 წ. საკ. ეკრ. 25. III. 1956 წ.

სცენარის ავტორი კ. გოგოძე, დამდგმელი რეჟისორები რ. ჩხეიძე და თ. აბულაძე, ოპერატორები ლ. სუხოვი და ა. დიღმელოვი, მხატვარი ი. სუმბათაშვილი, კომპოზიტორი ა. კერესელიძე, ხმის ოპერატორი რ. კეზელი, რეჟისორი ზ. ხარშილაძე, რეჟისორ-მემონტაჟე ვ. დოლენკო, რეჟისორის ასისტენტი მ. ერისთავი, კოსტიუმების მხატვრები: გ. გიგაური და კ. ხუციშვილი. მხატვარი-გრიმიორი ს. ხადური, სურათის დირექტორები შ. ქურდიანი და გ. დარსაველიძე.

მონაწილეობენ: დ. წეროძე (მაგდანა), ლ. მოისწრაფიშვილი (სოფო), მ. ბორაშვილი (მიხო), ნ. ჩიქვინიძე (კატო), ა. კვანტალიანი (მენახშირე მიტუა), კ. საკანდელიძე (მოჯამაგირე ვანო), ა. ვასაძე (მამასახლისი), ა. ომიაძე (პაპა გიგო), ა. თაყაიშვილი (მოსამართლე); ეპიზოდებში: დ. აბაშიძე, ც. ამირეჯიბი, ა. ალაზნისპირელი, მ. გარიყული, შ. გედევანიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ვ. კახნიაშვილი, შ. ნოზაძე, მ. პიასეცკი, ი. ქოქრაშვილი, ნ. ჩხეიძე, შ. ხერხეულიძე, ბ. ზაქარიაძე.

## „ჩვენი ეზო"

კინომოთხრობა, 9 ნაწილი, 2491 მ., 1956 წ. საკ. ეკრ. 25. VII. 1957 წ.

სცენარის ავტორი გ. მდივანი, დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, ოპერატორი გ. ჭელიძე, მხატვრები: გ. გიგაური და კ. ხუციშვილი, რეჟისორი ზ. ხარშილაძე, კომპოზიტორი ა. კერესელიძე, ხმის ოპერატორი რ. კეზელი, დირიჟორი ო. დიმიტრიადი, სიმღერების ტექსტის ავტორი ნ. ანანიაშვილი, კოსტიუმების მხატვარი თ. მიქაძე, მემონტაჟე ვ. დოლენკო, კომბინირებული გადაღებების ოპერატორი გ. უსეინაშვილი, რეჟისორის ასისტენტი მ. ერისთავი, მხატვარი-გრიმიორი ი. ბარნაბიშვილი, ოპერატორის ასისტენტები ი. ამასიისკი და ა. სულამანიძე, სურათის დირექტორი გ. დარსაველიძე.

მონაწილეობენ: ს. ჭიაურელი (ციცინო), გ. შენგელაია (დათო), ლ. აბაშიძე (მანანა), ლ. ფილფანი (კოტე), გ. აბაშიძე (ვაჟა), ა. კვანტალიანი (გიორგი), დ. წეროძე (თამარი), ს. თაყაიშვილი (ვასასი), ნ. ფირანიშვილი (შალვა), კ. მგალობლიშვილი (გოჩა), ზ. გუდავაძე (ფედია), თ. აბაშიძე (დათოს ბებია), ნ. დავითაშვილი (მინადორა); ეპიზოდებში: გ. ტყაბლაძე, ი. ხვიჩია, ნ. ანდრონიკაშვილი, თ. წულუკიძე, ი. ქოქრაშვილი, მ. მდივანი, ნ. ჩხეიძე, ნ. ჩიქვინიძე, მ. მახარაძე.

## „მაია წყნეთელი“

ვ. კანდელაკის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით. 10 ნაწილი, 2649 მ., 1959 წ. საკ. ეკრ. 24. II. 1960 წ.

სცენარის ავტორი ვ. კანდელაკი, დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, მთავარი ოპერატორი გ. ჭელიძე, მხატვრები გ. გიგაური და კ. ხუციშვილი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე, ხმის ოპერატორი რ. კეზელი და დ. ლომიძე, რეჟისორ-მემონტაჟე ვ. დოლენკო, კოსტიუმების მხატვარი ნ. მანჯგალაძე, რეჟისორი თ. მიქაძე, მხატვარი-გრიმიორი ზ. ურიგაშვილი, კომბინირებული გადაღების ოპერატორი ი. ამასიისკი, მხატვარი რ. ვაშაძე, კონსულტანტები გ. ჩიტაია და კ. ბადრიძე, დირიჟორები ვ. ფალიაშვილი და ჯ. კახიძე, სურათის დირექტორი დ. დარსაველიძე.

მონაწილეობენ: ლ. აბაშიძე (მაია), გ. ტყაბლაძე (მეფე ერეკლე), გ. აბაშიძე (მანუჩა), ა. კვანტალიანი (ბერიკა), ვ. ნინუა (ჯემალაი), ს. აბრამიშვილი (გიო), ნ. ჩხეიძე (ქერიმ-აღა), გ. კოსტავა (ამილახვარი), ზ. სიხარულიძე (ქარიყლაპია), ო. დათუნაშვილი (თანდილა), ა. აფხაიძე (ქაიხოსრო დიღმელი), ი. ქოქრაშვილი (გუბაზი), ი. ნინუა (ბარათა), მ. სულთანიშვილი (მოურავი), ე. აფხაიძე (მექისე).

## „ბანძი“

დ. შენგელაიას ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, 10 ნაწილი, 2692 მ., 1961 წ. საკ. ეკრ. 14. X. 1961 წ.

სცენარის ავტორი დ. შენგელაია, დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, ოპერატორი გ. ჭელიძე, მხატვარი დ. თაყაიშვილი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე, ხმის ოპერატორი რ. კეზელი, რეჟისორი თ. მიქაძე, რეჟისორ-მემონტაჟე ვ. დოლენკო, დირიჟორი ვ. ფალიაშვილი, სურათის დირექტორი ს. სიხარულიძე.

მონაწილეობენ: ბ. გოგინავა (საულია), ზ. ბოცვაძე (ფუნდუ), ა. კვანტალიანი (ოტია), ი. ხვიჩია (ნიკიფორე); ს. აბრამიშვილი (სიმონი), ი. ქოქრაშვილი (ვარდენი), ნ. ჩხეიძე (ყარამანი), ზ. ლაფერაძე (ტოჩი), ეპიზოდებში: მ. ერგნელი, ზ. ლებანიძე, ა. მურუსიძე.

## „ზღვის ბილიკი“

ი. ყაჭეიშვილის მოთხრობა „ზღვის ლომის“ მიხედვით, 7 ნაწილი, 1889 მ., 1962 წ. საკ. ეკრ. V. 1964 წ.

სცენარის ავტორები ა. სალუქვაძე და ი. ყაჭეიშვილი, დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, ოპერატორი ფ. ვისოცკი, მხატვრები დ. ერისთავი და ალ. ვერულეიშვილი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე, ხმის ოპერატორი რ. კეზელი, სურათის დირექტორი შ. ლაფერაძე, რეჟისორები ზ. ხარშილაძე და რ. ჭარხალაშვილი, რეჟისორ-მემონტაჟე ვ. დოლენკო, მხატვარი-გრიმიორი ნ. ციციკაშვილი, დირიჟორი ლ. კილაძე, კომბინირებული გადაღებების ოპერატორი ო. მაგაკიანი.

მონაწილეობენ: ს. ზაქარიაძე (მოხუცი მეზღვაური), რ. ფარემუზაშვილი (მარინე), მ. თავაძე (დათო), ი. ქოქრაშვილი (მძღოლი), ნ. ფირანიშვილი (შალვა), რ. კანდელაკი (კოტე), რ. ჯანაშვილი (ბიძინა), მ. კაპანაძე (მალხაზი), ჯ. ზაქარიაძე (ჯემალი), ი. ბერძენიშვილი (ზურაბი), ნ. პეტროვა (ნათელა), ეპიზოდებში: ნ. მაჩაიძე, და ლ. ართილაყვა.

## „ჯარისკაცის მამა“

დრამა. 9 ნაწილი, 2504 მ., 1964 წ. საკ. ეკრ. 1965 წ.

სცენარის ავტორი ს. ჟღენტი, დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, ოპერატორები ლ. სუხოვი და ა. ფილიპაშვილი, რეჟისორი თ. მიქაძე, მხატვრები ზ. მეძმარიაშვილი და ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე, ხმის ოპერატორი დ. ლომიძე, მხატვარ-გრიმიორი ა. ივაშჩენკო, რეჟისორ-მემონტაჟე ვ. დოლენკო, კოსტიუმების მხატვარი ნ. მანჯგალაძე, ოპერატორი ლ. ნამგალაშვილი, რეჟისორის ასისტენტები: ე. ჟღენტი, კ. არეშიძე და მ. მაღირია, მემონტაჟის ასისტენტი ნ. შოშიტაშვილი, ოპერატორის ასისტენტები გ. ჯაფარიძე, კ. გვასალია და მ. ავალიანი, მხატვარი დეკორატორები: მ. მედნიკოვი, გ. მარგიშვილი და გ. სალაძე, კომბინირებულ გადაღებათა ოპერატორი ო. მაგაკიანი, ოპერატორის ასისტენტი ა. ვოდოლაჟსკი, მხატვარი რ. ვაშაძე, სამხედრო კონსულტანტი არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი ი. ვლადიმიროვი, დირიჟორი ლ. კილაძე, სურათის დირექტორი შ. ლაფერაძე.

მონაწილეობენ: ს. ზაქარიაძე (გიორგი მახარაშვილი), ქ. ბოჭორიშვილი (თამარი), ვ. პრივალცევი (ნიკიფოროვი), ა. ნაზაროვი (არკადი), ი.

დროზდოვი (ვივა), ვ. კოლოკოლცევი (გრიშა), ი. კოსიხი (ახმედი), ი. ურალსკი (პაჭუა), ეპიზოდებში: ი. ვიხოდცევა, რ. ვილდანი, ბ. გოგინავა, ვ. ყარიკოვი, ვ. კულიკი, გ. კობახიძე, ი. ქოქრაშვილი, ი. კვიტაიშვილი, გ. მაქსიმოვა, რ. მურატოვი, ვ. მიზინი, ი. ნიჟარაძე, ლ. ზღვაური, ა. სტარცევი, ფ. სტეპუნი.

„ღიმილის ბიჭები“

დრამა. 10 ნაწილი, 2702 მ., 1969 წ.

სცენარის ავტორი ს. ულენტი, დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, მთავარი ოპერატორი ა. ფილიპაშვილი, მხატვრები ზ. მეძმარიაშვილი და მ. მედნიკოვი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე, ხმის ოპერატორი დ. ლომიძე, რეჟისორი ე. ულენტი. მხატვარი-გრიმიორი ს. ასკეროვა, მემონტაჟე ვ. დოლენკო, მემონტაჟის ასისტენტი ნ. შოშიტაშვილი, კომბინირებული გადაღებების ოპერატორი ვ. ერხანი, მხატვარი მ. სეხნიაშვილი, რეჟისორის ასისტენტები ზ. ანთელავა და ჟ. კვიტაიშვილი, ოპერატორები შ. კილაძე და ი. ფედნევი, სამხედრო კონსულტანტი არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი ი. ვლადიმიროვი, დირიჟორი ზ. ხუროძე, სურათის დირექტორი შ. ლაფერაძე.

მონაწილეობენ: ლ. ყიფიანი (ნათელა), კ. ქორიძე (თემური), ბ. ლომაია (ბოლოკა), თ. თოლორაია (ლევანი), მ. ბორაშვილი (ბაადური), ნ. ბაგრატიონი (ჭკუისკოლოფა), თ. ბაბლუანი (მალხაზი), ბ. ჩხეიძე („ბეთხოვენა“), ზ. ქაფიანიძე (შალიკო), ვ. პანჩენკო (ვალოდია), თ. თვალიაშვილი (ბებია), შ. გეჯაძე (პაპა), ვ. მიზინი (ლეიტენანტი ბონდარენკო), შ. ხერხეულიძე (ძია მიხო), გ. კოსტავა (მღვდელი), ვ. ნინუა (მასწავლებელი), ნ. ახალაძე (ნინიკო), ეპიზოდებში: მ. იაშვილი, ა. ლორთქიფანიძე, ვ. დონღუზაშვილი, გ. კაჩინი, ნ. ხომასურიძე, ი. ქოქრაშვილი, ვ. ლისენკო, ი. შვედკოვი, ი. ეროფეევა, ე. ალეკინა, გ. თალაკვაძე, თ. ცხვედიანი, მ. პიასეცკი.

„ნერგები“

ლირიკული კომედია. 9 ნაწილი. 2492 მ., 1973 წ. საკ. ეკრ. 1973 წ.

სცენარის ავტორი ს. ულენტი, დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, მთავარი ოპერატორი ა. მაისურაძე, მთავარი მხატვრები ზ. მეძმარიაშვილი და ტ. კრიმკოვსკაია, კომპოზიტორი ნ. გაბუნია, ხმის ოპერატორი დ. ლომი-

ძე, რეჟისორი ე. ჟღენტი, მხატვარი-გრიმიორი გ. ბარნაბიშვილი, რეჟისორ-მემონტაჟე ვ. დოლენკო, კოსტიუმების მხატვარი გ. მიქელაძე, ოპერატორი გ. ყურელი, კომბინირებული გადაღებების ოპერატორი მ. გაგუა, რეჟისორის ასისტენტები გ. ბუიღლიშვილი, კ. კვიტაიშვილი და მ. ხარატიშვილი, ოპერატორის ასისტენტები ს. გევორქოვი, დ. კოხრეიძე და ე. სიხარულიძე, მხატვრის ასისტენტები: გ. მარგიშვილი და ტ. ბერულავა, სურათის დირექტორი შ. ლაფერაძე.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი ლ. კილაძე.

მონაწილეობენ: რ. ჩხიკვაძე (ლუკა ბაბუა), მ. მესხი (კახა), მ. ქორელი (ბებია ელისაბედი), ს. თაყაიშვილი (ციცინო), ზ. ბოცვაძე (კახას დედა), ზ. ქაფიანიძე (მეურმე), მ. ვაშაძე (დათეშიძე), ს. სტრელკოვი (მისტერ ფლეტჩერი), კ. კავსაძე (დავითი); ეპიზოდებში: ზ. ლაფერაძე, ჯ. ღალანიძე, შ. ხაჯალია, ლ. კაპანაძე, ი. ქოქრაშვილი, ვ. კახნიაშვილი, ა. გაურგაშვილი, ი. ნიჟარაძე, ბ. ჩეჩელაშვილი, გ. თოხაძე, ბ. გოგინავა, ა. მაჩაბელი, მ. ერგნელი, ლ. სოხაშვილი, ვ. ენგელჰარტი, ე. ბეჟუაშვილი, გ. ჩარკვიანი, ი. თუმაჯოვი, მ. გასვიანი, ლ. გრუზეცი, ლ. პიარნი, ნ. მაშტანიროვა, ე. გოგლიჩიძე, ე. ბაღათურია, ბ. ცირეკიძე, ნ. ღამბარაშვილი, ი. ლომაია, ნ. გედევანიშვილი, შ. ცქიფურიშვილი, თ. ჩახნაშვილი, ზ. ბაქრაძე, გ. ერგემლიძე.

## „მშობლიურო ჩემო მიწავ“

სცენარის ავტორები ს. ჟღენტი და რ. ჩხეიძე, დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, დამდგმელი ოპერატორი ლ. ახვლედიანი, დამდგმელი მხატვრები: გ. გიგაური და ზ. მეძმარიაშვილი, კომპოზიტორი გ. ყანჩელი, რეჟისორი რ. შარაბიძე, ხმის ოპერატორი გ. კუნცევი, რედაქტორები ზ. არსენიშვილი და ა. გველესიანი, სურათის დირექტორი შ. ლაფერაძე.

მთავარ როლში თ. ჩხეიძე.

მონაწილეობენ: ე. ხუტუნაშვილი, ი. ხიზანიშვილი, გ. ხარაბაძე, ც. ჩხეიძე, ბ. დევნოსაძე, მ. ვაშაძე, შ. ხერხეულიძე, ბ. ხელაშვილი, რ. კაკაურიძე, ზ. ლაფერაძე, ი. ცანავა, ლ. უჩანეიშვილი, ი. ნინიძე, ი. ვასაძე, გ. ბერიძე, გ. გიგაური, თ. ვარდანაშვილი, ი. სარანცევი, თ. ბაბლუანი, ვ. მოსიძე, ზ. ყიფშიძე, ნ. ხელაძე, გ. კაპანაძე, დ. ჩუბინიშვილი, ი. ხითარიშვილი, მ. ჯანაშია, თ. ბააკაშვილი.

## სარჩევი


| | |
|---|---|
| ოუხდენელი ოცნება . | 5 |
| ყველა სინამდვილეზე მართალი | 9 |
| მძიმე პური | 26 |
| და კვლავ მძიმე პური | 86 |
| მუშაობა დასვენებისას | 126 |
| გადაღებული ფილმები | 161 |

**Джалагания Роланд Шалвович**
**ВЫСОТА**

**(На грузинском языке)**

Издательство «Хеловнеба»
Тбилиси, пр. Плеханова, 179
1981 год.

НБ (ს8) 357

გამომცემლობის რედაქტორი მ. მ ე ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი
მხატვარი ვ. ვ ა ბ ე ლ ი ა
მხატვრ. რედაქტორი რ. მ ა ხ ა რ ა ძ ე
ტექრედაქტორი რ. კ ო ხ რ ე ი ძ ე
კორექტორი მ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე
გამომშვები ს. შ ა ყ უ ლ ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 10. IV. 80 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 07. 81.
ქაღალდის ზომა 70×90¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 17,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15.87

უე 00239 ტირაჟი 15.000 შეკვ. 1088

**ფასი 1 მან. 80 კაპ.**

**გამომცემლობა „ხელოვნება“**
**თბილისი, პლეხანოვის 179**

**1981**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,**
**თბილისი, ლენინის 14.**